სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL-DAVID AGHMASHENEBELI NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

შრომები
PAPERS

№2

სამეცნიერო ჟურნალი
SCIENTIFIC JOURNAL

ბორი, 2024

UDC (უაკ) 050 (479,22)

სარედაქციო კოლეგია

სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელი

ბრიგადის გენერალი მამია ბალახაძე — სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორი

სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელის მოადგილე

პოლკოვნიკი გიორგი ლაღიაშვილი — სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი

სარედაქციო კოლეგიის წევრები

ვიცე-პოლკოვნიკი ნიკოლოზ ხაჩიძე — სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ხელმძღვანელი

პოლკოვნიკი ირაკლი უჩაძე — სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის ხელმძღვანელი

ნიკოლოზ ესიტაშვილი — სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი

თინათინ კროპაძე — სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი

ქეთევან კვესელავა — სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი

ზურაბ სამხარაძე — სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი

კომპიუტერული დიზაინერი

თამარ კანდელაკი — სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი სპეციალისტი

© საავტორო უფლებები დაცულია

გამომცემლობა:
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია 2024
ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

Editorial Board

Head of the Editorial Board

Brigadier General Mamia Balakhadze	Rector of LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Deputy Head of the Editorial Board

Colonel Giorgi Laghiashvili	Head of the Scientific Research Center of LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Members of the Editorial Board

Lieutenant Colonel Nikoloz Khachidze	Head of the Bachelor's at LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Colonel Irakli Uchadze	Head of MA Program of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Nikoloz Esitashvili	Chief Scientist of Scientific-Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Tinatin Kropadze	Chief Scientist of Scientific-Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Ketevan Kveselava	Chief Scientist of Scientific-Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Zurab Samkharadze	Chief Scientist of Scientific-Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Computer Designer

Tamar Kandelaki	Chief specialist of the Scientific-Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

© ALL RIGHTS RESERVED
PUBLISHING:

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA 2024
ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

შინაარსი

შალვა კვეზერელი, ქეთევან ჭიაბრიშვილი
ონლაინ გაყიდვები და მათ წინაშე არსებული გამოწვევები (საქართველოს მაგალითზე) 7
ვიცე-პოლკოვნიკი გოჩა ბათაძე
რეზერვისტთა დანაყოფების როლი ტოტალური თავდაცვაში 22
ზურაბ სამხარაძე, გივი სანაძე
ინჟინერიის განვითარების საკითხებთან დაკავშირებით.....28
ქეთევან კვესელავა, ზურაბ სამხარაძე, ნინო ვერულავა
ხელოვნური ინტელექტის თანამედროვე მდგომარეობა 44
ზურაბ მჭედლიშვილი
რუსეთ - უკრაინის ომის მიზეზები.....50
სოფიკო ცხელიშვილი
მოტივაციის როლი სწავლა-სწავლების ხარისხის ასამაღლებლად 59
ნანი არაბული, რომეო გალდავა, გიორგი კოხრეიძე
კიბერუსაფრთხოების გამოწვევების ანალიზი თანამედროვე სამხედრო კონფლიქტების ჭრილში.....70
ლ-ტი: ნინო გოგილავა
ცენზურა და სიტყვის თავისუფლება.....84
ვიცე-პოლკოვნიკი პაატა მაისურაძე
მსხვრევადი და არშემდგარი სახელმწიფოების ნეგატიური გავლენა მსოფლიო წესრიგზე.....90
სერგო თევზაძე
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლი საერთაშორისო ურთიერთობებში.....96
ვიცე-პოლკოვნიკი იოსებ ტურაშვილი
აშშ-ირანის ურთიერთობების განვითარების დინამიკა - მოკავშირეობიდან მტრობამდე 114
სოფია სივსივაძე
დეზინფორმაცია ციფრულ ეპოქაში: გამოწვევები, შედეგები და გადაწყვეტილებები 128
ვიცე-პოლკოვნიკი დავით ტაბატაძე
განახლებადი ენერგიის ფაქტორი ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში 134
ნუგზარ ქვარიანი
ძალოვანი უწყებების პერსპექტივიდან დანახული, დაგეგმის, პროგრამირებისა და ბიუჯეტირების გამოწვევები კრიზისული სიტუაციების დროს.....140
შოთა ოთხოზორია
აშშ - ჩინეთის კონკურენცია და საერთაშორისო წესრიგი.....146
მერაბ ხიმშიაშვილი
კოოპერატიული განვითარება საქართველოში, შესაძლებლობები და გამოწვევები.....158
ალუდა სილაგაძე
საზოგადოებრივი სერვისების ციფრულიზაცია 166
დავით ფარცვანია
არშემდგარი სახელმწიფოები.....178
კობა კობალაძე
ჩინეთის გავლენა მსოფლიო გეოპოლიტიკაში 187

Content

Shalva Kvezereli, Ketevan Chiabrishvili
Online sales and the challenges facing it (on the example of Georgia) 8
Lieutenant Colonel Gocha Batadze
The role of reservist units in total defense 23
Zurab Samkharadze, Givi Sanadze
Regarding engineering development issues 30
Ketevan Kveselava, Zurab Samkharadze, Nino Verulava
State of the Art Artificial Intelligence 45
Zurab Mchedlishvili
The causes of the war between Russia and Ukraine 51
Sophiko Tskhelishvili
The Role of Motivation in Improving the Quality of Teaching and Learning 60
Nani Arabuli, Romeo Galdava, Giorgi Kokhreidze
Analysis of Cybersecurity Challenges in the Context of Modern Military Conflicts 71
Lt. Nino Gogilava
Censorship and freedom of speech 85
Lieutenant Colonel Paata Maisuradze
The negative influence of fragile and non-established states on the world order 91
Sergo Tevzadze
The role of the United Nations in international relations 97
Lieutenant Colonel Ioseb Turashvili
The dynamics of US-Iran relations - from alliance to hostility 116
Sofia Sivsivadze
Disinformation in the Digital Age: Challenges, Consequences, and Solutions 129
Lieutenant Colonel David Tabatadze
Renewable Energy Factor in Ensuring the Country's Security 135
Nugzari Kvariani
Challenges of planning, programming, and budgeting in crisis situations from the perspective of law enforcement agencies 141
Shota Otkhozoria
US-China competition and international order 147
Merab Khimshiashvili
Cooperative development in Georgia, opportunities and challenges 159
Aluda Silagadze
Digitalization of public services 168
David Partsvania
Failed States 179
Koba Kobaladze
China's influence in world geopolitics 188

"შრომები"№ 2 (2024)
WWW.PAPERS.ETA.EDU.GE/INDEX.PHP/PAPERS

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ონლაინ გაყიდვები და მათ წინაშე არსებული გამოწვევები (საქართველოს მაგალითზე)

შალვა კვეზერელი,[1] ქეთევან ჭიაბრიშვილი[2]
DOI: https://doi.org/10.61446/ds.1.2022.6451

აბსტრაქტი

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია ონლაინ გაყიდვების ძლიერი და სუსტი მხარეები. მოცემული საკითხი გაშლილია ქართული ბაზრის მაგალითზე და მასში აღწერილია ის ძირითადი გამოწვევები, რომლებიც ადგილობრივ ონლაინ მაღაზიებს გააჩნიათ ამ ეტაპზე.

ონლაინ გაყიდვების განხილვა ნაშრომში მოცემულია ერთიანი სისტემის საფუძველზე, რომელიც მოიცავს საკითხების ორ ჯგუფს. **პირველი ჯგუფი** არის ონლაინ გაყიდვების გავლენა მომხმარებელთა კმაყოფილებაზე და მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: რეაგირების დრო, პროდუქტის მრავალფეროვნება, ხელმისაწვდომობა, მომხმარებლის დამოკიდებულება (გამოცდილება), პროდუქტის ბაზარზე გამოტანის დრო, შეკვეთის ხილვადობა, პროდუქტის უკან დაბრუნების უნარი, პირდაპირი გაყიდვები და მოქნილი ფასების შეთავაზება. **მეორე ჯგუფი** - ონლაინ გაყიდვების გავლენა კომპანიის დანახარჯებზე და ის შედგება შემდეგი საკითხებისაგან: მარაგები, შენობა-ნაგებობები (ობიექტები), ტრანსპორტირება და ინფორმაციის მართვა.

ნაშრომის მეორე ნაწილში განხილულია ქართულ ბაზარზე მოქმედი ონლაინ მაღაზია **„ველი სთორის"** საქმიანობა. მოცემულია მისი საოპერაციო მოქმედებების ძირითადი ეტაპები. აქვე ცხრილის სახით შეფასებულია ველი სთორის ოპერაციები ზემოაღნიშნული ერთიანი სისტემის საფუძველზე. ცალკე გამოყოფილია ის ძირითადი გამოწვევები, რომელთა წინაშეც იმყოფება მოცემული კომპანია და ზოგადად ქართული ბაზრის ადგილობრივი ონლაინ კომპანიები.

დასკვნით ნაწილში შეჯერებულია განხილული საკითხები და გაჟღერებულია ის ძირითადი თეზისები, რომელთა წარმატებით გადაჭრის შემთხვევაში ადგილობრივი ონლაინ მაღაზიები შეძლებენ საკუთარი კონკურენტუნარიანობის გაზრდას და მოცემულ ინდუსტრიაში უცხოური კომპანიებისათვის სათანადო კონკურენციის გაწევას.

საკვანძო სიტყვები: ონლაინ, გაყიდვები, მომხმარებელი, უპირატესობა, ბაზარი, გამოწვევა, მოთხოვნა, მიწოდება.

[1] სსიპ-დავით აღმაშენებელის სახელობის საქართველოს, ეროვნული თავდაცვის აკადემიის, ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი.
[2] სსიპ-დავით აღმაშენებელის სახელობის საქართველოს, ეროვნული თავდაცვის აკადემიის, ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების პროფესორი

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

Online sales and the challenges facing it (on the example of Georgia)

Shalva Kvezereli,[3] Ketevan Chiabrishvili[4]
DOI: https://doi.org/10.61446/ds.1.2022.6451

Abstract

In the work: "Online sales and the challenges facing it - on *the example* of Georgia", the strengths and weaknesses of online sales are discussed. This issue is based on the example of the Georgian market and it describes the main challenges that local online stores have today.

Discussion of online sales in the paper is given on the basis of a unified system, which includes two groups of issues. The first group is the impact of online sales on customer satisfaction and includes such issues as: response time; product diversity; availability; user attitude (experience); time to market the product; order visibility; the ability to return to Prokut; Direct sales and flexible pricing. The second group - the impact of online sales on the company's costs, and it consists of the following issues: supplies; Buildings (objects); Transport and information management.

The online store Veli Story operating in the Georgian market is discussed in the later part of the paper. The main stages of its operational activities are given. Here, in the form of a table, the operations of Veli Stori are evaluated based on the above-mentioned unified system. The main challenges faced by this company and the local online companies of the Georgian market in general are highlighted separately.

In the final part, the discussed issues are reconciled and the main theses are voiced, which if successfully solved, local online stores will be able to increase their competitiveness and compete properly with foreign companies in the given industry.

Keywords: Online, Sales, Customer, Advantage, Market, Challenge, Demand, Supply.

[3] Associate Professor of Bachelor's program in Management of, LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia.

[4] Professor of Bachelor's program in Management of, LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia,

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

შესავალი

ნაშრომის მიზანი

მოცემული ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ონლაინ გაყიდვებთან დაკავშირებით, ზოგადად და კერძოდ ჩვენს ქვეყანაში არსებული ძირითადი გამოწვევების განხილვა. უფრო კონკრეტულად, ნაშრომის მიზანს წარმოადგენს იმის წარმოჩენა თუ რა როლი აქვს ინტერნეტიზაციას სხვადასხვა სადისტრიბუციო არხების ჩამოყალიბების და მათი ყოველდღიური მუშაობის საკითხში.

ძირითად მიზანს მაინც წარმოადგენს იმ საკითხის გაანალიზება თუ რა განაპირობებს ონლაინ გაყიდვების წარმატებულ დანერგვას ზოგიერთ მომარაგება- მიწოდების არხებში (Supply Chain Management), ხოლო ზოგიერთში კი არა. რა გამოწვევების წინაშე დგას საქართველოში ონლაინ გაყიდვები და რა სამომავლო პერსპექტივები იკვეთება მოცემული გამოწვევების დაძლევის საკითხში.

ძირითადი ნაწილი

ონლაინ გაყიდვების გავლენა მომხმარებელთა კმაყოფილებაზე

„ონლაინ გაყიდვებში მომარაგება-მიწოდების ჯაჭვის (Supply Chain Management) მუშაობის შესაფასებლად გამოიყენება მაჩვენებლების ერთიანი სისტემა, რომელიც დაფუძნებული არის მომხმარებელთა საჭიროებებზე და ამ საჭიროებების დაკმაყოფილების შესაძლებლობებზე, რომელსაც აღწევს მიწოდების ჯაჭვი ონლაინ გაყიდვებით, ან ვერ აღწევს. ეს ერთიანი სისტემა არის შემდეგი:

- „რეაგირების დრო;
- პროდუქტის მრავალფეროვნება;
- ხელმისაწვდომობა;
- მომხმარებლის დამოკიდებულება (გამოცდილება);
- პროდუქტის ბაზარზე გამოტანის დრო;
- შეკვეთის ხილვადობა;
- პროქუტის უკან დაბრუნების უნარი;
- პირდაპირი გაყიდვები და
- მოქნილი ფასების შეთავაზება."[5]

მოკლედ მიმოვიხილოთ თითოეული მათგანი.

<u>რეაგირების დრო.</u> ეს არის დრო პროდუქტის ონლაინ გაყიდვიდან მომხმარებლისათვის მის მიწოდებამდე. ელექტრონული სახის საქონლის (პროდუქტის) შემთხვევაში ეს დრო ძალიან მცირეა და ონლაინ გაყიდვებს აქვთ დიდი უპირატესობა ფიზიკური სახით პროდუქციის გაყიდვასთან შედარებით. ფიზიკური პროდუქციის შემთხვევაში

[5] Chopra S. and Meindl P. Supply Chain Management: Strategy, Planning, and Operations 5thEdition, (C&M) 2013, გვ. 71

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

მოცემულობა საპირისპიროა, ონლაინ გაყიდვებს უფრო მეტი დრო სჭირდებათ პროდუქტის მომხმარებლამდე მისატანად, ვიდრე ტრადიციულ სავაჭრო ობიექტს, რომელშიც პროდუქტის შეძენისთანავე მომხმარებელს შეუძლია მისი გამოყენება. ონლაინ შეძენის შემთხვევაში მომხმარებელს უწევს ლოდინი საათები, დღეები, ან შეიძლება კვირეებიც კი.

<u>პროდუქციის მრავალფეროვნება.</u> ონლაინ გაყიდვებით შესაძლებელია გაცილებით დიდი არჩევანის შეთავაზება მომხმარებლისათვის ვიდრე ეს ფიზიკურ სივრცეში არის შესაძლებელი. ამის კარგი მაგალითია თუნდაც ავტომობილების ყიდვა-გაყიდვის ონლაინ საიტები, სადაც მომხმარებელს გაცილებით დიდი არჩევანი აქვს. მაგალითისათვის, ონლაინ გვერდი: myauto.ge მომხმარებლებს სთავაზობს 150 ათასზე მეტ პროდუქტს, რაც ბევრად მეტია, ვიდრე რომელიმე ავტოცენტრში არსებული რაოდენობა, სადაც არჩევანი ათეულობით ავტომობილით განისაზღვრება, ან ავტო-ბაზრობაზე, სადაც არჩევანი მხოლოდ ასეულობით ავტომობილამდეა გაზრდილი.

<u>პროდუქტზე ხელმისაწვდომობა.</u> ონლაინ გაყიდვების დროს შესაძლებელია მარაგების გაერთიანება და ამ გზით მომხმარებლისათვის პროდუქტზე ხელმისაწვომობის გაზრდა. ასევე, ონლაინ გაყიდვების დროს თანამედროვე ტექნოლოგიები იძლევა შესაძლებლობას მოხდეს მომხმარებლთა მოთხოვნილებების უკეთესად შესწავლა და მათზე სწრაფი რეაგირება.

<u>მომხმარებელთა დამოკიდებულება.</u> ონლაინ გაყიდვები იძლევა შესაძლებლობას მომხმარებელთათვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი სწრაფი წვდომა პროდუქციაზე (ინფორმაციაზე), ასევე შესაძლებლობას ქმნის პერსონალიზაციისა და მოხერხებულობის მხრივაც. საცალო მაღაზიები (უმეტეს შემთხვევაში) მუშაობენ ფიქსირებულ საათებში, ინტერნეტის მეშვეობით კი მომხმარებლებს შესაძლებლობა აქვთ განახორციელონ შესყიდვები დღის და კვირის ნებისმიერ, მათთვის მოსახერხებელ დროს. ონლაინ გაყიდვები ასევე აბათილებს გეოგრაფიულ სიშორეს და პოლიტიკურ საზღვრებს, თუ კი მომწოდებელს აწყობილი აქვს მიწოდების ჯაჭვი.

განსაკუთრებით ბოლო საკითხი ახალ შესაძლებლობებს უხსნის მცირე და საშუალო მეწარმეებს, რათა თავიანთი პროდუქცია მიიტანონ დიდ აუდიტორიამდე. მაგალითად, ქართველ მცირე მეწარმეს, მის მიერ წარმოებული ხელნაკეთი ნივთები, ადგილობრივი ონლაინ მაღაზიების მეშვეობით, შეუძლია შესთავაზოს მომხმარებლებს მთელი საქართველოს მასშტაბით, ან საერთაშორისო ონლაინ მაღაზიების მეშვეობით ასევე შეუძლია შესთავაზოს აღნიშნული პროდუქცია უცხოელ მომხარებლებსაც, რისი გაკეთების შესაძლებლობა არ გააჩნია ტრადიციული სავაჭრო ობიექტების მეშვეობით.

თითოეულ მომხმარებლზე მორგებული უნიკალური/პერსონალური შეთავაზებების გაკეთების შესაძლებლობა შეზღუდულია, ან თითქმის შეუძლებელიც ტრადიციულ სავაჭრო ობიექტებში. ონლაინ გაყიდვები და თანამედროვე ტექნოლოგიები, პი-

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

რიქით, ამ მიმართულებით განსაკუთრებით ვითარდებიან. ხდება მომხმარებლის მიერ ადრე გაკეთებული შესყიდვების სწრაფი დამუშავება და აღნიშნულის საფუძველზე პერსონალური შეთავაზებების გაკეთება.

შესყიდვის განსახორციელებლად დროისა და სივრცის კონტროლი მომხმარებლის კმაყოფილებაზე მორგებული კიდევ ერთი საკითხია, რასაც ონლაინ გაყიდვები აკეთებენ. ონლაინ გაყიდვებით მომხმარებელს შეუძლია მისთვის სასურველი პროდუქტის შესყიდვა განახორციელოს სახლიდან, სამსახურიდან, ან სხვა ადგილიდან დღის ნებისმიერ დროს, რისი შესაძლებლობაც ფიზიკურად არ არის ჩვეულებრივ მაღაზიებში.

დადებითთან ერთად აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ონლაინ გაყიდვების დროს მომხმარებელს შეზღუდული აქვს პროდუქტთან შეხება და აღნიშნულიდან გამომდინარე მიღებული ემოციური შთაბეჭდილება. ამ დროს ადამიანის აღქმის ორგანოებიდან გამოთიშული არის: შეხება, ყნოსვა, გემო, მოსმენა და რჩება მხოლოდ ერთადერთი აქტიური აღქმის ორგანო - ხედვა, რიგ შემთხვევებში შეიძლება სმენაც იყოს გამოყენებული.



სურ.1 ონლაინ გაყიდვების მუშაობის ზოგადი სქემა[6]

[6] შალვა კვეზერელი, მომარაგება-მიწოდების ჯაჭვის მართვა, სალექციო კურსი. რიდერი. ეთა. 2021. გვ. 19

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

არც თუ ისე უმნიშვნელო საკითხს წარმოადგენს, ასევე მომხმარებელთა გარკვეული ჯგუფის დამოკიდებულება შესყიდვებისადმი, რომელთათვისაც ფიზიკურად შესყიდვების განხორციელება ანუ „შოპინგი" წარმოადგენს სოციალურ მოთხოვნილებას და მისი ჩანაცვლება ონლაინ შესყიდვებით არსურთ.

<u>პროდუქტის ბაზარზე გამოტანის დრო.</u> ფიზიკური არხებით პროდუქტის საცალო მაღაზიის დახლზე მოხვედრა გაცილებით მეტ დროსა და რესურსებს საჭიროებს, ვიდრე ეს ონლაინ არის შესაძლებელი. ფიზიკური არხების გამოყენების შემთხვევაში კომპანიამ უნდა აწარმოოს საკმარისი რაოდენობის პროდუქცია, რათა დააკმაყოფილოს დისტრიბუციისა და საცალო მოვაჭრის (მაღაზიის) მოთხოვნილებები პროდუქციის რაოდენობასთან დაკავშირებით, რის შემდეგაც მოხვდება მისი პროდუქტი დახლზე და გახდება ხელმისაწვდომი მომხმარებლისათვის. ონლაინ ამის გაკეთება შესაძლებელია გაცილებით ადრე, როგორც კი მეწარმეს პროდუქციის ერთი ერთეული მაინც ექნება უკვე მზად. ამის კარგი მაგალითია Walmart.com-ი, სადაც დიდი ახალი ტელევიზორები იყიდება უფრო ადრე, სანამ ისინი გამოჩნდება Wal-Mart-ის მაღაზიის თაროებზე.

<u>შეკვეთის ხილვადობა.</u> მომხმარებლისათვის შეკვეთის ხილვადობა ძალზედ მნიშვნელოვანია, ასე ის აღიქვამს შეკვეთის განხორციელებას უსაფრთხოდ. ონლაინ შეკვეთას არ აქვს ფიზიკური ექვივალენტი იმ მომხმარებლისთვის, რომელიც ყიდულობს ნივთს საცალო მაღაზიაში.

<u>პროდუქტის უკან დაბრუნების უნარი.</u> ეს უფრო რთულია ონლაინ შეკვეთების დროს, რადგან, როგორც წესი, პროდუქცია ცენტრალიზებული ადგილებიდან მიეწოდება მომხმარებლებს. გაცილებით ადვილია საცალო მაღაზიაში შეძენილი პროდუქტის უკან დაბრუნება. პროდუქციის უკან დაბრუნების წილი უფრო მაღალია ონლაინ შეკვეთების დროს, რადგანაც მომხმარებელს არ შეუძლია შეეხოს და შეიგრძნოს პროდუქტი მის შესყიდვამდე. ონლაინ ვაჭრობა ზოგადი სტატისტიკური მაჩვენებლებით, ზრდის პროდუქციის საპირისპირო ნაკადების ხარჯებს.

<u>მომხმარებლებზე პირდაპირი გაყიდვების შესაძლებლობა.</u> ინტერნეტი და თანამედროვე ტექნოლოგიები, როგორც მწარმოებელ კომპანიებს, ასევე მიწოდების ჯაჭვის სხვა მონაწილეებს აძლევთ საშუალებას პირდაპირი კონტაქტი ჰქონდეთ მომხმარებლებთან - გაუგზავნონ მათ შეტყობინება პროდუქციისა, თუ აქციების შესახებ, მიიღონ მათგან უკუკავშირი.

<u>მოქნილი ფასების შეთავაზება.</u> ონლაინ სივრცეში შესაძლებელია, როგორც პროდუქციის ასორტიმენტის, ასევე ფასების სწრაფი ცვლილება. ონლაინ სივრცეში შესაძლებელია კომპანიებმა, მათი პროდუქციის პორტფელის შემოსავლები, ბევრად უფრო ეფექტურად მართონ, ვიდრე ტრადიციულ არხებში. ონლაიან გაცილებით სწრაფად და იაფად არის შესაძლებელი სარეკლამო შეტყობინებების მომხმარებლებთან მიტანა,

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

თანაც ონლაინ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით უფრო ზუსტად ხდება შეტყობინების სამიზნე აუდიტორიამდე მიტანა.

<u>თანხის ეფექტური გადარიცხვის საშუალება.</u> გადახდის მოხერხებულობა გაზრდილია ინტერნეტის და მობილური ტელეფონების მეშვეობით, კომპანიებისათვის შემცირებულია თანხების შეგროვების დრო და ხარჯები, განსაკუთრებით მცირე მოცულობის თანხების. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ სისტემაში ნაღდი ფული არ ბრუნავს, რაც რიგ შემთხვევებში სჭირდებათ კომპანიებს და ასევე მომხმარებლებს.[7]

ონლაინ გაყიდვების გავლენა კომპანიის დანახარჯებზე

ონლაინ გაყიდვები სპეციფიკურ/განსხვავებულ გავლენას ახდენს ორგანიზაციის დანახარჯებზე. განვიხილოთ ონლაინ გაყიდვების გავლენა ორგანიზაციის დანახარჯების ისეთ ჯგუფებზე, როგორებიცაა:

- ✓ „მარაგები;
- ✓ შენობა-ნაგებობები (ობიექტები);
- ✓ ტრანსპორტირება;
- ✓ ინფორმაციის მართვა."[8]

მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ დანახარჯების თითოეულ დასახელებულ ჯგუფზე ონლაინ გაყიდვების გავლენა სულაც არ არის პოზიტიური.

<u>მარაგები.</u> ონლაინ გაყიდვებით შესაძლებელია შემცირდეს კომპანიაში არსებული მარაგების დონე, ისეთი მოცემულობის დროს, როდესაც მომხმარებელთა უმეტესობა მზადაა დაელოდოს პროდუქტის მიღებას, რა დროსაც ორგანიზაციას აქვს შესაძლებლობა მომხმარებლისაგან მოშორებით, მისთვის ხელსაყრელ ადგილას გააერთიანოს მარაგები. სწორედ ასე იქცევა Amazon-ი, რომელიც წიგნების მარაგებს, რამდენიმე საწყობში ქმნის, საიდანაც ხდება მომხმარებლთა შეკვეთების დაკმაყოფილება. ამის საპირისპიროდ წიგნების მაღაზიების ქსელებს უფრო მეტი მარაგების გაკეთება სჭირდებათ, რადგან მათ უნდა განათავსონ მარაგების მნიშვნელოვანი ნაწილი უშუალოდ საცალო მაღაზიებში.

მარაგების გაერთიანებით მიღებული სარგებელი იზრდება დაბალი მოთხოვნისა და მაღალი ღირებულების მქონე პროდუქციაზე და პირიქით მცირდება მაღალი მოთხოვნისა და დაბალი ღირებულების პროდუქციაზე. მარაგებზე გაწეული დანახარჯები განსაკუთრებით მცირდება თუ კომპანია შეკვეთის მიღების შემდეგ იწყებს პროდუქციის წარმოებას, ან მის დასრულებას.

<u>შენობა-ნაგებობები (ობიექტები).</u> მნიშვნელოვანია გამოვყოთ შენობა-ნაგებობებზე გაწეული დანახარჯების ორი ძირითადი ტიპი: 1) ობიექტების რაოდენობა და მათ-

[7] იქვე. კვეზერელი შალვა. 2021. გვ. 2-5
[8] Chopra S. and Meindl P. Supply Chain Management: Strategy, Planning, and Operations 5thEdition, (C&M) 2013, გვ. 75

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

თან დაკავშირებული დანახარჯები, 2) თითოეულ ობიექტში არსებული მიმდინარე საოპერაციო დანახარჯები. ონლაინ გაყიდვები კომპანიებს აძლევთ საშუალებას შეამცირონ ობიექტების რაოდენობა და ამის ხარჯზე დანახარჯები. მაგალითად, მთელი საქართველოს დასაფარად ონლაინ გაყიდვების შემთხვევაში საკმარისია ერთი, ორი კონსოლიდირებული საწყობი. ტრადიციული გაყიდვების შემთხვევაში, იგივეს გასაკეთებლად კომპანიას დასჭირდება ასობით ფიზიკური მაღაზიის გახსნა.

მიმდინარე საოპერაციო დანახარჯები. ონლაინ გაყიდვების დროს, პროდუქციის შერჩევას და შეკვეთის განთავსებას ახდენს თვითონ მომხმარებელი, რაც გაცილებით დაბალ დანახარჯებთანაა დაკავშირებული, ვიდრე ქოლცენტრების მოწყობა. ასევე შესაძლებელია შემცირდეს დანახარჯები შეკვეთის შესრულებასთან დაკავშირებით, თუ ის არ სრულდება მიღებისთანავე. ასეთ შემთხვევაში კომპანიას აქვს შესაძლებლობა შეკვეთის შესრულების ხარჯეფექტური დაგეგმვა განახორციელოს. ტრადიციულ მაღაზიებში მიმდინარე საოპერაციო ხარჯები მაღალია, თუნდაც იმის გამო, რომ შესაძლებელი იყოს პიკის საათებშიც მოთხოვნის შესაბამისად დამუშავება. ონლაინ გაყიდვები იძლევა შესაძლებლობას, მარაგების საჭირო რაოდენობით, შენარჩუნებული იყოს შეკვეთის შესრულების შეთანხმებული გეგმა-გრაფიკი მიუხედავად იმისა თუ, როგორი იქნება უშუალოდ შეკვეთების მიღების დატვირთვა.

ურყოფითი მხარე რაც ონლაინ გაყიდვებს გააჩნიათ ტრადიციული სახის გაყიდვებთან შედარებით - ობიექტებში წარმოქმნილ მიმდინარე საოპერაციო დანახარჯებში არის ის, რომ ტრადიციულ მაღაზიებში მომხმარებელი თვითონ ირჩევს, სალაროსთან მიაქვს და იძენს მისთვის სასურველ პროდუქციას, ონლაინ გაყიდვების დროს კი ამას აკეთებს კომპანიის თანამშრომელი, რაც ზრდის მიმდინარე საოპერაციო დანახარჯებს.

<u>ტრანსპორტირება.</u> ონლაინ გაყიდვებმა მნიშვნელოვნად შეამცირეს ციფრული საქონლის, ელექტრონულად ,,ტრანსპორტირების" ხარჯები, როგორიცაა ფილმები, მუსიკა და წიგნები. არაციფრული პროდუქტებისათვის მდგომარეობა საპირისპიროდაა. ერთიანი მარაგების/საწყობების შექმნით შესაძლებელია შემომავალ პროდუქციაზე ტრანსპორტირების დანახარჯების შემცირება, მათი გაერთიანება/კონსოლიდაციის გზით, თუმცა ასეთი რამ თითქმის ვერ ხერხდება საწყობიდან მომხმარებლისათვის მისაწოდებელი პროდუქციის ტრანპორტირების დროს. სწორედ ამის გამო, ონლაინ გაყიდვების მქონე კომპანიებს, როგორც წესი, გააჩნიათ ტრანსპორტირების უფრო მაღალი დანახარჯები მიწოდების მთელ ჯაჭვში, ვიდრე ტრადიციული გაყიდვებით მომუშავე კომპანიებს.

<u>ინფორმაცია.</u> ონლაინ სივრცეში, როგორც ინფორმაციის მოპოვება, ასევე მისი გაზიარება სწრაფად და შედარებით ხარჯეფექტურად არის შესაძლებელი, ვიდრე ეს ხდება ტრადიციული ტიპის გაყიდვების დროს. ონლაინ გაყიდვების დროს კომპანიებს შეუძლიათ პროდუქციის მოთხოვნის შესახებ ინფორმაცია სწრაფად და იაფად

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

მიაწოდონ მიწოდების ჯაჭვში ჩართულ ყველა პარტნიორ რგოლს. ასევე მათთან სწრაფად გაცვალონ სხვა სახის ინფორმაცია, რაც აუმჯობესებს ერთიანი მიწოდების ჯაჭვში შეთანხმებულობას/კოორდინაციას და ხელს უწყობს ინფორმაციის მოპოვება-გავრცელებაზე გაწეული საერთო ხარჯების შემცირებას.

ბაზარზე კონკურენტული უპირატესობის მისაღებად ერთ-ერთ გადამწვეტ საკითხად დროული და ზუსტი ინფორმაციის არსებობა არის მიჩნეული. დიდი მოცულობის და მუდმივად განახლებადი ინფორმაციის მართვა ნამდვილად საყურადღებო გამოწვევაა ნებისმიერი კომპანიისათვის. დღესდღეისობით ასეთ გამოწვევებს კომპანიები უმკლავდებიან სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფით, მათ შორის ტრადიციული სახით მოვაჭრე კომპანიებიც, თუმცა ონლაინ ვაჭრობის შემთხვევაში კომპანიებს ესაჭიროებათ შედარებით მაღალი მოცულობის ინვესტიციის განხორციელება სპეციალიზებულ ელექტრონულ პროგრამებში და მათ სწორ მართვაში.[9]

ონლაინ გაყიდვები და მათ წინაშე არსებული გამოწვევები ქართულ ბაზარზე (ველი სთორის - „veli.store" მაგალითზე)

ქართულ ბაზარზე ელექტრონული კომერცია ტრენდულია და ბაზარზე არაერთი ადგილობრივი კომპანია გვხვდება. ინტერნეტსივრცე პრაქტიკულად საზღვრების გარეშეა და ადგილობრივ ონლაინ კომპანიებს უწევთ კონკურენცია უცხოურ კომპანიებთანაც, რაც არ არის ადვილი რამდენიმე მიზეზის გამო. ერთი მიზეზი არის დაწყება/სტარტი, რითაც ქართული კომპანიები ჩამორჩებიან ძირითად უცხოელ კონკურენტებს, რომლებმაც ონლაინ კომერცია უფრო ადრე დაიწყეს და განვითარების გაცილებით მაღალ საფეხურზე იმყოფებიან; მეორე მნიშვნელოვანი გარემოება არის მასშტაბის ეფექტი, რასაც ქართული კომპანიები, ყოველ შემთხვევაში, ჯერ-ჯერობით ვერ აღწევენ; მესამე - თანამედროვე ტექნოლოგიები, რომლებიც ქართულ ონლაინ კომპანიებში არ არიან იმ მოცულობის, რომ შესაძლებელი გახადონ კონკურენტული უპირატესობის მიღება; მეოთხე - ქვეყნის ზოგადი სოციალ-ეკონომიკური მაჩვენებლები, რომლებიც ადგილობრივ კომპანიებს სწრაფი განვითარების შესაძლებლობებს ნაწილობრივ მაინც უზღუდავენ. ყოველივე ამის გათვალისწინებით სავსებით ლოგიკურია, რომ საქართველოში ელ. კომერციაში დახარჯული მთლიანი თანხის დაახლოებით 80%-ი საზღვარგარეთულ კომპანიებში მიედინება და მხოლოდ 20%-ს ინაწილებენ ადგილობრივი ონლაინ მაღაზიები.

ადგილობრივ ონლაინ მაღაზიები დგანან ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე. კერძოდ, თუ მათ გააჩნიათ დიდი ასორტიმენტი მაშინ დაბალია შესრულების ხარისხი, ხოლო თუ მათ გააჩნიათ მწირე/შეზღუდული ასორტიმენტი, მაშინ მაღალია შესრულების ხარისხი. ეს არის განპირობებული იმ გარემოებით, რომ დიდი ასორტი-

[9] იქვე. 2021. გვ. 5-8

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

მენტის მქონე კომპანიების აბსოლუტურ უმრავლესობას საკუთარი მარაგები არ გააჩნია და დამოკიდებულები არიან სხვა კომპანიებზე. მაგალითად: X კომპანია მომხმარებელს სთავაზობს მაგიდის გადასაფარებელს, რომელიც მას არ გააჩნია და არის სხვა Y კომპანიის პროდუქტი. მომხმარებლის მხრიდან შეკვეთის გაკეთების დროს შეიძლება ეს მაგიდის გადასაფარებელი აღარ იყოს გაყიდვაში, ან იმ ზომის და ფერის აღარ იყოს ხელმისაწვდომი რისი შეძენაც სურს მომხმარებელს. ამის შესახებ ინფორმაციას დრომდე არ ფლობს თვითონ X კომპანიაც და შესაბამისად ვერ ასრულებს შეკვეთას, შედეგად ღებულობს განაწყენებულ მომხმარებელს.

<u>მაღაზია „ველი სთორის" მუშაობის ზოგადი მიმოხილვა.</u> განსხვავებული სტრატეგიით მუშაობს ონლაინ მაღაზია ველი სთორი (https://veli.store/), რომელიც მომხმარებელს სთავაზობს პროდუქციას, რომელიც განთავსებულია მხოლოდ მის სასაწყობე სივრცეში, რომელიც მდებარეობს ქალაქ თბილისში. ველი სთორის საწყობში 70-დან 80 ათასამდე პროდუქტია. ისინი დაჯგუფებულია 16 სხვადასხვა კატეგორიად (მაგალითად: წიგნები, ტექნიკა, სახლი & ეზო და სხვა).

მომხმარებლისათვის დროის უკეთ დაგეგმვის მიზნით, თბილისში კომპანია მას სთავაზობს დღის განმავლობაში მიწოდების 5 დროის მონაკვეთს დილის ცხრა საათიდან, ყოველი 3 საათის შუალედით, ღამის თორმეტ საათამდე. თბილისში 21:30 საათამდე შეძენილ პროდუქტს მომხმარებელი იმავე დღეს ღებულობს, ხოლო უფრო გვიან შეძენის შემთხვევაში მომდევნო დღეს. რეგიონებში პროდუქციის მიწოდებას კომპანია ახორციელებს 3÷5 სამუშაო დღის განმავლობაში, ხოლო მაღალმთიან რეგიონებში 7÷10 სამუშაო დღის განმავლობაში. მიწოდების სერვისი/საკურიერო მომსახურეობა მთელი საქართველოს მასშტაბით უფასოა. პროდუქტის მიწოდება ხორციელდება შაბათ-კვირის ჩათვლით. მოთხოვნიდან გამომდინარე, კომპანია მომხმარებელს უკონტაქტო მიწოდებასაც სთავაზობს, როდესაც კურიერი მითითებულ ადგილას ტოვებს გზავნილს კარზე ზარის, ან სატელეფონო ზარის განხორციელების გარეშე.

თბილისის მასშტაბით ველი მიწოდებას საკუთარი საკურიერო სამსახურით ახორციელებს. მომხმარებელს შეუძლია შეკვეთის გვერდზე განთავსებულ რუკაზე თვალი ადევნოს კურიერის ადგილმდებარეობას. რეგიონებში საკურიერო მომსახურებას პარტნიორი კომპანიები ასრულებენ.

მომხმარებელს შეუძლია პროდუქტი უკან დააბრუნოს, ან გაცვალოს შეძენიდან 14 სამუშაო დღის განმავლობაში, რომლის წესები, საქართველოს კანონის შესაბამისად, ველს დეტალურად აქვს გაწერილი თავის ვებ-გვერდზე. ველზე ანგარიშსწორების სახეობა არის მხოლოდ უნაღდო, მათ შორის პროდუქტის უკან დაბრუნების დროსაც.

გარკვეული პროდუქტების იმპორტს ველი თვითონ ახორციელებს და აქედან გამომდინარე გააჩნია ექსკლუზიური პროდუქცია. მას ყავს მომხმარებელთა ძლიერი მხარდაჭერის გუნდი და ცდილობს მათი მაღალი ლოიალობის მოპოვებას. მას ასევე

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ჰყავს საკუთარი ტექნიკური გუნდი, რაც აძლევს საშუალებას გამოწვევებზე მორგებული სწრაფი ცვლილებები განახორციელოს.[10]

ველი სთორის შეფასება და გამოწვევები. ისევე, როგორც სხვა ონლაინ (და არა მხოლოდ) კომპანიები, ველი სთორის სამუშაო დინამიკაც 80÷20-ის წესით ხასიათდება. ეს ნიშნავს იმას, რომ კომპანიის რეალიზაციის 80%-ი მოდის პროდუქციის 20%-ზე და რეალიზაციის დარჩენილი 20%-ი მოდის პროდუქციის 80%-ზე.

ცხრილის მეშვეობით გადმოცემულია ველი სთორის სამუშაო პროცესების შეფასება, რაც განმარტებულია მოცემული სტატიის პირველ ნაწილში.

ცხრილი: ველი სთორის ონლაინ გაყიდვების შეფასება[11]

მახასიათებლები	გავლენა მაღალი მოთხოვნის პროდუქციაზე	გავლენა დაბალი მოთხოვნის პროდუქციაზე
რეაგირების დრო	-1	-2
მრავალფეროვანი პროდუქცია	+1	+1
პროდუქტზე ხელმისაწვდომობა	+1	+1
მომხმარებლის დმოკიდებულება	+2	+1
ბაზარზე გასვლის დრო	0	0
შეკვეთის ხილვადობა	+1	0
უკან დაბრუნების უნარი	-1	-2
პირდაპირი გაყიდვების შესაძლებლობა	+2	+2
მოქნილი ფასების შეთავაზება	+2	+2
სახსრების ეფექტური გადაცემა	+1	+1
მარაგები	+2	-1
ობიექტები (შენობა-ნაგებობები)	+2	+2
ტრანსპორტირება	-1	-2
ინფორმაცია	0	0

ცხრილში მოცემული გამარტივებული სახის ქულათა სისტემის განმარტება შემდეგია: +2 = ძალიან დადებითი, +1 = დადებითი, 0 = ნეიტრალური, –1 = უარყოფითი, –2 = ძალიან უარყოფითი.

როგორც ცხრილიდან ჩანს, ონლაინ გაყიდვები, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი ველი სთორის ონლაინ გაყიდვები, სულაც არ არიან ყველა განხილული მახასიათებლით უპირატეს მდგომარეობაში, ჩვეულებრივ/ტრადიციულ სარეალიზაციო არხებთან შედარებით. ველის რეაგირების დრო, იქიდან გამომდინარე, რომ ვაჭრობს

[10] დამუშავებული ველი სთორის ოფიციალური ვებ გვერდის მიხედვით: https://veli.store/ (19.07.2024)
[11] წყარო: ინტერვიუ ველი სთორის საოპერაციო დირექტორთან

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

მხოლოდ იმ პროდუქციით, რომელიც არის მის საწყობში, შემცირებულია. ის კიდევ უფრო მეტად შემცირებულია დაბალი ბრუნვის მქონე პროდუქციაზე. ზუსტად იგივე მიზეზით არ არის მაქსიმალურად მაღალი ველისთვის პროდუქციის მრავალფეროვნება, რადგან ზოგიერთი მისი კონკურენტი მომხარებელს სთავაზობს ისეთ პროდუქციასაც, რომელიც მათ საწყობებში არ არის განთავსებული. პროდუქტზე ხელმისაწვდომობა მაღალია, თუმცა ველში არსებული გამოწვევების გამო ის არ არის მაქსიმალურად მაღალი, რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ. მომხმარებლის დამოკიდებულება ნამდვილად დადებითი ტენდენციით ხასიათდება, ველი აგროვებს და ზრდის კმაყოფილი მომხმარებლების რაოდენობას. პროდუქციის ბაზარზე გასვლის დრო ველის შემთხვევაში არ განსხვავდება ტრადიციული გაყიდვებისგან. შეკვეთის ხილვადობა თბილისში, სადაც ველი თვითონ აწვდის მომხმარებელს პროდუქციას-მაღალია. ხოლო რეგიონებში, სადაც ველი იყენებს პარტნიორების მომსახურეობას-დაბალი. გაყიდული პროდუქციის უკან დაბრუნება ზოგადად ონლაინ გაყიდვების სუსტი მხარეა. ველის შემთხვევაში ის შედარებით სუსტია რეგიონებში, სადაც ხდება პარტნიორი სადისტრიბუციო კომპანიების მომსახურება. პირიქით, ონლაინ გაყიდვების უპირატესობას წარმოადგენს პირდაპირი გაყიდვების შესაძლებლობა, მომხმარებლისათვის ინდივიდუალური შეთავაზებების გაკეთება, თუმცა ეს შესაძლებლია მხოლოდ მაღალტექნოლოგიური აღჭურვილობისა და სპეციალიზირებული პროგრამების საშუალებით, რაც მაღალ დანახარჯებთან არის დაკავშირებული. აქციები და ფასების ცვლილება ასევე წარმოადგენს ონლაინ გაყიდვების უპირატესობას. იქიდან გამომდინარე, რომ ველთან ანგარიშსწორება მხოლოდ უნაღდო სახითაა, ის სახსრებს სწრაფად აორგანიზებს. თუმცა აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ მომხმარებელთა გარკვეულ რაოდენობას ეს გარემოება აბრკოლებს. სწრაფად ბრუნვადი პროდუქტების შემთხვევაში ოპერაციები სხარტად სრულდება, ნელა ბრუნვადი პროდუქტების შემთხვევაში კი პირიქით. ველი ბაზარზე ერთი საწყობით ოპერირებს და ამით გააჩნია უპირატესობა ტრადიციული ტიპის გაყიდვებთან შედარებით. საწყობიდან მომხმარებლამდე პროდუქციის მიტანა არის ალბათ ყველაზე დიდი გამოწვევა ონლაინ გაყიდვებში მყოფი კომპანიებისათვის, გამონაკლისი არც ველია. ეს არის ყველაზე მაღალი ხარჯის მქონე ოპერაცია მთლიან მიწოდების ჯაჭვში და მასში მცირე ცვლილებაც უდიდეს გავლენას ახდენს კომპანიის შედეგიანობაზე. ველის შემთხვევაში ეს გამოწვევა უფრო მძაფრია რეგიონებში პროდუქციის მიწოდების დროს, სადაც კომპანიას ჩართული ჰყავს პარტნიორები. ინფორმაციის მიწოდების მხრივ დღეს ვერ ვიტყვით, რომ ველი სთორის აქვს რაიმე უპირატესობა კონკურენტ ქსელურ მაღაზიებთან შედარებით, რადგან ისინიც აქტიურად იყენებენ ონლაინ სივრცესა თუ სხვა არხებს არსებული და პოტენციური მომხმარებლების ინფორმირებისათვის.

ძირითადი გამოწვევები, რომელთა წინაშეც დღეს დგას ველი სთორი:

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

<u>მარაგების კონტროლი, კერძოდ:</u>

1) მოთხოვნის დაგეგმვა: ბაზრის მოთხოვნების ანალიზი, საჭირო რაოდენობისა და საჭირო პროდუქციის დამარაგება 80 -20 პრინციპის გათვალისწინებით.

2) საწყობის სივრცის ოპტიმიზირება: მარაგების ეფექტური დალაგება, სივრცის ოპტიმიზირება, შეკვეთების აგროვების დროის შემცირება.

3) ავტომატური შევსება და დამარაგება: მონაცემების ანალიზი სწორი შეკვეთების გასაკეთებლად, მინიმალური მარაგებისა და მარაგების რაოდენობის საკონტროლებლად.

<u>საწყობის ძირითადი ოპერაციები, სასაწყობე ტიპები და მოწყობის პრინციპები, კერძოდ:</u>

1) საწყობის ოპერაციების ციკლი, საცალო საწყობების დაგეგმვა და მართვა.

2) საწყობის ოპერაციების ციკლი:

- პროდუქციის მიღება > პარტნიორისგან ინფორმირება მისაღებ ტვირთზე; ზედნადებების დაკორექტირება მომწოდებელთან; ტვირთის ფიზიკურად მიღება; ხარისხზე, ვადაზე, ვიზუალზე, რაოდენობაზე კონტროლი;
- პროდუქციის დალაგება > პროდუქციის კონტენტის არსებობის დადგენა; პროდუქციის კონტენტის სისწორის შემოწმება - SkuVault-ში და საიტზე შემოწმება; პროდუქციისთვის ადგილის გამონახვა; პროდუქციის ფიზიკურად დალაგება და პროგრამაში გატარება;
- აუდიტი და კონტროლი > პროდუქციის ვადებზე და რაოდენობაზე კონტროლი; დაბალვადიანი და ვადაგასული პროდუქციის გადაადგილება და/ან მოხსნა; არეული რაოდენობების მიზეზების დადგენა და ნაშთის გასწორება;
- შეკვეთის აგროვება > შეკვეთების შემოწმება და ამობეჭდვა; შეკვეთის მიხედვით ყველა პროდუქტის აღება და Quality Control-ზე მიტანა; შეკვეთილი პროდუქტების მეორედ შემოწმება კოდით, ხარისხზე, სისუფთავეზე; პროდუქციის ზომა/წონის მიხედვით შეფუთვა და გასაგზავნ თაროზე დადება;
- პროდუქციის მობრუნება/გაცვლა > მომხმარებლისგან მობრუნებული პროდუქციის სერვისცენტრში, მომწოდებელთან, აუთლეთში, თაროზე დაბრუნება.

<u>სასაწყობე Soft და Hardware, კერძოდ:</u>

1) WMS - საწყობის მენეჯმენტის სისტემის დახვეწა.

2) სასაწყობე სტელაჟების მენეჯმენტი.

3) სკანერები, პორტატული კომპიუტერები, თერმული პრინტერები, მათი ერთმანეთთან სინქრონიზაცია.

4) სასაწყობე ელექტრომანქანებით მუშაობის სრულყოფა. თანამშრომელთა სამუშაოს გაიოლება, რადგან აგროვების ნაწილში დასაქმებულ თანამშრომლებს ყოველდღი-

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ურად უწევთ 10÷15 კილომეტრის გავლა პროდუქციის ასაგროვებლად, ხოლო მაღალი დატვირთულობის დროს დღეში 20 კილომეტრისაც.

<u>მონაცემთა ანალიზი და ოპტიმიზაცია, კერძოდ:</u>

1) მონაცემთა ანალიზით დაგეგმვა: მონაცემთა ანალიზით მომხმარებელთა საჭიროებების და ქცევის განსაზღვრა.

2) პროცესის ავტომატიზაცია: პროცესს ბევრი საფეხური აქვს, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კომპონენტების ავტომატიზაცია.

3) მონიტორინგი და ეფექტურობის შემოწმება: შიდა პროცესების, თანამშრომლების, ოფციების ეფექტურობის მონიტორინგი.

4) ინოვაცია: თანამედროვე ტექნილოგიების გაცნობა და დანერგვა. ახალი საწყობის სისტემების დანერგვა.

მოცემული საკითხებიდან დღესდღეისობით ველი სთორიში შედარებით მნიშვნელოვან გამოწვევებს წარმადგენენ შემდეგი საკითხები:

<u>შეფერხებები მიწოდების ჯაჭვში:</u>

მომწოდებლების სტაბილურობა, პროდუქციის არსებული მარაგები. მომწოდებელთა მარაგებთან ინტეგრაცია/არჩევანი.

<u>შეკვეთების დასრულება და ადგილზე მიტანა:</u>

მიტოვებული კალათა, გაზრდილი მიტანის ხარჯები, მიტანის დრო, შეცვლილი მისამართები, რუკების პრობლემა.

<u>შეთავაზების პერსონალიზაცია:</u>

მომხმარებლისთვის იმ პროდუქტის ჩვენება, რომელიც დააინტერესებს. ხელოვნური ინტელექტის და მონაცემების ანალიზის გამოყენება. საძიებო სისტემის გამართვა.[12]

დასკვნა

ზოგადად ონლაინ გაყიდვები მზარდი ტენდენციით ხასიათდებიან, მათ შორის საქართველოში, თუმცა ბოლო დროს ზრდის მაჩვენებელი არ არის ისეთი მაღალი, როგორც ეს წლების წინ იყო. ბიზნესკომპანიები ცდილობენ შეძლებისდაგვარად აითვისონ ეს სივრცე. მნიშვნელოვნად შეიცვალა მომხმარებლის ქცევა, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობაში ონლაინ ვაჭრობა ყოველდღიურობის განუყოფელ საქმიანობად იქცა.

ყოველივე ამის მიუხედავად, ონლაინ გაყიდვებს გააჩნიათ თავისი უპირატესობები და თავისი ნაკლოვანებები, რომელთა განხილვაც მოხდა წინამდებარე ნაშრომში იმ ერთიანი სისტემის ფარგლებში, რომელიც თავის თავში აერთიანებს ონლაინ გაყიდ-

[12] დამუშავებულია ველი სთორის საოპერაციო დირექტორთან განხორციელებულ ინტერვიუზე დაყრდნობით. თბ., 2024.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ვების გავლენას მომხმარებელთა კმაყოფილებაზე და ონლაინ გაყიდვების გავლენას კომპანიის დანახარჯებზე. მოცემულმა განხილვამ ცხადყო, რომ ონლალინ გაყიდვები მომხმარებელთა კმაყოფილებას ყველა სისტემურ ასპექტში არ აუმჯობესებს, ასევე ონლაინ გაყიდვები ყოველთვის არ ამცირებს კომპანიის დანახარჯებს და შესაბამისად მის მომგებიანობას არ ზრდის.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში კონკრეტული ონლაინ კომპანია ველი სთორის მაგალითის განხილვამ ცხადყო ის ძირითადი გამოწვევები, რომლებიც ზოგადად არის დამახასიათებელი ჩვენს ქვეყანაში მოქმედი ონლაინ კომპანიებისათვის. სფეროს შესწავლამ წარმოაჩინა, რომ არაელექტრონული პროდუქციისათვის შერეული სახის მოდელი, რომელიც აერთიანებს საცალო მაღაზიებსა და ონლაინ არხებს არის ალბათ ყველაზე კარგი გზა წარმატებისაკენ. ქვეყნის მასშტაბი და ეკონომიკური მაჩვენებლები ართულებს ცალსახად ონლაინ კომპანიების სტაბილურ განვითარებას. შედარებისათვის ამაზონის ერთ საწყობში თავმოყრილია რამდენიმე მილიონი, რიგ შემთხვევებში კი ათობით მილიონი პროდუქტი, ხოლო ამ ეტაპზე ყველაზე დიდ ქართულ ონლაინ კომპანიის საწყობში დაახლოებით 70.000 პროდუქტია.

ამ ყოველივეს გათვალისწინებით ქართული ონლაინ მაღაზიების შემდგომი განვითარება მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული ახალ ტექნოლოგიებზე, რომლებიც მორგებული იქნება მათ ძირითად მახასიათბლებზე (ზომაზე, ადგილმდებარეობაზე). ასევე დიდი მნიშვნელობა ექნება ახლო მომავალში შეძლებენ თუ არა ქართული ონლაინ მაღაზიები მომარაგება-მიწოდების ჯაჭვის ისე აწყობას, რომ შეძლონ მომსახურება გაუწიონ მომხმარებლებს ქვეყნის ფარგლებს გარეთაც (მაგალითად მეზობელ ქვეყნებში) და ასეთი გზით შექმნან მასშტაბის ეფექტი.

ბიბლიოგრაფია

Chopra S. and Meindl P., Supply Chain Management: Strategy, Planning, and Operations 5thEdition, (C&M) 2013.

Sheffi Yossi. Logistics Clusters: delivering value and driving growth, MIT press edition 2012.

ვეშაპიძე შოთა. ლოჯისტიკა. ელექტრონული სახელმძღვანელო, nplg.gov.ge, ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი". 2015.

კვეზერელი შალვა. მომარაგება-მიწოდების ჯაჭვის მართვა, სალექციო კურსი, ეთა. რიდერი 2021.

ინტერვიუ ველი სთორის საოპერაციო დირექტორთან. თბ., 2024. https://veli.store/ (19.07.2024).

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

რეზერვისტთა დანაყოფების როლი ტოტალური თავდაცვაში

ვიცე-პოლკოვნიკი გოჩა ბათაძე[1]
DOI: https://doi.org/10.61446/pa.2.2024.8352

აბსტრაქტი

როგორც ცნობილია, დღესდღეობით საქართველოს გააჩნია ორი სახის რეზერვი: აქტიური და სამობილიზაციო. აქტიური რეზერვი საკუთრივ მოიცავს სპეციალისტთა რეზერვს და ტერიტორიული პრინციპით შერჩეულ მოხალისეებს(ტერიტორიულ რეზერვს), რომლებიც ირიცხებიან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის ტერიტორიული თავდაცვის დანაყოფებში (იხ. თავდაცვის კოდექსი).[2]

აღნიშნული დანაყოფები (ტერიტორიული თავდაცვის ბატალიონები) განლაგებულია საქართველოს რეგიონების მიხედვით და მათი დაკომპლექტება ხდება რეგიონში მცხოვრები მოსახლეობით, რომელთა დარეგისტრირება, შეკრება და შესაბამისად გადამზადება ხორციელდება კანონით დადგენილი წესისა და დანაყოფებში წინასწარ შედგენილი გეგმა-გრაფიკების მიხედვით.

ტერიტორიული თავდაცვის დანაყოფებში გაწევრიანება ხდება ნებაყოფლობით, 4 წლიანი ხელშეკრულების გაფორმებით. ეს დანაყოფები აერთიანებენ სხვადასხვა ასაკის, პროფესიის, ეროვნებისა და აღმსარებლობის საქართველოს მოქალაქეებს. სასწავლო შეკრებები ხელს უწყობს ტერიტორიულ რეზერვში გაწევრიანებულ ერთი რეგიონის მოქალაქეებს ერთმანეთის უკეთ გაცნობაში, დაახლოებასა და ერთ გუნდად შეკვრაში, რაც ქმედითუნარიანი დანაყოფების ჩამოყალიბების წინაპირობაა. აღნიშნული ქვედანაყოფები, საჭიროების შემთხვევაში, გამოყენებულ იქნებიან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მხარდასაჭერად საგანგებო სიტუაციების, სტიქიური უბედურებისა და ქვეყანაში საომარი ვითარების შექმნის დროს თავდაცვის ძალების შემადგენლობაში ქვეყნის თავდაცვისათვის გატარებულ ყველა ღონისძიებაში.

წინამდებარე სტატია ეხება საქართველოს თავდაცვის სისტემაში მიმდინარე რეფორმების პარალელურად ტერიტორიული თავდაცვის დანაყოფების როლის წარმოჩენას ტოტალური თავდაცვის საერთო ჭრილში და მათ მნიშვნელობას ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების თვალსაზრისით, რომლებიც თავისი არსით წარმოადგენენ ე.წ. ტოტალური თავდაცვის ნაწილს, რომლის დანერგვის შესახებ წლების წინ აქვს გაცხადებული საქართველოს მთავრობას.

საკვანძო სიტყვები: აქტიური რეზერვი, ტერიტორიული რეზერვი, სამოქალაქო თავდაცვა, სამხედრო თავდაცვა, ტოტალური თავდაცვა.

---

[1] ეროვნული გვარდიის მე-10 ტერიტორიული თავდაცვის ბრიგადის 104-ე ტერიტორიული თავდაცვის ბატალიონის მეთაური, საჯარო მმართველობის მაგისტრი

[2] საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი - თავდაცვის კოდექსი, მუხლი 88 (2023 წლის 12 ოქტომბერი).

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

The role of reservist units in total defense

Lieutenant Colonel Gocha Batadze[3]
DOI:https://doi.org/10.61446/pa.2.2024.8352

Abstract

As it is known, today Georgia has two types of reserves, active and mobilization reserve. The active reserve specifically includes the reserve of specialists and the union of volunteer population selected on the territorial principle, that is, the territorial reserve, who are enrolled in the territorial defense units of the National Guard of the Defense Forces of the Ministry of Defense of Georgia. Law of Georgia - according to the Defense Code.[4]

Mentioned units (territorial defense battalions) are located according to the regions of Georgia and they are staffed by the population living in the region, whose registration, assembly and retraining are carried out according to the rules established by law and according to the plans and schedules prepared in advance in the units.

Joining the territorial defense units is voluntary, by signing a 4-year contract. These units unite Georgian citizens of different ages, professions, nationalities and religions. Training meetings help the citizens of one region, who are members of the territorial reserve, to get to know each other better, get closer and unite as a team, which is a prerequisite for the formation of capable units, which units will be used, if necessary, to support local self-government as part of the defense forces of the country during emergency situations, natural disasters and during the state of war in the country. And all measures taken for defense.

The present article deals with the presentation of the role of territorial defense units in the general context of total defense, in parallel with the ongoing reforms in the defense system of Georgia, and their importance in terms of strengthening the country's defense capability, which in their essence represent the so-called part of total defense, the implementation of which was announced by the Government of Georgia years ago.

Keywords: active reserve, territorial reserve, civil defense, military defense, total defense.

[3] Commander of the 104th Territorial Defense Battalion of the 10th Territorial Defense Brigade of the National Guard of the Georgian Defense Forces, Master of Public Administration

[4] Parliament of Georgia, Law of Georgia - Defense Code, Article 88, (December 12, 2023 October

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

შესავალი

ტოტალური თავდაცვა, როგორც ქვეყნის ყველა შესაძლებლობის და რესურსის გაერთიანება ჭარბი ძალების მქონე აგრესორის წინააღმდეგ, არის უნიკალური მოდელი ე.წ. მცირე ზომის სახელმწიფოებისათვის თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად. საქართველოსთვის, როგორც მცირე ზომის ქვეყნისთვის, მისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან და თანამედროვე გამოწვევებიდან გამომდინარე, ტერიტორიული თავდაცვის მოდელი წარმოადგენს უნიკალურ საშუალებას ბრძოლისუნარიანობის განმტკიცების და სუვერინეტეტის შენარჩუნების კუთხით. აღნიშნულ მოდელში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ტერიტორიული თავდაცვის დანაყოფები, როგორც სამხედრო თავდაცვის, ისე სამოქალაქო თავდაცვის თვალსაზრისით.

ძირითადი ნაწილი

„ტოტალური თავდაცვის სისტემა, რომელიც სახელმწიფო თავდაცვის მიზნებისთვის ეროვნული რესურსების ინტეგრირებულ და კოორდინირებულ გამოყენებას გულისხმობს, მცირე სახელმწიფოებს მოწინააღმდეგესთან არსებული ასიმეტრიის შემცირების შესაძლებლობას აძლევს და მიზნად ისახავს (მაქსიმუმ) ხელი ააღებინოს პოტენციურ მოწინააღმდეგეს აგრესიაზე მისთვის მიუღებელი ზიანის შიშით, ან (მინიმუმ) გაურკვევლობის ეფექტი შეიტანოს მის სტრატეგიულ გათვლებში, დაიწყოს თუ არა აგრესია."[5] ტოტალური თავდაცვის დანერგვის კუთხით საქართველოში დღესდღეობით ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა თავდაცვის სამინისტროს მიერ, კერძოდ, თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის ტერიტორიული თავდაცვის დანაყოფების ჩამოყალიბებით, რომლებიც თავიანთი ამოცანებით პირდაპირ პასუხობენ ტოტალური თავდაცვის დანერგვის მოთხოვნებს. სწორედ ტერიტორიული თავდაცვის ბატალიონები წარმოადგენენ საქართველოში იმ დანაყოფებს, რომლებიც ფაქტობრივად ქმნიან წრედს სამხედრო და სამოქალაქო ურთიერთობას შორის; აქტიურ რეზერვში გაწევრიანებული ქვეყნის მოსახლეობა დროის დიდ ნაწილს სამოქალაქო ცხოვრებაში ატარებს და ამავდროულად იღებს პასუხისმგებლობას სამხედრო ვალდებულების სახით, რაც ერთგვარი წინაპირობაა ქვეყანაში სამოქალაქო თავდაცვის განვითარებისა, ეს კი ტოტალური თავდაცვის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ,,საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ხედვა 2030," სადაც წარმოდგენილი ტოტალური თავდაცვის გამოყენების მიზანშეწონილობა კონცეტრირებულია ტოტალური თავდაცვის სამ ძირითად ელემენტზე, სადაც უმნიშვნელოვანესი როლი უჭირავს სამოქალაქო თავდაცვას, სამხედრო თავდაცვასა და საერთაშორისო თანამშრომლობას.[6]

---

[5] გიორგი შაიშმელაშვილი, „ტოტალური თავდცავა: სტრატეგია ძლიერის დასამარცხებლად", პი ემ სი კვლევითი ცენტრი, პოლიტიკის დოკუმენტი 3, თბილისი, 2023. https://www.pmcresearch.org/policypapers_file/173164cb689d5252b.pdf [ბოლოს შესვლის თარიღი: 2024 წლის 7 აგვისტო].

[6] საქართველოს თავდაცვის მინისტრი, „თავდაცვის სამინისტროს ხედვა 2030"-ის დამტკიცების შესახებ,

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ტერიტორიული თავდაცვის პრინციპით რეზერვისტთა დანაყოფების შექმნა, რომელიც საქართველოს ეროვნული გვარდიისთვის უმთავრესი ამოცანაა, დღესდღეობით წარმატებით ხორციელდება, განსაკუთრებით კი ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთ რეგიონებში. აღნიშნული დანაყოფები რეგიონების მიხედვით კომპლექტდება მოხალისეებით, რომლებიც ირიცხებიან აქტიურ რეზერვში და მათი სამოქალაქო საქმიანობის პარალელურად, წინასწარ შედგენილი გეგმა-კალენდრის თანახმად, ცხადდებიან სამხედრო ნაწილში სამხედრო ხასიათის სწავლებებში მონაწილებისთვის. აღნიშნული შეკრების ხანგრძლივობა წელიწადში შეადგენს 45 დღეს. საქართველოს თავდაცის სამინისტროს მიერ ბოლოდროიონდელი გატარებული რეფორმების შედეგად 2023 წლიდან რეზერვისტები სარგებლობენ იგივე სადაზღვევო პირობებით, როგორც დანარჩენი სამხედრო მოსამსახურეები და გაზრდილი ფულადი ანაზღაურებით.

ტერიტორიული თავდაცვის ბატალიონები, რომლებიც განლაგებულნი არიან საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, უწყვეტ რეჟიმში აწარმოებენ, ტერიტორიული რეზერვის პროგრამის ფარგლებში, რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის ინფორმირებას, ცნობიერების ამაღლებას, რეზერვისტთა შერჩევა-მიღებას და გადამზადებას. ტერიტორიული თავდაცვის დანაყოფებში გაწევრიანებული მოსახლეობა, რომლებიც თავისი ნება-სურვილით ირიცხებიან როგორც „რეზერვისტები", გადიან იმ სწავლებებს, რომლებიც პასუხობენ მათ სამხედრო პირებად ჩამოყალიბების მოთხოვნებს. აღნიშნული რეზერვისტები წარმოადგენენ ქვეყნის აქტიური რეზერვის წევრებს და ისინი ფაქტობრივად არიან დანარჩენი მოსახლეობისთვის ნათელი მაგალითი, თუ როგორ შეიძლება ემსახურო ქვეყანას და ემზადო მის დასაცავად ისე, რომ არ ჩამოსცილდე შენს სამოქალაქო საქმიანობას.

სწორედ ეს ბატალიონები, პირდაპირ თუ ირიბად, არიან ნათელი მაგალითი ტოტალური თავდაცვის დანერგვისა, რაც წინაპირობაა მოსახლეობის პატრიოტული სულისკვეთების და პასუხისმგებლობის ამაღლებისა სამშობლოს დაცვის საქმეში. ამ მიმართულებით სწორი, მიზანმიმართული ღონისძიებების გატარება ტაქტიკური დონის ხელმძღვანელობის მხრიდან, რომ აქტიურად ჩართონ მოსახლეობა ეროვნული ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებში, შთააგონონ ქვეყნის დაცვის იდეის ირგვლივ გაერთიანება, ძალიან მნიშვნელოვანია.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გატარებულმა ბოლოდროინდელმა რეფორმებმა ტერიტორიული რეზერვის პროგრამის კუთხით, აქტიურ რეზერვში გაწევრიანებულ პირთა სოციალური პირობების გაუმჯობესების მხრივ, როგორიცაა, ფულადი ანაზღაურების გაზრდა და სადაზღვევო პაკეტის შემოღება,[7] დადებითი გავლენა მოახდინეს აქტიურ რეზერვში გაწევრიანების მსურველთა

№MOD 32100000141, (2021 წლის 12 მარტი): გვ.7.

[7] საქართველოს თავდაცვის მინისტრი, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა და მათ ოჯახის წევრთა, ჯანმრთელობის დაზღვევისათვის გასაჭარებელი ღონისძიებების შესახებ

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ზრდაზე. ყურადსაღებია ასევე ის გარემოება, რომ ტერიტორიული თავდაცვის ბატალიონის სახელის შეცვლამ (2023 წლამდე აღნიშნულ ქვედანაყოფებს ერქვათ ,,კადრირებული ქვეითი ბატალიონები") მოსახლეობაში და განსაკუთრებით რეზერვისტებში აამაღლა ცნობიერება აღნიშნული დანაყოფების დანიშნულების შესახებ. საქართველოს თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის ტერიტორიული თავდაცვის დანაყოფების სახელწოდება პირდაპირ მიანიშნებს მათ მნიშვნელობას საკუთარი რეგიონის დაცვის კუთხით. მართალია ამ რეფორმამ მოსახლეობის ფართო მასებში გამოიწვია დაინტერესება სოციალური პირობების გაუმჯობესების სურვილითაც, რაც შესაძლოა არ პასუხობდეს სრულად პროგრამის მიზანს, თუმცა დანაყოფების სამეთაურო რგოლმა უნდა იმუშაოს მოსახლეობაში იმ მიმართულებით, რასაც სამშობლოს დაცვა ჰქვია.

ტერიტორიული თავდაცვის რამოდენიმე ბატალიონმა, რეგიონებში მათი განლაგებიდან დღემდე, უმოკლეს დროში, სწორი თანმიმდევრული ნაბიჯებით, შეძლო დანაყოფების დაკომპლექტება რეზერვისტების მნიშვნელოვანი რაოდენობით. მაგრამ აღნიშნული ქვედანაყოფები დგანან ისეთი გამოწვევების წინაშე, როგორებიცაა რეგიონში მოსახლეობის ეთნიკური და კონფესიური მდგომარეობა და მეორე - ხელთ არსებული მცირე რესურსები (ადამიანური თუ მატერიალური), თუმცა ბატალიონები დღემდე წარმატებით ართმევენ თავს ამ გამოწვევებს. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ 104-ე ტერიტორიული თავდაცვის ბატალიონი, რომელიც 2 წლის განმავლობაში დაკომპლექტდა და წარმოადგენს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მცხოვრები სხვადასხვა ეთნოსის და აღმსარებლობის მაცხოვრებელთა გაერთიანებას, რაც ნათელი მაგალითია საქართველოში ისტორიულად მოძმე ერებს შორის თანაცხოვრების, სამშობლოს სიყვარულის და დიდი მეგობრობის. სწორედ მსგავსი დანაყოფების წევრები და მათი ოჯახები არ დაუშვებენ გარე ძალების მიერ ინსპირირებული რაიმე სახის დესტაბილიზაციის კერების გაჩენას და ასევე შექმნიან მყარ საყრდენს სამშობლოს დაცვის იდეის ირგვლივ ქვეყნის მოსახლეობის გაერთიანებისთვის.

დასკვნა

ტერიტორიული თავდაცვის ბატალიონის ეფექტურ მუშაობას რეგიონის მოსახლეობაში ხელს შეუწყობს და უფრო წარმატებულს გახდის აღნიშნული დანაყოფების გამოცდილი ადგილობრივი კადრებით დაკომპლექტება, აუცილებელი მატერიალური საშუალებებით უზრუნველყოფა, რაც შესძენს მათ უფრო მეტ მოქნილობას და ავტონომიურობას, რათა დროულად და ეფექტურად იმუშაონ მოსახლეობაში, როგორც სამეთაურო რგოლის, ისე თვით რეზერვისტების ჩართულობის გასაზრდელად.
ამდენად, ტერიტორიული თავდაცვის ბატალიონების სრული მხარდაჭერა (ადამიანური რესურსები და ეფექტური ლოჯისტიკური უზრუნველყოფა) უმნიშვნელოვანესი

ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ, №MOD 22300000067, (2023 წლის 30 იანვარი).

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

წინაპირობაა თავდაცვის სტრუქტურაში მოქნილი დანაყოფების ჩამოყალიბებისათვის, რომლებიც უდიდეს როლს შეასრულებენ ქვეყნის მიერ არჩეული ტოტალური თავდაცვის დანერგვაში.

ბიბლიოგრაფია

საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი - თავდაცვის კოდექსი, (2023 წლის 12 ოქტობერი).

საქართველოს თავდაცვის მინისტრი, „თავდაცვის სამინისტროს ხედვა 2030"-ის დამტკიცების შესახებ, №MOD 32100000141, (2021 წლის 12 მარტი).

საქართველოს თავდაცვის მინისტრი, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა და მათ ოჯახის წევრთა, ჯანმრთელობის დაზღვევისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ," №MOD 22300000067, (2023 წლის 30 იანვარი).

შაიშმელაშვილი გიორგი, „ტოტალური თავდცავა: სტრატეგია ძლიერის დასამარცხებლად," პი ემ სი კვლევითი ცენტრი, პოლიტიკის დოკუმენტი 3, (თბილისი, 2023), https://www.pmcresearch.org/policypapers_file/173164cb689d5252b.pdf [ბოლოს შესვლის თარიღი: 2024 წლის 7 აგვისტო].

“შრომები“№ 2 (2024)
WWW.PAPERS.ETA.EDU.GE/INDEX.PHP/PAPERS

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ინჟინერიის განვითარების საკითხებთან დაკავშირებით

ზურაბ სამხარაძე,[1] გივი სანაძე[2]
DOI: https://doi.org/10.61446/pa.2.2024.8353

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია ინჟინერიის განვითრების ძირითადი ეტაპები და მისი როლი ცივილიზაციის განვითრებაში. ინჟინერიამ გაიარა საკმაოდ რთული ეტაპები და ცივილიზაციის განვითრების ერთ-ერთი ძირითად ძალად იქცა. ინჟინერია გაჩნდა მაშინ, როდესაც ადამიანებს შეექმნათ მათ გარშემო არსებული ბუნების გარდაქმნის აუცილებლობა და შექმნეს ისეთი მარტივი მექანიზმები, როგორებიცაა შკივი, ბერკეტი, ბორბალი და სხვა. თუმცა, თავად ტერმინს „ინჟინერია“ უფრო უახლესი წარმოშობა აქვს. ინჟინერი შუა საუკუნეებში ერქვა ადამიანს, რომელიც აპროექტებდა, ქმნიდა და მართავდა საალყო იარაღს; მაგალითად, კატაპულტებს, ტრებუშეტებს და სხვა. შუმერის და აქადის ზიქურატები, პირამიდები და ალექსანდრიის შუქურა ძველ ეგვიპტეში, ინდის ველის ქალაქები, აკვედუკები მინოსის კრეტაში, პართენონი და როდოსის კოლოსი ძველ საბერძნეთში, რომაული აკვედუკები, აპიუსის გზა, რომის კოლიზეუმი, კოლუმბამდელი ცივილიზაციების ქალაქები და პირამიდები, ჩინეთის დიდი კედელი და მრავალი სხვა ნაგებობა მოწმობს უძველესი ინჟინრების გამომგონებლობასა და ოსტატობას. მარტივი მექანიზმების გამოყენებით შეიქმნა უზარმაზარი ნაგებობები, როგორიცაა, მაგალითად, ხეოფსის პირამიდა. პირველ არქიტექტორად და ინჟინრად მიჩნეულია ძველი ეგვიპტის მესამე დინასტიის დამაარსებლის ფარაონ ჯოსერის პირველი მინისტრი, რომელიც ჩვენთვის იმჰოტეპის სახელით არის ცნობილი. ადრეული მანქანები, რომლებსაც წყალი ამოძრავებდათ - წყლის ბორბალი და წყლის წისქვილი - პირველად აქემენიდთა იმპერიაში ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV საუკუნის დასაწყისში გამოჩნდა. ძველმა ბერძნებმა შექმნეს მანქანები როგორც მშვიდობიანი, ასევე სამხედრო საჭიროებისთვის. მათი დამსახურებაა ანტიკიტერული მექანიზმის გამოგონება - ერთ-ერთი პირველი მექანიკური კომპიუტერი, რომელიც შეიქმნა ჩვენს წელთაღრიცხვამდე II საუკუნეში. ცნობილი ფილოსოფოსი არქიმედე არა მხოლოდ ნაყოფიერად ეწეოდა თეორიულ კვლევებს, არამედ მან შექმნა რამდენიმე მექანიზმი, მაგალითად ე.წ. არქიმედეს ხრახნი, რომელიც გამოიყენებოდა ტუმბოს დანიშნულებით. ინჟინერიის, როგორც საქმიანობის განსაკუთრებულ სახეობად განხილვის პირველ მცდელობად შეიძლება ჩაითვალოს ვიტრუვიუსის ნაშრომი „ათი წიგნი არქიტექტურაზე“. იგი აკეთებს პირველ მცდელობებს აღწეროს ინჟინრის საქმიანობის პროცესი. ვიტრუვიუსი ყურადღებას ამახვილებს ინჟინრისთვის ისეთ მნიშვნელოვან მეთოდებზე, როგორიცაა მსჯელობა და გამოგონება. შუა საუკუნეებში ადამიანებმა შეძლეს ქარის ძალის გამოყენება. ქარის წისქვილი და ქარის ტუმბო მე-9 საუკუნეში გამოჩნდა აბასიანთა სახალიფოში, რომელიც მაშინ იმყოფებოდა თავის ოქროს ხანაში. მოგვიანებით ქარის წისქვილები ფართოდ გავრცელდა მთელ ევრაზიაში. ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის დასაწყისში ჩინეთში გამოიგონეს დენთი, რომლის გამოყენება მალევე დაიწყო სამხედრო საქმეში. დენთის ფოიერვერკებმა, რომლებიც გამოიყენებოდა საზოგადოების გასართობად დღესასწაულებზე და ფესტივალებზე, წარმოშვა პირველი სამხედრო რაკეტები. ინგლისელმა თომას სევერიმ 1698 წელს გამოიგონა ორთქლით მომუშავე წყლის ტუმბო მაღაროებიდან წყლის ამოტუმბვისთვის. 1712 წელს თომას ნიუკომენის მიერ, ფრანგი მკვლევარის დენის პაპინის დიზაინის საფუძველზე, კიდევ ერთი ტუმბო შეიქმნა. მე-XIX და მე-XX საუკუნეები იყო გრანდიოზული სო-

[1] სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველო,ს ეროვნული თავდაცვის აკადემიის, სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი, სამხედრო მეცნიერებათა კანდიდატი.
[2] სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს, ეროვნული თავდაცვის აკადემიის, მექანიკის ინჟინერიის მიმართულების პროფესორი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ციალური გარდაქმნების დრო, რაც შეუძლებელი იქნებოდა მეცნიერებისა და ინჟინერიის მიღწევების გარეშე. მე-19 საუკუნესთან დაკავშირებულია ელექტროტექნიკის „გამოჩენა“. ამ საუკუნის დასაწყისში ელექტროენერგიის თეორიულმა კვლევამ რომელსაც აწარმოებდნენ ალესანდრო ვოლტა, ანდრე-მარი ამპერი, მაიკლ ფარადეი, გეორგ ომი და სხვა მკვლევარები, განაპირობა ელექტრო ტელეგრაფის, 1872 წელს ელექტროძრავის, 1870-იან წლებში ტელეფონის და 1880-იან წლებში ელექტრული ტრამვაის გამოგონება. ინჟინერიის განვითარების ეტაპების განხილვიდან იკვეთება ამ სფეროს როლი ცივილიზაციის განვითარების საქმეში. ინჟინერიამ გაიარა საკმაოდ რთული ეტაპები. მისი ევოლუცია დაკავშირებული იყო ადამიანისა და ზოგადად ცივილიზაციის მოთხოვნებთან.

საკვანძო სიტყვები: ინჟინერია, ტექნოლოგიები, ისტორია, მარტივი მექანიზმები, ნაგებობები, ცივილიზაცია, გამოგონებები.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

Regarding engineering development issues

Zurab Samkharadze,[3] Givi Sanadze[4]
DOI: https://doi.org/10.61446/pa.2.2024.8353

Abstract

The paper discusses the main stages of engineering development and its role in the development of civilization. Emphasis is placed on the use of simple mechanisms from the ancient period to the creation and subsequent evolution of grandiose structures for that period. Engineering has gone through quite difficult stages and has become one of the main forces in the development of civilization. Engineering arose when people felt the need to transform the nature around them and created simple mechanisms such as pulleys, levers, wheels, etc. However, the term "engineering" itself has a more recent origin. An engineer in the Middle Ages was a person who designed, built, and operated siege weapons such as catapults, trebuchets, and more. Sumerian and Akkadian Ziggurats, Pyramids and Lighthouse of Alexandria in Ancient Egypt, Indus Valley Cities, Aqueducts in Minoan Crete, Parthenon and Colossus of Rhodes in Ancient Greece, Roman Aqueduct, Appius Way, Roman Coliseum and Pantheon, Pre-Columbian Cities and Pyramids, Great Wall of China and many other structures It testifies to the ingenuity and skill of ancient engineers. Huge structures were created using simple mechanisms, such as the Pyramid of Cheops. The first minister of Pharaoh Djoser, the founder of the third dynasty of ancient Egypt, who is known to us as Imhotep, is considered to be the first architect and engineer. Early machines powered by water - the water wheel and the water mill - first appeared in the Achaemenid Empire in the early 4th century BC. The ancient Greeks created machines for both civilian and military purposes. They are credited with creating the Antikythera Mechanism - one of the first mechanical computers created in the 2nd century BC. The famous philosopher Archimedes was not only fruitfully engaged in theoretical research, but he also created several mechanisms, such as the Archimedes screw, which was used as a pump. The first attempt to consider engineering as a special type of activity can be considered the work of Vitruvius "Ten Books on Architecture". It makes the first attempts to describe the engineer's activity process. Vitruvius focuses on methods important to the engineer, such as reasoning and invention. In the Middle Ages, people were able to harness the power of the wind. The windmill and the wind pump appeared in the 9th century in the Abbasid Caliphate, which was then in its golden age. Later, windmills became widespread throughout Eurasia. In the first millennium, gunpowder was invented in China, which soon began to be used in military affairs. Gunpowder fireworks, used for public entertainment at celebrations and festivals, gave rise to the first military rockets. In 1698, Englishman Thomas Severy invented a steam-powered water pump for pumping water out of mines. In 1712, another pump was created by Thomas Newcomen based on the design of the French explorer Denis Papin. The 19th and 20th centuries were a time of great social transformations that would not have been possible without the achievements of science and engineering. The 19th century is associated with the "appearance" of electrical equipment. Early in this century, theoretical research on electricity by Alessandro Volta, Andre-Marie Ampere, Michael Faraday, Georg Ohm, and other researchers led to the invention of the electric telegraph, the electric motor in 1872, the telephone in the 1870s, and the electric tramway in the 1880s. The role of this field in the development of civilization can be seen from the discussion of the stages of engineering development. Engineering has gone through quite difficult stages. Its evolution was related to human needs and became one of the main forces in the development of civilization.

Kywords: Engineering, technologies, history, simple mechanisms, structures, civilization, inventions.

[3] Chief Researcher of the Scientific Center of the David Agmashenebeli National Defense Academy of Georgia, PhD
[4] Professor of mechanical engineering at the David Agmashenebeli National Defense Academy of Georgia, PhD

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

შესავალი

ინჟინერია გაჩნდა მაშინ, როდესაც ადამიანებს შეექმნათ მათ გარშემო არსებული ბუნების გარდაქმნის აუცილებლობა და შექმნეს ისეთი მარტივი მექანიზმები, როგორებიცაა შკივი, ბერკეტი, ბორბალი და სხვა. თუმცა, თავად ტერმინს „ინჟინერია" უფრო უახლესი წარმოშობა აქვს. „ინჟინერი" (ლათ. *ingeniarius*) შუა საუკუნეებში ერქვა ადამიანს, რომელიც აპროექტებდა, ქმნიდა და მართავდა საალყე იარაღს, როგორებიცაა კატაპულტები ტრებუშეტები და სხვა. მოგვიანებით, როდესაც ისეთი სამოქალაქო ნაგებობების, როგორებიცაა ხიდები და საცხოვრებელი შენობები, დაპროექტება და მშენებლობა უფრო რთული გახდა, ეს დარგი ნოვატორული და ინოვაციური მიმართულებით განვითარდა და ცალკე ტექნიკურ დარგად იქცა. ხმარებაში შემოვიდა ტერმინი „საქალაქო ინჟინერია".[5] თანამედროვე ეტაპზე სამოქალაქო ინჟინრები, მათი წინაპრებისაგან განსხვავებით, სპეციალიზირებულნი არიან არასამხედრო შენობებისა და ნაგებობების მშენებლობაში. სამხედრო ინჟინერია კი ცალკე დარგია და სამხედრო ინჟინრები მოღვაწეობენ მხოლოდ შეიარაღებულ ძალებში, სადაც არსებობს საინჟინრო ჯარების გვარეობა და სადაც დაკავებულნი არიან სამხედრო ინფრასტრუქტურის ან საფორტიფიკაციო ნაგებობების მშენებლობით.

ძირითადი ნაწილი

შუმერის და აქადის ზიქურატები, პირამიდები და ალექსანდრიის შუქურა ძველ ეგვიპტეში, ინდის ველის ქალაქები, აკვედუკები მინოსის კრეტაში, როდოსის კოლოსი ძველ საბერძნეთში, რომაული აკვედუკი (სურ. 1), აპიუსის გზა, რომის კოლიზეუმი (სურ.2) და ათენის პართენონი(სურ.3), კოლუმბამდელი ცივილიზაციების ქალაქები და პირამიდები, ჩინეთის დიდი კედელი (სურ.4) და მრავალი სხვა ნაგებობა მოწმობს უძველესი ინჟინრების გამომგონებლობასა და ოსტატობას.

სურ.1. რომაული აკვედუკი

[5] Engineering. Definition, History, Functions, & Facts | Britannica (eng.). www.britannica.com

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

სურ.2. რომის კოლიზეუმი

სურ. 3. ათენის პართენონი

სურ. 4. ჩინეთის დიდი კედელი

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ექვსი კლასიკური მარტივი მექანიზმი იყო ცნობილი ძველ ახლო აღმოსავლეთში. სოლი და დახრილი სიბრტყე ცნობილი იყო პრეისტორიული დროიდან.[6] ბორბალი და ღერძი გამოიგონეს შუმერებმა მეხუთე ათასწლეულში ჩვენ წელთაღრიცხვამდე.[7] ბერკეტი პირველად გამოჩნდა დაახლოებით 5.000 წლის წინ ახლო აღმოსავლეთში, სადაც მას იყენებდნენ სასწორებში და ძველი ეგვიპტელები იყენებდნენ მას დიდი ობიექტების გადასაადგილებლად.[8] ბერკეტი ასევე გამოიყენებოდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით 3.000 წელს მესოპოტამიაში. შადუფი თანამედროვე ამწეების დიდი ხნის წინამორბედია (სურ.5). მესოპოტამიაში ამ კონსტრუქციის ყველაზე ადრეული მტკიცებულებები თარიღდება ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე ათასწლეულის დასაწყისით და ეგვიპტეში XII დინასტიის პერიოდით (1991-1802 წწ. ჩვენ წელთაღრიცხვამდე).[9] ხრახნი უმარტივესი მექანიზმებიდან ბოლო გამოგონებაა,[10] პირველად გამოჩნდა მესოპოტამიაში ასურეთის სამეფოში (911-609 წწ. ჩვენ წელთაღრიცხვამდე).[11] ამ გამოგონებების წყალობით აშენდა ეგვიპტური პირამიდები, მარტივი მექანიზმების გამოყენებით შეიქმნა უზარმაზარი ნაგებობები, როგორიცაა მაგალითად ხეოფსის პირამიდა .[12]

პირველ არქიტექტორად და ინჟინრად მიჩნეულია ძველი ეგვიპტის მესამე დინასტიის დამაარსებლის ფარაონ ჯოსერის[13] პირველი მინისტრი, რომელიც ჩვენთვის ცნობილია სახელით იმჰოტეპი[14]. მან დააპროექტა და ხელმძღვანელობდა ჯოსერის პირამიდის მშენებლობას საკარაში (ეგვიპტე) დაახლოებით ჩვენ წელთაღრიცხვამდე 2630-2611 წლებში.[15] ეს იყო პირველი პირამიდა ძველ ეგვიპტეში. გიზას პირამიდებისგან განსხვავებით, ეს პირამიდა იყო საფეხურებიანი. ასევე შესაძლოა იმჰოტეპმა პირველმა გამოიყენა სვეტები არქიტექტურაში.[16]

---

[6] Moorey, Peter Roger Stuart. Ancient Mesopotamian Materials and Industries: The Archaeological Evidence. Eisenbrauns, 1999. ISBN 9781575060422

[7] D.T. Potts. A Companion to the Archaeology of the Ancient Near East. 2012. P. 285.

[8] Clarke, Somers. Ancient Egyptian Construction and Architecture /Somers Clarke, Reginald Engelbach. Courier Corporation, 1990. P. 86–90. ISBN 9780486264851.

[9] Arnold, Dieter. Building in Egypt: Pharaonic Stone Masonry. Oxford University Press, 1991. P. 71. ISBN 9780195113747.

[10] Woods, Michael. Ancient Machines: From Wedges to Waterwheels / Michael Woods, Mary B. Woods. USA : Twenty-First Century Books, 2000. P. 58.

[11] Moorey, Peter Roger Stuart. Ancient Mesopotamian Materials and Industries: The Archaeological Evidence. Eisenbrauns, 1999. P. 4. ISBN 9781575060422.

[12]Wood, Michael. Ancient Machines: From Grunts to Graffiti. Minneapolis, MN : Runestone Press, 2000. P. 35, 36. ISBN 0-8225-2996-3.

[13] Engineering. Definition, History, Functions, & Facts | Britannica (eng.). www.britannica.com

[14] https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%98%D0%BC%D1%85%D0%BE%D1%82%D0%B5%D0%BF

[15] Kemp, Barry J. Ancient Egypt: Anatomy of a Civilisation. Routledge, May 7, 2007. P. 159. ISBN 9781134563883.

[16] Baker, Rosalie. Ancient Egyptians: People of the Pyramids / Rosalie Baker, Charles Baker. Oxford University Press, 2001. P. 23. ISBN 978-0195122213.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0



სურ.5. შადუფი



სურ. 6 ჩიგირი

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ქუშიტების სამეფოში ჩვენ წელთაღრიცხვამდე IV საუკუნეში მოიგონეს საკია ან ჩიგირი (სურ. 6): წყლის ამწევი მექანიზმი, რომელსაც ამოძრავებს კუნთის ძალა.

დადგა წყლის შენახვის და მიწების მორწყვის საკითხი და ჰაფირში(ძველი ეგვიპტე) აშენდა წყალსაცავები. ამავდროულად გამოჩნდნენ პირველი მესანგრეებიც; თავდაპირველად, საალყე იარაღისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების არარსებობის გამო, ისინი მხოლოდ სამხედრო გზებისა და ბანაკების მშენებლობით იყვნენ დაკავებულნი, როგორებიცაა მაგალითად, კედლების ქვეშ გვირაბების გათხრა, მდინარის კალაპოტების შეცვლა და სხვა სახის საინჟინრო ღონისძიებები. ქუშიტების წინაპრებმა, რომლებიც ცხოვრობდნენ ჩვენ წელთაღრიცხვამდე 3700 და 3250 წწ-ში, შეძლეს შენობების გამოკვეთა კლდეებში. ნაბათელებმა ააშენეს პეტრა (სურ. 7) რამდენიმე ათასი წლის შემდეგ.[17] ქუშიტებმა იცოდნენ ლითონების დნობის სხვადასხვა ტიპის ღუმელების ტექნოლოგია.[18,19,20]

სურ.7. პეტრას კომპლექსი

[17] Bianchi, Robert Steven. Daily Life of the Nubians. Greenwood Publishing Group, 2004. P. 227. ISBN 978-0-313-32501-4.

[18] Humphris, Jane; Charlton, Michael F.; Keen, Jake; Sauder, Lee; Alshishani, Fareed (2018). "Iron Smelting in Sudan: Experimental Archaeology at The Royal City of Meroe". Journal of Field Archaeology. 43 (5): 399. doi:10.1080/00934690.2018.1479085. ISSN 0093-4690

[19] ollins, Robert O. A History of Sub-Saharan Africa / Robert O. Collins, James M. Burns. Cambridge University Press, 8 February 2007. ISBN 9780521867467.

[20] Edwards, David N. The Nubian Past: An Archaeology of the Sudan. Taylor & Francis, 29 July 2004. ISBN 9780203482766.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ადრეული მანქანები, რომლებსაც წყალი ამოძრავებდა - წყლის ბორბალი და წყლის წისქვილი - პირველად აქემენიდთა იმპერიაში ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV საუკუნის დასაწყისში გამოჩნდნენ.

ძველმა ბერძნებმა შექმნეს მანქანები როგორც მშვიდობიანი, ასევე სამხედრო საჭიროებისთვის. მათი დამსახურებაა ანტიკიტერული მექანიზმის შექმნა - ერთ-ერთი პირველი მექანიკური კომპიუტერი,[21] რომელიც შექმნეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე II საუკუნეში. ანტიკიტერას მექანიზმი გამოიყენებოდა ციური სხეულების მოძრაობის გამოსათვლელად და შესაძლებელი გახადა 42 სხვადასხვა ასტრონომიული მოვლენის თარიღის გარკვევა. ეს მიღწევა სავარაუდოდ ეკუთვნის ასტრონომს და მათემატიკოს ჰიპარქე ნიკეელს. ცნობილი ფილოსოფოსი არქიმედე არა მხოლოდ ნაყოფიერად ეწეოდა თეორიულ კვლევებს, არამედ მან შექმნა რამდენიმე მექანიზმი, მაგალითად როგორიცაა არქიმედეს ხრახნი, რომელიც გამოიყენებოდა ტუმბოს დანიშნულებით (სურ. 8).



სურ.8. არქიმედეს ხრახნი

არქიმედეს ოპტიკაზე მუშაობას უკავშირდება ლეგენდა, სირაკუზის ალყის დროს, ჩაზნექილი სარკეების მეშვეობით, მზის სხივებით რომაული ფლოტის დაწვის შესახებ.[22] არქიმედეს გამოგონებები, ისევე როგორც ანტიკიტერული მექანიზმი, მოით-

[21] https://ru.m.wikipedia.org/wiki/%D0%A4%D0%B0%D0%B9%D0%BB:NAMA_Machine_d%27Anticyth%C3%A8re_1.jpg
[22] Wright, M T. (2005). "Epicyclic Gearing and the Antikythera Mechanism, part 2". Antiquarian Horology. 29 (1 (September 2005)): 54-60.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ხოვდა დიფერენციალური და პლანეტარული გადაცემის მოქმედების პრინციპების გაგებას. თანამედროვე მექანიზმები, რომლებიც ფართოდ გამოიყენება მრავალ მანქანაში, აგებულია ამ მნიშვნელოვან მექანიზმებზე. მათ გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ინდუსტრიული რევოლუციის დაწყება და თანამედროვე სამყაროს გაჩენა. მექანიკოსი და მათემატიკოსი ჰერონ ალექსანდრიელი,[23] რომელიც ცხოვრობდა ჩვენი წელთაღრიცხვით I საუკუნის მეორე ნახევარში, იყო უდიდესი ინჟინერი მთელ ისტორიაში, რომლის გამოგონებები, როგორებიცაა ორთქლის ტურბინა, სწრაფი სროლის თვითდამტენი არბალეტი, სხვადასხვა ავტომატები და პირველი ოდომეტრი, სულ მცირე ათასწლეულით უსწრებდა თავის ეპოქას.

ინჟინერიის, როგორც საქმიანობის განსაკუთრებულ სახეობად განხილვის პირველ მცდელობად შეიძლება ჩაითვალოს ძველი რომაელი არქიტექტორის ვიტრუვიუსის ნაშრომი „ათი წიგნი არქიტექტურაზე" (ლათ. *De architectura libri decem*) (სურ.9).[24] იგი აკეთებს პირველ მცდელობებს აღწეროს ინჟინრის საქმიანობის პროცესი.

სურ. 9. ძველი რომაელი არქიტექტორი მარკუს ვიტრუვიუს პოლიო

[23] https://alchetron.com/Hero-of-Alexandria

[24] https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%94%D0%B5%D1%81%D1%8F%D1%82%D1%8C_%D0%BA%D0%BD%D0%B8%D0%B3_%D0%BE%D0%B1_%D0%B0%D1%80%D1%85%D0%B8%D1%82%D0%B5%D0%BA%D1%82%D1%83%D1%80%D0%B5

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0



სურ.10. ბერძნული ბალისტა

ვიტრუვიუსი ყურადღებას ამახვილებს ინჟინრისთვის ისეთ მნიშვნელოვან მეთოდებზე, როგორიცაა ,,მსჯელობა" და ,,გამოგონება" და აღნიშნავს მომავალი კონსტრუქციული მონახაზის შექმნის აუცილებლობას. თუმცა, ვიტრუვიუსი თავის აღწერილობებში, უმეტესწილად, პრაქტიკულ გამოცდილებას ეყრდნობა. ძველ დროში კონსტრუქციების თეორია ჯერ კიდევ განვითარების დასაწყისში იყო. ჩინეთის, რომაული და ბერძნული ჯარები იყენებდნენ სხვადასხვა სახის სამხედრო მანქანებს: სხვადასხვა ტიპის ბალისტებს (სურ.10), კატაპულტებს და ონაგრებს. მოგვიანებით, შუა საუკუნეებში შეიქმნა ტრებუშეტი ციხესიმაგრეებისათვის ალყის შემორტყმის საჭიროებისთვის. ჩვენი წელთა აღრიცხვის 132 წ. ჩინელმა მოაზროვნემ ჯან ხენგმა გამოიგონა პირველი სეისმოსკოპი. ეს იყო მიღწევა, რომელსაც მსოფლიოში ვერავინ გაიმეორებს მომდევნო 1100 წლის განმავლობაში. ჩვენი ეპოქის მიჯნაზე, ხანის იმპერიის ფილოსოფოსმა ჰუანგ ტანმა თავის ტრაქტატში ,,სინლუნშმა,"[25] პირველად ისტორიაში, აღწერა წყლის ბორბლის მეშვეობით მომუშავე მექანიკური ჩაქუჩი. ეს იყო ჰიდრავლიკური მოწყობილობის ერთ-ერთი პირველი აღწერა. ამ ჩაქუჩს იყენებდნენ მარცვლეულის დასამსხვრევად და გასაშლელად.[26]

[25] https://en.wikipedia.org/wiki/Huan_Tan

[26] Lucas, Adam (2006), Wind, Water, Work: Ancient and Medieval Milling Technology, Brill Publishers, p. 65, ISBN 90-04-14649-0.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

შუა საუკუნეებში ადამიანებმა შეძლეს ქარის ძალის გამოყენება. ქარის წისქვილი და ქარის ტუმბო მე-9 საუკუნეში გამოჩნდა აბასიანთა სახალიფოში, რომელიც მაშინ იმყოფებოდა თავისი განვითარების ოქროს ხანაში.[27,28,29,30] მოგვიანებით ქარის წისქვილები ფართოდ გავრცელდა მთელს ევრაზიაში. პირველი სამრეწველო ორთქლის ძრავა იყო დომკრატი (სიმძიმის დაბალ სიმაღლეზე აწევის მექანიზმი), რომელსაც ამოძრავებდა ორთქლის ტურბინა. იგი მუშაობდა ოსმალეთის იმპერიის ეგვიპტურ ვილაიეთში ჯერ კიდევ 1551 წელს. ამას აღნიშნავს იმ ეპოქის მოგზაური ტაკიიუდინ აშ შამი.[31] „კოტონ ჯინი" (ინგლისურად: cotton gin - შემოკლებით cotton engin - ბამბის მანქანა), ბამბის ბოჭკოების თესლის ნარჩენებისაგან გამწმენდი დანადგარი, გამოიგონეს ინდოეთში ჩვენი წელთაღრიცხვის მე-6 საუკუნეში.[32] იქ, აგრეთვე, ცოტა მოგვიანებით გამოიგონეს სართავი ჯარა. ორივე ამ გამოგონებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ტექსტილის მრეწველობის განვითარებაში, რომელმაც ჩაუყარა საფუძველი ინდუსტრიული რევოლუციის დასაწყისს. მე-18 საუკუნეში ხელის სართავი ჯარა შეცვალა მექანიკურმა, რომელიც გამოიგონა ჯეიმს ჰარგრივსმა 1765 წელს.

პროგრამირებადი მოწყობილობების შექმნა ყველაზე ადრეულად ჯერ კიდევ ჰერონ ალექსანდრიელმა დაიწო.[33] მათი განვითარება გაგრძელდა მუსლიმურ ახლო აღმოსავლეთში. თავიდან მანქანებს იყენებდნენ არა წარმოებაში, არამედ გასართობად, მაგალითად, მუსიკის დასაკრავად. ასეთი მუსიკალური მანქანის ყველაზე ადრეული ტიპი იყო სეკვენსერი. პირველი სეკვენსერი იყო ავტომატური ფლეიტის დამკვრელი, რომელიც გამოიგონეს არაბმა ძმებმა ბანუმ და მუსამ[34] და აღწერილია მე-9 საუკუნით დათარიღებულ მათ წიგნში „გონივრული მოწყობილობების წიგნი". 1206 წელს არაბი მეცნიერი ალ-ჯაზარი აწყობს პროგრამირებად მუსიკალურ მოწყობილობებს.[35]

---

[27] Eldridge, Frank. Wind Machines. 2nd. New York : Litton Educational Publishing, Inc., 1980. P. 15. ISBN 0-442-26134-9.
[28] hepherd, William. Electricity Generation Using Wind Power. 1. Singapore : World Scientific Publishing Co. Pte. Ltd., 2011. P. 4. ISBN 978-981-4304-13-9. Taqi al-Din and the First Steam Turbine, 1551 A.D. Архивировано 18 февраля 2008 года., web page, accessed on line 23 October 2009; this web page refers to Ahmad Y Hassan (1976), Taqi al-Din and Arabic Mechanical Engineering, pp. 34-5, Institute for the History of Arabic Science, University of Aleppo.
[29] Ahmad Y. Hassan (1976), Taqi al-Din and Arabic Mechanical Engineering, p. 34-35, Institute for the History of Arabic Science, University of Aleppo
[30] Lakwete, Angela. Inventing the Cotton Gin: Machine and Myth in Antebellum America. The Johns Hopkins University Press, 2003. P. 1–6. ISBN 9780801873942
[31] Smith, C. Wayne. Cotton: Origin, History, Technology, and Production / C. Wayne Smith, J. Tom Cothren. John Wiley & Sons, 1999. Vol. 4. P. viii. «"The first improvement in spinning technology was the spinning wheel, which was invented in India between 500 and 1000 A.D."». — ISBN 978-0471180456
[32] Ahmad Y. Hassan (1976), Taqi al-Din and Arabic Mechanical Engineering, p. 34-35, Institute for the History of Arabic Science, University of Aleppo
[33] https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%93%D0%B5%D1%80%D0%BE%D0%BD
[34] https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%91%D0%B0%D0%BD%D1%83_%D0%9C%D1%83%D1%81%D0%B0
[35] https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%90%D0%BB%D1%8C-%D0%94%D0%B6%D0%B0%D0%B7%D0%B0%D1%80%D0%B8

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

სურ. 11 ადრეული ჩინური რაკეტამეთოდები.

მან დატოვა ოთხი მუსიკალური მოწყობილობის აღწერა, მათ შორის მექანიკური დოლზე დამკვრელი, რომელიც იმართებოდა პროგრამირებადი დოლზე დაკვრის აპარატით და შეიძლებოდა დაყენებულიყო დოლის დაკვრის სხვადასხვა რიტმებისა და მელოდიების დასაძლევად. ჰიდრავლიკური მართვის მექანიკური ასტრონომიული საათი, რომელიც გამოიგონა ალ-ჯაზარიმ, იყო პირველი პროგრამირებადი ანალოგიური კომპიუტერი. 50-ზე მეტი გენიალური მექანიკური მოწყობილობის გარდა, ალ-ჯაზარიმ ასევე გააუმჯობესა გადაცემათა კოლოფი, მექანიკური რეგულატორები, საათისებური გამშვები და წარმოების მეთოდები.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0



სურ. 12. თომას ნიუკომენის ორთქლის ძრავა

ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულის დასაწყისში ჩინეთში გამოიგონეს დენთი, რომლის გამოყენება მალევე დაიწყო სამხედრო საქმეში. დენთის ფოიერვერკებმა (სურ.11), რომლებიც გამოიყენებოდა საზოგადოების გასართობად დღესასწაულებზე და ფესტივალებზე, წარმოშვა პირველი სამხედრო რაკეტები. მე-11 საუკუნის სამხედრო ტრაქტატში „უცინ ცუნიაოში"[36] მოხსენიებულია მრავალი სამხედრო მანქანა, რომელიც ემსახურებოდა სუნის იმპერიის არმიას, ამ მანქანებს შორის არის დენთის იარაღიც. ქვემეხები, რომლებიც გამოიყენებოდა ცეცხლმოკიდებული დენთის ენერგიით ჭურვების სწრაფად სასროლად, შეიქმნა მე-12 საუკუნეში ჩინეთში და რამდენიმე საუკუნის განმავლობაში რადიკალურად შეცვალეს ომის სახე.

ინგლისელმა თომას სევერიმ 1698 წელს გამოიგონა ორთქლით მომუშავე წყლის ტუმბო მაღაროებიდან წყლის ამოტუმბვისთვის. 1712 წელს თომას ნიუკომენის (სურ. 12) მიერ, ფრანგი მკვლევარის დენის პაპინის დიზაინის საფუძველზე, კიდევ ერთი ტუმბო შეიქმნა.

მე-XIX და მე-XX საუკუნეები იყო გრანდიოზული სოციალური გარდაქმნების დრო, რაც შეუძლებელი იქნებოდა მეცნიერებისა და ინჟინერიის მიღწევების გარეშე. მე-19 საუკუნესთან დაკავშირებულია ელექტროტექნიკის „გამოჩენა". ამ საუკუნის დასაწყისში ელექტროენერგიის თეორიულმა კვლევამ, რომელსაც აწარმოებდნენ ალესანდრო ვოლტა, ანდრე-მარი ამპერი, მაიკლ ფარადეი, გეორგ ომი და სხვა მკვლევარები, განაპირობა ელექტროტელეგრაფის, 1872 წელს ელექტროძრავის, 1870-იან წლებში ტელეფონის და 1880-იან წლებში ელექტრული ტრამვაის გამოგონება. ამ ახალი ინდუსტრიის ლიდერები იყვნენ შეერთებული შტატები და გერმანიის იმპერია. მაგალითად, ფრენსის რონალდს შეიძლება ეწოდოს პირველი ელექტროინჟინერი. მან 1816 წელს შექმნა პირველი მოქმედი ელექტრო ტელეგრაფის სისტემა და აღწერა თავისი ხედვა იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება სამყარო გარდაიქმნას ელექტროენერგიის მეშვეობით. მე-XIX საუკუნის ბოლოს ჯეიმს მაქსველისა და ჰაინრიხ ჰერცის ნამუშევრებმა ბიძგი მისცეს ელექტრონიკას. XIX საუკუნის ბოლოს რადიოს შექმნა იყო ინჟინერიის

[36]https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A3%D1%86%D0%B7%D0%B8%D0%BD_%D1%86%D0%B7%D1%83%D0%BD%D1%8A%D1%8F%D0%BE

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ახალი მიმართულების პირველი მიღწევა. ელექტრონული ლამფის და ტრანზისტორის გვიანდელმა გამოგონებებმა იმდენად დააჩქარა ელექტრონიკის განვითარება, რომ ინჟინერ-ელექტროტექნიკოსები და ელექტრონიკის მცოდნე სპეციალისტები ახლა აჭარბებენ სხვა სპეციალობის სპეციალისტებს ნებისმიერ დარგში.

მექანიკის ინჟინერია და ქიმიური ტექნოლოგია შეიქნა სხვა დარგებზე შედარებით ადრე, მაგრამ მისი აქტიურად განვითარება დაიწყო მე-19 საუკუნეში. სამრეწველო წარმოება მოითხოვდა ახალ მასალებს და ახალ ტექნოლოგიურ პროცესებს და 1880-იანი წლებისთვის განვითარებული ეკონომიკა მოითხოვდა ქიმიური ნივთიერებების დიდ რაოდენობას, რამაც ბიძგი მისცა ქიმიური მრეწველობის სახით ახალი ინდუსტრიის გამოჩენას, რომელიც მიმართული იყო ქიმიკატების ფართომასშტაბიან წარმოებაზე. ამ ახალ ვითარებაში ინჟინერ-ქიმიკოსის როლი გამოიხატება ქიმიური საწარმოების შექმნაში.

დასკვნა

ინჟინერიის განვითარების ეტაპების განხილვიდან იკვეთება ამ სფეროს როლი ცივილიზაციის განვითარებაში. ინჟინერიამ გაიარა საკმაოდ რთული ეტაპები. მისი ევოლუცია დაკავშირებული იყო ადამიანის მოთხოვნებთან და შესაბამისად იგი ცივილიზაციის განვითრების ერთ-ერთი ძირითად ძალად იქცა.

ბიბლიოგრაფია

Engineering. Definition, History, Functions, & Facts | Britannica (eng.). www.britannica.com

Moorey, Peter Roger Stuart. Ancient Mesopotamian Materials and Industries: The Archaeological Evidence. Eisenbrauns, 1999. ISBN 9781575060422.

D.T. Potts. A Companion to the Archaeology of the Ancient Near East. 2012. P. 285.

Paipetis, S. A. The Genius of Archimedes -23 Centuries of Influence on Mathematics, Science and Engineering: Proceedings of an International Conference held at Syracuse, Italy, June 8-10, 2010 / S. A. Paipetis, Marco Ceccarelli. Springer Science & Business Media, 2010. P. 416. ISBN 9789048190911.

Clarke, Somers. Ancient Egyptian Construction and Architecture /Somers Clarke,

Reginald Engelbach. Courier Corporation, 1990. P. 86–90. ISBN 9780486264851.

Faiella, Graham. The Technology of Mesopotamia. The Rosen Publishing Group, 2006. P. 27. ISBN 9781404205604.

Moorey, Peter Roger Stuart. Ancient Mesopotamian Materials and Industries: The Archaeological Evidence. Eisenbrauns, 1999. P. 4. ISBN 9781575060422.

Arnold, Dieter. Building in Egypt: Pharaonic Stone Masonry. Oxford University Press, 1991. P. 71. ISBN 9780195113747.

Woods, Michael. Ancient Machines: From Wedges to Waterwheels / Michael Woods, Mary B. Woods. USA : Twenty-First Century Books, 2000. P. 58.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

Wood, Michael. Ancient Machines: From Grunts to Graffiti. Minneapolis, MN : Runestone Press, 2000. P. 35, 36. ISBN 0-8225-2996-3.

Kemp, Barry J. Ancient Egypt: Anatomy of a Civilisation. Routledge, May 7, 2007. P. 159. ISBN 9781134563883.

Baker, Rosalie. Ancient Egyptians: People of the Pyramids / Rosalie Baker, Charles Baker. Oxford University Press, 2001. P. 23. ISBN 978-0195122213.

G. Mokhtar. Ancient civilizations of Africa. Unesco. International Scientific Committee for the Drafting of a General History of Africa, 1981-01-01. P. 309. ISBN 9780435948054.

Bianchi, Robert Steven. Daily Life of the Nubians. Greenwood Publishing Group, 2004. P. 227. ISBN 978-0-313-32501-4.

Humphris, Jane; Charlton, Michael F.; Keen, Jake; Sauder, Lee; Alshishani, Fareed (2018). "Iron Smelting in Sudan: Experimental Archaeology at The Royal City of Meroe". Journal of Field Archaeology. 43 (5): 399. doi:10.1080/00934690.2018.1479085. ISSN 0093-4690

ollins, Robert O. A History of Sub-Saharan Africa / Robert O. Collins, James M. Burns. Cambridge University Press, 8 February 2007. ISBN 9780521867467.

Edwards, David N. The Nubian Past: An Archaeology of the Sudan. Taylor & Francis, 29 July 2004. ISBN 9780203482766.

Selin, Helaine. Encyclopaedia of the History of Science, Technology, and Medicine in Non-Westen Cultures. Springer Science & Business Media, 2013. P. 282. ISBN 9789401714167.

Wright, M T. (2005). "Epicyclic Gearing and the Antikythera Mechanism, part 2". Antiquarian Horology. 29 (1 (September 2005)): 54-60.

Lucas, Adam (2006), Wind, Water, Work: Ancient and Medieval Milling Technology, Brill Publishers, p. 65, ISBN 90-04-14649-0.

Eldridge, Frank. Wind Machines. 2nd. New York : Litton Educational Publishing, Inc., 1980. P. 15. ISBN 0-442-26134-9.

hepherd, William. Electricity Generation Using Wind Power. 1. Singapore : World Scientific Publishing Co. Pte. Ltd., 2011. P. 4. ISBN 978-981-4304-13-9. Taqi al-Din and the First Steam Turbine, 1551 A.D. Архивировано 18 февраля 2008 года., web page, accessed on line 23 October 2009; this web page refers to Ahmad Y Hassan (1976), Taqi al-Din and Arabic Mechanical Engineering, pp. 34-5, Institute for the History of Arabic Science, University of Aleppo.

Ahmad Y. Hassan (1976), Taqi al-Din and Arabic Mechanical Engineering, p. 34-35, Institute for the History of Arabic Science, University of Aleppo

Lakwete, Angela. Inventing the Cotton Gin: Machine and Myth in Antebellum America. The Johns Hopkins University Press, 2003. P. 1–6. ISBN 9780801873942.

Smith, C. Wayne. Cotton: Origin, History, Technology, and Production / C. Wayne Smith, J. Tom Cothren. John Wiley & Sons, 1999. Vol. 4. P. viii. «"The first improvement in spinning technology was the spinning wheel, which was invented in India between 500 and 1000 A.D."». — ISBN 978-0471180456

"შრომები"№ 2 (2024)
WWW.PAPERS.ETA.EDU.GE/INDEX.PHP/PAPERS

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ხელოვნური ინტელექტის თანამედროვე მდგომარეობა

ქეთევან კვესელავა,[1] ზურაბ სამხარაძე,[2] ნინო ვერულავა[3]
DOI: https://doi.org/10.61446/pa.2.2024.8354

აბსტრაქტი

სტატიაში მოცემულია ხელოვნური ინტელექტის (AI) სფეროში მუშაობის მოკლე ისტორია, დახასიათებულია ხელოვნური ინტელექტის მიმართულებები. ნაშრომში ასევე განხილულია AI სისტემების კვლევისა და განვითარების ამჟამინდელი მდგომარეობა და ჩამოთვლილია ძირითადი ტენდენციების ზოგადი მიმოხილვა. ავტორებს ნაშრომში ყურადღება აქვთ გამახვილებელი ხელოვნური ინტელექტის სფეროში კვლევაზე და განვითარებაზე (R&D), რომელიც აჩვენებს ხელოვნური ინტელექტის სისტემების გამოყენების შესაძლებლობებს საჯარო მმართველობის სფეროში. სტატიაში ასევე აღნიშნულია თუ როგორი მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ხელოვნური ინტელექტის (AI) ტექნოლოგიების სწრაფ განვითარებას განათლების სექტორზე და აგრეთვე როგორი უზარმაზარი პოტენციალი აქვთ AI მიღწევებს სოციალური სიკეთისა და მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად. ავტორებს გამახვილებული აქვთ ყურადღება, რომ ამ პოტენციალის პრაქტიკაში რეალიზება მოითხოვს მარეგულირებელ პოლიტიკაში სისტემურ ცვლილებებს, გაძლიერებულ ეთიკურ ზედამხედველობას და ყოვლისმომცველ ჩართულობას პრაქტიკოსებთან და აკადემიურ მკვლევარებთან მთელს მსოფლიოში.

ნაშრომი ასევე განიხილავს ხელოვნური ინტელექტის (AI) როლს თანამედროვე ადამიანის განვითარების კონტექსტში. ავტორები ხაზს უსვამენ როგორც მის მიღწევებს, ასევე მასთან დაკავშირებულ პრობლემებს. სტატია აანალიზებს ხელოვნური ინტელექტის გამოყენების სხვადასხვა ასპექტს ისეთ სფეროებში, როგორიცაა ჯანდაცვა, განათლება, ფინანსები და ტრანსპორტი. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ხელოვნური ინტელექტის გავლენას სამუშაო პროცესების ეფექტურობაზე და ადამიანების ცხოვრების ხარისხზე. გარდა ამისა, განხილულია ხელოვნური ინტელექტის განვითარების სოციალურ ასპექტებთან დაკავშირებული კრიტიკული საკითხები, მათ შორის მონაცემთა კონფიდენციალურობისა და ადამიანური შრომის ჩანაცვლების საკითხები. სტატიაში მოცემულია AI-ს პოტენციალის ყოვლისმომცველი მიმოხილვა, რომელიც ხაზს უსვამს ინფორმირებული მიდგომის აუცილებლობას მისი შემდგომი განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის საქმეში.

საკვანძო სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი, ტექნოლოგიური ინოვაცია, მონაცემთა დამუშავება, AI-ს სოციალური ასპექტები.

[1] სტუ-ს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების, ფაკულტეტის პროფესორი, სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის, მთავარი მეცნიერი, ინფორმატიკის ინჟინერიის აკადემიური დოქტორი.

[2] სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის, საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის, სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი, სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი

[3] სტუ-ს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების, ფაკულტეტის მთვარი სპეციალისტი, ინფორმატიკის ინჟინერიის აკადემიური დოქტორი

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

State of the Art Artificial Intelligence

Ketevan Kveselava,[4] Zurab Samkharadze,[5] Nino Verulava[6]
DOI: https://doi.org/10.61446/pa.2.2024.8354

Abstract

The article provides a brief history of work in the field of artificial intelligence (AI), describes the directions of artificial intelligence, the paper also discusses the current state of research and development of AI systems, and lists a general overview of the main trends. The authors of the paper focus on research and development (R&D) in the field of artificial intelligence, which shows the possibilities of using artificial intelligence systems in the field of public administration. The article also points out, the rapid development of artificial intelligence (AI) technologies has a significant impact on the education sector, and advances in AI solutions have enormous potential to achieve social good and sustainable development goals. The authors emphasize that realizing this potential in practice requires systemic changes in regulatory policy, enhanced ethical oversight, and comprehensive engagement with practitioners and academic researchers worldwide.

The paper also examines the role of artificial intelligence (AI) in the context of modern human development, The authors highlight both its achievements and the problems associated with it. The article analyzes various aspects of the use of artificial intelligence in key areas such as healthcare, education, finance and transportation. Special attention is paid to the impact of artificial intelligence on the efficiency of work processes and the quality of people's lives. In addition, critical issues related to the social aspects of the development of artificial intelligence are discussed, including issues of data privacy and replacement of human labor. The article provides a comprehensive overview of the potential of AI, emphasizing the need for a comprehensive and informed approach to its further development and integration into society.

Keywords: artificial intelligence, technological innovation, data processing, social aspects of AI.

[4] Professor of Technical University of Georgia, Faculty of Informatics and Management Systems,
Chief scientist ofNational Defense Academy of Georgia Named after Davit Agmashenebeli, Academic Doctor of Informatics Engineering
[5] Chief scientist of Scientific Research Center, National Defense Academy of Georgia, Named after Davit Agmashenebeli; Candidate of military sciences
[6] Chief specialist of Technical University of Georgia, Faculty of Informatics and Management Systems

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

შესავალი

რა არის ხელოვნური ინტელექტი და მისი მცირე ისტორია

,,ხელოვნური ინტელექტი" - რა არის ეს? ადამიანი მსოფლიოში ყველაზე რთული არსებაა. ადამიანის სირთულის გაგების მცდელობა ყოველთვის არსებობდა და ის ვლინდებოდა სხვადასხვა ფორმით, დღესდღობით კი უფრო აქტუალურია. კერძოდ, თანამედროვე ტექნოლოგიის განვითარებამ გამოიწვია სხვადასხვა კვლევითი შრომების გაჩენა, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ადამიანის მეტყველების ამოცნობისა და სინთეზირების მცდელობებთან; მხედველობის სისტემების ტექნიკურად შექმნასთან, რომლებსაც შეუძლიათ ადამიანების სახეების ამოცნობა უფრო უკეთესადაც, ვიდრე ადამიანის თვალს; ავტომანქანების დამოუკიდებლად მართვასთან, მძღოლის გარეშე და ა.შ. სისტემებს, რომლებიც ავლენენ ადამიანის მსგავს ქცევას, ხელოვნური ინტელექტის (AI) სისტემებს უწოდებენ. ფაქტობრივად, მათი შესწავლა ცალკე სამეცნიერო სფეროა, რომელიც აერთიანებს მრავალ სამეცნიერო მიმართულებას.

ერთი განმარტებით, ,,ხელოვნური ინტელექტი" არის მეცნიერება და ტექნოლოგია, რომელიც მოიცავს ინსტრუმენტების ერთობლიობას, რაც საშუალებას აძლევს კომპიუტერს, დაგროვილი ცოდნის საფუძველზე, გასცეს პასუხი კითხვებზე და ამ ცოდნის საფუძველზე გააკეთოს ექსპერტიზის დასკვნები, ე.ი. მიიღოს ის ცოდნა, რომელიც მასში არ იყო შეტანილი დეველოპერების მიერ. „ხელოვნური ინტელექტი" კომპიუტერული მეცნიერებების კომპლექსის ნაწილია და მასზე დაყრდნობით შექმნილი ტექნოლოგიები ეკუთვნის საინფორმაციო ტექნოლოგიებს. არსებობს მრავალი სხვა განმარტება, რომლებიც ნაკლებად მდგრადია კრიტიკის მიმართ.

შესაბამისად, ხელოვნური ინტელექტის სისტემები განისაზღვრება როგორც კომპიუტერული სისტემები, რომლებიც იყენებენ ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიებს თავიანთ საქმიანობაში. უფრო მეტიც, უმეტეს შემთხვევაში, პრობლემის გადაჭრის ალგორითმი უცნობია შედეგის მიღებამდე.

ძირთადი ნაწილი

ხელოვნური ინტელექტის სისტემები პირობითად იყოფა ორ კლასად - ძლიერად (უნივერსალურად) და სუსტად (გამოყენებითად). მოდით განვსაზღვროთ ძლიერი ანუ უნივერსალური ხელოვნური ინტელექტი, როგორც შედარება ადამიანის ინტელექტთან; ხელოვნური ინტელექტი, იგივე (AI) საინფორმაციო სისტემები (ტექნოლოგიები), განვითარების დონით არ ჩამოუვარდება ადამიანების უმეტესობას და მრავალი თვალსაზრისით აჭარბებს კიდეც მათ. არსებობს კიდევ სხვა მრავალი მკაცრი განმარტება, მაგრამ ეს განმარტება საკმარისია გასაგებად.

ყველა სხვა სისტემას, მათ შორის ხელოვნური ინტელექტის სისტემებს, რომლებიც ჩვენს გარშემო არიან, უწოდებენ სუსტ ხელოვნური ინტელექტის სისტემებს, რადგან მათ შეუძლიათ მხოლოდ ერთი საქმის კეთება, მაგალითად, როგორიცაა ინტერ-

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ნეტში ინფორმაციის ძებნა, დიაგნოზის დასმა კონკრეტული დაავადების დროს და ა.შ. ხელოვნური ინტელექტის სისტემების დახმარებით ცხოვრება უფრო კომფორტულია და შრომაც უფრო პროდუქტიული. ასეთი სისტემები კიდევ უფრო და უფრო გაუმჯობესდება უახლოეს მომავალში. აღსანიშნავია, რომ სუსტ ხელოვნური ინტელექტის მქონე პროექტებზე მუშაობის პროცესი უზარმაზარი მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებას მოითხოვს. მანქანები შეასწავლიან ისეთ ინტელექტუალურ საკითხებს, როგორებიცაა ინფორმაციის მოძიება, მეტყველების ამოცნობა, ბუნებრივი ენის დამუშავება, სახის ამოცნობა, დასკვნა და ა.შ. ცალკ-ცალკე, ეს მხოლოდ მძლავრი ინსტრუმენტებია, მაგრამ ისინი ყოველწლიურად სწრაფად ვითარდებიან და აახლოებენ ძლიერი ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების შექმნის დროს.

სუსტ ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებით უნდა მოვიხსენიოთ ე.წ. ხელოვნური ინტელექტის ეფექტი. საქმე იმაშია, რომ როგორც კი ხელოვნური ინტელექტის დახმარებით რეალურად მიიღწევა მანამდე წარმოუდგენელი შედეგი, მაშინ კრიტიკოსები აღარ მიიჩნევენ ასეთ ამოცანას ხელოვნური ინტელექტის ამოცანად, ე.ი. აუფასურებენ მის ღირებულებას. ეს ეფექტი ჩამოყალიბებულია **ლარი ტესლერის** (***Lawrence Gordon Tesler)*** ფორმულაში: „ხელოვნური ინტელექტი არის ყველაფერი, რაც აქამდე არ გაკეთებულა."[7]

ხელოვნური ინტელექტის სისტემების უზრუნველსაყოფად, მეცნიერებს მოუწიათ შეხებოდნენ ისეთ საკითხს, როგორიცაა ცოდნის წარმოდგენა - ამან შესაძლებელი გახადა ე.წ. ექსპერტული სისტემების შექმნა **(ES. expert system**); ანუ სისტემები, რომლებიც, ცოდნის ბაზებზე დაყრდნობით, ეხმარებიან ადამიანებს გადაწყვეტილების მიღებაში; ძალიან მნიშვნელოვანი გახდა აგრეთვე მანქანების თვითსწავლის მეთოდები (გამოჩნდა სწავლების ინტელექტუალური სისტემები) და ადამიანის ნერვული სისტემის ფუნქციონირების გამეორების მცდელობა. ამ უკანასკნელმა გამოიწვია ხელოვნური ნეინორული **(ANN-artificial neural network)** სისტემების შექმნა**.** ამრიგად, ხელოვნური ინტელექტის ყველა კვლევის საფუძველს წარმოადგენს კომპიუტერის გამოყენებით ადამიანის აზროვნების პროცესების სიმულაციის იდეა. თვით ხელოვნური ინტელექტი, როგორც მეცნიერება, ეკუთვნის კოგნიტურ მეცნიერებებს, ე.ი. ცოდნის შეძენასთან (შეგროვებასთან, დაგროვებასთან, აღქმასთან) დაკავშირებულ მეცნიერებებს.

ვარაუდობენ, რომ ხელოვნურ ინტელექტს, რომელიც შეედრება ადამიანის ინტელექტს, ექნება გამოყენების შეუზღუდავი ფარგლები და რადიკალურად შეცვლის ჩვენს არსებობას.

[7] Computer scientist Tesler innovated the ability to "cut and paste" text on a screen, https://digitaledition.chicagotribune.com/infinity/article_share.aspx?guid=d1ed2d6c-a82c-4a73-8cf5-d9c9b774da76

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

2016 წლის იანვარში **დავოსში** მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის **(World Economic Forum in Davos)** დამფუძნებელმა კლაუს შვაბმა **(*Klaus Martin Schwab)*** ხელოვნურ ინტელექტს მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალა უწოდა. „ეს მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია ჩვენსკენ ცუნამის მსგავსად მოდის და მისი მთავარი მამოძრავებელი ძალა არის მიღწევები ხელოვნურ ინტელექტში, რობოტიკაში, ნანოტექნოლოგიაში, ინტერნეტში და მეცნიერების სხვა და სხვა სფეროებში."[8]

დღესდღეობით ხდება ხარისხობრივი გადასვლა გამოთვლითი ეპოქიდან კოგნიტურ ეპოქაზე (ფუტუროლოგების თვალსაზრისით, მეორე მანქანების ხანა), როდესაც ახალი ტიპის კომპიუტერები სწრაფად სწავლობენ სტრუქტურირებულ, არასტრუქტურირებულ და ბუნდოვან სტრუქტურირებულ მონაცემებთან მუშაობას, ასევე იწყებენ ადამიანის შრომის შეცვლას დიდი რაოდენობით შემეცნებითი ამოცანების გადაჭრისას.

დასკვნა

ოდესღაც ითვლებოდა, რომ ხელოვნური ინტელექტის სფეროში ერთ-ერთი მთავარი ფილოსოფიური პრობლემა იყო ადამიანის აზროვნების მოდელირების შესაძლებლობა ან შეუძლებლობა, ე.ი. საკითხავი ისაა, რომ შეიძენს თუ არა ხელოვნური ინტელექტი ცნობიერებას. კითხვა არის მთლად ჰიპოთეტური და აშკარად დიდი მნიშვნელობა აქვს პლანეტა დედამიწის მკვიდრთა უმეტესობის მომავლის პროგნოზირებისთვის. ხელოვნური ინტელექტის განვითარების ნახევარსაუკუნოვანი ისტორია სულ უფრო მეტად გვარწმუნებს, რომ არ არსებობს ფუნდამენტური დაბრკოლებები ასეთი შედეგის მისაღწევად. სავარაუდოდ, ხელოვნური ინტელექტი შეიძლება იყოს ნერვული ქსელების გარეშე. უბრალოდ, ნერვული ქსელები, გარკვეულწილად, უკვე ბუნების მიერ ათვისებული გამოსავალია.

ბიბლიოგრაფია

Баррат, Дж.*Последнее изобретение человечества: Искусственный интеллект и конец эры Homo sapiens*, 2015. – 304 с.

Белов, С., Катькало, В. „Дефицит искусственного интеллекта", 21 марта 2017, https://www.vedomosti.ru/economics/articles/2024/09/19/1063128-kak-minek-predlozhil-peresmotret-parametri-federalnogo-investvicheta – (გადამოწმებულია 19.09.24 წ.)

Брокман, Д., *Что мы думаем о машинах, которые думают: Ведущие мировые ученые об искусственном интеллекте*, 2017. – 552 с.

[8] С. Белов, В. Катькало, „ Дефицит искусственного интеллекта", 21 марта 2017, https://www.vedomosti.ru/economics/articles/2024/09/19/1063128-kak-minek-predlozhil-peresmotret-parametri-federalnogo-investvicheta – (გადამოწმებულია 19.09.24 წ.)

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

Zwass, V., "Neural network". Encyclopedia Britannica, ელექტრონული რესურსი 09.01.2020, https://www.britannica.com/technology/neural-network. გადამოწმებულია 19.09 2024.

Eric Robert. „A Brief History of AI: How to Prevent Another Winter (A Critical Review),“ ***This manuscript has been accepted for publication in PET Clinics, Volume 16, Issue 4, P449-469, Oct. 01, 2021*** DOI:https://doi.org/10.1016/j.cpet.2021.07.001

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

რუსეთ - უკრაინის ომის მიზეზები

ზურაბ მჭედლიშვილი[1]
DOI: https://doi.org/10.61446/pa.2.2024.8362

აბსტრაქტი

მოცემულ ნაშრომში გაანალიზებულია უკრაინის ომის გამომწვევი მიზეზები; ის ფაქტორები, რომლებმაც განაპირობეს სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებების დაწყება უკრაინის ტერიტორიაზე. დეტალურად არის გაანალიზებული ის პოლიტიკური კონტექსტი, რომელიც გახდა მიზეზი ამ მეტად დაძაბული კონფლიქტისა მოძმე ერებს შორის. რუსეთის პოზიცია ცალსახაა-იგი აღარ მოითმენს უკრაინაში ნეონაცისტური მოძრაობების არსებობას და ამ ქვეყნის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებას; რუსეთი აგრეთვე კატეგორიულად ითხოვს უკრაინის მიერ ნეიტრალიტეტის გამოცხადებას.

აღნიშნულ საომარ დაპირისპირებამდე მხარეები ეტაპობრივად მიდიოდნენ. კიევური ,,მაიდანის“ შემდეგ რუსეთმა განახორციელა პირდაპირი აგრესია ყირიმის ნახევარკუნძულზე, რომელიც შემდგომ რუსეთის კუთვნილ ტერიტორიად გამოაცხადა. ასევე შეიყვანა სამხედრო ფორმირებები დონეცკისა და ლუგანსკის ოლქებში იმ მოტივით, რომ კიევის მხრიდან მიმდინარეობდა აღნიშნულ ტერიტორიებზე მცხოვრები ეთნიკურად რუსი მოსახლეობის დაბომბვა და შევიწროება.

უკრაინის ხელისუფლებაში ვ.ზელენსკის და მისი პარტიის (,,ხალხის მსახური“) მოსვლის შემდეგ ვითარება უკიდურესად დაიძაბა. ახალმა ხელისუფლებამ აშკარად გამოაცხადა, რომ მისი მიზანი იყო უკრაინის რაც შეიძლება სწრაფად გაწევრიანება ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში და რუსეთის მიერ დაკავებული ტერიტორიების ნებისმიერი მეთოდებით დაბრუნება ანუ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა დასავლური სტრუქტურების დახმარებით. შედეგად, რუსეთმა განახორციელა პირდაპირი ინტერვენცია და დაიწყო ომი.

ამ ეტაპზე უკრაინას მხარს უჭერს ე.წ. გლობალური დასავლეთი, ხოლო რუსეთის მხარეზევხედავთ ე.წ. ბრიქსის ქვეყნებს. ომმა უდიდესი დანაკარგები მოუტანა უკრაინას, განადგურდა ქვეყნის ეკონომიკა, მილიონობით ადამიანი ლტოლვილი გახდა, დაიღუპა ასიათასობით სამხედრო და მშვიდობიანი მოქალაქე, მაგრამ ომს ბოლო არ უჩანს.

საკვანძო სიტყვები: უკრაინა, რუსეთის ფედერაცია, ევროკავშირი, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი, უკრაინის პრეზიდენტი, რუსეთის პრეზიდენტი.

[1]სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს, ეროვნული თავდაცვის აკადემიის, სამხედრო საგამოფენო სივრცის უფროსი, ისტორიის დოქტორი

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

The causes of the war between Russia and Ukraine

Zurab Mchedlishvili[2]
DOI: https://doi.org/10.61446/pa.2.2024.8362

Abstract

In this work, the causes of the war in Ukraine are analyzed; The factors that led to the start of full-scale hostilities on the territory of Ukraine. The political context that became the cause of this very tense conflict between the brotherly nations is analyzed in detail. Russia's position is unequivocal - it will no longer tolerate the existence of neo-Nazi movements in Ukraine and the country's accession to the North Atlantic Alliance; Russia also categorically demands Ukraine's declaration of neutrality.

Before the aforementioned military confrontation, the parties were gradually advancing. After the "Maidan" in Kiev, Russia carried out direct aggression on the Crimean peninsula, which it later declared as a territory belonging to Russia. Military formations were also brought into the Donetsk and Luhansk districts on the grounds that the ethnic Russian population living in the said territories was being bombarded and harassed by Kiev.

After V. Zelensky and his party ("Servant of the People") came to power in Ukraine, the situation became extremely tense. The new government clearly announced that its goal was to join Ukraine in the North Atlantic Alliance as soon as possible and to return the territories occupied by Russia by any means, that is, to restore the country's territorial integrity with the help of Western structures. As a result, Russia directly intervened and started a war.

At this stage, Ukraine is supported by the so-called Global West, and on the Russian side we look at the so-called BRICS countries. The war brought huge losses to Ukraine, the country's economy was destroyed, millions of people became refugees, hundreds of thousands of soldiers and civilians were killed, but the end of the war is not in sight.

Keywords: Ukraine, Russian Federation, European Union, North Atlantic Alliance, President of Ukraine, President of Russia.

[2]LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia, Head of Military Exhibition Space, Doctor of History

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

შესავალი

პოსტსაბჭოთა ლიბერალური წესწყობილების პროცესში, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არაერთი სამხედრო კონფლიქტის მომსწრენი გავმხდარვართ, რომელთა შორისაც ერთ - ერთი მნიშნელოვანი ადგილი რუსეთ-უკრაინის საომარ მოქმედებებს უჭირავს, რაც არამხოლოდ ორ სახელმწიფოს შორის, არამედ მსოფლიოს სხვა დიდი სახელმწიფოების ინტერესთა ჭიდილის ფონზე მიდმიანრეობს. ფაქტია, რომ საომარ მოქმედებებში ირიბად ჩართულები არიან მთელი რიგი ქვეყნები, რომელთა აბსოლუ-ტური უმრავლესობა კონკრეტულ მხარეს წარმოადგენს. მათგან კი გამოსაყოფია ერ-თის მხრივ „პროუკრაინულად"განწყობილი სახელმწიფოები,[3] მათ შორის აშშ ჩრდი-ლოატლანტიკური ალიანსის წევრებთან ერთად, რომლებიც სამხედრო, მატერიალუ-რი, ფინანსური, სადაზვერვო-საინფორმაციო და ჰუმანიტარული ოპერაციების დაფი-ნანსებით არიან წარმოდგენილნი, ხოლო მეორეს მხრივ - პრორუსულად განწყობილი სახელმწიფოები,[4] მათ შორის: ირანი და ჩრდილოეთ კორეა, რომლებიც აშკარა სამხედ-რო (მატერიალური) მხარდაჭერით შემოიფარგლებიან. ხოლო რაც შეეხება ჩინეთსა და ინდოეთს, ისინი შედარებით ფრთხილ პოლიტიკას ატარებენ ამ მიმართულებით. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რუსეთ-უკრაინის საომარი მოქმედებები მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს არამხოლოდ რეგიონის, არამედ თანამედროვე მსოფლიოს ბევრ სახელმწიფოზე, მათ უსაფრთხოებასა და განვითარებაზე, რადგანაც მოცემული საო-მარი მოქმედებები აშკარად გასცდა „სპეციალური სამხედრო ოპერაციის" მიზნებს და მასში გაერთიანებულია ყველა ის კომპონენტი,[5] რაც შესაძლოა ფართომასშტაბიან საომარ მოქმედებებს ახასიათებდეს. ესენია: ადამიანური მსხვერპლი, ინფრასტრუქ-ტურული ნგრევა, ეკონომიკური კოლაფსი, ფსიქოლოგიური არამდგრადობა და საო-მარი მოქმედებების დასაფინანსებლად გამოყოფილი თანხები, რომლებიც, რა თქმა უნდა, სახელწმიფოს არსებობისათვის საჭირო ინსტიტუტების ბიუჯეტებს აკლდება. ზემოთ ხსენებული მოცემულობა კი ზეგავლენას ახდენს ყველა იმ სახელმწიფოზე, რომლებიც მეომარ მხარეებთან პირდაპირ ან ირიბ ურთიერთიბებში იმყოფებიან. მა-გალითისთვის: 2022 წლიდან მოყოლებული დღემდე ევროკავშირის წევრ სა-ხელმწიფოებში ცხოვრების დონე საშუალოდ 7.4 % იდან 21 %-მდე გაძვირდა.[6]

---

[3] https://www.aljazeera.com/news/2023/2/16/mapping-where-every-country-stands-on-the-russia-ukraine-war

[4] https://commonslibrary.parliament.uk/research-briefings/cbp-10048/

[5]https://www.google.com/search?sca_esv=fe6507be86e52302&q=special+millitary+operation+in+ukraine+v.+putin&tbm=vid&source=lnms&fbs=AEQNm0D1KhSBtjORE61V5COUFERKWW5YzaGNpmWHGLjUP3O6oGXuBwN6VcrMYYWmNk2UR7T-YxSfbmmPjDLYIJGJ9kUY4mD5cXSBDlUZX_bc05x5vmX0EDfE52bydAbzWKLV274Uygs89zwyq9dPyeTVIAaoZpEZkJYf3KqaFQENLjMZcYDgzxw74URPBknSJiYkzgnkjlrFffHKPJPhCsrMtXmQQai9_bL4oQ8bVoYuOvStv35c8dVq-NVn6VePG5cgV6f4rolF&sa=X&ved=2ahUKEwikrq2S6fuIAxX_R_EDHcmhDIIQ0pQJegQIEBAB&biw=1280&bih=533&dpr=1.5#fpstate=ive&vld=cid:1c6a479b,vid:7WUyEPkGnAc,st:0

[6] https://www.aa.com.tr/en/economy/2-years-of-war-russia-ukraine-conflict-exacts-stinging-economic-costs/3146218

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ძირითადი ნაწილი

გამომდინარე იქედან, რომ 2022 წელს უკრაინაში დაწყებულ საომარი მოქმედებებს დღესაც არ უჩანს დასასრული, საკითხი მეტად აქტუალურია. განსაკუთრებით კი საქართველოს სახელმწიფოსათვის, რადგანაც უკრაინული მხარე მუდმივად აპელირებს საქართველოს საკითხით და მეტნაკლებად ცდილობს კონფლიქტში მისი როლის გათავისებას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო უკრაინისათვის ჰუმანიტარული დახმარების მიწოდების მხრივ ერთ-ერთ მოწინავე ადგილს იკავებს, ფაქტია, რომ სახელმწიფოებს შორის ამ ეტაპზე არანაირი დიპლომატიური ურთიერთობები არ არსებობს, უკრაინული მხარის მიერ საქართველოში დიპლომატიური კორპუსის მისიის შეჩერებიდან გამომდინარე. ასევე აღსანიშნავია რუსეთის ფედერაციის აღმასრულებელი ხელისუფლების წევრების განცხადებები უკრაინის ,,დემილიტარიზაცია - დენაციფიკაციის" შესახებ,[7] სადაც საქართველოსა და მოლდოვას საკითხიც არაერთხელ იქნა გაჟღერებული. არსებული მოცემულობა კი კიდევ უფრო ამძაფრებს საკითხის აქტუალურობას, რადგან საქართველოს ხელისუფლებამ კატეგორიულად განაცხადა უარი რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩართვაზე.

რუსეთის ფედერაციამ უკრაინაში აშკარა საომარი მოქმედებები და პოლიტიკური ექსპანსიონისტური ნაბიჯების გადადგმა ჯერ კიდევ 2014 წელს დაიწყო, როდესაც დასავლეთის მიერ „მაიდნის მოვლენების"[8] ხელოვნური ინსცენირების პროპორციულად ეტაპობრივად მოახდინა ყირიმის ნახევარკუნძულის ოკუპაცია-ანექსია[9] და სამხედრო კონფლიქტი გაშალა აღმოსავლეთ უკრაინის ზოგიერთ ოლქში, რომლის გაგრძელებასაც 2022 წლის თებერვალში[10] დაწყებული სამხედრო ექსპანსია წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით მონათესავე სლავურ ერებს - რუსებსა და უკრაინელებს შორის, პოსტსაბჭოთა პერიოდის პირველ ეტაპზე, ურთიერთობების გამწვავების მიზეზები არ არსებობდა, იგივეს ვერ ვიტყვით ე.წ. „ნარინჯისფერი"[11] რევოლუციის შედეგად ჩამოყალიბებულ ახალ რეალობაზე, სადაც უკრაინის მიერ დასავლური ორგანიზაციების მიმართულებით აღებულმა კურსმა საოკმაოდ გაართულა ამ ორი სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულება. მივყვეთ საკითხს ქრონოლოგიურად:

---

[7]https://www.google.com/search?q=demilitarize+ukraine+v.+putin+&sca_esv=fe6507be86e52302&biw=1280&bih=533&tbm=vid&ei=HJgDZ_SUIKPjxc8Pm_eN4QU&ved=0ahUKEwj0kqW-6fuIAxWjcfEDHZt7I1wQ4dUDCA0&uact=5&oq=demilitarize+ukraine+v.+putin+&gs_lp=Eg1nd3Mtd2l6LXZpZGVvIh5kZW1pbGl0YXJpemUgdWtyYWluZSB2LiBwdXRpbiAyBRAhGKABSJlhUABYh19wAngAkAEAmAHzAaABiyyqAQYwLjI2Lja4AQPIAQD4AQGYAhigAuAgwgIIEAAYgAQYsQPCAgsQABiABBixAxiDAcICDhAAGIAEGLEDGIMBGIoFwgIFEAAYgATCAgcQABiABBgKwgIJEAAYgAQYExgKwgIIEAAYExgKGB7CAgcQABiABBgTwgIKEAAYgAQYExjHA8ICBhAAGBMYHsICBhAAGBYYHsICBBAhGBWYAwCSBwYxLjE4LjWgB8VN&sclient=gws-wiz-video#fpstate=ive&vld=cid:1bfb586a,vid:mf6cWinJz9k,st:0

[8] https://huri.harvard.edu/event/wilson-husi-2023

[9] https://www.britannica.com/place/Crimea/History

[10] https://www.state.gov/ukraine-and-russia/

[11] https://www.britannica.com/place/Ukraine/The-Orange-Revolution-and-the-Yushchenko-presidency

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

2004 – 2005 წელს დასავლეთის სცენარითა და ხელშეწყობით უკრაინაში ხორციელდება ე.წ. „ნარინჯისფერი" რევოლუცია, რის შედეგადაც აღმასრულებელ ხელისუფლებაში მოდის ვიქტორ იუშენკო და ხმათა მცირე რაოდენობით ამარცხებს პრორუსულად განწყობილ ვიქტორ იანუკოვიჩს. ამავე წელს უკრაინის პრეზიდენტი ოფიციალურად აცხადებს სურვილს, რომ უკრაინა გახდეს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სრულფასოვანი წევრი.[12] აღნიშნულთან დაკავშირებით რუსეთის ხელისუფლება ოფიციალურად აფრთხილებს დასავლეთს, რომ უკრაინის ამ ნაბიჯს უპასუხოდ არ დატოვებს.

2005 – 2006 წლებში უკრაინის საგარეო კურსის ცვლილების შედეგად იძაბება რუსულ-უკრაინული ეკონომიკური ურთიერთობები, რაც 2006 წლის დეკემბერში ენერგოკრიზისით სრულდება.[13] კერძოდ, რუსულმა მხარემ გაზის მიწოდება შეუზღუდა უკრაინულ მხარეს ამავე წლის პირველ კვარტალში.

შედარებით გვიან პერიოდში - 2008 წლის აპრილში, როდესაც ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის ბუქარესტის სამიტზე[14] განხორციელდა რეზოლუციის მიღება, რომლის მიხედვითაც უკრაინა აუცილებლად გახდებოდა ამავე ორგანიზაციის წევრი - ურთიერთობა გაზპრომსა და უკრაინას შორის უკიდურესად დაიძაბა უკრაინის დავალიანების რაოდენობაზე შეუთანხმებლობის გამო. 2009 წლის იანვარში ეს უთანხმოება დასრულდა გაზპრომის მიერ უკრაინისთვის გაზის მიწოდების შეწყვეტით (მის ტერიტორიაზე ტრანზიტის ჩათვლით), რამაც ასევე შეუწყვიტა[15] გაზის მიწოდება ბოსნია-ჰერცოგოვნიას, ბულგარეთს, ხორვატიას, საბერძნეთს, უნგრეთს, მაკედონიას, რუმინეთს, სლოვენიას, სერბეთს, თურქეთს და შეამცირა მიწოდება ევროპის დანარჩენი ქვეყნებისათვის.

2010 წელს უკრაინის პრეზიდენტი ხდება ვიქტორ იანუკოვიჩი, რომელმაც პრეზიდენტობის პირველივე წელს საჯაროდ დააფიქსირა საკუთარი უარყოფითი აზრი ქვეყნის „ნატო"-ში გაწევრიანებაზე. გარდა ამისა, ამავე წელს უკრაინის პრეზიდენტმა რუსული სამხედრო ფლოტის ყირიმში განთავსების გაგრძელებას მოაწერა ხელი. [16]

2012 წლის დასაწყისში უკრაინაში შეინიშნებოდა მოქალაქეების მხრიდან გაზრდილი უარყოფითი დამოკიდებულება აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართ,[17] რაც პროდასავლური ოპოზიციური პარტიების მიერ ორგანიზებულ ფართო-

[12] https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_37750.htm
[13] https://www.oxfordenergy.org/publications/the-russian-ukrainian-gas-crisis-of-january-2006/
[14] https://www.nato.int/cps/en/natolive/official_texts_8443.htm
[15] https://www.oxfordenergy.org/wpcms/wp-content/uploads/2010/11/NG27-TheRussoUkrainianGasDisputeofJanuary2009AComprehensiveAssessment-JonathanSternSimonPiraniKatjaYafimava-2009.pdf
[16] https://www.theguardian.com/world/2010/apr/21/ukraine-black-sea-fleet-russia
[17] https://2009-2017.state.gov/documents/organization/204561.pdf

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

მასშტაბიან სამოქალაქო პროტესტში გადაიზარდა, თუმცა ხელისუფლებამ შეძლო ვითარების დასტაბილურება.

2013 წლის მეორე ნახევარში უკრაინის პრეზიდენტმა სიტყვიერად, ხოლო ამავე წლის ნოემბერში ოფიციალურად განაცხადა უარი ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერაზე, რამაც მოსახლეობის დიდი უკმაყოფილება და საყოველთაო დაუმორჩილებლობა გამოიწვია.[18]

2013 წლის ბოლოს კიევში ე.წ. ,,მაიდანზე" დაწყებული, დასავლეთის მიერ აშკარად მხარდაჭერილი სამოქალაქო პროტესტი 2014 წლის 20 თებერვლამდე გაგრძელდა,[19] რომელიც ძალოვან სტრუქტურებსა და მომიტინგეებს შორის სისხლიან დაპირისპირებაში გადაიზარდა.[20]

ამავე წლის 22 თებერვალს უკრაინის პრეზიდენტმა ქვეყანა დატოვა.[21]

კიევში მიმდინარე აქციების პარალელურად, ყირიმის ნახევარკუნძულზე დაიწყო ე.წ. „მწვანე კაცების" მოქმედებები, რომელსაც წინ უძღოდა ადგილობრივი რუსი მოსახლეობის პროტესტი უკრაინაში რევოლუციით მოსული ხელისუფლების მიმართ.[22]

ყირიმში „მწვანე კაცების" მოქმედებების შედეგად, უკრაინულმა სამხედრო ქვედანაყოფებმა უბრძოლველად დატოვეს დისლოკაციის ადგილები.

„მწვანე კაცების" მიერ ყირიმის აღების შემდგომ, ნახევარკუნძულზე ჩატარებული რეფერენდუმის საფუძველზე,[23] იქ გამოჩნდნენ რუსული რეგულარული არმიის ნაწილები, რომლებმაც პირველ ეტაპზე მოახდინეს ტერიტორიის ოკუპაცია შემდგომი ანექსიის მიზნით.

მაიდნის მოვლენები, უკრაინის უახლეს ისტორიაში დასავლეთის სპეცსამსახურების მიერ კარგად განხორციელებული ოპერაცია გახლდათ, რომლის დროსაც დეზორგანიზებული აღმასრულებელი ხელისუფლების, ასევე ქვეყნის შიდა არეულობის საფუძველზე დასავლეთმა მოახდინა მისთვის სასურველი მთავრობის მოყვანა ქვეყნის სათავეში. აღნიშნულმა კი ხელი გაუხსნა რუსეთს, რათა პრაქტიკულად დაეწყო თავისი ექსპანსიონისტური პოლიტიკის გატარება უკრაინის წინააღმდეგ.
რაც შეეხება საკითხს თუ რა ინტერესები ამძრავებს დღეს მოსკოვს უკრაინასთან მიმართებაში, პასუხი საკმაოდ მარტივია:

[18] https://www.osw.waw.pl/en/publikacje/analyses/2013-11-27/ukraine-withdraws-signing-association-agreement-vilnius-motives-and
[19] https://www.huri.harvard.edu/event/wilson-husi-2023
[20] https://lifeinwar.com/en/publications/euromaidan-riots-in-ukraine
[21] https://www.bbc.com/news/world-europe-29761799
[22] https://www.bbc.com/news/world-europe-26532154
[23] https://www.bbc.com/news/world-europe-26606097

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

რუსეთის ფედერაციის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ახალი მსოფლიო წესრიგის შექმნა, სადაც ის ისეთივე დომინანტურ როლს ითამაშებს, როგორც აშშ დანარჩენ დასავლურ ქვეყნებთან ერთად.

დასავლეთისგან განსხვავებით რუსეთში არ არსებობს რბილი ძალის დოქტრინის კულტურა, რომელიც გულისხმობს პოლიტიკური მიზნების მიღწევას ყოველგვარი სამხედრო ჩარევის გარეშე, მათ შორის: კულტურული, ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური ცვლადების გამოყენებით, რასაც არამხოლოდ ადამიანური რესურსები, არამედ დიდძალი ფინანსები და დრო სჭირდება. აღნიშნულთან დაკავშირებით, რუსეთი კონკურენციას ვერ უწევს აშშ-ს, რომელიც, როგორც წესი, მოქმედებს დასავლელ პარტნიორებთან ერთად.

რუსეთის ფედერაციას სურს გავლენის სფეროების შენარჩუნება, განსაკუთრებით კი პოსტსაბჭოთა სივრცეში, რომელსაც ის ერთგვარ ბუფერულ ზონად მიიჩნევს და შესაბამისად ვერასოდეს შეეგუება იქ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის(იგივე აშშ-ს) გამოჩენას.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის პირად ამბიციას წარმოადგენს საშინაო პოლიტიკური დივიდენდების მიღება, რაც წარმატებული ექსპანსიონისტური პოლიტიკის გარეშე წარმოუდგენლად მიაჩნია. შესაბამისად, მისთვის პირადად მნიშვნელოვანია საბჭოთა კავშირის აღდგენა ,,სხვა ფორმებში." მისი სიტყვებია: ,,საბჭოთა კავშირის დაშლა ჩემთვის ტრაგედია იყო, ისევე, როგორც ქვეყნის აბსოლუტური უმრავლესობისთვის. რადგან, რა არის საბჭოთა კავშირის დაშლა? ეს არის დაშლა ისტორიული რუსეთის, რომელსაც საბჭოთა კავშირი ერქვა."[24] აღნიშნულით ნათლად დასტურდება თუ რა მიზნებს ისახავს მისი რევიზიონისტული საგარეო მოქმედებები.

რაც შეეხება უკრაინული სახელმწიფოს პოზიციას რუსეთის მიერ ომამდელ პერიოდში შეთავაზებულ ,,სახელმწიფო მოწყობის" ახალ მიდგომებზე,[25] რომელიც ნეიტრალიტეტს, დემილიტარიზაცია - დენაციფიკაციას ისახავდა მიზნად. აღნიშნულ შემოთავაზებას უკრაინის პოლიტიკურ ელიტაში სერიოზული განხილვა არ მოჰყოლია, რადგანაც უკრაინულ სახელმწიფოს გააჩნდა ისტორიული გამოცდილება ბუდაპეშტის ხელშეკრულების სახით,[26] რომლის მიხედვითაც ბირთვული შეიარაღების დათმობის საფუძელზე მისი მთლიანობისა და სუვერენიტეტის გარანტს აშშ-სთან, დიდ ბრიტანეთთან და საფრანგეთთან ერთად რუსეთის ფედერაციაც წარმოადგენდა. რუსეთ-უკრაინის საომარი მოქმედებები ამ ეტაპზე აქტიურ ფაზაშია, რომლის შედეგადაც ორივე მხარეს დაუზუსტებელი ინფორმაციით 500.000-ზე მეტი დაღუპული ჰყავს. ამ ეტაპზე რუსეთი აკონტროლებს უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილში ისეთ დიდ დასახ-

[24] https://tass.ru/politika/13179271
[25] https://www.cfr.org/expert-brief/what-does-putin-really-want-ukraine
[26] https://uk.mfa.gov.ua/en/press-centr/3732-adress

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ლებებს როგორებიცაა: ლუგანსკი, დონეცკი, მარიუპოლი, მელიტოპოლი და უგლედარი (იხ. სურ.1).

სურ.1

დასკვნა

რუსეთ-უკრაინის საომარი მოქმედებების არეალი, უახლესი მსოფლიო ისტორიის მანძილზე, თავისი მოცულობით წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე დიდ სამხედრო მოქმედებათა თეატრს, როგორც მისი ტერიტორიული მასშტაბებით (ფრონტი 1200 კმ-დე), ასევე მასში მონაწილე სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების ოდენობითაც. სამხედრო მოქმედებების სავარაუდო შედეგების წინასწარ განსაზღვრა საკმაოდ რთულ საკითხს წარმოადგენს, თუმცა შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ კონფლიქტის მშვიდობიანი გზებით გადაჭრა, არსებული რეალობების გათვალისწინებით, ამ ეტაპზე შეუძლებლად მიგვაჩნია. თუმცა, ვნახოთ რას გვიჩვენებს მომავალი.

ბიბლიოგრაფია

https://2009-2017.state.gov/documents/organization/204561.pdf
https://www.osw.waw.pl/en/publikacje/analyses/2013-11-27/ukraine-withdraws-signing-association-agreement-vilnius-motives-and
https://www.huri.harvard.edu/event/wilson-husi-2023
https://lifeinwar.com/en/publications/euromaidan-riots-in-ukraine
https://www.bbc.com/news/world-europe-29761799
https://www.bbc.com/news/world-europe-26532154
https://www.bbc.com/news/world-europe-26606097
https://tass.ru/politika/13179271

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

https://www.cfr.org/expert-brief/what-does-putin-really-want-ukraine
https://uk.mfa.gov.ua/en/press-centr/3732-adress

"შრომები"№ 2 (2024)
WWW.PAPERS.ETA.EDU.GE/INDEX.PHP/PAPERS

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

მოტივაციის როლი სწავლა-სწავლების ხარისხის ასამაღლებლად

სოფიკო ცხელიშვილი[1]
DOI: https://doi.org/10.61446/pa.2.2024.8363

აბსტრაქტი

სწავლა რთული, მაგრამ საინტერესო პროცესია, მოსწავლეები სკოლაში მოტივაციის სხვადასხვა მაჩვენებლით მიდის, მნიშვნელოვანი ამ პროცესში მათი მზაობა და მონდომებაა, ასევე გასათვალისწინებელია ამა თუ იმ საგნის აგებულება შინაარსობრივი თვალსაზრისით და დასახული ამოცანები, თუმცა უდავოა, რომ მასწავლებლის ქცევა, მისი უნარები და გადმოცემისა და ახსნის მეთოდები მოსწავლეებთან ფორმლური თუ არაფორმალური ურთიერთობები, შედეგზე მორგებული სასწავლო გარემო მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს.სწორედ აღნიშნულ თემას ეხება ეს სტატია. ასახავს ჩემ მიერ განხორციელებულ დაკვირვებებსა და აქტივობებს პედაგოგიური მოღვაწეობის ბოლო წლებში, რომელიც განვახორციელე კადეტთა სამხედრო ლიცუმში. ნაშრომში განხილულია აღნიშნული სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე სწავლის მოტივაციასთან დაკავშირებული პრობლემები და ამ პრობლემების მოსაგვარებლად დაგეგმილი და განხორციელებული ცვლილებები. მოტივაცია მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მოსწავლის მიღწევებს. განათლების ფსიქოლოგები ორ უმთავრეს ფაქტორს გამოყოფენ - გარეგანს და შინაგანს - სწავლის მოტივაციის განხილვისას, შინაგანი მოტივაცია უფრო ორგანულია და ამა თუ იმ საგნის ან საკითხის შესწავლის სურვილითაა ნაკარნახევი, აქ მთავარ ფაქტორად მოსწავლის თანდაყოლილ ინტერესსაც თვლიან, საკუთარი თავის განვითარების მოთხოვნილებაზეა დამოკიდებული, უმრავლეს შემთხვევაში ასეთი მოსწავლე ჯილდოს და რაიმე წამახალისებელი შეფასების მიღების სურვილით არ არის დაინტერესებული. გარე ფაქტორებს კი ხშირად განაპირობებს მოსწავლისთვის მიუღებელი შეფასების ან სასჯელისგან თავის არიდების სურვილი, ექსპერტები თვლიან, რომ მასწავლებლები შინაგან მოტივაციას უფრო ანიჭებდნენ მნიშვნელობას, თუმცა, ხშირად, სამწუხაროდ, სხვაგვარად ხდება-ისინი იწვევენ სწავლის პროცესში ხელოვნურად მოსწავლეებს და საინტერესო აქტივობების მეშვეობით ცდილობენ აამაღლონ მოსწავლეთა მოტივაციაც და სწავლის ხარისხი. წესით, თითოეული მოსწავლეს თავი უნდა ვაგრძნობინოთ სწავლაზე ორიენტირებული საზოგადოების ნაწილად, შევუქმნათ პოზიტიური და კომფორტული გარემო საკუთარი უნარებისა და მისწრაფებების გამოსავლენად. სწავლა-სწავლების პროცესში შედეგზე ორიენტირებულმა მასწავლებელმა უნდა შეძლოს ამ ყოველივეს გათვალისწინება, გაცნობილმა ლიტერატურამ და პირადმა გამცდილებამაც ცხადყო, რომ მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ მოტივაციის ამაღლებისათვის საჭირო ზოგიერთ ფაქტორს, როგორიცაა; დადებით უკუკავშირი, შესრულებადი ამოცანების დასახვა, რეალისტური, მოსწავლის ინტერესებზე დაფუძნებული თემატიკა, არჩევნის უფლების მინიჭება, კუთვნილების შეგრძნების გაღვივება, მხარდაჭერაზე დაფუძნებული ურთიერთობა, ყველა მოსწავლის ინტერესების გათვალისწინება და შესაბამისად სასწავლო სტრატეგიების შემუშავება. ყველაზე მნიშვნელოვანი მოსწავლეთათვის, ვფიქრობ, მაინც არის სასწავლო გარემო, გამოვყოფდი სასწავლო აქტივობებს, მოსწავლეთა წახალისებებსა და შეფასებებს და პასუხისმგებლობის განაწილებას. ამ ყველაფერში მასწავლებელს ეხმარება არაფორმალური განათლების ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები, როგორიცაა გასვლითი გაკვეთილების ეფექტურობა, რამაც მე პირდად დამანახა შედეგიც. მიზნის მიღწევისაკენ გადაგმულ და ჩატარებულ აქტივობებს შეუძლია, გააღვივოს მოსწავლის მოტივაცია მომავალი წარმატებებისათვის, პატარ-პატარა წარმატებები კი არის საშუალება და სტიმული უფრო დიდი წარმატებების მისაღწევად.

საკვანძო სიტყვები: მოტივაცია, შინაგანი და გარეგანი მოტივაცია, სასწავლო გარემო, არაფორმარული განათლება, გასვლითი გაკვეთილები.

---

[1] სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი, ქართული ენისა და ლიტერატურის წამყვანი მასწავლებელი

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

The Role of Motivation in Improving the Quality of Teaching and Learning

Sophiko Tskhelishvili[2]
DOI: https://doi.org/10.61446/pa.2.2024.8363

Abstract

Learning is a challenging but engaging process. Students come to school with varying levels of motivation, and their readiness and determination are crucial in this process.It is also essential to consider the structure of each subject in terms of content and the objectives set. However, there is no doubt that the teacher's behavior, skills, methods of conveying and explaining concepts, both formal and informal interactions with students, and a learning environment tailored to outcomes all play a significant role in enhancing student motivation. This article precisely addresses these topics. The article reflects observations and activities I have carried out over recent years of my teaching career, conducted at the Cadets Military Lyceum. The paper discusses issues related to learning motivation in Georgian language and literature lessons at this school, as well as the changes planned and implemented to address these problems. Motivation significantly influences a student's achievements. Educational psychologists highlight two main factors in discussing learning motivation: external and internal. Internal motivation is more intrinsic and driven by the desire to study a particular subject or topic. It is primarily influenced by a student's inherent interests and their need for personal development. In most cases, such students are not motivated by rewards or incentives. External factors are often driven by a student's desire to avoid negative assessments or punishment. Experts believe that teachers should place more importance on internal motivation. However, unfortunately, this is not always the case—they frequently stimulate students artificially in the learning process and try to increase both motivation and learning quality through engaging activities. Every student should feel like a part of a learning-oriented community, and a positive and comfortable environment should be created for them to express their skills and aspirations. In the teaching and learning process, a results-oriented teacher must be able to take this into account. Both the literature reviewed and personal experience have made it clear that more attention should be given to certain factors essential for increasing motivation, such as: providing positive feedback, setting achievable goals, incorporating realistic, interest-based topics, granting the freedom of choice, fostering a sense of belonging, building supportive relationships, considering each student's interests, and developing corresponding learning strategies.

Keywords: Motivation, Intrinsic and Extrinsic Motivation, Learning Environment, Informal Education, Outdoor Lessons

[2] Georgian Language and Literature Lead Teacher, LEPL General Giorgi Kvinitadze Cadets Military Lyceum

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

შესავალი

სწავლების პროცესის მთავარ და უმნიშვნელოვანეს გამოწვევას მოსწავლეებში სწავლადმი ინტერესი, მოტივაციის ამაღლება, ინტერესის გაძლიერება და მიზნისკენ სწრაფვა წარმოადგენს. სწავლის მაღალი მოტივაცია ხომ ბავშვის სწავლის და წარმატების ძირითადი ფაქტორია. ამ ყოველივეზე მოქმედებს უამრავი ფაქტორი, სწორედ მოტივაციია ის უმთავრესი რამ, რომელიც გვაძლევს შემდეგ იმას, თუ რამდენად აქტიურად და ნაყოფიერად არის ჩართული მოსწავლე სასწავლო პროცეში და ვაკვირდებით თან მის მიერ მიღწეულ შედეგებს.

ჩემი ეს სტატიაც ეხება და ასახავს ჩემ მიერ განხორციელებულ დაკვირვებებსა და აქტივობებს პედაგოგიური მოღვაწეობის ბოლო წლებში,რომელიც განვახორციელე კადეტთა სამხედრო ლიცუმში. ნაშრომში განხილულია აღნიშნული სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე სწავლის მოტივაციასთან მიმართებაში წარმოქმნილი პრობლემები და ამ პრობლემების მოსაგვარებლად დაგეგმილი და პრაქტიკულად განხორციელებული ინტერვენციები. მოტივაცია განსაზღვრავს მოსწავლის მიღწევებს. სწორედ მე-10 კლასის მოსწავლეების ინტერესებისა და აქტიურობის დაბალმა ხარისხმა საგაკვეთილო პროცესში, რაც აისახა მათი ცოდნის დონეზე, გადამაწყვეტინა დავკვირვებოდი, არსებული პრობლემის იდენტიფიცირება გამეკეთებინა და მომეძებნა გზები მათი გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად. წარმატებული გაკვეთილის ხომ მოტივირებული მოსწავლის არსებობითაა განსაზვრული, ამასთანავე საინტერესოდ ჩატარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. მოტივაციის არსებობას მოსწავლეებში ხშირად იკვლევენ, სწავლის შედეგების გაუმჯობესებაში მას დიდი როლი აკისრია. მრავალმა კვლევამ ცხადყო და ახსნა კიდეც ამ ყოველივეს არსებობის გამომწვევი მიზეზები და გააანალიზა ის სხვადასხვა საკითხთან მიმართებაში. ამ ყოველივეს ერთი კონკრეტული მიზეზი არც აქვს, რადგან ის მოზარდის ბუნების მრავალგვარობაშია. ჩვენს სასწავლებელში მოსწავლეები სოციალურად, კულტურულად, გამოცდილებებით, საჭიროებებით, უნარებით განსხვავდებიან, სხვადასხვა რეგიონიდან და სოციუმიდან მოდიან. სხვადახსვა სკოლის მეთოდოლოგია გავლილები და ვფიქრობ, ხშირად ესაა შემდეგ პრობლემა, რომ ვერ ერთვებიან საგაკვეთილო პროცესში თანაბარი ინტერესით. ყველა ვთანხმდებით იმაზე, რომ მხოლოდ მაღალი კონკურენციისა და მოტივაციის პირობებშია შესაძლებელი მოსწავლემ დადოს მაღალი აკადემიური შედეგი. შესაბამისად, პედაგოგები კიდევ ერთხელ ვიაზრებთ და ვფიქრობთ იმაზე, თუ კიდევ რა შეიძლება იყოს ის, რაც მოსწავლეს ინტერესს გაუღვიძებს. დისციპლინათშორისი თეორიებით ცდილობენ ფსიქოლოგები, ახსნან ის ფაქტორები, რომლებიც მოტივაციის ზრდას უწყობს ხელს. კლასებზე დაკვირვების დროს უამრავ ლიტერატურას გავეცანი, შევეცადე სხვა კუთხითაც შემეხედა არსებული პრო-

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ბლემისათვის, შემეფასებინა მოსწავლეთა შესაძლებლობები და უნარები და ამაზე დაყრდნობით მეფიქრა მომავალში განსახორციელებელ აქტივობებზე.

ძირითადი ნაწილი

სპეციალურ ლიტერატურაში განასხვავებენ მოტივაციის ორ ფორმას, რომლის მიხედვითაც შეიძლება აღიძრას მოსწავლეში ინტერესი, განისაზღვროს ქცევა და მივიღოთ შედეგიც, ესაა - შინაგანი და გარეგანი მოტივაცია. ანიტა ვულფოლკი წიგნში ,,განათლების ფსიქოლოგია" გამოყოფს და მსჯელობს ორ უმნიშვნელოვანეს ფაქტორზე.[3]

შინაგანი მოტივაციის დროს ადამიანის ქცევას განპირობებს პიროვნული ფაქტორი, თავისივე ქცევით და ამ ყოველივედან მიღებული შედეგების მიმართ შინაგანი ინტერესით. მაგალითად, შინაგანი მოტივაციის შემთხვევაში მოსწავლე მხატვრულ ლიტერატურას კითხულობს იმიტომ, რომ ეს ქცევა მნიშვნელოვანი, სასიამოვნო და საინტერესო პროცესია, შესაბამისად, შინაგანი კმაყოფილების განცდასთანაა ეს და გრძნობასთან დაკავშირებული.

გარეგანი მოტივაციისას კი ადამიანის ქცევა გარეგან ფაქტორებითანაა დაკავშირებული. კონკრეტული ქცევა ადამიანისთვის და აქტივობა არ არის თავდაპირველად საინტერესო ან სასურველი, თუმცა, იგი ასეთად შეიძლება გადაიქცეს გარეგანი ვითარების ზემოქმედების შედეგად. ეს ფაქტორები შეიძლება იყოს ვინმეს შექება, ჯილდოს მოლოდინი, წახალისება და ა.შ.

არაა გასაკვირი, რომ მოსწავლეები, რომლებსაც აქვთ შინაგანი მოტივაცია უფრო მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან სწავლას, ხასიათდებიან თვითრეგულაციისა და საკუთარი თავისადმი კონტროლის მაღალი უნარით და უფრო დადებითად არიან განწყობილნი განათლებისა და ცოდნის მიღებისათვის. პარალელურად ისინი უფრო თავდაჯერებულებიც არიან.

გარეგანი მოტივაციის მქონე მოსწავლეებისათვის კი დამახასიათებელია სირთულეები და მკაფიოდ გამოხატული შიში რისკის მიმართ. როგორც წესი, ასეთი მოსწავლეების მიზანია, სწავლისას ძალისა და ენერგიის მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური ეფექტის მიღება. დიდი ხნის მანძლზე გამოყენებული გარეგანი მოტივაცია თითქმის შეუძლებელს ხდის მიგვაღწევინოს წარმატებსათვის.

ორივე სახის მოტივაციას თავისი დანიშნულება აქვს კლასში. რასაკვირველია, ყოველთვის რეალისტური არ არის მოლოდინი იმისა, რომ თითოეულ მოსწავლეს შინაგანად ეყვარება მხატვრული ლიტერატურის კითხვა, თუმცა, მასწავლებლის მხრიდან იმის გაცნობიერება, თუ რა გარეგანი ფაქტორები ამოძრავებს მოსწავლეს, შესაძლოა სარგებლიანი აღმოჩნდეს. მაგალითად, თუ მოსწავლეები ორიენტირებულნი არი-

[3] ანიტა ვულფოლკი ,,განათლების ფსიქოლოგია"-ილიას სახელმწოფო უნივერსიტეტის გამომცემლობა;თბილისი 2009წ.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ან რაიმე გრძელვადიან მიზანზე (როგორიცაა: პროფესია, სამსახური, რომელიც, იმედოვნებენ, რომ ოდესმე ექნებათ) ასეთი სახის გარე მამოტივირებელი ფაქტორები შეიძლება ბევრად უფრო ეფექტური იყოს, ვიდრე მოკლევადიანი ჯილდოები და სასჯელები, რადგან ისინი თავად მოსწავლეებისთვისაა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი. მასწავლებლებს კი შეუძლიათ, დაეხმარონ ასეთ მოსწავლეებს მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა კითხვის და მსჯელობის სურვილი ანდა სიყვარული და რეალურად დაანახონ მიზნები და მიზეზები, რომლებიც მნიშვნელოვანია მათი პიროვნული განვითარებისთვის. ეს დაეხმარება მოსწავლეებს, რომ სწავლაზე თავად აიღონ პასუხისმგებლობა, თუნდაც მათი მოტივაცია არ იყოს შინაგანი. გარდა ამისა, როდესაც გარეგანი მოტივაცია იწვევს საკლასო აქტივობებში ჩართულობას, ზოგჯერ, ეს შეიძლება დადებითად აისახოს მოსწავლის შინაგან მოტივაციაზეც, რაც მისი მხრიდან მიზანმიმართული ქცევით გამოვლინდება.

მოსწავლეთა მოტივაციაზე მნიშვნელოვნად მოქმედებს სასწავლო გარემო, უმნიშვნელოვანესია მასწავლებლის როლი, პატივს უნდა სცემდნენ მის ცოდნასა და პროფესიონალიზმს, მათ შორის დიდი ყურადღება ეთმობა მოსწავლის მხრიდან მასწავლებლის პიროვნულ თვისებებსაც. აღნიშნულ თემას ეხება პროფესორი ჭკუასელი სახელმძღვანელოში ,,პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები," ვრცლად აქვს მიმოხილული მოსწავლესა და მასწავლებელს შორის ურთიერთობის საკითხები მოტივაციის ამაღლების თვალსაზრისით.[4] აღნიშნავს, რომ უნდა იყოს მეგობრული და კეთილგანწყობილი დამოკიდებულება, მასწავლებლის მოლოდინები და დამოკიდებულება გავლენას ახდენს მოსწავლეების შედეგებზე,ეს კი დაკავშირებულია მოსალოდნელ შედეგთანაც. პედაგოგი უნდა იზიარებდეს ბავშვის განცდებს, ემოციებსა და აზრებს, იყოს მისი მიღწევებისა თუ შეცდომების გულშემატკივარი და შესთავაზოს ხშირად სხვადასხვა ხარისხის მხარდაჭერა, შედეგი იქნება ის, რომ მოსწავლე თანამშრომლობს ხალისით მასწავლებელთან, რომელსც აფასებს და უყვარს, შესაბამისად დისციპლინის პრობლემები ნაკლებად მოსალოდნელია კლასში, სადაც ურთიერთპატივისცემაზე დაფუძებული საქმიანი ატმოსფეროა ჩამოყალიბებული.
მოძიებულმა მასალებმა და პირადმა დაკვირვებებმა ცხადყო, რომ მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორები და კომპონენტები, კერძოდ: მრავალფეროვანი სასწავლო მეთოდები და აქტივობები, მოსწავლისა და მასწავლებლის ფაქტორები, მოსწავლეთა შეფასება და წახალისება, საგნობრივი სტანდარტი, კონტროლისა და პასუხისმგებლობების განაწილება, სასწავლო აქტივობები მორგებული და გაწერილი უნდა იყოს მოსწავლეთა მოთხოვნისა და შესაძლებლობის მიხედვით, ცოდნის დონის ამაღლებაზე ორიენტირებული აქტივობების ერ-

[4] ჭკუასელი ქ., ჭკუასელი ი. "პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები"- თბილისი; 2010.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

თობლიობა იმუშავებს შინაგან და გარეგან მოტივაციაზეც. კონკრეტული სასწავლო აქტივობა კი მოსწავლეებისთვის მიმართული უნდა იყოს საკუთარი უნარების და შესაძლებლობების. აქტივობა რთული და მისთვის დაუძლეველი არ უნდა იყოს, რადგან დიდია ალბათობა იმისა, რომ მან დაკარგოს საკუთარი შესაძლებლობების რწმენა და სწავლის მიმართ შეცვალოს დამოკიდებულება. მასწავლებელმა დავალების მიცემამდე უნდა განსაზღვროს ბავშვების მისი სირთულე, ,,ზომიერად რთული" დავალება ერთგვარი გამოწვევაა მოსწავლისათვის, მაგრამ მონდომების შემთხვევაში, დაძლევადი. ნ ბარამიძე თავის ნაშრომში ,,შორეული მოტივაცია, ქცევა და სწავლა" აღნიშნავს და ადასტურებს, რომ საინტერესოდ მიმართული დავალება არის წინაპირობა იმისა, რომ მივიღოთ ორიგინალური, შემოქმედებითი და მრავალფეროვნად შესრულებული პროდუქტი,[5] რაც უფრო სიახლეს შევიტანთ მიწოდებულ აქტივობებში, მით უფრო მეტია ალბათობა იმისა, რომ იგი მის შესრულებაში ინტერესით ჩაერთვება. საკმაოდ სასიამოვნოა პედაგოგისთვის რეალურად მოტივირებული მოსწავლეებით სავსე კლასთან მუშაობა. ფსიქოლეგების აზრით, ყველა ადამიანს აქვს კომპეტენციის, ავტონომიისაა და მიკუთვნებულობის ძირითადი მოთხოვნილებები. და აღმოჩნდა, რომ ეს გრძნობები წარმოადგენს შინაგანი მოტივაციის საფუძველს. კომპეტენციების დროს მოტივაცია იზრდება იმიტომ, რომ ისინი თავს კომპეტენტურად გრძობენ, სჯერად კიდეც წარმატების მიღწევის. მასწავლებელმა კი ხელი უნდა შეუწყოს სხვადასხვა გზით მათი კომპეტენციის გრძნობის განვითარებას. კერძოდ: შევუდგინოთ სათანადო სირთულის აქტივობები, იგრძნონ მხარდაჭერა, წინარე ცოდნის გააქტიურებით მოვამზადოთ ახალი და მათთვის უცხო, ცოტა რთული დავალებებისთვის. ამ დროს მნიშვნელოვანია მკაფიო ინსტრუქციების მიცემა თავისი კრიტერიუმებით, რათა მათ იცოდნენ როგორ მიაღწიონ წარმატებას. უნდა ისწავლონ აღმოჩენებით, ვიდრე უბრალოდ ვუთხრათ რა და როგორაა. წამახალისებელი სიტყვებითა და მოქმედებებით გავუჩინოთ საკუთარი თავისადმი რწმენა, მივცეთ შესაფერისი და კონკრეტული უკუკავშირი, იცოდნენ საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეების შესახებ. მუშაობისას არ უნდა ეშინოდეთ შეცდომების, არამედ საკუთარი შეცდომა დაინახონ და აღიქვან, როგორც პოზიტიური ნაბიჯი სწავლასთან მიმართებაში. ბოლოს ყველაზე მთავარია, ნელ-ნელა ვასწავლოთ მათ, როგორ შეაფასონ და გააკონტროლონ საკუთარი სწავლის პროცესი რეფლექსიის საშუალებით.

ავტონომიის უნარების განვითარებისათვის მასწავლებელი უნდა ცდილობდეს განსაზღვრონ და განიხილონ მოსწავლის პირადი მიზნები, დავუსახოთ მომავლის პერსპექტივები, თუ როდის და სად შეიძლება გამაოდგეს ამა თუ იმ აქტივობაში მო-

[5] ბარამიძე ნ. ,,შორეული მოტივაცია, ქცევა და სწავლა"- ბათუმი; 1995.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ნაწილეობა, მივცეთ არჩევანის შესაძლებლობა აქტივობებთან დაკავშირებით, ვეცადოთ დავალებები შესაბამისობაში იყოს მათთვის სასურველთან, ჰობთან ან კერპებთან.

მიკუთვნებულობის გრძნობის განვითარება შესაძლებელია თუ მასწავლებელი აგრძნობინებს თავის მოსწავლეებს, რომ მათ აქვთ თავისი როლი და იგრძნონ თავი პიროვნებებად, ჩვენ შეგვიძლია სწორედ რომ ხელი შევუწყოთ მოსწავლეებში მიკუთვნებულობის გრძნობის ჩამოყალიბება-განმტკიცებას, ამისათვის უნდა დავამყაროთ მჭიდრო ურთიერთობა გულწრფელი და სანდო დამოკიდებულებების მეშვეობით. საკლასო გაერმოში კარგია თუ წავახალისებთ სიკეთის, დაფასების, თანამშრომლობის, ენთუზიაზმისა და იუმორის კულტურას. ასევე თითოეული მოსწავლის წვლილი უნდა ვაღიაროთ საკლასო საზოგადოებაში. ისეთი აქტივობები უნდა დაიგეგმოს, რომლებშიც გაერთიანდებიან საერთო ინტერესის მოსწავლეები, ითანამშრომლებენ, შესაბამისად გამოიმუშვებენ ეფექტური თანამშომლობის უნარ-ჩვევებს. მასწავლებელს ამ დროს არ უნდა დაავიწყდეს კლასში ,,ურჩი“ მოსწავლეების არსებობაც, დაბალი აკადემიური მოსწრებისა და სასწავლო გარემოსათვის შეუსაბამო ქცევის მქონე მოსწავლეთა ძირითად პრობლემას სწავლის დაბალი მოტივაცია წარმოადგენს. ამ დროს მხოლოდ მრავალფეროვანი აქტივობები და მიდგომები ვერ იქნება საკმარისი, ამიტომ საჭიროა მათთვის სასწავლო სტრატეგიების დაგეგმვა, მაგალითად, ამა თუ იმ აქტივობის გეგმის შემუშავებით, შავი ნამუშევრის გადათეთრებით, ჩანაწერების გაკეთებით და სხვა. ამა თუ იმ მიზნის შესაფერისი სტრატეგიის შეთვაზებამ შეიძლება შედეგი გამოიღოს მოსწავლის მოტივაციისა და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების კუთხით. საბოლოოდ ყველა აქტივობა და ქცევა დასტური იქნება ბოლოს იმისა, თუ რაოდენ დიდ როლს ასრულებს მათი აქტიური ჩართულობა და ინტერაქცია საკლასო აქტოვობებში და საბოლოო მიზანსა და განვითრებასაც ერთად ვაფასებთ.

ყოველივე ზემოთ თქმული პრობლემა და გზები დაკავშირებულია ჩვენს მოსწავლეებში აზროვნების ზრდა- განვითარებასა და ამ ყოველივეს ხელშეწყობასთან. ეს ყველაფერი, ბუნებრივია, ეწინააღმდეგება ფიქსირებულ აზროვნებასა და მსოფლმხედველობას, ეს ყველაფერი კი ფსიქოლოგ ქეროლ დვექის მოსაზრების თანახმად, არის რწმენა იმისა, რომ ინტელექტი სტატიკურია, უკუკავშირი კი აღიქმება, როგორც კრიტიკა და არა განვითარების საშუალება. ასეთ დროსა და სიტუაციაში, მოსწავლეები, საკუთარი ძალით და შესაძლებლობებით გადალახავენ და დაძლევენ გამოწვებებსა და შეცდომებს, შეიძლება განიცადონ წარუმატებლობაც, მაგრამ სწორი უკუკავშირის მიღებისას ისინი ამას აღიქვამენ არა როგორც კრიტიკას, არამედ შეაფასებენ, როგორც განვითარების ახალ გზას და სწავლის შესაძლებლობებს.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ჩემი, როგორც საგნის პედაგოგისა და დამრიგებლის მიზანი, კლასში სწორედ მოტივაციის ამაღლებაა. იყო სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება საგნისადმი, ამას ნაწილობრივ სახელმძღვანელოს პრონციპიც განსაზღვრავდა, აღნიშნულიდან გამომდინარე 2022-2023 სასწავლო წლიდან დავიწყე მზადება კლასთან ამ პრობლემაზე სამუშაოდ, ჩამოვაყალიბე მიზანი, შევარჩიე სხვადასხვა აქტივობა, რომელიც მიმართული იყო, თუ როგორ ავამაღლო მოსწავლეთა მოტივაცია და როგორ გამეზარდა ამ მეთოდების საშუალებით სასწავლო პროცესში აქტივობების ეფექტიანობა ახალი სასწავლო წლიდან. დავსახე ამოცანები, გავეცანი შესაბამის ლიტერატურას და შევადგინე სამოქმედო გეგმა, რომელიც გაერთიანებული და მიბმული იყო სადამრიგებლო პროგრამასთან. საგაკვეთილო პროცესში ვაკვირდებოდი მათ ჩართულობას, ინტერესებს, ცნობისმოყვარეობას, შედეგად გამოიკვეთა ზოგადი სურათი. მოსწავლეთა მოტივაციის დონე აღმოჩნდა დაბალი, გაკვეთილზე ჩართულობა არ ისაზღვრბოდა მათივე იტერესით, უფრო მეტად მასწავლებლების კითხვებითა და უშუალო დავალებების მიცემით იყო განპირობებული თითოეული მოსწავლის მიმართ. ასევე ახალი მასალის ახსნის დროს, როდესაც მოსწავლე პასიურადაა ჩართული ამ პროცესში, უმრავლესობას უჭირდა ამის ფონზე მოსმენა, ამაში დავრწმუდი მაშინ, როცა ახსნილი მასალიდან კითხვების დასმას ვიწყებდი, ფაქტობრივი ცოდნა არ იკვეთებოდა, მოსწავლეები არ იყვნენ ჩართულნი, იმიტომ , რომ გაკვეთილის ძირითად ნაწილში მათ ქულებით შეფასების მოლოდინი არ ჰქონდათ და არც სხვა სახით გამოკითხვა. შესაბამისად, მოტივაციისთვის მთავარი აღმოჩნდა ქულა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი გარე მოტივატორები არ არის ეფექტური და არ გვაძლევს სასურველ შედეგს. ასევე, ვაკვირდებოდი, რომ ჯგუფური მუშაობის დროს მოსწავლეების ჩართულობა მეტი იყო, რაც საკონკურსო ხასიათის აქტივობებით აიხსნება. ქულა, როგორც მოტივატორი ძალიან არამყარია, თუმცა აქტიურად გამოიყენება დღევანდელ სწავლა-სწავლების პროცესში და დღევანდელი მოსწავლისთვისაც ხშირად მთავარი მოტივაციის წყაროა. მიუხედავად ამისა, ქულით შეუფასებლობა ხდება მთავარი მიზეზი მოტივაციის დაკარგვისა, სწორედ ამიტომ შევეცადე ჩამენაცვლებინა, კერძოდ კი, საგაკვეთილო პროცესის თანამედროვე მეთოდოლოგიითა და მიდგომებით წარმემართა და პრაქტიკულ სამუშაოებზე ვყოფილიყავი ორიენტირებული, რისი საშუალებაც, საბედნიეროდ, ჩვენს ლიცეუმს აქვს. მოსწავლეთა პასიურობის ერთ - ერთი უმთავრესი მიზეზი მასალის მოცულობაც იყო, თვლიდნენ, რომ შესწავლილი ტექსტები ცხოვრებაში ნაკლებად გამოადგებოდათ.

გეგმაში გაწერილი აქტივობიდან განსაკუთრებით მინდა გამოვყო გასვლითი გაკვეთილის ეფეტურობა სასწავლო პროცესში. არაფორმალური განათლება ვიცით, რომ არ არის ოფიციალურად ეროვნული სასწავლო პროგრამის ნაწილი. ის ემსახურება თავისი შინაარსით ბავშვის უნარ-ჩვევების, კრიტიკული აზროვნებ-

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ის, კომპეტენციების, უფლებების, ღირებულებების განვითარებასა და ჩამოყალიბებას არაფორმალურ გარემოში, სადაც ბავშვები მოქმედებენ და სწავლობენ საკუთარი ინტერესების მიხედვით. ამ თემაზე საუბრობს სტატიაში ნ.ვერულაშვილიც და აღნიშნავს, რომ მაგალითად, თუ ბავშვს აქვს სირთულეები ქართული ლიტერატურის ტექსტების შინაარსისა და ანალიზის გაკეთების უნარებთან მიმართებაში, ის შესაძლოა წარუმატებელი იყოს ამავე გაკვეთილის თხრობისას[6]. ეს კი ერთგვარი პრეზენტაციით წარდგენაა კლასის წინაშე. ამ წარუმატებლობის გამო ბავშვი ამ შემთხვევაში ორმაგი სირთულის წინაშე დგება - გარდა იმისა, რომ საგანში ვერ აღწევს მაღალ შედეგს, პრეზენტაციის უნარების განვითარებაც ფერხდება.

ამ მაგალითის განხილვის საფუძველზე, ყურადღებამისაქცევია ზოგადად განათლების მიზნები და რა უნარების განვითარება სჭირდებათ ბავშვებს, რომლებიც მათ ცხოვრებაში სხვადასხვა სიტუაციაში გამოადგებათ. მაგალითად, პრეზენტაციის უნარები, დებატებში ჩართვა, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, როგორც საგანი ცალკე ეს არ ისწავლება, მაგრამ განათლების მტავარი ამოცანაც ხომ ესაა: განუვითაროს ბავშვებს ისეთი უნარ-ჩვევები, რომლებიც მათ ცხოვრების ყველა ეტაპზე, ყველანაირ კრიტიკულ სიტუაციაში გამოადგებათ.

შესაბამისად, შესაძლოა, ბავშვმა, რომელსაც დაბალი შედეგები აქვს ქართულ ენასა და ლიტერატურაში, წარმატებით გაართვას თავი პრეზენტაციას თავისი საყვარელი ფილმის ან მომღერლის შესახებ. თუმცა სკოლაში ამ სახის ცოდნაში, სავარაუდოდ, ნიშანს არ დაწერენ. ამიტომ არის არაფორმალური განათლება ორიენტირებული ისეთი ცოდნისა და უნარების დემონსტრირებაზე, რომელიც აფასებს არასავალდებულო სასწავლო კურიკულუმის ცოდნას და მონდომებაზე, ასევე მოტივაციაზე დაყრდნობით ბავშვებში ცხოვრებისეულ ფასეულობებსა და უნარებს ავითარებს.

ოცდამეერთე საუკუნეში კარიერული წინსვლა ადამიანისგან ბევრად მეტ უნარებს მოითხოვს, ვიდრე ეს შეიძლება რომელიმე სასკოლო საგანმა მისცეს, სამაგიეროდ, ამ უნარების მიღება შესაძლებელი აღმოჩნდა სკოლაშივე, აქ ყურადღება მხოლოდ საგნების შესწავლაზე გაკეთებული არაა და ყველაფერთან ერთად, ტარდება ისეთი აქტივობები, რომელთა გატარებისას მოსწავლე ხდება უფრო აქტიური, შეიძინა ლიდერული უნარები, დახვეწა ჯგუფთან მუშაობა, წყვილებში მუშაობა, შეძლო დამოუკიდებლად შეცდომების აღმოჩენაც და გამკლავებაც, იმ შემთხვევაშიც კი, თუ რაიმე არ გამოუვიდა, გამოუმუშავდა ის თვისებები, რომლებიც დაეხმარა და სხვებსაც დაეხმარება ნებისმიერი სიტუაციის გამოსწორებასა და წარმატებით დასრულებაში. ამ ყოველივეზე ისაუბრა და შეაჯამა ქეთევან მიქაძემ სტატიაში ,,არაფორმალური განათლება ცოდნის ტრასფერისთვის" აღნიშნავს, რომ შეძენილი უნარები და თვისებები,

[6] ნ.ვერულაშვილი ,, არაფორმარული განათლების მნიშვნელობა მოზარდი ცხოვრებაში"-mastsavlebeli.ge. 29 მარტი ;2021წ.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

სამომავლოდ, გამოადგება უნივერსიტეტშიც, სამსახურშიც და პირად ცხოვრებაშიც.[7] აი ამ ყოველივეს დღეის მონაცემებით მხოლოდ ფორმალური განათლება, სამწუხაროდ, ვერ ასწავლის, ლიცეუმის რესურსების ხელსეწყობით კადეტებთან მუშაობამ ეს ყველა უნარი მათ განუვითარა და ამაში სწორედ მოტივაციის ამაღლება და სამოტივაციო ფარგლებში განხორციელებული აქტივობები დაგვეხმარა. მაგალითად, წელს, 2023-2024 სასწავლო წელს დაიგეგმა და განხორციელდა ჯერ პირველი კურსის პირველ ჯგუფში გასვლითი გაკვეთილი თემაზე ,,უდაბნოთა ქალაქმყოფელი“(უბისის მონასტერი), შემდეგ მეორე კურსის მეოთხე ჯგუფში ნიკო-ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში თემაზე: ,,სად განისვენოს სულმა,სად მიიდრიკოს თავი?“ ბოლოს კი მესამე კურსის პირველ ჯგუფში დაგეგმა და განხორციელდა გ. ტაბიძის სახლ-მუზეუმში თემაზე: ,,წვეთი სისხლი არ არის ჩემში არაქართული“. ეს კლასები წინა წელსაც იყვნენ ჩართული მსგავს აქტივობებში, სტუმრობდნენ მუზეუმებსა და სხვადასხვა სასწავლო გარემოს. 2 წლის დაკვირვებისა და განხორციელებული აქტივობების შედეგად მივიღე:

- მუშაობის პროცესი იყო სასიამოვნო და სასარგებლო;
- დაცული იყო ინდივიდუალური საჭიროებები;
- გახდნენ უფრო თავდაჯერებულნი, განუვითარდათ სოციალური და შემოქმედებითი უნარ-ჩვევები;
- მიეცათ შესაძლებლობა ლიდერობის უნარების თანაბარი განვითარების;
- ჯილდოების, რეკომენდაციებისა და პრიზების მიღების შესაძლებლობა;
- აქტიური მოქალაქის ფორმირება;
- მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან და სკოლის ადმინისტრატორებთან თანამშრომლობითი კომუნიკაციის განვითარება.

არაფორმალურ გარემოში აქტივობების განხორციელებისას მასწავლებლებმა თავადაც უნდა დაიცვან გარკვეული წესები:

- ისეთი კლასგარეშე აქტივობები უნდა დაიგეგმოს, რომლებიც გაზრდის ჩართულობასა და კომუნიკაციის ხარისხს;
- მასწავლებელს უნდა ჰქონდეს მრჩეველის ფუნქცია და არა ავტორიტეტის;
- შევქმნათ ისეთი გარემო, რომელიც მოსწავლეებს საშუალებას მისცემს მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მხოლოდ კეთილგანწყობილი გარემო ეხმარებათ მათ განავითარონ საჭირო უნარები;
- მუშაობისას უნდა დაინიშნონ მოსწავლე-ლიდერები, როგორც პოზიტიური მისაბაძი ადამიანები, თან ისეთები შეირჩნენ, რომელებიც არ არიან ჩართულნი კლას-

[7] ქ. მიქაძემ სტატიაში ,, არაფორმალური განათლება ცოდნის ტრასფერისთვის“-mastsavlebeli. ge. -8. სექტემბერი. 2022წ.)

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

გარეშე აქტივობებში. დავაკისროთ მათ დამხმარის, მრჩევლის ფუნქცია, რათა სხვებს მიაწოდონ ცოდნა და გაუზიარონ გამოცდილება;

- გამოვიყენოთ სასკოლო რესურსები, ხელი შევუწყოთ დამატებითაც სხვა რესურსის მოპოვებაში;
- არ უგულვებელვყოთ მოსწავლეთა იდეები, მხარი დავუჭიროთ და დავეხმაროთ განხორციელებაში.

დასკვნა

ჩატარებულმა აქტივობებმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ სწავლა-სწავლების პროცესში კლასგარეშე აქტივობები მნიშვნელოვანია მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებისათვის.

კარგი არის ის, რომ ჩვენი ლიცეუმი ფეხს ნამდვილად უწყობს ქვეყანაში არსებულ გამოწვევებს და ცდილობს, მხოლოდ სასკოლო საგნებზე არ იყოს ორიენტირებული, მეტი განათლება მისცეს მოსწავლეს და საჭიროებაზე მორგებული აქტივობებით (მაგ: წრეები, შიდასასკოლო ოლიმპიადები, ბანაკები, კონფერენციები) განუვითაროს ის აუცილებელი უნარები, რაც პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის ადამიანს უნდა ჰქონდეს, რომ სამომავლოდ, თავის საქმეში დადებითი როლი შეასრულოს, იმედი მაქვს, დროთა განმავლობაში, კიდევ უფრო მეტი სკოლა გააქტიურდება ამ კუთხით. მჯერა, რომ ,,ერთ ბავშვს, ერთ მასწავლებელს, ერთ წიგნს, ერთ კალამს შეუძლია შეცვალოს სამყარო".

ბიბლიოგრაფია

ვულფოლკ ანიტაი, -,,განათლების ფსიქოლოგია".

ვერულაშვილი ნანა, ,,არაფორმალური განათლების როლი და მნიშვნელობა მოსწავლის აკადემიურ მიღწევაში"-mastsavlebeli.ge-, 29 მარტი,2021წ.

ბარამიძე ნ. ,,შორეული მოტივაცია, ქცევა და სწავლა" ბათუმი, 1995.

ბასილაძე ნ. ,,მშობლის სახელმძღვანელო" , ბათუმი, 2019.

ბასილაძე ნ . ,,ქართული პედაგოგიკის ისტორია", ბათუმი, 2013.

გერიგი რ., ზიმბარდო ფ. ,,ფსიქოლოგია და ცხოვრება" , თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა, 2009

ეროვნული სასწავლო გეგმა, 2018-2024, მუხლი 34. მოსწავლის მოტივაციის გაზრდა

ჭკუასელი ქ., ჭკუასელი ი. ,,პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები", თბილისი, 2010

mastsavlebeli.ge. – ნანა ვერულაშვილი ,,არაფორმალური განათლების მნიშვნელობა მოზარდის ცხოვრებაში"-29 მარტი. 2021.

mastsavlebeli.ge.-ქეთევან მიქაძე ,,არაფორმალური განათლება ცოდნის ტრანსფერისთვის"-8 სექტემბერი. 2022.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

კიბერუსაფრთხოების გამოწვევების ანალიზი თანამედროვე სამხედრო კონფლიქტების ჭრილში

ნანი არაბული,[1] რომეო გალდავა,[2] გიორგი კოხრეიძე[3]
DOI: https://doi.org/10.61446/pa.2.2024.8417

აბსტრაქტი

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია კიბერუსაფრთხოების გამოწვევები თანამედროვე სამხედრო კონფლიქტების კონტექსტში, მათი გავლენა ქვეყნების თავდაცვისუნარიანობაზე და ის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც განსაზღვრავენ წარმატებულ კიბერთავდაცვას. კვლევაში გაანალიზებულია კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვის, სახელმწიფო უწყებების უსაფრთხოების, ეკონომიკური უსაფრთხოების, დემოკრატიული პროცესების დაცვისა და სამხედრო უპირატესობის საკითხები კიბერუსაფრთხოების ჭრილში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თანამედროვე კონფლიქტების მაგალითზე კიბერშეტევების სტატისტიკურ ანალიზს, მათ ფორმებს და გავლენას სამხედრო ოპერაციებზე. ნაშრომში შემოთავაზებულია, აგრეთვე, კიბერშენაერთების ორგანიზაციული სტრუქტურის მოდელი, განხილულია მათი თავდაცვითი და შეტევითი ოპერაციების სპეციფიკა, დასაბუთებულია საქართველოში სპეციალიზებული კიბერდანაყოფის შექმნის აუცილებლობა, რაც მნიშვნელოვნად გაამლიერებს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას.

საკვანძო სიტყვები: კიბერუსაფრთხოება, კიბერუსაფრთხოება და სამხედრო კონფლიქტები, კიბერშეტევები, კიბერშენაერთი, კრიტიკული ინფრასტრუქტურა, თავდაცვისუნარიანობა.

[1] სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს, ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი
[2] სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს, ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი, მათემატიკის დოქტორი
[3] სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს, ეროვნული თავდაცვის აკადემიისბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების ასისტენტ პროფესორი, დოქტორანტი

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

Analysis of Cybersecurity Challenges in the Context of Modern Military Conflicts

Nani Arabuli,[4] Romeo Galdava,[5] Giorgi Kokhreidze[6]
DOI: https://doi.org/10.61446/pa.2.2024.8417

Abstract

This paper examines cybersecurity challenges in the context of modern military conflicts, their impact on countries' defense capabilities, and the key directions that define successful cyber defense. The research analyzes critical infrastructure protection, government agency security, economic security, protection of democratic processes, and military advantage from a cybersecurity perspective. Special attention is paid to the statistical analysis of cyber-attacks based on modern conflicts, their forms, and impact on military operations. The paper also proposes an organizational structure model for cyber units, discusses the specifics of their defensive and offensive operations, and justifies the necessity of creating a specialized cyber unit in Georgia, which would significantly strengthen the country's defense capabilities.

Keywords: cybersecurity, cybersecurity and military conflicts, cyber-attacks, cyber unit, critical infrastructure, defense capability.

[4] Associate Professor of Bachelor's Program in Informatics of LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia, Doctor of Technical Science
[5]Associate Professor of Bachelor's Program in Informatics of LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia, Doctor of Mathematics
[6] Assistant Professor of Bachelor's Program in Informatics of LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia, PhD Student

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

შესავალი

თანამედროვე სწრაფად ცვალებად ტექნოლოგიურ სამყაროში კიბერუსაფრთხოება წარმოადგენს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის უნიშვნელოვანეს გამოწვევას, რომელიც მოითხოვს მუდმივ მზადყოფნას, ინოვაციურობას და ადაპტაციას.

თანამედროვე სამხედრო კონფლიქტები ახლა ვრცელდება ფიზიკური ბრძოლის ველების მიღმა ვირტუალურ ასპარეზზე, სადაც კიბერშეტევებმა შეიძლება დაარღვიოს, გამორთოს ან თუნდაც გაანადგუროს კრიტიკული ინფრასტრუქტურა და თავდაცვის სისტემები. ამ ცვლილებამ გამოიწვია კიბერუსაფრთხოების ყოვლისმომცველი ზომების გადაუდებელი აუცილებლობა, რადგან მოწინააღმდეგეები სულ უფრო მეტად იყენებენ კიბერ ტაქტიკას სტრატეგიული უპირატესობების მოსაპოვებლად, ჯაშუშობის განსახორციელებლად და ფართო შეფერხების შესაქმნელად.

ქვეყნების უნარი, ეფექტურად დაიცვან თავიანთი ციფრული აქტივები და ინფრასტრუქტურა, 21-ე საუკუნეში გახდა მათი სუვერენიტეტისა და ეროვნული უსაფრთხოების შენარჩუნების აუცილებელი პირობა. ამ კუთხით მნიშვნელოვანია თანამედროვე მსოფლიოში არსებული მდგომარეობა და ის ღონისძიებები, რომლებსაც ისინი ახორციელებენ ამ მიმართულებით. აღნიშნული გამოცდილება უაღესად მნიშვნელოვანია საქართველოსათვის, რადგან იგი მნიშვნელოვნად გააძლიერებს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას.

ძირითადი ნაწილი

თანამედროვე ეტაპზე კიბერუსაფრთხოება წარმოადგენს ურთულეს გამოწვევას ეროვნული უსაფრთხოების თვალსაზრისით. მსოფლიოში მიმდანარე კონფლიქტებმაც დაადასტურეს აღნიშნული გარემოება, უფრო მეტიც, აღნიშნული ინსტრუმენტის გარეშე წარმოუდგენელია სუვერენიტეტისა და ეროვნული უსაფრთხოების შენარჩუნება. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია შესწავლილ იქნას თანამედროვე მსოფლიოში არსებული მდგომარეობა და განხორციელებულ იქნას ქმედითი ნაბიჯები კიბერუსაფრთხოების კუთხით, რაც მნიშვნელოვნად გააძლიერებს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას.

ცნობილია, რომ კიბერუსაფრთხოების კუთხით განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია შემდეგი ძირითადი მიმართულებები:

კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვა: თანამედროვე საზოგადოების ფუნქციონირება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ციფრულ სისტემებზე. ენერგეტიკა, წყალმომარაგება, ტრანსპორტი, საფინანსო სექტორი და ჯანდაცვა და სხვა - ყველა ეს სფერო იმართება კომპიუტერული ტექნოლოგიებით. კიბერშეტევამ ამ სისტემებზე შეიძლება გამოიწვიოს კატასტროფული შედეგები, დაწყებული ეკონომიკური ზარალით, დამთავრებული ადამიანების სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებით.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

სახელმწიფო უწყებების დაცვა: ისინი ინახავენ ქვეყნისათვის უნიშვნელოვანეს, მათ შორის სენსიტიურ ინფორმაციას ციფრულ ფორმატში, რომელიც მოიცავს დიპლომატიურ კომუნიკაციებს, სამხედრო გეგმებს, სადაზვერვო ინფორმაციას და სხვ. ამავე დროს კიბერჯაშუშობა გახდა ერთ-ერთი მთავარი საშუალება სახელმწიფოებისთვის, მოიპოვონ ინფორმაცია თავიანთი მეტოქეების შესახებ.

ეკონომიკური უსაფრთხოება: კიბერდანაშაული და ინდუსტრიული შპიონაჟი სერიოზულ საფრთხეს უქმნის ქვეყნების ეკონომიკურ სტაბილურობასაც. ცნობილია, რომ ინტელექტუალური საკუთრების ქურდობა, ფინანსური თაღლითობა და ბიზნეს-პროცესების შეფერხება იწვევს მილიარდობით ზარალს ყოველწლიურად.

დემოკრატიული პროცესების დაცვა: კიბერშეტევები საარჩევნო სისტემებზე და დეზინფორმაციის კამპანიები სოციალურ მედიაში საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ პროცესებს. ქვეყნები იძულებულნი არიან, გააძლიერონ თავიანთი კიბერუსაფრთხოების შესაძლებლობები, რათა დაიცვან საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესი უცხო ქვეყნების ჩარევისგან.

სამხედრო უპირატესობა: თანამედროვე სამხედრო ოპერაციები მჭიდროდ არის დაკავშირებული ქვეყნების კიბერშესაძლებლობებთან. კიბერიარაღი გახდა სტრატეგიული მნიშვნელობის ინსტრუმენტი, რომელსაც შეუძლია დააზიანოს/გაანადგუროს მოწინააღმდეგის სამხედრო სისტემები ფიზიკური კონტაქტის გარეშე.

საერთაშორისო ურთიერთობები: კიბერსივრცე გახდა ახალი არენა გეოპოლიტიკური დაპირისპირებისთვის. ქვეყნები იყენებენ კიბერშესაძლებლობებს როგორც "რბილი ძალის" ინსტრუმენტს, რათა გაავრცელონ თავიანთი გავლენა და დააზიანონ მოწინააღმდეგეების რეპუტაცია.

კიბერუსაფრთხოების გამოწვევების საპასუხოდ, თანამედროვე ქვეყნები ახორციელებენ მასშტაბურ ინვესტიციებს კიბერუსაფრთხოების სფეროში. ეს მოიცავს სპეციალიზებული კიბერუსაფრთხოების სააგენტოების შექმნას, კიბერშეტევებზე რეაგირების ჯგუფების ფორმირებას და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებას კიბერდანაშაულთან ბრძოლის მიმართულებით.

ამ რეალობაში, ბრძოლისუნარიანობის თვალსაზრისით, კრიტიკულად მნიშვნელოვანია სამხედრო ობიექტების კიბერუსაფრთხოების მიმართულება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს:

სამხედრო კომუნიკაციების უსაფრთხოება: კრიტიკულად მნიშვნელოვანია დაცული იყოს სამხედრო პერსონალს შორის კომუნიკაცია. კიბერშეტევამ შეიძლება გამოიწვიოს კომუნიკაციის შეფერხება, მწყობრიდან გამოსვლა, მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაჟონვა და სხვ.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

სამხედრო ინფრასტრუქტურის დაცვა: თანამედროვე სამხედრო ბაზები და ობიექტები იყენებენ "ჭკვიან" სისტემებს, რომლებიც მოწყვლადია კიბერშეტევების მიმართ.
შეიარაღების სისტემების უსაფრთხოება: თანამედროვე შეიარაღება ხშირად შემთხვევაში დაფუძნებულია კომპიუტერულ სისტემებზე და შესაბამისად საჭიროებს დაცვას არასანქცირებული წვდომისგან.

აღნიშნული გამოწვევების გათვალისწინებით ბევრმა ქვეყანამ თავდაცვის მიმართულებით აქტიურად დაიწყო სპეციალიზირებული კიბერშენაერთების შექმნა და განვითარება, რომელიც სპეციალიზირებულია ციფრულ გარემოში ოპერაციების წარმოებაზე. თანამედროვე სამყაროში, სადაც ინფორმაციული ტექნოლოგიები განსაზღვრავს სამხედრო უპირატესობას, აღნიშნული სახის შენაერთების როლი კრიტიკულად მნიშვნელოვანი გახდა.

სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე, კიბერშენაერთების ორგანიზაციული სტრუქტურა შეიძლება შემდეგი სახით ჩამოყალიბდეს:

კიბერდაზვერვის განყოფილება/ქვედანაყოფი - საფრთხეების იდენტიფიკაცია და ანალიზი, მოწინააღმდეგის კიბერშესაძლებლობების შეფასება და ტექნოლოგიური ტენდენციების მონიტორინგი;
კიბერთავდაცვის განყოფილება/ქვედანაყოფი - ქსელების და სისტემების მონიტორინგი, უსაფრთხოების ხარვეზების აღმოჩენა და აღმოფხვრა, ინციდენტებზე რეაგირება;
კიბერშეტევების განყოფილება/ქვედანაყოფი - შემტევი კიბეროპერაციების დაგეგმვა და განხორციელება, მავნე პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება, მოწინააღმდეგის სისტემებში შეღწევის მეთოდების განვითარება;
კვლევისა და განვითარების განყოფილება/ქვედანაყოფი - ახალი ტექნოლოგიების შემუშავება, კიბერშესაძლებლობები განვითარება, უსაფრთხოების ინსტრუმენტების შექმნა.

ტრადიციული შეიარაღებული დანაყოფების მსგავსად, კიბერშენაერთებში უნდა გაიმიჯნოს თავდაცვითი და თავდასხმითი ოპერაციები, კერძოდ:

თავდაცვითი ოპერაციები - ისინი ძირითადად მოიცავენ შემდეგ პუნქტებს:
ა) ქსელების მონიტორინგი
რეალურ დროში თვალყურის დევნება;
ანომალიების დეტექცია;
პროაქტიული საფრთხეების იდენტიფიკაცია.
ბ) ინციდენტებზე რეაგირება
- სწრაფი რეაგირების პროტოკოლები;
- ზიანის შეფასება და შემცირება;
- სისტემების აღდგენა;

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

გ) კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვა

- ენერგეტიკული სისტემების უსაფრთხოება;
- სამხედრო კომუნიკაციების დაცვა;
- სტრატეგიული ობიექტების კიბერუსაფრთხოება.

შეტევითი ოპერაციები - ისინი ძირითადად მოიცავენ შემდეგ პუნქტებს:

ა) კიბერშეტევების ორგანიზება

- DDoS შეტევები;
- მავნე პროგრამული უზრუნველყოფის გავრცელება;
- სოციალური ინჟინერია.

ბ) ინფორმაციის მოპოვება

- ელექტრონული დაზვერვა (SIGINT);
- მოწინააღმდეგის სისტემებში შეღწევა;
- კომუნიკაციების არხებში შეღწევა.

გ) კიბერსაბოტაჟი

- მოწინააღმდეგის სისტემების გათიშვა/პარალიზება;
- მონაცემთა განადგურება ან მოდიფიცირება;
- დეზინფორმაციის გავრცელება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ თანამედროვე ეტაპზე კიბერდანაყოფი წარმოადგენს თანამედროვე სამხედრო ძალების აუცილებელ კომპონენტს, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხოებას ციფრულ სივრცეში, რაც საბოლოო ჯამში განსაზღვრავს ქვეყნის უსაფრთხოებას. მისი ეფექტური ფუნქციონირება მოითხოვს მუდმივ განვითარებას, ინოვაციურ მიდგომებს და საერთაშორისო თანამშრომლობას. მომავალში კიბერშენაერთების როლი და მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზრდება, რაც მოითხოვს მეტ ინვესტიციას, კვალიფიციურ კადრებს და ტექნოლოგიურ განვითარებას.

ამ მოსაზრებას კიდევ უფრო ამყარებს სტატისტიკა, რომელიც წარმოაჩენს როგორც კიბერსშტევების განმახორციელებელ და სამიზნე ქვეყნებს, ასევე განხორციელებული შეტევების რაოდენობას.

სამიზნე ქვეყნები და მათზე განხორციელებული შეტევების რაოდენობა (2022-2023 წწ):

ამ ჩამონათვალში ლიდერობს უკრაინა 1500 შეტევით, რაც გამოწვეულია მიმდინარე კონფლიქტით რუსეთთან.

ისრაელი მეორე ადგილზეა 1200 შეტევით, რაც უკავშირდება რეგიონულ დაძაბულობას.

აშშ, გაერთიანებული სამეფო და გერმანია ასევე მაღალ პოზიციებზე არიან, რაც ასახავს მათ, როგორც ხშირ სამიზნეებს გლობალური კიბერშეტევებისთვის.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

შემტევი ქვეყნები და მათთან ასოცირებული დაჯგუფებები (2022-2023 წწ):

რუსეთი და ჩინეთი ლიდერობენ შეტევების რაოდენობით.
ჩრდილოეთ კორეა და ირანი ასევე მნიშვნელოვან პოზიციებს იკავებენ.
დაჯგუფებებს შორის ლიდერობენ Fancy Bear (რუსეთთან ასოცირებული) და Lazarus Group (ჩრდილოეთ კორეასთან ასოცირებული).



დიაგრამა 1. სამიზნე ქვეყნების სტატისტიკური მონაცემები (2022 – 2023 წწ) [7]

[7] Microsoft Digital Defense Report 2023

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0



დიაგრამა 2. შემტევი ქვეყნების სტატისტიკური მონაცემები (2022 – 2023 წწ) [8]



დიაგრამა 3. სხვადასხვა ქვეყნებთან ასოცირებული შემტევი ორგანიზაციების მონაცემები (2022 – 2023 წწ) [9]

აღნიშნული მიმართულებით განსაკუთრებული ადგილი უჭირავს რუსეთ-უკრაინის კონფლიქტს, რომლის დროსაც არაერთი მსხვილი კიბერშეტევა განხორციელდა, რომლებმაც მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენეს კონფლიქტის მხარეებს. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულმა კონფლიქტმა ნათლად წარმოაჩინა თანამედროვე ეტაპზე კიბერუსაფრთხოების მზარდი მნიშვნელობა. მნიშვნელოვანია, რომ ორივე მხარემ კიბერშე-

[8] Check Point Research, Mid-Year Report 2023
[9] CrowdStrike Intelligence Report 2023

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

საძლებლობები გამოიყენა სხვადასხვა მიზნით და ფორმით, როგორც სამხედრო ოპერაციების მხარდაჭერით, ასევე ფსიქოლოგიური ზემოქმედებით.

ამ თვალსაზრით ძალზედ მნიშვნელოვანია სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც ასახევან როგორც რუსეთის, ასევე უკრაინის მიერ განხორციელებულ კიბერშეტევებს, მათ სამიზნეებს და ფორმებს.



დიაგრამა 4. რუსეთ-უკრაინის კონფლიქტში განხორციელებული კიბერშეტევების სტატისტიკა (2022 – 2023 წწ)[10]

[10] Recorded Future Intelligence Report 2023

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0



დიაგრამა 5. გამოყენებული შეტევების ფორმების სტატისტიკა[11]

აღნიშნული მონაცემებიდან ირკვევა, რომ რუსეთმა განახორციელა დაახლოებით 2000 მნიშვნელოვანი კიბერშეტევა უკრაინაზე ომის დაწყებიდან. აღსანიშნავია, რომ ეს რიცხვი ასახავს მხოლოდ დოკუმენტირებულ შემთხვევებს და რეალური რაოდენობა შესაძლოა გაცილებით მეტი იყოს. შეტევის ძირეითადი სამიზნეები იყო:

სამთავრობო უწყებები (500 შეტევა, 25%) რუსეთის ერთ-ერთი მთავარი სამიზნე იყო უკრაინის მთავრობის ფუნქციონირების შეფერხება.

სამხედრო ობიექტები (400 შეტევა, 20%) შეტევები მიმართული იყო უკრაინის სამხედრო კომუნიკაციებისა და კომანდირების სისტემების წინააღმდეგ.

კრიტიკული ინფრასტრუქტურა (600 შეტევა, 30%) ენერგეტიკა, წყალმომარაგება და სატრანსპორტო სისტემები იყო ხშირი სამიზნე.

მედია (300 შეტევა, 15%) შეტევები მიზნად ისახავდა ინფორმაციის გავრცელების შეფერხებას და დეზინფორმაციის ხელშეწყობას.

საფინანსო სექტორი (200 შეტევა, 10%) ბანკები და საფინანსო ინსტიტუტები დაზარალდნენ ეკონომიკური დესტაბილიზაციის მცდელობით.

შეტევების განხორციელებისას რუსეთის საოკუპაციო მხარე იყენებდა სხვადასხვა ფორმის შეტევებს:

DDoS შეტევები (800 შეტევა, 40%) ყველაზე ხშირად გამოყენებული მეთოდი, მიმართული ვებ-სერვისების გათიშვისკენ.

[11] Mandiant Special Report 2023

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

მავნე პროგრამული უზრუნველყოფა (600 შეტევა, 30%) რთული ვირუსები და ტროიანები გამოიყენებოდა სისტემებში შეღწევისთვის.

ფიშინგი (300 შეტევა, 15%) მიზნობრივი ფიშინგ-კამპანიები სენსიტიური ინფორმაციის მოპოვების მიზნით.

Wiper-შეტევები (200 შეტევა, 10%) დესტრუქციული პროგრამები, რომლებიც შლიან მონაცემებს და აზიანებენ სისტემებს.

სხვა (100 შეტევა, 5%) მათ შორის სოციალური ინჟინერია და ნულოვანი დღის ექს-პლოიტები.

რუსული შეტევებიდან თავისი მაშტაბებით და მნიშვნელობით განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი შეტევები:

ViaSat-ის თანამგზავრული ინტერნეტის მომსახურების გათიშვა ომის დაწყების დღეს, რამაც გავლენა მოახდინა უკრაინის სამხედრო კომუნიკაციებზე.

Industroyer2 მავნე პროგრამის გამოყენების მცდელობა უკრაინის ენერგოქსელის წინააღმდეგ 2022 წლის აპრილში.

მასშტაბური DDoS შეტევები უკრაინის საბანკო სექტორზე 2022 წლის თებერვალში, რუსეთის შეჭრამდე რამდენიმე დღით ადრე.

აღსანიშნავია, აგრეთვე უკრაინისა და მასთან ასოცირებული ქვედანაყოფების საპასუხო შეტევები აგრესორი ქვეყნის მიმართებით. მათ განახორციელეს დაახლო-ებით 1000 მნიშვნელოვანი კიბერშეტევა რუსეთზე. ეს რიცხვი ნაკლებია რუსეთის შე-ტევებთან შედარებით, თუმცა რეალურად ასახავს უკრაინის მზარდ კიბერშესაძლებ-ლობებს.

მათი შეტევების სამიზნეს ძირითადად წარმოადგენდა:

სამთავრობო უწყებები (300 შეტევა, 30%) რუსეთის მთავრობის ვებ-გვერდები და შიდა სისტემები.

სამხედრო ობიექტები (200 შეტევა, 20%) მცდელობები, შეეფერხებინათ რუსეთის სამხედრო ლოგისტიკა და კომუნიკაციები.

კრიტიკული ინფრასტრუქტურა (250 შეტევა, 25%) ენერგეტიკა, ტრანსპორტი და სხვა სასიცოცხლო სისტემები.

მედია (150 შეტევა, 15%) რუსული მედია-საშუალებები, პროპაგანდის წინააღმ-დეგ ბრძოლის მიზნით.

საფინანსო სექტორი (100 შეტევა, 10%) ბანკები და ფინანსური ინსტიტუტები.

ამ შემთხვევაშიც, შეტევებისას გამოყენებულ იქნა სხვადასხვა ფორმები. არსებუ-ლი სტატისტიკის მიხედვით გვაქვს შემდეგი სურათი:

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

DDoS შეტევები (400 შეტევა, 40%) ფართოდ გამოყენებული მეთოდი რუსული ვებ-რესურსების წინააღმდეგ.

მავნე პროგრამული უზრუნველყოფა (250 შეტევა, 25%) სპეციალიზებული ვირუსები და ტროიანები.

ფიშინგი (150 შეტევა, 15%) მიზნობრივი კამპანიები რუსი თანამდებობის პირების წინააღმდეგ.

ჰაქტივიზმი (150 შეტევა, 15%) საპროტესტო და პროპაგანდისტული აქციები ონლაინ სივრცეში.

სხვა (50 შეტევა, 5%) მათ შორის სოციალური ინჟინერია და ნულოვანი დღის ექსპლოიტები.

უკრაინული მხარის მიერ განხორციელებულ შეტევებში განსაკუთრებულად გამორჩეულია შემდეგი შეტევები:

რუსეთის ცენტრალური ბანკის მონაცემთა ბაზის გატეხვა და კონფიდენციალური ინფორმაციის გამოქვეყნება.

რუსული სახელმწიფო ტელევიზიის სიგნალის დარღვევა და ანტისაომარი მესიჯების გავრცელება.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდში შეღწევა და ინფორმაციის მოპოვება.

წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ რუსეთ-უკრაინის კონფლიქტში განხორციელებულმა კიბერშეტევებმა აჩვენა კიბერსივრცის, როგორც თანამედროვე კონფლიქტის მნიშვნელოვანი არეალის როლი. ორივე მხარემ გამოიყენა მრავალფეროვანი ტაქტიკა და ტექნიკა, რამაც გავლენა მოახდინა არა მხოლოდ სამხედრო ოპერაციებზე, არამედ ზოგადად ქვეყნების განვითარებაზე, მათ ეკონომიკაზე, საზოგადოებრივ აზრსა და დიპლომატიურ ურთიერთობებზეც. ეს კონფლიქტი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს კიბერუსაფრთხოების მნიშვნელობას ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიებში და აჩვენებს, რომ მომავალში კიბერშესაძლებლობები კიდევ უფრო მნიშვნელოვან როლს ითამაშებს საერთაშორისო კონფლიქტებში.

დასკვნა

თანამედროვე სამყაროში ტრადიციული სამხედრო ოპერაციების პარალელურად, კიბერსივრცე გახდა ახალი საბრძოლო არეალი, რის გამოც ქვეყნები სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ როგორც კიბერუსაფრთხოებას, ასევე კიბერშენაერთების განვითარებას.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ამავე დროს, თანამედროვე სამხედრო ოპერაციები მჭიდროდაა დაკავშირებული ციფრულ ტექნოლოგიებთან. ეს ეხება როგორც საკომუნიკაციო სისტემებს, ასევე თანამედროვე შეიარაღებას. თითქმის ყველა სამხედრო კომპონენტი დამოკიდებულია კომპიუტერულ სისტემასა და ტექნოლოგიაზე. მნიშვნელოვანია, რომ ეს დამოკიდებულება მოიცავს საფრთხეებსაც, რაც თავისთავად ზრდის კიბერუსაფრთხოების გაძლიერების აუცილებლობას.

ამ მიმართულებით აღსანიშნავია, რომ საქართველოს თავდაცვის ძალებში ფუნქციონირებს კიბერუსაფრთხოების ბიურო, რომელიც ახორციელებს თავდაცვის სამინისტროსა და მისი სტრუქტურული ერთეულების კიბერუსაფრთხოებას. თუმცა, არსებული რთული მოვლენების ფონზე, სხვა ქვეყნების მაგალითზე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოში სპეციალიზირებული კიბერდანაყოფის შექმნის მიმართულებით მუშაობა, რაც მნიშვნელოვნად გააძლიერებს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას.

ბიბლიოგრაფია

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. (2023). "კიბერუსაფრთხოების სტრატეგიული მიმოხილვა."

ნ. არაბული, ა. შეყელაძე, ვ. ადამია, ზ. ცირამუა „კიბერუსაფრთხოების გამოწვევები, კონცეფციები და პრაქტიკა". გამომცემლობა „სამშობლო". 2024.

NATO Cooperative Cyber Defence Centre of Excellence (CCDCOE). (2023). "Cyber Operations in Contemporary Military Conflicts." https://ccdcoe.org/

Microsoft Digital Defense Report (2023). "Global Threat Activity and Cyber Security Trends." Microsoft Security https://www.microsoft.com/en-us/security/security-insider/microsoft-digital-defense-report-2023

Microsoft Digital Defense Report (2024). "Global Threat Activity and Cyber Security Trends." Microsoft Security https://www.microsoft.com/en-us/security/security-insider/intelligence-reports/microsoft-digital-defense-report-2024

Recorded Future. "Cyber Operations in the Russia-Ukraine War 2022-2023." Intelligence Report, 2023.

Microsoft Digital Defense Report. "Nation State Threats and Targeted Cyberattacks." Annual Security Review, 2023. https://www.microsoft.com/en-us/security/security-insider/microsoft-digital-defense-report-2023

Check Point Research. "Cyber Attack Trends: 2023 Mid-Year Report." Global Threat Intelligence, 2023.

Mandiant. "Special Report: Russia-Ukraine Crisis." Cyber Security Analysis, 2023.

CERT-UA. "Ukrainian Computer Emergency Response Team Annual Report 2022-2023." Government Special Communications Service of Ukraine, 2023.

CrowdStrike. "Global Threat Report: Russia-Ukraine Conflict Analysis." Intelligence Report Series,2023.

Mandiant Threat Intelligence Report (2023). "Russia-Ukraine War: A Cyber Warfare Perspective."

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

CERT-UA (Computer Emergency Response Team of Ukraine) Reports (2022-2023). "Cyber Attacks Statistics During Russian Invasion."

Council on Foreign Relations. (2023). "Cyber Operations in Military Conflicts: Lessons from Ukraine."

U.S. Cybersecurity & Infrastructure Security Agency (CISA). (2023). "Advisory on Russian State-Sponsored Cyber Operations."

United Nations Institute for Disarmament Research (UNIDIR). (2023). "The Role of Cyber Operations in Modern Military Conflicts."

RAND Corporation. (2023). "The Evolution of Cyber Operations in Modern Warfare."

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ცენზურა და სიტყვის თავისუფლება

ლ-ტი: ნინო გოგილავა[1]
DOI: https://doi.org/10.61446/pa.2.2024.8418

აბსტრაქტი

ცენზურა და სიტყვის თავისუფლება ორი მნიშვნელოვანი კონცეფციაა, რომლებიც ხშირად იკვეთება ერთმანეთთან. სიტყვის თავისუფლება უზრუნველყოფს ინდივიდებს საშუალებას, გამოხატონ საკუთარი აზრები, შეხედულებები და ემოციები ნებისმიერ თემაზე. ეს უფლებები მნიშვნელოვანი არის დემოკრატიული საზოგადოების და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის თვალსაზრისით. თუმცა, სიტყვის არ არის აბსოლუტური და მას აქვს გარკვეული საზღვრები, რათა არ გამოიწვიოს დისკრიმინაცია, ცილისწამება, ან საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა. ცენზურა, როგორც წესი, არის ხელისუფლების მიერ განხორციელებული ღონისძიება, რომელიც მიზნად ისახავს კონკრეტული შინაარსის აკრძალვას ან შეზღუდვას, მაგალითად, პოლიტიკური მოტივების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზნით. თუმცა, ცენზურა ხშირად აწყდება კრიტიკას, რადგან ის შეიძლება იყოს ძალადობრივი და ზღუდავდეს ინდივიდის პირად და პროფესიულ თავისუფლებას. ამიტომ, ცენზურა და სიტყვის თავისუფლება მუდმივად დგას ურთულესი ბალანსის წინაშე, რომელიც მოითხოვს პასუხისმგებლობას და გაწონასწორებულ მიდგომას.

საკვანძო სიტყვები: სიტყვის თავისუფლება, ცენზურა, ადამიანის უფლებები, დემოკრატია, მედია თავისუფლება, ხელისუფლება, საზოგადოებრივი წესრიგი.

[1] სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს, ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის საგანმანათლებო პროგრამის, სახელმწიფო რესურსების მართვის მსმენელი

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

Censorship and freedom of speech

Lt. Nino Gogilava[2]
DOI: https://doi.org/10.61446/pa.2.2024.8418

Abstract

Censorship and freedom of speech are two significant concepts that often intersect with each other. Freedom of speech allows individuals to express their thoughts, opinions, and emotions on any subject. This right is crucial for the protection of democratic society and fundamental human rights. However, freedom of speech is not absolute and has certain limits to prevent discrimination, defamation, or the disruption of public order. Censorship, in most cases, refers to actions taken by the government to restrict or ban certain content, such as for political reasons or to protect public safety. However, censorship is often criticized as it can be repressive and limit personal and professional freedoms. Therefore, censorship and freedom of speech are constantly in a delicate balance that requires responsibility and a well-considered approach.

Keywords: freedom of speech, censorship, human rights, democracy, media freedom, government, public order.

[2] Student of Master's Program in State Recourse Management of LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

შესავალი

სიტყვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადებისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნდამენტს წარმოადგენს. მისი დამსახურებით შესაძლებელია ინდივიდმა გამოხატოს საკუთარი მოსაზრება, რწმენა და იდეები შიშის გარეშე - რომ შესაძლოა სახელმწიფოს მხრიდან იქნას დასჯილი. ამასთანავე გასაგებია, რომ არც აღნიშნული თავისუფლებაა აბსოლუტური, ვინაიდან აუცილებელია ბალანსის მოპოვება, ერთიმხრივ გამოხატვის თავისუფლებასა და მეორემხრივ, სოციალურ ღირებულებებს შორის, როგორებიცაა: საზოგადოებრივი წესრიგი, ეროვნული უსაფრთხოება თუ ინდივიდუალური ღირსება. აღნიშნული ბალანსის დაცვა, როგორც წესი, ცენზურის მეშვეობით ხდება, რომელიც იყენებს სიტყვის შეზღუდვისა და რეგულირების მეთოდებს ძალადობრივი ან დამაზიანებელი აქტიორების მიმართ. აღნიშული ნაშრომი მიზნად ისახავს სიტყვის თავისუფლებასა და ცენზურას შორის არსებული ურთიერთკავშირის შესწავლას, აღნიშნული კონცეპტების ძირითადი პრინციპების ანალიზს, მათ ისტორიულ კონტექსტსა და თანამედროვე გამოწვევების ანალიზს.

სიტყვის თავისუფლება სხვადასხვა სახელმწიფოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო სამართლის დოკუმენტების მეშვეობით არის დაცული. უნდა აღინიშნოს, რომ ეს კონცეპტი არაერთგვაროვანია. მაგალითისთვის, ჯონ სტიუარტ მილი მიიჩნევდა, რომ სიტყვის თავისუფლება უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენდა ჭეშმარიტების (სიმართლის) მიგნების პროცესში. მისი აზრით, თვით არასწორი, ცრუ იდეებიც კი ღირებული იყვნენ, ვინაიდან მათი ჭეშმარიტ იდეებთან დაპირისპირების შედეგად, შესაძლებელი ხდებოდა აღქმისა და ცოდნის გაღრმავება. ამას გარდა, უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვის თავისუფლება ადამიანის ავტონომიურობისა და თვითგამოხატვის ერთ-ერთ წამყვან ასპექტს წარმოადგენს, რომელიც ინდივიდებს პერსონალური და ინდივიდუალური ზრდის შესაძლებლობას ანიჭებს.[3]

მეორე მხრივ, ცენზურა ლიბერალურ დემოკრატიებში მეტწილად ეჭვის თვალით აღიქმება. ის მიზნად ისახავს შეურაცჰმყოფელი, დამაზიანებელი თუ საფრთხის შემცველი რიტორიკის შეზღუდვას. ისტორიულად, ცენზურის პრაქტიკას მეტწილად ავტორიტარული რეჟიმები მიმართავდნენ, რათა აღეკვეთათ განსხვავებული აზრი. ამასთანავე, თანამედროვე დემოკრატიებიც ხშირად იყენებენ მას, რაც სხვა სოციალური ინტერესების დაცვის მოტივითაა დასაბუთებული.[4]

ძირითადი ნაწილი

სიტყვის თავისუფლებასა და ცენზურას შორის ურთიერთკავშირი მრავალსაუკუნოვანია. მაგალითისთვის უძველეს ათენში, სადაც დემოკრატია ჩაისახა, სიტყვის თავისუფლება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ღირებულებას წარმოადგენდა, თუმცა არსე-

[3] Jack M. Balkin, "OLD-SCHOOL/NEW-SCHOOL SPEECH REGULATION." Harvard Law Review 2296-2342. june 2014.
[4] Cass R. Sunstein, Democracy and the Problem of Free Speech. england: Free Press., 1995.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ბობდა გარკვეული შეზღუდვებიც. სოკრატე, აღნიშნული წესების თანახმად, უღვთოობასა და ახალგაზრდების გარყვნაში იქნა დადანაშაულებული და სიკვდილით დასჯილი, რაც თავის მხრივ ცენზურის ადრეული ფორმების დემონსტრირებად შეგვიძლია მივიჩნიოთ.[5]

სიტყვის თავისუფლების იდეამ შემდგომში განვითარება განმანათლებლობის ეპოქაში ჰპოვა. ისეთ ფიგურებს, მაგალითად როგორიცაა ვოლტერი, სწამდათ რომ ინდივიდებს თავისუფლად უნდა ჰქონოდათ შესაძლებლობა გამოეხატათ თავიანთი აზრები, მიუხედავად მათი პოპულარობისა თუ დამაჯერებლობისა. აღნიშნული იდეების სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევა კი ფრანგული და ამერიკული რევოლუციების დამსახურებით მოხდა. ამის მიუხედავად მეოცე საუკუნეში საზოგადოებები სიტყვის თავისუფლების თვალსაზრისით კვლავაც მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე იდგნენ. აღნიშნული კონტექსტის განხილვისას, თვალნათელ ილუსტრაციას წარმოადგენენ ტოტალიტარული რეჟიმები ნაცისტური გერმანიისა და საბჭოთა კავშირის სახით, რომლებიც უმკაცრესი ცენზურითა და ოპოზიციის ფაქტობრივი განადგურებით ხასიათდებოდნენ. მეორე მხრივ, ლიბერალურ დემოკრატიებს უჭირდათ ცენზურასა და სიტყვის თავისუფლებას შორის ბალანსის დაცვა, განსაკუთრებით კი მსოფლიო ომების პერიოდში.[6]

დღესდღეობით, ამ ორ კონცეპტს შორის დებატები ალბათ ყველაზე კომპლექსურია, ვიდრე ოდესმე ყოფილა. ციფრული ეპოქის დამსახურებით, შესაძლებელი გახდა ინფორმაციის გავრცელების მეთოდების ტრანსფორმირება, ჩამოყალიბდა გამოხატვის ახალი პლატფორმები, რამაც ბუნებრივია რეგულაციებისთვის ახალი გამოწვევები ჩამოაყალიბა. ისეთი სოციალური მედია პლათფორმები, მაგალითად: Facebook, Twitter, Youtube და სხვა, ხელს უწყობენ სიტყვის თავისუფლების გაძლიერებას და ინდივიდებს საშუალებას აძლევენ გაუზიარონ საკუთარი აზრი აუდიტორიას გლობალური მასშტაბით. თუმცა, ხშირად, აღნიშული პლატფორმები კრიტიკის ობიექტები ხდებიან, ვინაიდან მათი მეშვეობით ხდება სხვადასხვა ცრუ ინფორმაციის, შეურაცხმყოფელი რიტორიკისა და სხვა ექსტრემისტული კონტენტის გავრცელება ხდება. საპასუხოდ, კომპანიებმა მოახდინეს კონტენტ-მოდერაციის პოლიტიკის იმპლემენტაცია, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაძლიერდა ცენზურა.[7] სოციალური მედიის ახალმა შესაძლებლობებმა, მოახდინონ მნიშვნელოვანი გავლენა ფართო მასებზე, კიდევ უფრო გაამძაფრა სიტყვის თავისუფლების ლიმიტაციის თემატიკაზე მსჯელობა. მიზანშეწონილია თუ არა, რომ პლატფორმებად მოახდინონ კონტენტის რეგულაცია, და დადებითი პასუხის შემთხვევაში სად შეიძლება გაივლოს ზღვარი?! კრიტიკოსები თვლიან, რომ გაზრდილი მოდერია ზღუდავს სიტყვის თავისუფლებას, ხოლო მომხრეებს

[5] Starr Paul, The Creation of the Media: Political Origins of Modern Communications. New York: Basic Books. 2004.
[6] Ibid.
[7] R. Cohen-Almagor, Speech, Media, and Ethics: The Limits of Free Expression. English: Palgrave Macmillan. 2005

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

სჯერათ არსებული მექანიზმის აუცილებლობის მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილებისა და საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნების მოტივით. სიტყვის თავისუფლების რეგულაციის კონტექსტში მნიშნელოვან განზომილებას წარმოადგენს სიძულვილის ენა. აღნიშნული განიმარტება, როგორც დისკრიმინაციული კომუნიკაცია, მიმართული ინდივიდთა ჯგუფის მიმართ რასობრივ, რელიგიურ, გენდერისა თუ სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე. არაერთმა ქვეყანამ შემოიღო სიძულვილის ენის წინააღმდეგ შესაბამისი კანონმდებლობა, თუმცა კრიტიკოსთა ნაწილის აზრით აღნიშნული ბერკეტები რიგ შემთხვევაში გამოიყენება ლეგიტიმური გამოხატვის შესაზღუდად. მათი აზრით, სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურ საშუალებად კვლავაც სიტყვის თავისუფლება მიიჩნევა და მისი დამარცხება უფრო მყარი არგუმენტირებული მსჯელობითაა შესაძლებელი.

საინტერესოა ეროვნული უსაფრთხოებისა და სიტყვის თავისუფლების ურთიერთქმედებაც. ხელისუფლებას აქვს უფლება და შესაძლებლობა შეზღუდოს ესა თუ ის რიტორიკა, რომელიც მისი მოსაზრებით საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ წესრიგსა თუ ეროვნულ ინტერესებს. მაგალითისთვის, მსოფლიო ომების პერიოდში, ლიბერალური დემოკრატიებიც კი აქტიურად იყენებდნენ ცენზურად იმისათვის, რომ შეეზღუდათ მოწინააღმდეგე იდეოლოგიის გავლენა საკუთარ მოსახელობაზე.

დასკვნა

სიტყვის თავისუფლება და ცენზურა მონეტის საპირისპირო მხარეებს წარმოადგენენ, თუმცა ორივე მათგანი მნიშვნელოვანია დემოკრატიული საზოგადოების ფუნქციონირებისთვის. სიტყვის თავისუფლება ადამიანებს აძლევს საშუალებას ინდივიდუალობა გამოხატონ და განავითარონ საკუთარი უნარები და შესაძლებლობები, ხოლო ცენზურა - ერთგვარ ზღვარს წარმოადგენს, რომელიც იმავე ინდივიდს იცავს პოტენციური საფრთხეებისგან. ამგვარად, მნიშვნელოვანია სწორი ბალანსის მოძებნა ინდივიდის თავისუფლებების და საზოგადოებრივი კეთილდღეობის დაცვას შორის. ციფრულ ეპოქაში, ამგვარი ბალანსის დაცვა საკმაოდ დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული, ხოლო ტექნოლოგიური პროგრესი- კიდევ უფრო ამძაფრებს პრობლემას. მომავალი ათწლეულების განმავლობაში ამ ორ კონცეპტს შორის არსებული დიქოტომიის ირგვლივ დებატების კიდევ უფრო გამწვავებაა მოსალოდნელია, რაზეც მნიშნელოვან გავლენას იქონიებს ხელოვნური ინტელექტის გაძლიერება.

ბიბლიოგრაფია

Balkin, Jack M. "OLD-SCHOOL/NEW-SCHOOL SPEECH REGULATION." Harvard Law Review 2296-2342. june 2014;

Cohen-Almagor, R. Speech, Media, and Ethics: The Limits of Free Expression. English: Palgrave Macmillan, 2005;

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

Paul, Starr, The Creation of the Media: Political Origins of Modern Communications. New York: Basic Books. 2004;

Sunstein, Cass R. Democracy and the Problem of Free Speech. england: Free Press. 1995.

"შრომები"№ 2 (2024)
WWW.PAPERS.ETA.EDU.GE/INDEX.PHP/PAPERS

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

მსხვრევადი და არშემდგარი სახელმწიფოების ნეგატიური გავლენა მსოფლიო წესრიგზე

ვიცე-პოლკოვნიკი პაატა მაისურაძე[1]
DOI: https://doi.org/10.61446/pa.2.2024.8420

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია მსხვრევადი და არშემდგარი სახელმწიფოები, რომლებიც გამოირჩევიან იდენტური სისტემური მოწყვლადობით, სუსტი მმართველობით და არასტაბილური სოციალურ-ეკონომიკური ფონით. ზოგადად, ტერმინი „მყიფე სახელმწიფოები" ეხება ქვეყნებს, რომლებიც ისეთი გამოწვევების წინაშე დგანან, როგორიცაა სუსტი სახელისუფლებო ინსტიტუტები, პოლიტიკურად არასტაბილური გარემო და სიღარიბის მაღალი დონე. ასეთი სახელმწიფოები ერთი მხრივ, ვერ უზრუნველყოფენ ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორიც არის: ადამიანის უფლებები, კანონის უზენაესობა და ქვეყნის ტერიტორიის სრული კონტროლი, ხოლო მეორე მხრივ - ნეგატიურად ზემოქმედებენ მსოფლიო წესრიგზე, რაც საბოლოო ჯამში ექსტრემიზმისა და ტრანსნაციონალური დანაშაულის ხელშეწყობას, ქვეყნისთვის სასიცოცხლო ფუნქციების მოშლას და ალტერნატიული ძალაუფლების მქონე სტრუქტურების გაჩენას იწვევს. სახელმწიფოების მოწყვლადობის ძირეული მიზეზების გააზრება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეფექტური და ქმედითუნარიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებაში, ვინაიდან უზრუნველყოფს მყიფე სახელმწიფოების მსხვრევადობის თავიდან აცილებასა და მდგრადობის შენარჩუნებას. ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ სახელმწიფოების დაშლის პროცესს, არის კომპლექსური და პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ვითარებიდან გამომდინარეობს. შესაბამისად, საერთაშორისო ძალისხმევაც უნდა იყოს ერთიანი და მსხვრევადი სახელმწიფოების განვითარების ხელშეწყობისკენ მიმართული. გლობალიზაციის პირობებში, საერთაშორისო უსაფრთხოება პირდაპირ კავშირშია თითოეული სახელმწიფოს სტაბილურობასთან. აქედან გამომდინარე, არშემდგარი ქვეყნების ნეგატიური გავლენა აისახება სხვა სახელმწიფოებზეც, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ერთობლივი სტრატეგიების აუცილებლობას, მდგრადი განვითარების ხელშეწყობისთვის.

საკვანძო სიტყვები: არშემდგარი სახელმწიფოები, უსაფრთხოება, სტაბილურობა, კანონის უზენაესობა.

[1] სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს, ეროვნული თავდაცვის აკადემიის, მაგისტრატურის საგანმანათლებო პროგრამის „სახელმწიფო რესურსების მართვის" მაგისტრანტი

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

The negative influence of fragile and non-established states on the world order

Lieutenant Colonel Paata Maisuradze[2]
DOI: https://doi.org/10.61446/pa.2.2024.8420

Abstract

There is discussed the fragile and non-established states in this work, which are characterized by identical systemic vulnerabilities, weak governance, and unstable social-economic backgrounds. In general, the term "fragile states" refers to countries that face challenges such as weak governmental institutions, politically unstable environments, and high levels of poverty. Such states cannot ensure such important factors as human rights and the rule of law on the one hand, and complete control of the country's territory on the other hand. That ultimately leads to the promotion of extremism and transnational crime, the disruption of vital functions for the country and causes the creation of alternative power structures. Understanding the root causes of state fragility plays an important role in developing effective and efficient action plans, as it ensures that fragile states are prevented from fragility and maintain sustainability. The factors that contribute to the process of state collapse are very complex and they come from political, economic and social conditions. Accordingly, international efforts should be united and directed towards promoting the development of fragile states. In the conditions of globalization, international security is directly related to the stability of each state. Therefore, the negative impact of non-developed countries is reflected on other states as well, which once again emphasizes the need for joint strategies to promote sustainable development.

Key words: non-established states, security, stability, rule of law.

[2] Student of Master's Program in State Recourse Management of, LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

შესავალი

მსოფლიო სახელმწიფოთა სტაბილური ფუნქციონირება თანამედროვე საერთაშორისო წესრიგის საფუძველია, თუმცა მსხვრევადი და არშემდგარი სახელმწიფოები არღვევენ ამ წონასწორობას, რაც მნიშვნელოვან გამოწვევებს უქმნის გლობალურ უსაფრთხოებასა და განვითარებას. ამ ტიპის სახელმწიფოები ქმნიან ძალაუფლების ვაკუუმს, რაც ხშირ შემთხვევაში ძირს უთხრის საერთაშორისო ნორმებსა და ინსტიტუტებს, რომლებიც შექმნილია მშვიდობისა და თანამშრომლობის გასაძლიერებლად. მყიფე და წარუმატებელი სახელმწიფოები ხშირად გვევლინებიან ნეგატიურ კონტექსტში და წარმოადგენენ ჰუმანიტარული კრიზისების გავრცელების წყაროს, რაც საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ რომელიმე კონკრეტულ რეგიონს, არამედ არღვევს გლობალურ წესრიგს, აძლიერებს მიგრაციულ პროცესებსა და იწვევს საერთაშორისო ორგანიზაციების შესაძლებლობების შეზღუდვას კონფლიქტების ეფექტურად მართვაში. უფრო მეტიც, ასეთი სახელმწიფოების არსებობა ძირს უთხრის ნდობას საერთაშორისო სისტემის მიმართ, რაც გარკვეულწილად ამძაფრებს განხეთქილებას დიდ სახელმწიფოებს შორის.[3]

ვაშინგტონის ბრუკინგსის კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მკვლევარისა და მეცნიერის სიუზან რაისის აზრით, „არშემდგარი სახელმწიფოები ისეთი ქვეყნებია, სადაც კონფლიქტის, არაეფექტური მართვისა და სახელმწიფოს დაცემის (კოლაფსის) გამო, ცენტრალური მთავრობა საკუთარი ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილზე ვერც ეფექტურ კონტროლს ახორციელებს და ვერც სასიცოცხლოდ აუცილებელი ფუნქციების შესრულებას ახერხებს".[4] არშემდგარ სახელმწიფოებად განიხილება ისეთი ქვეყნები, სადაც ვერ ხერხდება ძირითადი ფუნქციების განხორციელება, როგორიცაა: უსაფრთხოება, განათლებისა და ჯანდაცვის სისტემა, კანონების აღსრულება და ხელისუფლების ლეგიტიმაცია. მსხვრევადი და წარუმატებელი სახელმწიფოები მნიშვნელოვანი გამოწვევაა გლობალური სტაბილურობისა და განვითარებისთვის. იმისთვის, რომ შემუშავებული იქნას ეფექტური სტრატეგია ამ ტიპის გამოწვევების წარმოშობის აღმოსაფხვრელად და მასთან საბრძოლველად, პირველ რიგში შესწავლილი უნდა იქნას სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური სამხედრო და კლიმატური ფაქტორები.

ძირითადი ნაწილი

სახელმწიფო სისუსტის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სუსტი სახელისუფლებო მმართველობაა. ასეთი ქვეყნის მთავრობები ხშირ შემთხვევაში ვერ აყალიბებენ ეფექტურ ინსტიტუტებს, რომლებსაც შეუძლიათ უზრუნველყონ კანონის უზენაესობა და

[3]Lothar Brock, holm Hans-Henrik, Sorensen Georg, Stohl Michael, *War and Conflict in the modern world.* Fragile States, 2012;

[4] სუზან რაისი, National Parliamentary Library of Georgia, "ენციკლოპედიური ლექსიკონი", 2003.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ეფექტური ღონისძიებების შემუშავება. კორუფცია, ნეპოტიზმი და არასტაბილური გარემო კიდევ უფრო ამძაფრებს სოციალურ არეულობას და ძირს უთხრის მმართველ სტრუქტურებს. ამის ნათელი მაგალითია სომალი, სადაც ათწლეულების განმავლობაში სოციალურმა არასტაბილურობამ და სუსტმა მმართველობამ ხელი შეუწყო მის, როგორც წარუმატებელი სახელმწიფოს სტატუსს.

პოლიტიკური არასტაბილურობა არის კიდევ ერთი მთავარი ფაქტორი, რომელიც იწვევს სახელმწიფოს სისუსტესა და წარუმატებლობას. მიმდინარე კონფლიქტები, სამოქალაქო ომები და პოლიტიკური არეულობა ქმნის საფუძველს ისეთი გარემოსთვის, სადაც სახელმწიფო ინსტიტუტები ვერ ფუნქციონირებენ გამართულად. შესაბამისი მაგალითია ავღანეთი, სადაც მრავალი წლის მანძილზე არსებულ კონფლიქტში, სახელისუფლებო ძალაუფლებისთვის ბრძოლაში წარმატებას ტერორისტულმა დაჯგუფება თალიბანმა მიაღწია, ვინაიდან ცენტრალური ხელისუფლება, სუსტი მმართველობის გამო, შეზღუდულ კონტროლს ახორციელებდა ზოგიერთ რეგიონში და ვერ შეძლო ძალაუფლების გავრცელება მთელი ქვეყნის მასშტაბით.

სახელმწიფოს არასტაბილურ განვითარებაზე გავლენას ახდენს ისეთი გარე ფაქტორები, როგორიცაა საერთაშორისო კონფლიქტები. სამხედრო ინტერვენციებმა შესაძლოა დაარღვიოს ადგილობრივი მმართველობის სტრუქტურები და გამოიწვიოს სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოშლა. ამისი ნათელი მაგალითია ერაყი, სადაც 2003 წლის ინტერვენციამ ქვეყანაში გამოიწვია ძალაუფლების ვაკუუმი, რასაც მოჰყვა რელიგიური (სექტანტური) დაპირისპირება და ექსტრემისტული ჯგუფების საბოლოო აღზევება.

სახელმწიფოს ჩამოშლაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციალური ფაქტორებიც, მათ შორის რელიგიური და ეთნიკური დაძაბულობა. შესაბამისად, რთულია ერთიანი ეროვნული იდეის წინ წამოწევა ქვეყანაში, სადაც ღრმა დაპირისპირებაა ასეთ სენსიტიურ საკითხებში. ამისი ძალიან კარგი მაგალითია სუდანი და მისი დარფურის რეგიონი, სადაც მთელი ქვეყანა ტომობრივი განხეთქილების შედეგად გამოწვეული ძალადობის წინაშე აღმოჩნდა.[5]

კლიმატური ფაქტორები ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სახელმწიფოების დასუსტებაში. კლიმატის ცვლილებამ, სტიქიურმა კატასტროფებმა და რესურსების დეფიციტმა, შესაძლოა გააძლიეროს არსებული გამოწვევები და ხელი შეუწყოს სოციალურ არეულობას. მაგალითად, 2010 წლის დამანგრეველმა მიწისძვრამ ჰაიტიზე გაამძაფრა მანამდე არსებული სოციალური დაძაბულობა, რამაც ქვეყანა კიდევ უფრო მყიფე მდგომარეობამდე მიიყვანა.

[5] მარიამ თეთრაძე, „ეთნოკონფესიონალიზმი სუდანში სუბსახელმწიფოებრივი და საგარეო აქტორების როლი სახელმწიფოს პოლიტიკაში." სამაგისტრო ნაშრომი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2022.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

სახელმწიფო სისუსტეზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ისეთი არასახელმწიფო აქტორები, როგორიცაა კრიმინალური დაჯგუფებები. ასეთი ტიპის ორგანიზაციები დესტაბილიზაციისათვის იყენებენ მმართველობის ხარვეზებს, ეწევიან უკანონო ქმედებებს და საფრთხეს უქმნიან სახელმწიფო ინსტიტუტების გამართულ ფუნქციონირებას. ამის მაგალითია ბოკო ჰარამის აღზევება ნიგერიაში, რაც ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ როგორ შეუძლიათ მსგავს დაჯგუფებებს სახელმწიფოში არსებული სისუსტეების გამოყენება ამავე სახელმწიფოს მმართველი სტრუქტურების შერყევისთვის.[6]

დასკვნა

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო სისუსტისა და წარუმატებლობის თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია ხელისუფლების მხრიდან ყოვლისმომცველი და კოორდინირებული მიდგომა. ძლიერი და ქმედითუნარიანი მმართველობითი ინსტიტუტების ჩამოყალიბება, ინკლუზიური პოლიტიკური პროცესების ხელშეწყობა და მდგრადი ეკონომიკური განვითარება. ასევე, გარე ფაქტორების მოსაგვარებლად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საერთაშორისო თანამშრომლობა, რაც ხელს შეუწყობს ისეთი მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლას, როგორიც არის საერთაშორისო კონფლიქტები და გეოპოლიტიკური მეტოქეობა. წარმატებული რეკონსტრუქციის მაგალითებია რუანდასა და სიერა ლეონეს პოსტკონფლიქტური მცდელობები. სამოქალაქო ომებით განადგურებულმა ორივე ქვეყანამ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია სახელისუფლებო ინსტიტუტების აღდგენაში, ეკონომიკურ წინსვლასა და სოციალური ერთობის ხელშეწყობაში.[7]

არშემდგარი სახელმწიფოების გამომწვევი მიზეზები მრავალმხრივია, რაც მოიცავს სუსტი მმართველობის, პოლიტიკური არასტაბილურობის, ეკონომიკური გამოწვევების, საგარეო ფაქტორების, სოციალური უსაფრთხოებისა და გარემო ფაქტორების ერთობლიობას. აღნიშნული საკითხების მოგვარება მოითხოვს ყოვლისმომცველ და ერთობლივ მიდგომას, რომელიც მოიცავს როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო ძალისხმევას. პრობლემის სიღრმისეული გააზრებით შესაძლებელია სახელმწიფო სისუსტეებზე ზეგავლენის მოხდენა და დამანგრეველი ფაქტორების თავიდან აცილება.

ბიბლიოგრაფია

თეთრაძე, მარიამ, „ეთნოკონფესიონალიზმი სუდანში სუბსახელმწიფოებრივი და საგარეო აქტორების როლი სახელმწიფოს პოლიტიკაში." სამაგისტრო ნაშრომი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2022; http://eprints.iliauni.edu.ge/11408/2/Pagesfrom.pdf

რაისი, სუზან. National Parliamentary Library of Georgia. "ენციკლოპედიური ლექსიკონი", 2003. National Parliamentary Library of Georgiahttp://www.nplg.gov.ge › gw...

[6]Osaghae, Eghosa E, "Fragile States." *Development in Practice,* N17, November, 2010, 691-699;
[7] Stewart Frances, Graham Brown, "Fragile States." *University of Oxford* (January), 2009.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

Lothar Brock, holm Hans-Henrik, Sorensen Georg, Stohl Michael. *War and Conflict in the modern world.* Fragile States, 2012.
https://books.google.com/books?hl=ru&lr=&id=dGruV2Zavy0C&oi=fnd&pg=PR1&dq=fragile+states&ots=qHXzXPRdbP&sig=yNdGXYny54Ghax3sOUihrIxTBIE

Osaghae, Eghosa E,"Fragile States." *Development in Practice,* N17, November, 2010, 691-699.
https://www.tandfonline.com/journals/cdip20

Stewart Frances, Graham Brown, "Fragile States." *University of Oxford* (January), 2009.
https://ora.ox.ac.uk/objects/uuid:fb74a3ff-c2fd-4302-82af-c9fb6cf98821

"შრომები"№ 2 (2024)
WWW.PAPERS.ETA.EDU.GE/INDEX.PHP/PAPERS

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლი საერთაშორისო ურთიერთობებში

სერგო თევზაძე[1]
DOI: https://doi.org/10.61446/pa.2.2024.8421

აბსტრაქტი

თემაში **„გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლი საერთაშორისო ურთიერთობებში"** განხილულია, აღნიშნული ორგანიზაციის დაარსებისა და განვითარების ისტორიული წინამძღვრები, საქმიანობის მიმართულებების მრავალფეროვნება და მისი როგორც ორგანიზაციის, ასევე საქმიანობის განვითარების ეტაპები, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში განხორციელებული სამშვიდობო მისიები, რომლებიც განსაზღვრავს მისი ჩართულობის აუცილებლობას მსოფლიო მშვიდობის შენარჩუნებაში.

მნიშვნელოვანი ყურადღებაა მიპყრობილი მსოფლიო მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებაში შეტანილ წვლილზე, რომელსაც ის ახორციელებს დაპირისპირებულ მხარეებს შორის საომარი მოქმედებების დასრულების შემდგომ, განიარაღების, დემობილიზაციის და რეინტეგრაციის პროცესებით, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული პროგრამების განხორციელებით. თემაში ნათლადაა წარმოჩენილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძლიერი და სუსტი მხარეები, მათი გავლენა ორგანიზაციაზე და მის მიერ განხორციელებულ პროექტებზე და პროგრამებზე, ასევე მსოფლიო საზოგადოების აზრზე და შეხედულებებზე საერთაშორისო ორგანიზაციასთან მიმართებაში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობა ხაზს უსვამს შეიარაღებული კონფლიქტების შემდგომ პერიოდში, მშვიდობაზე და სტაბილურობაზე ორიენტირებული მოქმედებების განხორციელების მნიშვნელობას, პოლიტიკური და სამოქალაქო ორგანიზაციების განვითარების აუცილებლობას და ადამიანის უფლებების უპირობო დაცვას.

ნაშრომში, ასევე განხილულია ორგანიზაციის საქმიანობის თავსებადობა და თანამშრომლობა სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მის წინაშე მდგარი სირთულეები და გამოწვევები, ასევე მასთან თანამშრომლობის აუცილებლობის წინაპირობები და საქმიანობის მიმართულებების თავისებურებები, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლის და საჭიროების ზრდა მსოფლიო მშვიდობისა და სტაბილურობის ხანგრძლივი დროით შენარჩუნების საქმეში.

საკვანძო სიტყვები: გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, მსოფლიო მშვიდობა, სტაბილურობა, უსაფრთხოება, საერთაშორისო ორგანიზაციები, შეიარაღებული კონფლიქტი, ადანიანის უფლებები.

[1] კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტი

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

The role of the United Nations in international relations

Sergo Tevzadze[2]
DOI: https://doi.org/10.61446/pa.2.2024.8421

Abstract

The topic "The role of the United Nations in international relations" discusses the historical precedents of the establishment and development of the mentioned organization, including the diversity of its activities and the stages of development of both the organization and its activities, the peace missions carried out in different parts of the world, determining the necessity of its involvement in maintaining world peace.

Significant attention is paid to the contribution made to the maintenance of world peace and stability, carried out after the end of hostilities between the opposing parties, through the processes of disarmament, demobilization and reintegration, through the implementation of political, economic, social and cultural programs. The topic clearly shows both the strengths and weaknesses of the United Nations Organization, their impact on the organization and the projects and programs implemented by it, as well as the opinion and views of the world community in relation to the international organization. The activities of the United Nations emphasize the importance of implementing actions focused on peace and stability in the post-conflict period, the need for the development of political and civil organizations, and the unconditional protection of human rights.

The paper also discusses the compatibility and cooperation of the organization's activities with other international organizations, difficulties and challenges, the prerequisites for cooperation with it and the peculiarities of the directions of activity, as well as the growth of the role and need of the United Nations in maintaining world peace and stability for a long time.

Key words: The United Nations, world peace, stability, security, international organizations, armed conflict, human rights.

[2]Doctoral student of the political science doctoral educational program of the Caucasus International University, Faculty of Social Sciences

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

შესავალი

მშვიდობა, სტაბილურობა, განვითარება მსოფლიოს ნებისმიერი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი საზრუნავია, რაც მოითხოვს დიდ ძალისხმევას და შესაბამის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და სამხედრო თანამშრომლობას სხვა სახელმწიფოებთან. ინდივიდუალურ თუ სახელმწიფოებრივ დონეზე მშვიდობის შენარჩუნება დაკავშირებულია კომპლექსურ მოქმედებებთან, რომელიც თავის თავში გულისხმობს არა მხოლოდ სახელმწიფოს სამხედრო სიძლიერეს, არამედ საერთაშორისო დონეზე მიღწეულ შეთანხმებებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სავაჭრო და სამხედრო კუთხით.

სახელმწიფოები, რომლებიც მიდრეკილნი არიან მილიტარიზაციისაკენ ქმნიან გარკვეულ დაძაბულობას სხვა სახელმწიფოებისათვის, მომავალში შესაძლო ახალი კონფლიქტური კერების წარმოქმნის თვალსაზრისით, რადგან მილიტარიზაცია არ გულისხმობს მხოლო და მხოლოდ თავდაცვითი შეიარაღების მატებას, ის ასევე გულისხმობს თავდასხმითი შეიარაღების რაოდენობრივ ზრდასაც. ყოველივე ეს კი ქმნის ამა თუ იმ სახელმწიფოებს შორის შეიარაღების დისბალანსს და შესაბამისად წარმოშობს გარკვეულ საფრთხეებს, რომლებიც დაკავშირებულია ქვეყნების ამბიციურ ხედვებთან, სამხედრო ძალის გამოყენებით ტერიტორიების გაფართოვების, ბუნებრივი რესურსების ხელში ჩაგდების მიზნით.

მსოფლიოში სამხედრო ინტერვენციის უამრავი მაგალითი არსებობს, რომელთა საწყისი ეტაპი, უშუალოდ საბრძოლო მოქმედებებში ჩართვამდე, იყო მილიტარიზაციის საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი, რამაც უმეტეს შემთხვევებში მოსალოდნელი შედეგები გაამართლა. რათქმაუნდა ქვეყნის სამხედრო სიძლიერის შექმნას და მის შენარჩუნებას, უამრავი მატერიალური რესურსი და დიდი ფინანსური მხარდაჭერა სჭირდება, რაც მეტყველებს მილიტარიზაციის პროცეში მყოფი ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალზე. თუმცა მსოფლიოში წარმოდგენილია რიგი სახელმწიფოები, რომელთა სამხედრო სიძლიერე აშკარაა, მაგრამ სოციალური ფონი ამავე სახელმწიფოებში საკმაოდ დაბალია. სახელმწიფო მართველობის პრაქტიკამ ცხადყო, რომ თუ ქვეყანა უფრო მეტ ფინანსებს ხარჯავს ქვეყნის სამხედრო სიძლიერის გაუმჯობესებაში ან შენარჩუნებაში და ამავე დროს უგულვებელყოფს ქვეყანაში სოციალური განვითარების მიმართულებების უზრუნველყოფას, ამან შესაძლოა სახელმწიფო მიიყვანოს ნეგატიურ შედეგებამდე.

დაბალი სოციალური ფონის შედეგი, შეიძლება იყოს მუდმივი დაძაბულობა ქვეყნის შიგნით, მასობრივი გამოსვლები, გაფიცვები, მიგრაცია, სამოქალაქო ომი და სხვა თანმდევი ნეგატიური მოვლენები, ამიტომ გამოსავალი აღნიშნული სიტუაციიდან ავტორიტარული მმართველობის რეჟიმია, ანუ ტოტალური სახელმწიფო კონტროლი, რეპრესიები და ძალადობრივი გზით ძალაუფლების შენარჩუნება, რომელსაც მიმართა-

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ვენ მსოფლიოს რიგი სახელმწიფოები, არა მხოლოდ საკუთარ ქვეყნებში, არამედ მათ დაინტერესების არეალში არსებულ სხვა სახელმწიფოებშიც.

მე-20 საუკუნეში მსოფლიოში განვითარებულმა მოვლენებმა აიძულა მსოფლიო საზოგადოება ეზრუნათ მშვიდობის უზრუნველყოფაზე, განსაკუთრებით პირველი და მეორე მსოფლიო ომების დასრულების შემდეგ, რომლებმაც მსოფლიო განვითარების ისტორიაზე დიდი გავლენა მოახდინეს. გამომდინარე აქედან მომავალში ამგვარი სისხლისმღვრელი და დამანგრეველი ომების თავიდან აცილების მიზნით, სხვადასხვა ქვეყნების მმართველებმა და პოლიტიკურმა წრეებმა სცადეს ერების გაერთიანება, რომლებიც მომავალში საერთაშორისო ორგანიზაციების სახით იქნა წარმოდგენილი. ამგვარი ორგანიზაციების და კავშირების მთავარი საზრუნავი მსოფლიო მშვიდობის და სტაბილურობის შენარჩუნება უნდა ყოფილიყო, თუმცა როგორც სამყაროში ვერ იქნება ყველაფერი იდეალური და სრულყოფილი, ზუსტად ასე მოხდა საერთაშორისო ორგანიზაციების შემთხვევაშიც, რადგან არსებობს განსხვავებული მოსაზრებები და შეხედულებები მშვიდობასთან და სტაბილურობასთან დაკავშირებით.

თემის აქტუალურობას განსაზღვრავს მსოფლიოში უსაფრთხოებისა და სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი თანაცხოვრების კუთხით არსებული გამოწვევები, ჩიხში შესული სამშვიდობო მოლაპარაკებები, გაყინული კონფლიქტები, რომლებიც საჭიროებენ მუდმივ მონიტორინგს, მათი ესკალაციის თავიდან აცილების მიზნით და რათქმაუნდა საერთაშორისო ორგანიზაციების როლს აღნიშნული პრობლემების მოგვარების ჭრილში, ასევე სოციალურ-ეკონომიკური კრიზისები და ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.

თემის ძირითადი მიზნებია შევისწავლოთ და გავაანალიზოთ თუ რამდენად მნიშვნელოვანია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩართულობა და მედიატორის როლის შესრულება არსებულ კონფლიქტებში, ასევე სახელმწიფოების სოციალური, კულტურული და ეკონომიკური მხარდაჭერა.

თემის ამოცანებია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობის ანალიზი, მისი შესწავლა და საერთაშორისო ურთიერთობებში ჩართულობის მნიშვნელობის განსაზღვრა.

თემის მიზნებში და ამოცანებში ჩამოთვლილი შესასწავლი საკითხები საშუალებას მოგვცემს საფუძლიანად შევისწავლოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძლიერი და სუსტი მხარეები, მისი საქმიანობის სპეციფიკა და მიმართულებები. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში განვითარებულ მოვლენებში ჩართულობის დონეები, ხარისხი და ინტენსივობა. გამოვკვეთოთ მისი საქმიანობის უარყოფითი და დადებითი მხარეები, გავიგოთ და გავაანალიზოთ მისი საქმიანობის კონკრეტული მიმართულებები.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩამოყალიბების ისტორიული მიმოხილვა

1.ორგანიზაციის შექმნის წინაპირობები

მეორე მსოფლიო ომმა შექმნა კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციების შექმნის აუცილებლობის წინაპირობა, რაც გამოწვეული იყო ომის შედეგად გამოწვეული მსხვერპლის რაოდენობიდან, დამანგრეველი შედეგებიდან და თვით ომის მასშტაბურობიდან. აღსანიშნავია ისიც, რომ ამგვარ გაერთიანებებს ადგილი ჰქონდა უფრო ღრმა წარსულშიც, როდესაც 1814-1815 წლებში ვენის კონგრესმა „საღვთო კავშირი" შექმნა, რომელიც იმდროინდელი მსოფლიოს უსაფრთხოებისა და მშვიდობის გარანტორი უნდა ყოფილიყო, ასევე 1919 წელს „ერთა ლიგის" შექმნა, რომელიც წარმოადგენდა კიდევ ერთ მცდელობას კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციის შექმნისა, თუმცა ვერცერთმა ზემოთხსენებულმა კავშირმა ვერ გაუძლო დროის გამოცდას. 1942 წლის 1 იანვარს ხელი მოეწერა გაერთიანებული ერების დეკლარაციას, რომელშიც გაერთიანებული იყო ნაცისტური გერმანიის წინააღმდეგ მებრძოლი სახელმწიფოები, ხოლო 1943 წლის 30 ოქტომბერს მოსკოვის კონფერენციაზე საბჭოთა კავშირმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა ხელი მოაწერეს საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნას, რომელიც საბოლოოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციად ჩამოყალიბდა 1945 წლის 26 ივნისს სან - ფრანცისკოს კონფერენციაზე, სადაც ორგანიზაციის წესდებას ხელი მოაწერა 50 სახელმწიფომ. 1945 წლის 24 ოქტომბერს კი ძალაში შევიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნის აუცილებლობა გარკვეულწილად განაპირობა, 1919 წელს შექმნილი კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციის „ერთა ლიგის" პოლიტიკურმა და ორგანიზაციულმა ქმედუუნარობამ, რომელმაც ვერ მოახდინა მეორე მსოფლიო ომის თავიდან ასაცილებლად შესაბამისი პრევენციული ქმედებების განხორციელება.[3]

2. ორგანიზაციის სტრუქტურა და საქმიანობის მიმართულებები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციას გააჩნია საკმაოდ დიდი ფუნქციური სტრუქტურა,[4] სადაც ყველა სტრუქტურულ ერთეულს აქვს თავის საქმიანობის სპეციფიური მიმართულებები, რომლებიც საერთო ჯამში მიმართულია მსოფლიო მშვიდობისკენ და სტაბილურობის შენარჩუნებისკენ, ესენია:

გენერალური ანსამბლეა;
უშიშროების საბჭო;
ეკონომიკური და სოციალური საბჭო;

[3] ასანიშვილი ფ. „გაერთიანებული ერების ორგანიზაცია". ჩემი სამყარო ჟურნალი ახალგაზრდებისთვის. მე-5 გამოცემა 2014 გვ. 50-57 file:///C:/Users/pc/Desktop/5.%20undp.pdf ბ.ნ, 15.06.2024.

[4] კევლიშვილი ე. ალექსანდრია ნ. მუშკუდიანი ნ. „საერთაშორისო ორგანიზაციების ზოგადი მიმოხილვა და მათი თანამშრომლობა საქართველოსთან" საქართველოს ეკონომისტთა ასოციაცია თბ. 2005. გვ. 5-10 http://www.economists.ge/storage/uploads/publication/141230120627518f.pdf ბ.ნ, 15.06.2024

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

სამეურვეო საბჭო;
საერთაშორისო სასამართლო;
სამდივნო;
გაეროს დამხმარე ორგანოები - მსოფლიო სასურსათო საბჭო, გაეროს განვითარების პროგრამა, გაეროს ბავშვთა ფონდი;
გაეროს სპეციალიზებული დაწესებულებები - მსოფლიო ბანკი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, იუნესკო, იუნიდო;
საერთაშორისო ორგანიზაციები - ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია.

ზემოთ ჩამოთვლილი სტრუქტურული ერთეულები, მათი საქმიანობის მიმართულებები და მასში შემავალი სხვადასხვა ორგანიზაციები ქმნიან უნივერსალური ორგანიზაციის მოდელს დიდი გავლენებით და მსოფლიო წესრიგის შექმნისათვის სტრატეგიულ და გლობალურ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების აშკარა პოტენციალით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობის მიმართულებები მრავალმხრივია და მოიცავს საქმიანობის ფართო სპექტრს, რომელშიც იგულისხმება:[5]

მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნება (სამშვიდობო და სადამკვირებლო მისიები).

ქვეყნებს შორის მეგობრული კავშირების განვითარება (მედიატორის როლის შესრულება და პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობა).

ეკონომიკური, კულტურული და ჰუმანიტარული ხასიათის პრობლემებზე თანამშრომლობა (განვითარებაზე მიმართული გრანტები, პროგრამები, პროექტები).
ადამიანთა უფლებებისა და თავისებურებებისადმი პატივისცემის წახალისება მიუხედავათ მათი რასის, სქესის, ენისა და რელიგიისა (არასამთავრობო ორგანიზაციების ფინანსური და საგანმანათლებლო მხარდაჭერა, მონიტორინგი).

3. ორგანიზაციის საქმიანობის არეალი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თავდაპირველი მიზანი იყო მომავალში მსოფლიო ომების დონის კონფლიქტების თავიდან აცილება და პრევენცია, თუმცა შემდგომ ორგანიზაციის წევრმა ქვეყნებმა ყურადღება გაამახვილეს საერთაშორისო ვაჭრობაზე და წევრი ქვეყნების ეკონომიკურ აღმავლობაზე, რაც აუცილებელ პირობას წარმოადგენდა მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, ომის შედეგად ფიზიკურად განადგურებული სახელმწიფოებისა და მათი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით. გამომდინარე აქედან მათ აიღეს ვალდებულება ორგანიზა-

[5] კევლიშვილი ე. ალექსანდრია ნ. მუშკუდიანი ნ. „საერთაშორისო ორგანიზაციების ზოგადი მიმოხილვა და მათი თანამშრომლობა საქართველოსთან" საქართველოს ეკონომისტთა ასოციაცია თბ. 2005. გვ. 12-16 http://www.economists.ge/storage/uploads/publication/141230120627518f.pdf ბ.ნ, 15.06.2024

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ციის საზღვრებში დახმარებოდნენ მეზობელ ქვეყნებს და საჭიროების შემთხვევაში თვითონაც მიეღოთ გარკვეული სახის დახმარება, რაც ნიშნავდა წევრი ქვეყნების ერთმანეთთან სავაჭრო სივრცეში ინტეგრირებას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამოქმედო არეალი[6] მოიცავს მთელ მსოფლიოს, რადგან თუ გადავხედავთ მათ მონაწილეობას აქამდე არსებულ კონფლიქტებში მივხვდებით, რომ მათი მისიები მოიცავს სამხრეთ ამოსავლეთ ევროპას, ბალკანეთის ნახევარ კუნძულს, სამხრეთ აღმოსავლეთ აზიას, კავკასიას, ახლო აღმოსავლეთს, ჩრდილოეთ აფრიკას, აღმოსავლეთ აფრიკას, დასავლეთ აზიას, ცენტრალურ აფრიკას, ცენტრალურ ევროპას და ა.შ. აღსანიშნავია, ასევე ის ფაქტიც, რომ მსოფლიოში არსებობს გარკვეული ტერიტორიები სადაც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია არასასურველი აქტორია და მისი საქმიანობა სრულადაა შეზღუდული.

ზემოთ ჩამოთვლილი ლოკალური თუ რეგიონალური კონფლიქტებში მონაწილეობა მოითხოვს უზარმაზარ ფინანსებს, დიდი რაოდენობით მატერიალურ საშუალებებს და ცოცხალ ძალას, რაშიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ეხმარება თავისი წევრი სახელმწიფოები, რომლებიც ახორციელებენ ყოველწლიურ შენატანებს ორგანიზაციის ბიუჯეტში. შესაბამისად ორგანიზაციის სამოქმედო არეალის გაზრდა და საქმიანობის ხარისხი დამოკიდებულია წევრი სახელმწიფოების დაფინანსებებზე და ამ სახელმწიფოების მიერ წარმოდგენილი სამხედრო კონტიგენტის რაოდენობაზე.
ამჟამად გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაერთიანებულია 193 ქვეყანა, რომელთაგანაც ყველაზე მსხვილ გადამხდელებს წარმოადგენენ ამერიკის შეერთებული შტატები, იაპონია, გერმანია, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლი კონფლიქტების მართვაში

1. კონფლიქტების მართვა და ესკალაციის პრევენცია

გაერთიანებული ერების ორგანიზაციას გააჩნია სამშვიდობო ძალები, რომლებსაც მოიხსენიებენ როგორც ცისფერჩაფხუტიანებს. სამშვიდობო ძალების ძირითადი მიზნებია შეინარჩუნონ ან დაამყარონ მშვიდობა კონფლიქტურ რეგიონებში. კონფლიქტების მართვა სამშვიდობო ძალების მიერ ხდება დაპირისპირებულ მხარეებთან შუამავალის ფუნქციის შესრულებით და მოლაპარაკებების დაწყების გზით, რაზეც პირველ რიგში საჭიროა ორივე დაპირისპირებული მხარის თანხმობა და შემდეგ უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილება სამშვიდობო მისიაში ჩართვის სრული ლეგიტიმიზაციისათვის. გამომდინარე იქედან, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას არ გააჩნია შეიარაღებული ძალები ან პოლიციური დანაყოფები, ის ამ კუთხით დახმარებას თხოვს

[6] ირემაძე გ. „საერთაშორისო ორგანიზაციები" გამომცემლობა „უნივერსალი" თბ. 2014. გვ. 65-68 https://loria.bsu.edu.ge/e-books/book_226.pdf ბ.ნ, 16.06.2024

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს სამხედრო და პოლიციური კონტიგენტის მობილიზებისათვის, სამომავლოდ მათი სამშვიდობო ოპერაციებში ჩართვის მიზნით.[7]

კონფლიქტების მართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის[8] მიერ ხდება გაეროს განვითარების პროგრამის (United Nations Development Programme) და გაეროს სამშვიდობო ოპერაციების დეპარტამენტის (United Nations Department of Peace Operations) მეშვეობით, რომელიც მოიცავს უსაფრთხოების სექტორის განვითარებას, კრიზისების პრევენციის, სიღარიბის დაძლევის, კრიზისიდან გამოსვლის და დემოკრატიული მმართველობის გაძლიერების სფეროებში. უსაფრთხოების სექტორის განვითარება და გაძლიერება, ასევე ხელს უწყობს კონფლიქტების ესკალაციის პრევენციას, იმ შემთხვევაში თუ კონფლიქტში ჩართული ორივე მხარე მყარად იცავს ნაკისრ ვალდებულებებს მშვიდობის უზრუნველსაყოფად.

უსაფრთხოების სექტორის რეფორმასთან დაკავშირებული საქმიანობა მიმართულია ეროვნული ხელისუფლების მხარდაჭერისაკენ და გულისხმობს:[9]

- ეროვნულ დონეზე უსაფრთხოების სექტორის რეფორმის მხარდაჭერას;
- უსაფრთხოების ეროვნული პოლიტიკის, სტრატეგიის და გეგმების შემუშავებას;
- ზედამხედველობის, მართვის და კოორდინაციის უნარ-ჩვევების გაძლიერებას;
- უსაფრთხოების სექტორის კანონმდებლობის ჩამოყალიბებას;
- უსაფრთხოების სექტორის რეფორმასთან დაკავშირებული პროექტებისათვის რესურსების მობილიზაციას;
- უსაფრთხოების სექტორის რეფორმისთვის საერთაშორისო დახმარების ჰარმონიზაციას;
- სწავლებებს, ტრეინინგებს და ინსტიტუციურ განვითარებას;
- პროგრამების და მიღწეული შედეგების მონიტორინგს და შეფასებას;
- თავდაცვის სექტორის რეფორმის გატარებას.

მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა არ არის დამოკიდებული მხოლოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეფექტურ საქმიანობაზე, აღნიშნულ საქმიანობაში აუცილებელია დაპირისპირებულ მხარეთა სახელისუფლებო ორგანოების და საზოგადოების აქტიური ჩართულობა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სადამკვირებლო მისიასთან ერთად, რომლებიც მუდმივ რეჟიმში უზრუნველყოფენ ცეცხლის შეწყვეტის მონიტორინგს, მხარეთა შორის მოლაპარაკებების უწყვეტობას, სამხედროებისა და კომბდანტების განიარაღების, დემობილიზაციის და რეინტეგრა-

[7] ირემაძე გ. „საერთაშორისო ორგანიზაციები" გამომცემლობა „უნივერსალი" თბ. 2014. გვ. 44-60 https://loria.bsu.edu.ge/e-books/book_226.pdf ბ.ნ, 16.06.2024

[8] ნაიბოვი პ. საერთაშორისო ორგანიზაციები. „საერთაშორისო კონფლიქტებზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლი" თბ. 2016. https://is.gd/iT55Gr

[9] ჟენევის უსაფრთხოების სექტორის მართვის ცენტრი „კეთილსინდისიერება უსაფრთხოების სექტორში" საერთაშორისო ორგანიზაციები https://securitysectorintegrity.com/ka/ ბ.ნ, 17.06.2024.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ციის პროცესებს, ჰუმანიტარულ დახმარებას, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემასა და დაცვას. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მოქმედებები კომპლექსური ხასიათისაა და მათგან რომელიმე ერთერთის შეუსრულებლობა, გრძელვადიან პერსპექტივაში გამოიწვევს მშვიდობის შენარჩუნებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში გაწეულ სამუშაოებში გარკვეულ ხარვეზებს, რაც საბოლოოდ გამოიღებს არასრულყოფილ შედეგს.

2. ორგანიზაციის სუსტი და ძლიერი მხარეები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტრუქტურიდან, საქმიანობის მიმართულებებიდან და მოქმედების არეალიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ორგანიზაცია წარმოადგენს მსოფლიო მშვიდობისა და უსაფრთხოების გარანტს, თუმცა ორგანიზაციას, როგორც სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს გააჩნია გარკვეული სუსტი და ძლიერი მხარეები,[10] რომლებიც დროთა განმავლობაში აშკარა და უდაო გახდა. გაეროს მიერ კონფლიქტურ მხარეებს შორის მშვიდობის შენარჩუნება შესაძლოა ითქვას, რომ გარკვეულ წილად წარმატებული საქმიანობაა, მაგრამ პრობლემის სრულად აღმოფხვრა და გრძელვადიანი მშვიდობის უზრუნველყოფა პრობლემად რჩება. ამის ნათელი მაგალითებია:

კოსოვოს რეგიონში ჯერ კიდევ არასტაბილური ვითარება, რომლის მოგვარებაშიც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ჩაერთო 1999 წლიდან, მაგრამ დაძაბულობა და მცირე ლოკალური კონფლიქტები კვლავ აქტუალურია;[11]

კვიპროსის კონფლიქტი,[12] რომელიც 1963 წლიდან გაყინულია და ამ პრობლემის მოგვარებაში გაერთიანებული ერების ორგანიაზცია ჩართულია 1964 წლიდან, თუმცა ყველა ქმედითი ნაბიჯები კვიპროსის ტერიტორიის 35%, რომელიც ოკუპირებულია თურქეთის მიერ, მისი სამართალმემკვიდრის კვიპროსის შემადგენლობაში ჯერაც არ დაბრუნებულა და პირიქით გაერთიანებული ერების ოგანიზაციის მიერ პრობლების მოგვარების და მხარეთა დაშორიშორების მოტივით შეიქმნა ბუფერული ზონა „მწვანე ხაზი" რის საფუძველზეც კვიპროსი გაიყო ჩრდილოეთ თურქულ და სამხრეთ ბერძნულ ნაწილებად. ამგვარმა უხეშმა გაყოფამ კი საერთოდ მოშალა თურქულ და ბერძნულ თემებს შორის ფიზიკური და სოციალური ურთიერთობები, რამაც ფაქტიურად არსებული კონფლიქტის მოგვარება ხანგრძლივი დროის განმავლობაში შეუძლებელი გახადა;

[10] კონფლიქტების და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი (ICCN) მდგრადი მშვიდობის ძიებაში: სამხრეთ კავკასიაში მშვიდობის მშენებლობის თემატური კვლევა" გვ. 1-18 https://is.gd/gTmDAt ბ.ნ, 17.06.2024.

[11] კეკელიანი გ. „ჰუმანიტარული ინტერვენცია" ივნისი 2019. https://www.researchgate.net/publication/339952774_humanitaruli_interventsia_kosovoshi_UNMIK 17.06.2024.

[12] Mirbagheri F. „The United Nations and The Cyprus problem" გვ. 149-157 file:///C:/Users/pc/Downloads/aodonoghue,+Journal+manager,+TCR+2010+22.2+pp.+149-158.pdf ბ.ნ, 17.06.2024.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

აფხაზეთის და სამაჩაბლოს კონფლიქტი[13], რომელშიც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ჩართულია 1993 წლიდან, შეიძლება ითქვას გაყინული კონფლიქტებია რადგან მხარეებს შორის ურთიერთობების დარეგულირება ჩიხშია შესული. აღნიშნულ შემთხვევაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შემავალი ორი დაპირის-პირებული ქვეყნიდან კონფლიქტის მოგვარებაში დაინტერესებულია მხოლოდ ერთი მხარე, რაც აჭიანურებს პრობლემის მოგვარებას.

ეს არის მცირედი მაგალითები მსოფლიოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მოუგვარებელი კონფლიქტებისა, რომელთა მოგვარების სამომავლო პერსპექტივა გაურკვეველი რჩება. გარდა ამისა ორგანიზაციის სუსტ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს მისი ინსტიტუციური მოწყობის კონკრეტული გარემოებები, როგორიცაა 5 მუდმივი წევრი სახელმწიფოს ვეტოს უფლება, რომლებსაც წარმოადგენენ რუსეთის ფედერაცია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი და ამერიკის შეერთებული შტატები. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ჩამოთვლილ ქვეყნებიდან ყველას გააჩნია თავისი ინტერესები მსოფლიოს მასშტაბით და ყველა ეს ქვეყანა იყო და არის იმპერიალის-ტური შეხედულებების მატარებელი. გამომდინარე აქედან ცხადია როგორ ასუსტებს გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ძალაუფლების ამგვარი გადანაწილება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კიდევ ერთი ნაკლი, მდგომარეობს მომავალში შესაძლო შეიარაღებული კონფლიქტების თავიდან აცილების და ამისათვის ქმედითი ნაბიჯების გარკვეულ სიტუაციებში დრო-ულად გადადგმის უუნარობა, მაგალითად რაც მოხდა ვიეტნამის შემთხვევაში, 1956 წელს უნგრეთში და 1968 წელს ჩეხოსლოვაკიაში, რომელთა პრევენციისათვის ორგა-ნიზაციის მიერ ვერ იქნა გადადგმული შესაბამისი ქმედითი ნაბიჯები.

რათქმაუნდა არ შეიძლება არ ავღნიშნოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დიდი წვლილი მსოფლიო მშვიდობის გაუმჯობესებაშიც, რაზეც მეტყველებს მსოფლი-ოს ათეულობით ქვეყანაში სამშვიდობო მისიების განხორციელება, რომელთა დიდი ძა-ლისხმევით მოხდა შეიარაღებული კონფლიქტების პროცესის შეჩერება და მათი უფრო ჰუმანურ ფაზაში, რაც გულისხმობს მოლაპარაკებების და გარკვეულ მიმართულებებ-ზე დათმობითი ხასიათის ურთიერთობებზე გადაყვანას, ასევე სახელმწიფო ინსტიტუ-ტების კონფლიქტის შემდგომ განვითარებას, მებრძოლების განიარაღებას, რეინტეგ-რაციას და დემობილიზაციას და სხვა სოციალური პროექტების განხორციელებას[14].

[13] ხარებავა გ., ჯოხაძე გ., დავლიანიძე ხ. „გაეროს ჩართულობა კვიპროსისა პრობლრმისა და აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხში". შედარებითი ანალიზი. თბ. 2020. გვ. 15-18, 29-36, 37-45. https://ugsp.ug.edu.ge/images/publication.pdf ბ.ნ, 19.06.2024.

[14] დე სენარკლენ პ. არიფენ ი. საერთაშორისო პოლიტიკა „თანამედროვე თეორიები და ამოცანები" V გამოცემა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი თბ. 2014. გვ. 144-186 https://is.gd/LWNz5Q ბ.ნ,19.06.2024.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

3.ორგანიზაციის წინაშე არსებული გამოწვევები

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინაშე უამრავი გამოწვევაა, რომლებიც დაკავშირებულია ორგანიზაციის მიერ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმების შემუშავების სტრატეგიასთან, აგრესორი სახელმწიფოების მიმართ უფრო ხისტი და შედეგზე გათვლილი მოქმედებების შემუშავებასთან, გაყინული და ჩიხში შესული კონფლიქტების დარეგულირების ახალი გზების მოძიებასთან, განსახორციელებელი სოციალური და ეკონომიკური პროგრამების ეფექტურობასთან.

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების ფონზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინაშე არსებული გამოწვევები[15], ასევე მოიცავს მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტებს, კლიმატურ კატაკლიზმებს, მზარდ სიღარიბეს და უთანასწორობას, ასევე სახელმწიფოებს შორის მტრულ ურთიერთობებს, რაც ბოლო დროს რუსეთის უკრაინაზე თავდასხმამ კიდევ უფრო გააღრმავა. აღნიშნულ გამოწვევებზე რეაგირებისათვის და ადეკვატური ზომების მიღებისათვის საჭიროა შესაბამისი რესურსების და ფინანსური მხარდაჭერის მოძიება, რაც ემატება ორგანიზაციის წინაშე მდგარ გამოწვევების რიცხვს და წარმოადგენს ორგანიზაციის წარმატების ერთერთ მნიშვნელოვან ფაქტორს.

სირიის სამოქალაქო ომმა და რუსეთ - უკრაინის მიმდინარე შეიარაღებულმა კონფლიქტმა ნეგატიური ზეგავლენა მოახდინა ძირითადად აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის სახელმწიფოებზე,[16] რადგან მოცემულმა ომებმა წარმოშვა ეკონომიკური კრიზისის გაღრმავებასთან,[17] მასიურ მიგრაციასთან, სასურსათო კრიზისთან დაკავშირებული საფრთხეები, რომლებმაც დააზარალეს არა მხოლოდ კონფლიქტში ჩაბმული მხარეები, არამედ მის სამეზობლო ველში და ამ ქვეყნებთან პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სავაჭრო და სოციალურ შემხებლობაში მყოფი სხვა სახელმწიფოებიც.

მნიშვნელოვანი გამოწვევებად, ასევე რჩება ტერორისტული ორგანიზაციებისსიმრავლე და მათი დანაშაულებრივი საქმიანობის ფართო სპექტრი,[18] რაც დიდ პრობლემას წარმოადგენს თანამედროვე მსოფლიოში. მნიშვნელოვანი სირთულეებია, აგრეთვე ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის გაუვრცელებლობის საკითხებთან, რაც გარკვეულწილად უკონტროლო ხასიათს ატარებს და მისი მუდმივი მონიტორინგის განხორციელება უამრავ პრობლემატურ საკითხებთანაა დაკავშირებული.

---

[15] International Crisis Group. „Ten Challenges for The UN in 2023-2024". New York/Brussels 14.09.2023. https://www.crisisgroup.org/global/sb11-ten-challenges-un-2023-2024 ბ.ნ, 18.06.2024.

[16] ბატიაშვილი ზ. „სირიის სამოქალაქო ომი რეგიონული უსაფრთხოების კონტესტში" 27.06.2017. https://gfsis.org.ge/ge/blog/view/723 ბ.ნ, 18.06.2024.

[17] დელეგაციის პრესისა და ინფორმაციის გუნდი GEORGIA. „უკრაინაში რუსეთის ომის შესახებ თორმეტი გაქარწყლებული მითი" 27.02.2023 .https://is.gd/a3GLLf ბ.ნ, 18.06.2024.

[18] თოხაძე მ. „2020 წლის მსოფლიო ტერორიზმის ტენდენციების მიმოხილვა" თბ. დეკემბერი 2020. https://is.gd/XbQ37n ბ.ნ, 18.06.2020.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ორგანიზაციის ერთერთ მნიშვნელოვან გამოწვევად, რომელიც მის არაეფექტურობას უსვავს ხაზს, შეიძლება ასევე ჩავთვალოთ რესურსების, პირადი შემადგენლობის და ფინანსების არასაკმარისი რაოდენობა, მოქმედებების და გავლენების გაზრდილი არეალი, ასევე მასპინძელი ქვეყნების პოლიტიკურ წრეებთან და საზოგადოებასთან შეუთანხმებლობა გარკვეულ საკითხებზე, რის შედეგადაც ორგანიზაციის საქმიანობის რიგი მიმართულებები მნიშვნელოვანი ხარვეზებით მიმდინარეობს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლი საერთაშორისო ურთიერთობებში

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თავსებადობა და ურთიერთობები სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია და ევროპის კავშირი, ეს ის ორგანიზაციებია, რომელთა მთავარ მიზანს წარმოადგენს მსოფლიო მშვიდობა და უსაფრთხოება, სახელმწიფოების ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, ახალი სავაჭრო და საინვესტიციო გარემოს შექმნა და განვითარება, ადამიანის უფლებათა დაცვა, როგორც წევრ სახელმწიფოებში, ასევე გაწევრიანების მომლოდინე ქვეყნებშიც[19].

მათ წესდებებში, ფუნქციებში, საქმიანობის სფეროებში და მიმართულებებში არსებობს გარკვეული სახის განსხვავებები და გადაკვეთებიც, მაგრამ მიუხედავად ამისა ურთიერთობები მჭიდროა და თავსებადი. აღნიშნული კი გამოიხატება შემდეგში, მაგალითად:

ჩრდილო-ატლანტიკური ერების ორგანიზაციის[20] მთავარი ამოცანაა 31 წევრი სახელმწიფოს თავისუფლებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა პოლიტიკური და სამხედრო კუთხით. გადაწყვეტილებები ორგანიზაციაში მიიღება ყველა წევრი ქვეყნის შეთანხმების საფუძველზე.

ევროპის კავშირის ძირითადი მიზნებია 27 წევრი სახელმწიფოს შიდა ბაზარზე ადამიანების,[21] სერვისების, საქონლისა და კაპიტალის გადაადგილების უზრუნველყოფა. ვაჭრობაში, სოფლის მეურნეობაში და რეგიონალური განვითერების მიმართულებებზე ერთიანი პოლიტიკის წარმართვა, ასევე სამშვიდობო სადამკვირებლო მისიებში მონაწილეობა კონფლიქტის ზონებში, რომელიც მოიცავს დაპირისპირებულ

[19] კევლიშვილი ე., ალექსანდრია ნ., მუშკუდიანი ნ. „საერთაშორისო ორგანიზაციების ზოგადი მიმოხილვა და მათი თანამშრომლობა საქართველოსთან„ თბ. 2005. https://is.gd/pCRQsV ბ.ნ, 20.062024.

[20] ფერაძე ნ., ჯავახიშვილი თ. „საერთაშორისო ორგანიზაციების ზოგადი მიმოხილვა და მათი თანამშრომლობა საქართველოსთან" საქართველოს ეკონომისტთა ასოციაცია თბ. 2005. გვ. 79-84

[21] ნანიტაშვილი მ., ზედელაშვილი ო. „საერთაშორისო ორგანიზაციების ზოგადი მიმოხილვა და მათი თანამშრომლობა საქართველოსთან" საქართველოს ეკონომისტთა ასოციაცია თბ. 2005. გვ. 40-78 http://www.economists.ge/storage/uploads/publication/141230120627518f.pdf ბ.ნ, 20.06.2024

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

მხარეებს შორის ცეცხლის შეწყვეტის მუდმივ მონიტორინგს, შეიარაღების კონტროლს და ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცვას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის[22] ძირითადი მიზნებია საერთაშორისო მშვიდობის დაცვა სამშვიდობო მისიების განხორციელებით, სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობების ხელშეწყობა, ეკონომიკური და სოციალური თანამშრომლობის უზრუნველყოფა საერთაშორისო დონეზე და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვა მათი სქესის, რასის, ენისა და რელიგიის მიუხედავად.

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია[23] - ორიენტირებულია ხანგრძლივი მშვიდობის უზრუნველყოფაზე, მშვიდობისა და უსაფრთხო გარემოს შექმნაზე წევრ სახელმწიფოებში და მთლიანად მსოლიოში, ადამიანის უფლებათა დაცვა და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის უზრუნველყოფა, ასევე მონაწილეობს კონფლიქტის ზონებში სამშვიდობო სადამკვირებლო მისიებში.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საერთაშორისო ორგანიზაციების მიზნებში და ამოცანებში მკაფიოდაა განსაზღვრული მათი ძირითადი საქმიანობის მიმართულებები, რაც აშკარად გვაძლევს ვარაუდის საფუძველს, რომ აღნიშნული ორგანიზაციები ერთ საქმეს ემსახურება, რომელიც პირდაპირ კავშირშია მშვიდობის შენარჩუნებასთან, ეკონომიკურ და სოციალურ აღმავლობასთან, ვაჭრობის განვითარებასთან, ერთიანი პოლიტიკის ჩამოყალიბებასთან, ყოველივე ეს კი მიუთითებს მათ საქმიანობის თავსებადობაზე და მჭიდრო ურთიერთობებზე.

ორგანიზაციის პოლიტიკური, ეკონომიკური, ჰუმანიტარული და კულტურული საქმიანობის თავისებურებები

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პოლიტიკური თავისებურებები გულისხმობს სახელისუფლებო დონეზე რეკომენდაციების გაცემას შესაძლო ინსტიტუციური ცვლილებების შესახებ, ამა თუ იმ კანონების დემოკრატიულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თავსებადობაში მოყვანის მიზნით. ორგანიზაციის პოლიტიკაში ასევე გაერთიანებულია ეკონომიკური, ჰუმანიტარული და კულტურული პროგრამების განხორციელება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ასამაღლებლად. მნიშვნელოვანი ადგილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პოლიტიკურ მისწრაფებებში, ასევე უჭირავს უფლებადამცველთა მდგომარეობის საკითხებს, რომლებიც ლობირებენ ქვეყანში ადამიანის უფლებათა დაცვის მნიშვნელოვან მიმართულებებს, როგორიცაა, მაგალითად მედია საშუალებების საქმიანობის თავისუფლება, ლგბტ თემის უფლებები, გენდერული თანასწორობის დამკვიდრება, ბავშვთა უფლებების დაცვის

[22] კევლიშვილი ე. ალექსანდრია ნ. მუშკუდიანი ნ. „საერთაშორისო ორგანიზაციების ზოგადი მიმოხილვა და მათი თანამშრომლობა საქართველოსთან" საქართველოს ეკონომისტთა ასოციაცია თბ. 2005. გვ. 3-39 http://www.economists.ge/storage/uploads/publication/141230120627518f.pdf ბ.ნ, 20.06.2024

[23] კვირჩილაძე ნ., დეისაძე ს. „საერთაშორისო ორგანიზაციების ზოგადი მიმოხილვა და მათი თანამშრომლობა საქართველოსთან" საქართველოს ეკონომისტთა ასოციაცია თბ. 2005. გვ. 72-78 http://www.economists.ge/storage/uploads/publication/141230120627518f.pdf ბ.ნ, 20.06.2024

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

საკითხები, კანონის უზენაესობის განმტკიცება (ძალოვანი სტრუქტურების გაძლიერება, სასამართლო სისტემის გაუმჯობესება და სამართლიანობაზე დაფუძნებული გარემოს ჩამოყალიბება) და სხვა[24].

ორგანიზაცია ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებას, რადგან ეს არის მშვიდობის შენარჩუნების ერთერთი წინაპირობა. ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობაში იგულისხმება იმ სფეროების განვითარების პროგრამები და პროექტები, როგორიცაა ადგილობრივი მეწარმეობა, ინოვაციები, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული პროფესიული განათლების მიღების და დასაქმების სისტემის ორგანიზება.

ჰუმანიტარული საქმიანობა მოიცავს საგანგებო სიტუაციების სასურსათო მხარდაჭერას, ფულად დახმარებებს, სასიცოცხლოდ აუცილებელი სურსათის, ჯანდაცვის საშუალებების და პირველადი მოხმარების ნივთების საჭიროებისამებრ მიწოდებას, რომელსაც ორგანიზაცია ახორციელებს სხვადასხვა სახელმწიფოებში. აღნიშნულ ჰუმანიტარულ პროგრამებს უშუალოდ ხელმძღვანელობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შემავალი მსოფლიო სასურსათო პროგრამა, რომელიც ჰუმანიტარულ მისიებს ახორციელებს მსოფლიოს 120 ქვეყანაში.

კულტურის განხრით საქმიანობა წარმოადგენს ორგანიზაციის ერთერთ მნიშვნელოვან მიმართულებას, რომელსაც სათავეში უდგას გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (იუნესკო). მისი მიზანია განათლებისა და კულტურის გავრცელების ხელშეწყობა, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემა და მეცნიერების განვითარება, ასევე მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის უზრუნველყოფა.

ამ ქვეთავში განხილული მიმართულებების თავისებურებები მნიშვნელოვან როლს თამაშობს აღმავლობის გზაზე მყოფი სახელმწიფოების კომპლექსურ განვითარებაში. ამგვარი კომპლექსური განვითარების პროგრამები ხელს უწყობს მშვიდობის შენარჩუნებას და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის ხარისხის ამაღლებას, სამუშაო ადგილების შექმნას, განათლების სისტემის დახვეწას, სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას და გრძელვადიან სოციალურ სტაბილურობას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან თანამშრომლობის აუცილებლობის წინაპირობები.

სახელმწიფოებმა, რომლებმაც გაიარეს სამოქალაქო და სამამულო ომების ქარტეხილები, აღმოჩნდნენ ეკონომიკური და სოციალური კოლაფსის წინაშე, ფაქტიურად საწყისი ეტაპიდან იწყებენ ქვეყნის აღმშენებლობისა და სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბების პროცესის გავლას, ამიტომ ამ პროცესების წარმატებით, ხარისხიანად და შედეგზე ორიენტირებული მიზნების განხორციელებისთვის მათ ესაჭიროებათ კვალიფიციური და მრავალხმრივი დახმარებების პაკეტი - პოლიტიკური, სოციალურ-

[24] Bauman O. „How effective is the UN's development support" 11.05.2023. https://devpolicy.org/how-effective-is-un-development-support-20230511/ ბ.ნ, 21.06.2024.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ეკონომიკური, სავაჭრო, ჰუმანიტარული და სამხედრო მიმართულებების განვითარების მიზნით. ასეთი სახის მხარდაჭერა უპირველესყოვლისა მიმართულია ქვეყნის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის განმტკიცების, ხანგრძლივი მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნების, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების და სავჭრო ურთიერთობების განვითარებისაკენ.

თანამედროვე მსოფლიოში სახელმწიფოების მშვიდობიან გარემოში სტაბილური განვითარების გარანტორებია სახელმწიფოთა შორის არსებული მრავალმხრივი და მრავალპროფილიანი მჭიდრო კავშირები, ასევე მსოფლიოს საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელთაგანაც ერთერთი მნიშვნელოვანი ორგანიზაციაა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ შექმნიდან დღემდე უამრავი ასეთი პროექტები განახორციელა და შესაძლებლობა მისცა უკიდურესი სიღარიბის ზღვარზე მდგარ ბევრ ქვეყანას არსებული პრობლემების ნაწილობრივ ან სრულ დაძლევაში. მსოფლიო საზოგადოებაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიმართ განსხვავებული შეხედულებებია მისი საქმიანობის ეფექტურობის თვალსაზრისით, რომელიც უკავშირდება მის მიერ განხორციელებულ სამშვიდობო მისიებს, სოციალურ-ეკონომიკური მხარდაჭერის პროგრამებს და თვით ორგანიზაციის საკანონმდებლო ბაზას. შეხედულებები და მოსაზრებები მოიცავს, როგორც კრიტიკას ასევე დადებით შეფასებებსაც, რაც სრულიად მისაღებია და სამართლიანი, თუმცა მედალს ორი მხარე აქვს, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია ისეთი ორგანიზაციის საქმიანობაში, რომლის საქმიანობა ცდება ერთ კონკრეტულ სახელმწიფოში ან ერთ კონტინენტზე განვითარებულ ნეგატიურ მოვლენებში ჩართულობას. ორგანიზაციამ უნდა გაითვალისწინოს, ასევე სხვადასხვა ადათების, კულტურისა და წესჩვეულებების მქონე ერებთან ურთიერთობების თავისებურებებიდან გამომდინარე წარმოშვებული კომუნიკაციის პრობლემები და ერთიანი საღი აზრის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული სირთულეები. საზოგადოების კრიტიკა ძირითადად მიმართულია მსოფლიოში არსებული ლოკალური კონფლიქტების მოუგვარებლობის და მათი ხანგრძლივი დროით გაყინვის, ასევე დროში გაწელილი გადაწყვეტილებების არაეფექტურობის და რიგ შემთხვევებში წამოჭრილი პრობლემების იგნორირების საკითხებთან დაკავშირებით.

შეფასებებში ასევე გასათვალისწინებელია ორგანიზაციის საქმიანობის უზარმაზარი სივრცე და მისი დაფარვისთვის საჭირო რესურსები, ფინანსები და გავლენები, მსოფლიო პოლიტიკის არენაზე. გამომდინარე აქედან მნიშვნელოვანია მისი საქმიანობის დეტალური შესწავლა და ანალიზი რეალური სურათის მისაღებად, რაც არც ისე მარტივია ორგანიზაციის მრავალპროფილური საქმიანობიდან გამომდინარე.
მიუხედავად ზემოთ აღწერილი ნეგატიური მოსაზრებებისა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მსოფლიო მშვიდობის შენარჩუნებისათვის საკმაოდ გრძელი და

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

სირთულეებით აღსავსე გზა განვლო, რამაც უამრავი და შეუფასებელი გამოცდილება დაუგროვა მას, რომელსაც გარკვეულ მიმართულებებზე საკმაოდ წარმატებულადაც იყენებს. არ შეიძლება დადებითად არ შევაფასოთ მისი ღვაწლი მსოფლიოში წარმოშვებული შეიარაღებული კონფლიქტების მშვიდობიან და სტაბილურ ფაზაში გადაყვანის დამსახურება, ასევე მის მიერ ინიცირებული სოციალურ-ეკონომიკური და ჰუმანიტარული მისიები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. თემაში აღწერილი ყველა თავი თუ ქვეთავი პირდაპირ მიუთითებს ორგანიზაციის საქმიანობის მნიშვნელობასა და მის აუცილებელ ჩართულობას მსოფლიოში განვითარებულ ნეგატიურ მოვლენებში, მათი შეკავების ან განეიტრალების მიზნით.

დასკვნა

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და მისი საქმიანობის სფეროები, რომლებიც მოიცავს საქმიანობის მრავალ სახეობას და თავის თავში აერთიანებს მრავალ საერთაშორისო ორგანიზაციას, როგორებიცაა მსოფლიო სასურსათო საბჭო, გაეროს განვითარების პროგრამა, გაეროს ბავშვთა ფონდი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, იუნესკო, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო და სხვები, მნიშვნელოვანი განაცხადია მსოფლიოს მშვიდობისა და უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში. მიუხედავად მსოფლიოში წამოჭრილი მრავალი პრობლემისა, რომლებსაც ის შესაძლოა სრულყოფილად ვერ უმკლავდებოდეს, ორგანიზაცია მაინც არ წყვეტს საქმიანობას და საკუთარი ძალისხმევას მიმართვას აღნიშნული პრობლემების მოგვარებისათვის. პირველი და მეორე მსოფლიო ომების დამანგრეველმა შედეგებმა მიიყვანა საერთაშორისო საზოგადოება კოლექტიური უსაფრთხოების შექმნის იდეამდე მისთვის მომავალში ხორცის შესხმის და დახვეწის მიზნით, ამგვარი კატასტროფების თავიდან ასაცილებლად. ზუსტად ამან განაპირობა მსოფლიო დონის უსაფრთხოების რეფორმების გატარებისათვის უამრავი პროექტებისა და პროგრამების შემუშავება და მათი რეალიზება.

თემაში განხილული საკითხები ნათლად წარმოაჩენს ორგანიზაციის საქმიანობის კონკრეტულ მიმართულებებს და მიღწეულ შედეგებს, რაზეც მიუთითებს მისი არსებობის პერიოდში შესრულებული და მიმდინარე სამშვიდობო მისიების რაოდენობა, ასევ მისივე ინიცირებით განხორციელებული და მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროექტები, ცხოვრების დონის ამაღლების და ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით. აღნიშნული პროექტები ემსახურება არა, რომელიმე კონკრეტული ქვეყნის საჭიროებებს, არამედ კაცობრიობის წინაშე არსებული და მომავალში წარმოშვებული პრობლემების გადაწყვეტას და პრევენციას.

ორგანიზაციას ასევე მჭიდრო ურთიერთობები გააჩნია სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომლებთან ერთადაც ის ინაწილებს იმ პასუხისმგებლობებს და ვალდებულებებს, რომლებმაც მომავალში ხელი უნდა შეუწყოს მეტად უსაფრთხო და სტაბი-

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ლური გარემოს შექმნას მსოფლიო მასშტაბით, დააბალანსოს და განავითაროს სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობები და გზა გაუხსნას ჯანსაღ ეკონომიკურ, სოციალურ, სამხედრო და პოლიტიკურ დონეებზე თანამშრომლობას.

პოლიტიკურად, ეკონომიკურად და სოციალურად ურთიერთდამოკიდებულ სამყაროში დიდი მნიშვნელობა ენიჭება და ერთერთ მთავარ და აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობები, რაც ხელ უწყობს ქვეყნების სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის, სტაბილურობის, უსაფრთხოებისა და განვითარების უზრუნველყოფას. სწორედ ყოველივე ეს არის საერთაშორისო ორგანიზაციების და მათ შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უპირველესი მიზანი, შექმნას სტაბილური გარემო ერების მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის და განვითარებისთვის.

ბიბლიოგრაფია

ასანიშვილი ფ. „გაერთიანებული ერების ორგანიზაცია," ჩემი სამყარო ჟურნალი ახალგაზრდებისთვის. მე-5 გამოცემა 2014 გვ. 50-57
file:///C:/Users/pc/Desktop/5.%20undp.pdf ბ.ნ, 15.06.2024.

კევლიშვილი ე. ალექსანდრია ნ. მუშკუდიანი ნ. „საერთაშორისო ორგანიზაციების ზოგადი მიმოხილვა და მათი თანამშრომლობა საქართველოსთან" საქართველოს ეკონომისტთა ასოციაცია თბ. 2005. გვ. 5-10
http://www.economists.ge/storage/uploads/publication/141230120627518f.pdf ბ.ნ, 15.06.2024

კევლიშვილი ე. ალექსანდრია ნ. მუშკუდიანი ნ. „საერთაშორისო ორგანიზაციების ზოგადი მიმოხილვა და მათი თანამშრომლობა საქართველოსთან" საქართველოს ეკონომისტთა ასოციაცია თბ. 2005. გვ. 12-16
http://www.economists.ge/storage/uploads/publication/141230120627518f.pdf ბ.ნ, 15.06.2024

ირემაძე გ. „საერთაშორისო ორგანიზაციები" გამომცემლობა „უნივერსალი" თბ. 2014. გვ. 65-68
https://loria.bsu.edu.ge/e-books/book_226.pdf ბ.ნ, 16.06.2024

ირემაძე გ. „საერთაშორისო ორგანიზაციები" გამომცემლობა „უნივერსალი" თბ. 2014. გვ. 44-60
https://loria.bsu.edu.ge/e-books/book_226.pdf ბ.ნ, 16.06.2024

ნაიბოვი პ. საერთაშორისო ორგანიზაციები. „საერთაშორისო კონფლიქტებზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლი" თბ. 2016. https://is.gd/iT55Gr

ჟენევის უსაფრთხოების სექტორის მართვის ცენტრი „კეთილსინდისიერება უსაფრთხოების სექტორში" საერთაშორისო ორგანიზაციები https://securitysectorintegrity.com/ka/ ბ.ნ, 17.06.2024.

კონფლიქტების და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი (ICCN) მდგრადი მშვიდობის ძიებაში: სამხრეთ კავკასიაში მშვიდობის მშენებლობის თემატური კვლევა" გვ. 1-18 https://is.gd/gTmDAt ბ.ნ, 17.06.2024.

კეკელიანი გ. „ჰუმანიტარული ინტერვენცია" ივნისი 2019.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

https://www.researchgate.net/publication/339952774_humanitaruli_interventsia_kosovoshi_UNMIK 17.06.2024.

Mirbagheri F. „The United Nations and The Cyprus problem" გვ. 149-157 file:///C:/Users/pc/Downloads/aodonoghue,+Journal+manager,+TCR+2010+22.2+pp.+149-158.pdf ბ.ნ, 17.06.2024.

ხარებავა გ., ჯოხაძე გ., დავლიანიძე ხ. „გაეროს ჩართულობა კვიპროსისა პრობლრმისა და აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხში". შედარებითი ანალიზი. თბ. 2020. გვ. 15-18, 29-36, 37-45. https://ugsp.ug.edu.ge/images/publication.pdf ბ.ნ, 19.06.2024.

დე სენარკლენ პ. არიფენ ი. საერთაშორისო პოლიტიკა „თანამედროვე თეორიები და ამოცანები" V გამოცემა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი თბ. 2014. გვ. 144-186 https://is.gd/LWNz5Q ბ.ნ,19.06.2024.

International Crisis Group. „Ten Challenges for The UN in 2023-2024". New York/Brussels 14.09.2023. https://www.crisisgroup.org/global/sb11-ten-challenges-un-2023-2024 ბ.ნ, 18.06.2024.

ბატიაშვილი ზ. „სირიის სამოქალაქო ომი რეგიონული უსაფრთხოების კონტესტში" 27. 06 .2017. https://gfsis.org.ge/ge/blog/view/723 ბ.ნ, 18.06.2024.

დელეგაციის პრესისა და ინფორმაციის გუნდი GEORGIA. „უკრაინაში რუსეთის ომის შესახებ თორმეტი გაქარწყლებული მითი" 27.02.2023 .https://is.gd/a3GLLf ბ.ნ, 18.06.2024.

თოხაძე მ. „2020 წლის მსოფლიო ტერორიზმის ტენდენციების მიმოხილვა" თბ. დეკემბერი 2020. https://is.gd/XbQ37n ბ.ნ, 18.06.2020.

კევლიშვილი ე., ალექსანდრია ნ., მუშკუდიანი ნ. „საერთაშორისო ორგანიზაციების ზოგადი მიმოხილვა და მათი თანამშრომლობა საქართველოსთან„ თბ. 2005. https://is.gd/pCRQsV ბ.ნ, 20.062024.

ფერაძე ნ., ჯავახიშვილი თ. „საერთაშორისო ორგანიზაციების ზოგადი მიმოხილვა და მათი თანამშრომლობა საქართველოსთან" საქართველოს ეკონომისტთა ასოციაცია თბ. 2005. გვ. 79-84

ნანიტაშვილი მ., ზედელაშვილი ო. „საერთაშორისო ორგანიზაციების ზოგადი მიმოხილვა და მათი თანამშრომლობა საქართველოსთან" საქართველოს ეკონომისტთა ასოციაცია თბ. 2005. გვ. 40-78 http://www.economists.ge/storage/uploads/publication/141230120627518f.pdf ბ.ნ, 20.06.2024

კევლიშვილი ე. ალექსანდრია ნ. მუშკუდიანი ნ. „საერთაშორისო ორგანიზაციების ზოგადი მიმოხილვა და მათი თანამშრომლობა საქართველოსთან" საქართველოს ეკონომისტთა ასოციაცია თბ. 2005. გვ. 3-39 http://www.economists.ge/storage/uploads/publication/141230120627518f.pdf ბ.ნ, 20.06.2024

კვირჩილაძე ნ., დეისაძე ს. „საერთაშორისო ორგანიზაციების ზოგადი მიმოხილვა და მათი თანამშრომლობა საქართველოსთან" საქართველოს ეკონომისტთა ასოციაცია თბ. 2005. გვ. 72-78 http://www.economists.ge/storage/uploads/publication/141230120627518f.pdf ბ.ნ, 20.06.2024

Bauman O. „How effective is the UN's development support" 11.05.2023. https://devpolicy.org/how-effective-is-un-development-support-20230511/ ბ.ნ, 21.06.2024.

"შრომები"№ 2 (2024)
WWW.PAPERS.ETA.EDU.GE/INDEX.PHP/PAPERS

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

აშშ-ირანის ურთიერთობების განვითარების დინამიკა - მოკავშირეობიდან მტრობამდე

ვიცე-პოლკოვნიკი იოსებ ტურაშვილი[1]
DOI: https://doi.org/10.61446/pa.2.2024.8422

აბსტრაქტი

1979 წლის ირანის ისლამური რევოლუციის შემდეგ აშშ-ირანს შორის ურთიერთობები ცხელ ფაზაში შედის. იმავე წელს, ირანელი სტუდენტების მიერ ამერიკის საელჩოზე თავდასხმის განახორციელების შემდეგ, როდესაც მოხდა საელჩოს თანამშრომლების ტყვედ აყვანა, 1980 წლის აპრილში შეერთებულმა შტატებმა და ირანმა დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვიტეს. ამ თარიღის შემდეგ, შეერთებულ შტატებსა და ირანის ისლამურ რესპუბლიკას ოფიციალური დიპლომატიური ურთიერთობა არ ჰქონდათ. თუმცა, 1979 წლამდე ამ ორ ქვეყანას აშკარად განსხვავებული ურთიერთობა ჰქონდა. ამერიკისთვის ირანი წარმოადგენდა ერთ-ერთ სერიოზულ დასაყრდენს ახლო აღმოსავლეთში და რეგიონში „სტაბილურობის კუნძულს" და „ყურის ჟანდარმსაც" კი უწოდებდნენ, რაც მეტყველებს აშშ-სა და ირანის ურთიერთობების მნიშვნელობაზე ერთმანეთისათვის. ისლამურ რევოლუციამდე, ამერიკისთვის ირანი იყო საბჭოთა კავშირისა და კომუნიზმის გავრცელების შემაკავებელი ახლო აღმოსავლეთის რეგიონში. ასევე ირანი იყო, ახლო აღმოსავლეთში აშშ-ს მთავარი მოკავშირის - ისრაელის მოწინააღმდეგე ბანაკში გაერთიანებული არაბული ქვეყნების დამაბალანსებელი რეგიონში.

უნდა აღინიშნოს, რომ 1979 წლის ისლამური რევოლუციის შემდეგ, მსოფლიოში ირანი იყო ტერორიზმის ყველაზე აქტიური მხარდამჭერი. ანტი-ამერიკულად და ანტი-ისრაელურად განწყობილ ტერორისტულ ორგანიზაციებს ირანი წლების განმავლობაში აიარაღებდა, აფინანსებდა, წვრთნიდა და სხვადასხვა დახმარებას უწევდა. ამ ტერორისტული ორგანიზაციების სიაში, რომელსაც ირანი უჭერს მხარს, შედის ჰეზბოლა, პალესტინის ისლამური ჯიჰადი, ჰამასი და ა.შ.ოთხ ათწლეულზე მეტია ირანის ისლამური რესპუბლიკა დიდი გამოწვევის წინაშე აყენებს საერთაშორის საზოგადოებას. ერთი მხრივ, ირანის რეჟიმის რადიკალურმა ისლამისტურმა იდეოლოგიამ, ტერორიზმისა და რეგიონული დივერსიის მხარდაჭერამ, ხოლო, მეორე მხრივ კი, უკანონო ბირთვული იარაღის პოტენციალის ძიებამ, ის სახიფათო რევიზიონისტულ ძალად აქცია, რამაც განაპირობა აშშ-ირანს შორის დაპირისპირება და მტრული ურთიერთობების ჩამოყალიბება.

მეთოდოლოგიურად ნაშრომი თვისებრივი კვლევების კატეგორიაში მოიაზრება და კვლევაზე მუშაობის პროცესში მონაცემთა შეგროვებისათვის გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის სხვადასხვა ტექნიკები.

ნაშრომი ეყრდნობა საერთაშორისო ურთიერთობების დომინანტური და გავლენიანი თეორიების დაშვებებს და ვარაუდებს, კერძოდ ნეოკლასიკურ რეალიზმსა და ჰოლისტურ კონსტრუქტივიზმს.

კვლევამ აჩვენა, რომ ირანის მიერ ბირთვული იარაღის შექმნის მცდელობა განპირობებულია ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ძალთა ბალანსის შეცვლის სურვილით, რაც განაპირობებს აშშ-ირანს შორის მტრული ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ირანის ბირთვული პროგრამა, რომელიც 1979 წლის ისლამურ რევოლუციამდე, აშშ-ს მიერ იყო მხარდაჭერილი, რევოლუციის შემდეგ გარდაიქმნა საფრთხედ ამერიკის პოლიტიკური ელიტების აღქმებში. კონსტუქტივიზმის ჭრილში, სწორედ ქვეყნებს შორის იდენტობის, აღქმების ცვლილებამ გამოიწვია მათ შორის დაპირისპირება და საგარეო პოლიტიკური კურსის ტრანსფორმაცია. ნეოკლასიკური რეალიზმი მიიჩნევს, რომ საერთაშორისო სისტემაში სახელმწიფოს ქმედება შეიძლება აიხსნას: სისტემური ცვლადების ჩარევით - როგორიცაა ქვეყნებში ძალაუფლე-

[1] სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს, ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის, მენეჯმენტის მიმართულების უფროსი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ბის განაწილება; კოგნიტური/შემეცნებითი ცვლადებით - როგორიცაა სახელმწიფოს აღქმისა და პროგნოზის სიზუსტე სხვა სახელმწიფოს განზრახვასთან და სავარაუდო საგარეო პოლიტიკასთან მიმართებით; შიდა ცვლადებით - მაგალითად, როგორიცაა ლიდერთა აღქმები, სახელმწიფო ინსტიტუტები, პოლიტიკური პარტიები; მმართველი ელიტები, რომლებიც გავლენას ახდენენ საგარეო პოლიტიკაში გადაწყვეტილების მიმღების ძალაუფლებასა და მოქმედების თავისუფლებაზე. ნეოკლასიკური რეალიზმის მიხედვით, სახელმწიფოების შორის არსებულმა უნდობლობამ და ერთმანეთის სწორად აღქმის შეუძლებლობამ, ნაკლებმა უნარმა ან სახელმწიფო ლიდერების უუნარობამ, მოახდინონ სახელმწიფო ძალაუფლების მობილიზება და საზოგადოების მხარდაჭერა, შეიძლება გამოიწვიოს არასაკმარისი ან ზედმეტი დაბალანსება, რასაც საერთაშორისო სისტემაში დისბალანსი, დიდი სახელმწიფოების აღზევება, დაცემა და ომი მოჰყვება.

საკვანძო სიტყვები: ირანის ბირთვული პროგრამა, ამერიკის საგარეო პოლიტიკა, ისლამური რევოლუცია, კონსტრუქტივიზმი, ნეოკლასიკური რეალიზმი.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

The dynamics of US-Iran relations - from alliance to hostility

Lieutenant Colonel Ioseb Turashvili[2]
DOI: https://doi.org/10.61446/pa.2.2024.8422

Abstract

After the 1979 Islamic Revolution in Iran, US-Iranian relations entered a heated phase. In the same year, after Iranian students stormed the US embassy and took embassy employees hostage, the United States and Iran severed diplomatic relations in April 1980. After that date, the United States and the Islamic Republic of Iran did not have official diplomatic relations. However, until 1979, the two countries had a clearly different relationship. For the United States, Iran was one of the most important bulwarks in the Middle East and was even called the "island of stability" and the "gendarme of the Gulf", which indicates the importance of US-Iranian relations to each other. Before the Islamic Revolution, for the United States, Iran was a deterrent to the spread of the Soviet Union and communism in the Middle East. Iran was also a regional counterweight to the Arab countries united in the Middle East, opposing the main US ally - Israel.

It should be noted that after the Islamic Revolution of 1979, Iran was the most active supporter of terrorism in the world. For years, Iran has been arming, financing, training and providing various types of assistance to anti-American and anti-Israeli terrorist organizations. The list of these terrorist organizations supported by Iran includes Hezbollah, Palestinian Islamic Jihad, Hamas, etc. For more than four decades, the Islamic Republic of Iran has been posing a great challenge to the international community. On the one hand, the Iranian regime's radical Islamist ideology, support for terrorism and regional subversion, and on the other hand, its pursuit of illegal nuclear weapons potential, have made it a dangerous revisionist force, which has led to the confrontation and the formation of hostile relations between the US and Iran.

Methodologically, the work falls into the category of qualitative research, and various qualitative research techniques were used to collect data during the research process.

The work is based on the assumptions and conjectures of dominant and influential theories of international relations, namely neoclassical realism and holistic constructivism.

The study has shown that Iran's attempt to create nuclear weapons is conditioned by the desire to change the balance of power in the Middle East region, which has led to the formation of hostile relations between the US and Iran. Iran's nuclear program, which was supported by the United States before the 1979 Islamic Revolution, became a threat to American political elites after the revolution. In the context of constructivism, it is precisely the change in identity and perceptions between countries that led to the confrontation between them and the transformation of foreign policy. Neoclassical realism believes that state action in the international system can be explained by: the intervention of systemic variables - such as the distribution of power in countries; cognitive variables - such as the accuracy of a state's perception and prediction of other states' intentions and alleged foreign policies; internal variables - such as perceptions of leaders, state institutions, political parties; ruling elites, which influence the power and freedom of action of decision-makers in foreign policy. According to neoclassical realism, distrust and misperception among states, the lack of ability or inability of state leaders to mobilize state power and public support, can lead to insufficient or excessive balancing, which leads to imbalances in the international system, the rise and fall of great powers, and war.

Keywords: Iran's nuclear program, American foreign policy, Islamic revolution, constructivism, neoclassical realism.

---

[2] Head of the Bachelor's Program in Management at LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia,Doctoral of program's Sciences Political education of Caucasus International University

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი იკვლევს ამერიკის შეერთებული შტატების და ირანის ურთიერთობებს ისლამურ რევოლუციამდე და ისლამური რევოლუციის შემდეგ, თუ რა ფაქტორებმა განაპირობა ირან-ამერიკას შორის მეგობრული ურთიერთობების მტრულად გარდაქმნა. კვლევის მიზანია დაადგინოს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ირანის ისლამური რესპუბლიკის ურთიერთობის ცვლილება.

თემის **აქტუალობაზე** მიუთითებს ის ფაქტი, რომ აშშ-ირანის ურთიერთობების შესწავლა პრინციპულად მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგეს რეგიონის ქვეყნებისთვის. აშშ ერთადერთი წამყვანი ძალაა მსოფლიოში, რომელსაც ძალუძს წინ აღუდგეს ირანის ამბიციებს - შექმნას ბირთვული იარაღი და გახდეს ჰეგემონი/დომინანტი ძალა რეგიონში, რაც საშუალებას მისცემს ირანს გაზარდოს თავისი გავლენა ახლო აღმოსავლეთში აშშ-ს მოკავშირე ქვეყნებზე და გაატაროს ამერიკის ეროვნული ინტერესებისთვის საწინააღმდეგო პოლიტიკა, გააძლიეროს ტერორისტული ორგანიზაციების მხარდაჭერა და საფრთხის ქვეშ დააყენოს ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულება. 21-ე საუკენეში რამოდენიმეჯერ უკიდურესად დაიძაბა აშშ-ირანის ურთიერთობა და ვითარება თითქმის ომის ზღვარს გაუტოლდა. აღნიშნული დაპირისპირების საომარ მოქმედებებში გადაზრდის შემთხვევაში, რეგიონში შეიქმნება კრიზისული სიტუაცია.

ნაშრომის **პრაქტიკული მნიშვნელობას** განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ ამერიკა და მსოფლიო თანამეგობრობა საფრთხედ აღიქვამს ირანის მიერ ბირთვული იარღის შექმნის მცდელობას, მისგან გამოწვეულ საფრთხეებს, ასევე, ირანის მიერ ტერორისტული ორგანიზაციების მხარდაჭერას და ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ძალთა ბალანსის შესაძლო ცვლილებებს, რის გამოც აქტიურ პოლიტიკას ახორციელებს შექმნილი ვითარების დასტაბილურებისათვის. რაც შეეხება კვლევის **სამეცნიერო მნიშვნელობას,** ნაშრომში გამოყენებული საერთაშორისო ურთიერთობების გავლენიანი თეორიების პოსტულატების გადამოწმება, წარმოდგენილ შემთხვევასთან მიმართებაში, კვლევას შესაძლებლობას მისცემს მოკრძალებული წვლილი შეიტანოს სამეცნიერო ცოდნის განვითარებაში.

ნაშრომში მოხდა შემდეგი **საკვლევი კითხვის** ფორმულირება: რა ძირითადმა ფაქტორებმა განაპირობა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ირანის ისლამური რესპუბლიკის ურთიერთობის ცვლილება?

საკვლევი კითხვიდან გამომდინარე მოხდა შემდეგი **ვარაუდის (ჰიპოთეზის)** გენერირება: ისლამური რევოლუციის შემდეგ, აშშ-ირანს შორის ჩამოყალიბებული განსხვავებული იდეების, იდენტობის და აღქმების ცვლილების ფონზე, ირანის მიერ ბირთვული შესაძლებლობის შექმნის მცდელობამ, გამოიწვია ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკური კურსის ტრანსფორმაცია ირანთან მიმართებაში, რა-

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

დგან შეიცვალა აშშ-ს მხრიდან მატერიალური მოცემულობის (ირანის ბირთვული პროგრამა) სოციალური აღქმა და წარმოიქმნა მათ შორის ეჭვი და უნდობლობა, რამაც განაპირობა, მტრული ურთიერთობების ჩამოყალიბება.

ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა დაიწყო 1800-იან წლებში, როდესაც ამერიკელი მისიონერები გაემგზავრნენ ირანში. მისიონერები დაეხმარნენ მნიშვნელოვანი ინსტიტუტების - სკოლების, კოლეჯების, საავადმყოფოების და სამედიცინო სკოლების აშენებაში, ასევე, ხელისუფლებას ეხმარებოდნენ ფინანსური საკითხების მოგვარებაში. მე-19 და მე-20 საუკუნის დასაწყისში ბრიტანეთისა და რუსეთის იმპერიული ამბიციებისა და ირანის საშინაო საქმეებში ჩართულობის ისტორიამ ირანი დამოკიდებულ, ექსპლუატაციურ მდგომარეობაში ჩააყენა, მაგრამ ირანში ამერიკელი მისიონერების და მოგვიანებით, მოწვეული სამთავრობო ტექნოკრატების ყოფნა სრულიად განსხვავებული ხარისხის იყო. ესენი იყვნენ ამერიკელები, რომლებიც დახმარებას სთავაზობდნენ, შეერთებული შტატების მთავრობისთვის ოფიციალური უპირატესობის მოლოდინის გარეშე, რის შედეგადაც ამერიკელებმა კეთილგანწყობა მოიპოვეს, როგორც ირანის ხელისუფლების წრეებში, ისე, მოსახლეობის ფართო მასებში.[3]

ამერიკის კეთილგანწყობილი იმიჯი ირანში დაიმსხვრა 1953 წელს, როდესაც ამერიკის ცენტრალურმა სადაზვერვო სააგენტომ (CIA), დიდ ბრიტანეთთან თანამშრომლობით, მოაწყო გადატრიალება დემოკრატიულად არჩეული პრემიერ-მინისტრის, მოჰამედ მოსადეყის წინააღმდეგ, რომელმაც ანგლო-ირანის ნავთობკომპანიების ნაციონალიზაცია მოახდინა. გადატრიალების შედეგად, ამერიკის დახმარებით, ირანის ხელისუფლებაში მოვიდა ამერიკელების ერთგული ფეჰლევების დინასტიის წარმომადგენელი - შაჰი რეზა ფეჰლევი.

1960-იან და 1970-იან წლებში შაჰსა და ვაშინგტონს შორის ურთიერთობა უფრო და უფრო მეგობრული ხდებოდა. კომერციული კავშირების სტაბილურად გაფართოების გამო, ირანის განვითარებას პირდაპირი ბენეფიციარები ჰყავდა შეერთებულ შტატებში. ამერიკის დახმარებით შაჰმა წამოიწყო თავდაცვითი ბიუჯეტის დიდი ფორმირება, შეისყიდა 16 მილიარდ დოლარზე მეტი იარაღი შეერთებული შტატებიდან 1972-1977 წლებში.[4]

1979 წელს, ირანის ისლამური რევოლუციისა და ირანის მძევლების კრიზისის შემდეგ, აშშ-ირანის ურთიერთობამ რღვევა დაიწყო და ქვეყნები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. ეკონომიკური ზრდის ტემპის შეზღუდვის მიზნით, ამერიკის მთავრობამ დაიწყო ირანის წინააღმდეგ სანქციების დაწესება და ირანული აქტივების გაყინვა, ხოლო 1995 წელს ირანს ნავთობისა და სავაჭრო ემბარგო დაუწესეს. ამავდროულად,

[3] Hasan, Moinul. 2019. Nuclear program of Iran and concerns of USA. Department of International Relations Jahangirnagar University.
[4] Hasan, Moinul. 2019. Nuclear program of Iran and concerns of USA. Department of International Relations Jahangirnagar University.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

აშშ-ს ინტერესები რეგიონში კვლავ მშვიდობასა და სტაბილურობაზე იყო ორიენტირებული. ხოლო ირანის საგარეო პოლიტიკა სულ უფრო წინააღმდეგობრივი ხდებოდა. ირანის პოლიტიკის ძირითადი კონცეფცია მიბმული გახდა იდეოლოგიასთან, რომელიც ცნობილია, როგორც „თვითდამკვიდრება". 1980 წელს, როდესაც ირან-ერაყის ომი დაიწყო, ამერიკამ და მთელმა მსოფლიომ ზურგი აქცია ირანს და არ მოახდინა რეაგირება ერაყის მიერ საერთაშორისო ნორმების უხეშ დარღვევაზე, როგორიც იყო ქიმიური იარაღის გამოყენება ირანის წინააღმდეგ, რამაც კიდევ უფრო გაზარდა ირანში ანტი-ამერიკული განწყობები.

1988 წელს მას შემდეგ, რაც ირანულმა ნაღმმა თითქმის ჩაძირა ამერიკული ფრეგატი ჰორმუზის სრუტეში, აშშ-ს საზღვაო ძალებმა განახორციელეს საპასუხო კამპანია სახელწოდებით Operation Praying Mantis. ამერიკულმა ძალებმა გაანადგურეს ირანული ნავთობის ორი პლატფორმა და ჩაძირეს ფრეგატი. ეს იყო ყველაზე დიდი ამერიკული საზღვაო საბრძოლო ოპერაცია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

1988 წლის 3 ივლისს, ირან-ერაყის ომის დასასრულს, აშშ-ს საზღვაო ძალების მართვადმა სარაკეტო კრეისერმა USS Vincennes-მა ჩამოაგდო ირანის სამგზავრო თვითმფრინავი (Airbus A300B2), რომელიც გეგმიურ კომერციულ ფრენას ასრულებდა ირანის საჰაერო სივრცეში ჰორმუზის სრუტის თავზე. თავდასხმას ექვსი ქვეყნიდან 290 მშვიდობიანი მოქალაქე შეეწირა, მათ შორის 66 ბავშვი. აშშ-ს მხარემ განაცხადა, რომ ეს შეცდომა იყო, მაგრამ ამ ტრაგიკულმა ფაქტმა კიდევ უფრო გაამძაფრა ანტიამერიკული განწყობები ირანის მოსახლეობაში.[5]

2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ, პრეზიდენტ ჯორჯ ბუშ უმცროსის ადმინისტრაციამ ბრძოლა გამოუცხადა ტერორიზმს, რაშიც მთელი მსოფლიოს მხარდაჭერა მოიპოვა, მათ შორის ირანისაც. ირანის სადაზვერვო სამსახურმა დიდი დახმარება გაუწია აშშ-ს თალიბებთან ბრძოლაში, თუმცა, ამერიკამ, ამის მიუხედავად, ირანი დაადანაშაულა ტერორისტული ორგანიზაციების ფინანსურ და სამხედრო მხარდაჭერაში და 2002 წელს სახელმწიფოსადმი მიმართვისას პრეზიდენტი ჯორჯ ბუშ უმცროსი ირანს (ერაყთან და ჩრდილოეთ კორეასთან ერთად) „ბოროტების ღერძის" ნაწილს უწოდებს. მისი თქმით, ირანი „აგრესიულად მისდევს [მასობრივი განადგურების იარაღს] და ახორციელებს ტერორის ექსპორტს, მაშინ როცა არარჩეული ნაწილი თრგუნავს ირანელი ხალხის თავისუფლების იმედს". ამის საპასუხოდ, ირანის მთავრობამ შეწყვეა საიდუმლო შეხვედრები ამერიკელ დიპლომატებთან, რომლებიც ორიენტირებული იყო ალ-ქაიდას ოპერატორების დაჭერაზე და თალიბებთან ბრძოლაზე.[6]

[5] Hasan, Moinul. 2019. Nuclear program of Iran and concerns of USA. Department of International Relations Jahangirnagar University.

[6] Anak Agung Banyu Perwita and Muhammad Ilham Razak. 2020. U.S. Foreign Policy Towards Iranian Nuclear Threat from Bill Clinton to Donald Trump Administration. Insignia Journal of International Relations Vol. 7, No.1, April 2020, 17-44. (PDF) U.S. Foreign Policy Towards Iranian Nuclear Threat from Bill Clinton to Donald Trump Administration (researchgate.net) (20.11.24);

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

2000-იანი წლების დასწყისში, ირანში, ოპოზიციურად განწყობილი ძალების მიერ გაკეთდა განცხადება, რომ ირანი ცდილობდა ატომური იარაღის შექმნას, რამაც გახსნა ახალი ფაზა ამერიკა-ირანის დაპირისპირებაში. ამას დაემატა ირანის მხრიდან ტერორიზმის მხარდაჭერა, რამც გამოიწვია ამერიკის მიერ ირანის წინააღმდეგ აქტიური საგარეო პოლიტიკის გატარება და საერთაშორისო საზოგადოების მობილიზება, რასაც მოჰყვა დამატებითი სანქციების დაწესება. თუმცა, 2015 წელს, ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგად, ბარაკ ობამას პრეზიდენტობის პერიოდში აშშ-ირანს შორის გაფორმდა ბირთვული შეთანხმება. 2018 წლის მაისში ამერიკა გამოდის ამ შეთანხმებიდან და სანქციებს უწესებს ირანს, რომელიც კიდევ უფრო გამკაცრდა 2019 წლის მაისში, ასევე, 2019 წლის დეკემბერში თავდასხმა მოხდა ამერიკის საელჩოზე ბაღდადში, რომლის საპასუხოდ 2020 წლის 3 იანვარს ტრამპის ბრძანებით, ბაღდადის აეროპორტთან სარაკეტო თავდასხმით მოკლეს ირანის ერთ-ერთი გავლენიანი გენერალი - ყასემ სოლეიმანი, რომელიც ირანის ისლამური რევოლუციური გვარდიის სპეციალური ელიტური დანაყოფის „ყუდსის" ძალებს ხელმძღვანელობდა და ამით აშშ-ირანი შედის ყველაზე ცხელი დაპირისპირების ფაზაში.[7]

ძირითადი ნაწილი

ირანში ძირითადად არაარაბი, შიიტური მოსახლეობა ცხოვრობს და მდებარეობს რეგიონში, სადაც დომინირებენ არაბი სუნიტი მუსლიმანები. ირანი ენერგიით მდიდარი, სტრატეგიულად სასიცოცხლო მნიშვნელობის სპარსეთის ყურის რეგიონში მდებარეობს და დომინირებს ჰორმუზის სრუტეზე, რომელიც აკონტროლებს მნიშვნელოვან საზღვაო ენერგომარშუტებს ყურეში. ირანის ჩრდილოეთ საზღვრის გასწვრივ მდებარეობს კასპიის ზღვა, რომელიც, ასევე შეიცავს ენერგორესურსებს, რაც იწვევს კონფლიქტს, რესურსების კონტროლისა და რეგიონში გავლენების განაწილების თვალსაზრისით, არა მხოლოდ რეგიონის ქვეყნებთან, არამედ აშშ-თან. შესაბამისად, ირანს გააჩნია ამბიცია შექმნას ბირთვული იარაღი და მისი საშუალებით დაიმკვიდროს თავი, დააბალანსოს ისრაელი, გახდეს დომინანტი მოთამაშე და ჰეგემონი რეგიონში.

ირანი დიდი ხანია ცდილობდა წამყვანი როლი შეესრულებინა სპარსეთის ყურის რეგიონში, მიუხედავად იმისა, თუ რა რეჟიმი იყო ხელისუფლებაში. აღნიშნულის მისაღწევად მნიშვნელოვანი იყო ირანისთვის ბირთვული შესაძლებლობების განვითარება. ახლო აღმოსავლეთში პირველი ბირთვული ძალაუფლების მქონე მუსლიმ ერად გახდომა ირანს საშუალებას მისცემდა გაეძლიერებინა თავისი მიმზიდველობა მუსლიმანური ქვეყნების მიმართ მთელს რეგიონში, მიუხედავად სექტანტური განსხვავე-

[7] ლილი ხარჩილავა, ამაერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთის რეგიონებში. სადოქტორო დისერტაცია. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2021. http://opac.gtu.ge/cgi-bin/koha/opac-detail.pl?biblionumber=55804&shelfbrowse_itemnumber=173824 (10.11.2024)

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ბებისა. უფრო მეტიც, ბირთვული იარაღის შესაძლებლობა იქნებოდა საჯაროდ გაცხადებული სიმბოლო, რომელიც გაზრდიდა ირანის დამოუკიდებლობას დასავლეთის დომინანტობისაგან, რაც შესაძლებლობას შექმნიდა ამერიკის მოკავშირე ქვეყნების ირანის პოლიტიკურ ორბიტაზე გადასვლისას.

ირანის მთავარი ანტაგონისტი, შეერთებული შტატები, მრავალი წლის განმავლობაში, არა მხოლოდ ახორციელებდა ორმაგი შეკავების პოლიტიკას ირანის წინააღმდეგ, არამედ, მხარს უჭერდა ემიგრანტ ჯგუფებს, რომლებიც აპირებდნენ თეირანში რეჟიმის დამხობას, მათ შორის ძალადობრივი გზით. თეირანში რეჟიმის შეცვლა აშშ-ს პოლიტიკის უკვე ნაცადი (1953 წ.) ხერხის განმეორება იყო. აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა, 2002 წელს სიტყვით გამოსვლისას, ირანს "ბოროტების ღერძი" უწოდა და მის მიმართ უფრო აგრესიული საგარეო პოლიტიკის გატარება დაიწყო. ასევე, ამერიკის მიერ ერაყში და ავღანეთში ჯარების შეყვანით ირანის საფრთხეები ყოველმხრივ იზრდებოდა. არსებული რეჟიმი ყველანაირად ცდილობდა აღნიშნული საფრთხის დაბალანსებას, მათ შორის ბირთვული იარაღის შექმნის მცდელობითაც, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად არასოდეს უღიარებია აღნიშნული ფაქტი და აცხადებდნენ, რომ ბირთვულ პროგრამაზე მხოლოდ სამოქალაქო დანიშნულებით მუშაობდნენ.

ირანის ამჟამინდელი რეჟიმი, რომელიც თავის ლეგიტიმურობას მთლიანად ისლამიზმზე ამყარებს, იძულებულია შეეწინააღმდეგოს, საერთაშორისო სისტემაში არსებული ძალაუფლების, დასავლეთის მიერ დომინირებულ, განაწილებას. ირანის მიერ ბირთვული იარაღის მოპოვება სასარგებლოა ისლამური რეჟიმის შიდა მხარდაჭერის მოსაპოვებლად. ხელისუფლების სათავეში მოსული სასულიერო პირები ცდილობდნენ ხალხის მხარდაჭერის მოპოვებას. სასულიერო ელიტა ეძებდა შესაძლებლობებს მზარდი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემებით დამძიმებული მოსახლეობის ყურადღების გადასატანად. ბირთვული იარაღის შექმნა ასევე, შეძლებდა რეჟიმისთვის მიეცა საშუალება აემაღლებინა პრესტიჟი და გადაეფარა ირანში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ისლამურმა რეჟიმმა წარმატებით მოახდინა ბირთვული საკითხის ნაციონალიზმის კუთხით ჩამოყალიბება. ირანელები ბირთვული შესაძლებლობების შეძენით იმედოვნებენ, რომ დაამყარებდნენ თავიანთ იდენტურობას, როგორც ტექნოლოგიურად განვითარებული, დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელიც იმსახურებდა განსაკუთრებულ აღიარებას. მოკლედ, ირანი ბირთვული ბომბის შექმნით ეძებდა პატივს და პრესტიჟს.

ასევე, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ახლო აღმოსავლეთში ირანის მოსისხლე მტერი - ისრაელის სახელმწიფო ამერიკის სტრატეგიული მოკავშირეა და მას გააჩნია ბირთვული იარაღი, მიუხედავად იმისა, რომ ისრაელი ოფიციალურად არ აცხადებს ბირთვული იარაღის ფლობას. ირანისთვის ეს ფაქტი სტრტეგიული დონის საფრთხეს წარმოადგენს და ცდილობს ბირთვული იარაღის შექმნით დააბალანსოს ისრაელი და

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

უზრუნველყოს თავის უსაფრთხოება, ხოლო, თუ გავითვალისწინებთ ქვეყნების ტერიტორიას და მოსახლეობის რაოდენობას, ირანი გარკვეულ უპირატესობაშია .[8]
ირანის მიერ ბირთვული შეიარაღების შექმნის მოტივები ძალზედ კომპლექსურია და შეიძლება ითქვას, რომ ბირთვული შესაძლებლობა ირანს საშუალებას მისცემს უფრო გაბედულად იმოქმედოს საერთაშორისო ასპარეზზე თავისი ინტერესების რეალიზაციის და მისთვის სასურველი პოლიტიკური დღის წესრიგის შექმნის თვალსაზრისით.

ირანის ბირთვული პროგრამა: გამოწვევები და საფრთხეები ამერიკის შეერთებული შტატებისთვის: ათწლეულების განმავლობაში, შეერთებული შტატები და საერთაშორისო თანამეგობრობა მობილიზებულნი არიან არ დაუშვან ბირთვული ირანის არსებობა. მიაჩნიათ, რომ ირანის რეჟიმის ხელთ არსებული ატომური იარაღი პირდაპირ საფრთხეს შეუქმნის, როგორც ისრაელს, ასევე, აშშ-ს ინტერესებს რეგიონში და ევროპის უსაფრთხოებას. საერთაშორისო საზოგადოების თვალში ბირთვული ირანის არსებობა წარმოადგენს დესტაბილიზაციის წყაროს რეგიონში, რაც თავის მხრივ გავლენას მოახდენს მსოფლიო წესრიგზე.

1953 წლის 8 დეკემბერს აშშ-ს პრეზიდენტმა დუაიტ ეიზენჰაუერმა მიმართა გაეროს გენერალურ ასამბლეას "ატომები მშვიდობისთვის" საკითხზე, რომელიც გახდა მისი მთავრობის პროგრამა, რომელიც გულისხმობდა ატომური ენერგიის შექმნას სამოქალაქო მიზნებისთვის. ამ პროგრამის მეშვეობით, აშშ-მა, ცივი ომის დროს, უზრუნველყო ქვეყნები, მათ შორის ირანი, ტექნოლოგიებით და საგანმანათლებლო რესურსებით, მათი სამოქალაქო ბირთვული პროგრამისთვის. 1957 წელს, შაჰ მოჰამედ რეზა ფეჰლავის მმართველობის დროს, შეერთებულ შტატებსა და ირანს შორის მიღწეული იქნა სამოქალაქო ბირთვული თანამშრომლობის შეთანხმება, რომელიც ცნობილია, როგორც "თანამშრომლობა ატომების სამოქალაქო გამოყენებასთან დაკავშირებით". რამდენიმე წლის შემდეგ, თეირანის ბირთვული კვლევის ცენტრმა (TNRC), თეირანის უნივერსიტეტში, განათავსა 5 მეგავატიანი კვლევითი რეაქტორი, რომელსაც აშშ აწვდიდა საწვავს. რეაქტორი, რომელსაც უწოდებენ თეირანის კვლევით რეაქტორს (TRR), ამოქმედდა 1967 წელს. 1968 წელს ირანმა ხელი მოაწერა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას. იგი ძალაში შევიდა 1970 წლის 5 მარტს.

1979 წლის ირანის რევოლუციის შედეგად შაჰ ფეჰლავი ჩამოაგდეს და ჩამოყალიბდა თეოკრატიული მთავრობა უზენაესი ლიდერის, აიათოლა რუჰოლა ხომეინის მმართველობით, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ირანის არაისლამურ ქმედებებს, დაემ-

[8] არტი, რობერტ და რობერტ ჯერვისი. 2011. საერთაშორისო პოლიტიკა - მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა;

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ზადებინა, შეგროვებინა ან გამოყენებინა ქიმიური და ბირთვული იარაღი.[9] ასევე, 1980-1988 წლებში მიმდინარეობდა ირან-ერაყის ომი, რამაც გამოიწვია ირანის ბირთვული პროგრამის შეჩერება, თუმცა ამ ომის განმავლობაში სტრატეგიული მოკავშირეების გარეშე მარტოდ დარჩენილმა ირანმა, 1984 წელს კვლავ განაახლა თავისი ბირთვული პროგრამა და გახსნა ბირთვული კვლევის ცენტრი ისპაჰანში. 1990-იანი წლების დასაწყისში ირანის ბირთვული პროგრამა ახალ ფაზაში შევიდა პაკისტანის, ჩინეთისა და რუსეთის დახმარებით, რომელთა მხრიდანაც მოხდა ირანისთვის ბირთვული პროგრამისთვის საჭირო ტექნოლოგიების და რესურსების მიწოდება.

2002 წლის აგვისტოში, ნატანცის ურანის გამდიდრების ფარული ქარხანის და არაკის მძიმე წყლის რეაქტორის შესახებ ინფორმაციას გაავრცელა ამერიკაში გადასახლებულმა ირანულმა ოპოზიციური ჯგუფის სამხედრო ფრთამ (მუჯაჰიდინ-ე-ხალკი (მეკ)) და ირანის მოქმედ ხელისუფლებას ბრალი დასდო ბირთვული იარაღის შექმნის მცდელობაში. აღნიშნულ ფაქტს ადასტურებდენ ამერიკის და ისრაელის სადაზვერვო სამსახურები. 2002 წლის დეკემბერში შეერთებულმა შტატებმა ოფიციალურად დაადანაშაულა ირანი ბირთვული იარაღის შექმნის მცდელობაში.[10]

როგორც ავღნიშნეთ ბირთვული ირანი დღემდე რჩება თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოების უსაფრთხოების უდიდესი გამოწვევა და ამ საკითხზე დისკუსიისას იკვეთება ოთხი ძირითადი საფრთხე, რაც შეიძლება გამოიწვიოს ბირთვულმა ირანმა:

1) ბირთვული შეკავების ფლობა ირანს უფრო თამამს გახდიდა რეგიონში და გლობალურ კონტექსტში თავისი ინტერესების გატარების თვალსაზრისით, რადგან მისთვის მისაღები პოლიტიკური დღის წესრიგის შესაქმნელად, უფრო აგრესიული და რევიზიონისტური საგარეო პოლიტიკის გატარების შესაძლებლობა ექნებოდაა. ამერიკას და დასავლურ სამყაროს შეუმცირდებოდა ირანზე ზემოქმედების შესაძლებლობა. ირანის ისლამური რეჟიმი ბირთვული იარაღის შესაძლებლობას გამოიყენებდა, იმ შემთხვევაში თუ სხვა სახელმწიფოები შეეცდებიან მასზე თავდასხმას და ეს მათ ბირთვული ესკალაციის საფრთხის წინაშე დააყენებდა. ამიტომაც, ირანი გაბედულად იმოქმედებდა ნავთობით მდიდარი მეზობელი ქვეყნების პროამერიკული ხელისუფლების წინააღმდეგ და შეეცდებოდა რეგიონში თავისი გავლენის გაზრდას ამერიკული გავლენების შემცირების ხარჯზე. შესაძლებელია მათთვის მოეთხოვა ამერიკული ბაზე-

[9] Adeleke Olumide Ogunnoiki and Ademola Adefisayo Adeyemi. 2021. UNITED STATES FOREIGN POLICY ON IRAN'S NUCLEAR PROGRAMME: FROM BUSH TO TRUMP ADMINISTRATION. African Journal of Social Sciences and Humanities Research, ISSN: 2689-5129 Volume 4, Issue 1, 2021 (pp. 103-121). file:///C:/Users/Admin/Downloads/AJSSHR_OW5JI3CN.pdf (15.11.24);

[10] Murray, Donette. 2010. US Foreign Policy and Iran: American-Iranian Relations since the Islamic Revolution. Abingdon: Routledge;

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ბის გაყვანა მათი ტერიტორიიდან, შეეზღუდა ამერიკული ძალების მიერ მათი პორტებისა და აეროპორტების გამოყენების შესაძლებლობა და მათგან იარაღის იმპორტი. ასევე, მეზობელ ქვეყნებზე გავლენის გაზრდით, ირანი შეეცდება რეგიონში არსებული ენერგოსატრანზიტო დერეფნების გაკონტროლებას, საიდანაც მიღებული შემოსავალი მას საშუალებას მისცემს უფრო მეტი ფინანსური და სამხედრო მხარდაჭერა აღმეჩინა რეგიონში არსებულ ტერორისტულ ორგანიზაციებისთვის, როგორიცაა „ჰეზბოლა“, ჰამასი“ და ა.შ. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ბირთვული იარაღის მქონე ირანის ისლამური რეჟიმი, არა მხოლოდ აგრესიულ საგარეო პოლიტიკის გატარებას შესძლებდა, არამედ უფრო მეტად შეინარჩუნებდა ხელისუფლებას და გაიმყარებდა პოზიციებს ძალადობრივი საშინაო პოლიტიკით. აღნიშნული ფაქტი განპირობებულია იმით, რომ მათ ოპოზიციას არ ეყოლებოდა აქტიური მხარდამჭერები და მოკავშირეები სხვა სახელმწიფოების სახით, რადგან მოერიდებოდნენ ბირთვულ ირანთან კონფროტაციას მათ საშინაო საქმეებში ჩარევის გამო.

2) ბირთვული იარაღით აღჭურვილი ირანი პირდაპირ საფრთხეს შეუქმნიდა ამერიკის უახლოეს მოკავშირეებს ახლო აღმოსავლეთში. ისრაელის სახელმწიფო ყველაზე მეტადაა საფრთხის წინაშე, ვინაიდან ირანის ლიდერები არაერთხელ გამოხატავენ დაუფარავ სიძულვილს ისრაელის მიმართ და აცხადებდნენ, რომ ისრაელი „უნდა წაიშალოს რუქიდან“, რადგან „ისრაელის გარეშე ახლო აღმოსავლეთი უკეთესი იქნებოდა.“ ბირთვული ბომბით შეიარაღებული აგრესიული ირანი გამოიწვევდა კიდევ უფრო კრიზისისკენ მიდრეკილ რეგიონს და ნებისმიერი კრიზისი, რომელიც მოიცავს ბირთვულ ირანს, შეიძლება გამოვიდეს კონტროლიდან და გამოიწვიოს ბირთვული ომი ისრაელის წინააღმდეგ. იმის გათვალისწინებით, რომ ირანის ტერიტორიები და მოსახლეობა ბევრად აღემატება ისრაელისას და ირანის ხელისუფლებას მართავს ფანატიკოსი სასულიერო პირები, რომელთა მთავარი ამოსავალი წერტილი ისლამია, მით უფრო მეტად იზრდება იმის ალბათობა, რომ ირანი გამოიყენებს ბირთვულ ბომბს ისრაელის წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ საპასუხოდ მიიღებს გამანადგურებელ ბირთვულ დარტყმას.

3) ირანი ზოგადად განიხილება ტერორიზმის სპონსორ წამყვან სახელმწიფოდ მსოფლიოში, მისი ფინანსური და ოპერატიული მხარდაჭერით ისეთი ჯგუფებისთვის, როგორიცაა ჰეზბოლა, ჰამასი და სხვა. ირანს, შესაძლებელია თავისი ბირთვული ტექნოლოგია და ნოუ-ჰაუ გაეზიარებინა შეერთებული შტატების და ისრაელის მიმართ მტრულად განწყობილ ექსტრემისტულ ჯგუფებისთვისს რეგიონში. ასეთ შემთხვევაში კი ტერორისტულ ორგანიზაციებს შესაძლებლობა ექნებოდათ ბირთვული შეტევა მიეტანათ ამერიკაზე ან დასავლეთის რომელიმე ქვეყანაზე, რაც უდიდესი კატასტროფა იქნებოდა მსოფლიოსთვის.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

4) ირანის მიერ ბირთვული პროგრამის განვითარება და ბირთვული იარაღის შექმნა წაახალისებდა რეგიონში ბირთვული იარაღის გავრცელებას და საფრთხეს შეუქმნიდა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას. ამერიკის არაბული მოკავშირეები რეგიონში, როგორიცაა საუდის არაბეთი, არაბეთის გაერთიანებული საემიროები, ბაჰრეინი და სხვები ღრმად არიან შეშფოთებულნი ირანის აგრესიული რეგიონალური პოლიტიკით და სულ უფრო მეტ საფრთხეს ხედავენ ბირთვული იარაღის მქონე ირანისგან. მართლაც, ირანის სამხედრო პოზიციამ გამოიწვია მისი მეზობლების მიერ იარაღის შესყიდვის ზრდა და ატომური იარაღით შეიარაღებული ირანი, სავარაუდოდ, გამოიწვევს ბირთვული შეიარაღების შეჯიბრს ახლო აღმოსავლეთში, რაც კიდევ უფრო მეტ დესტაბილიზაციას მოახდენდა ამ არასტაბილურ და სასიცოცხლო მნიშვნელობის რეგიონში. ლოგიკურია, რომ რეგიონის ქვეყნები შეეცდებიან ბირთვული იძულებისა და ბირთვული თვდასხმისაგან თავის დაცვას. ეს შესაძლებელია სამი გზით: პირველი, ქვეყნებმა უნდა მიიღონ და გაატარონ ირანისთვის სასურველი პოლიტიკა, რაც შეზღუდავს მათ სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას, ამიტომაც ამაზე არ წავლენ. მეორე, უნდა იპოვონ ბირთვული გარანტორი ქვეყანა და მესამე, შექმნან საკუთარი ბირთვული პროგრამა. რეგიონში ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა: საუდის არაბეთი, ეგვიპტე, ერაყი და თურქეთი აქვთ პოტენციალი შექმნან ბირთვული პროგრამა. თუმცა აშშ და სხვა ბირთვული ქვეყნები ყველანაირად შეეცდებიან ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების დაცვას და დამატებითი ბირთვული სახელმწიფოების არშექმნას, რაც გამოიწვევს მსოფლიო წესრიგის ცვლილებას.[11]

დასკვნა

ბირთვული იარაღის მქონე ირანი ძალზედ მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს, როგორც რეგიონის ქვეყნებისთვის, ისე, ამერიკასა და მის მოკავშირეებისთვის მსოფლიოში. ატომური იარაღით აღჭურვილი ირანი, სავარაუდოდ, კიდევ უფრო გაზრდიდა ირანის აგრესიულ საგარეო პოლიტიკას, მათ შორის მის აქტიურ ჩართულობას სირიაში; მის თავდასხმებს ისრაელზე ჰეზბოლას, ჰამასის და სხვა ტერორისტულ ჯგუფების მეშვეობით და იემენში მეამბოხეების ქმედებების მხარდაჭერას. ბირთვული იარაღის ქონა გააძლიერებდა ამ აგრესიას და სავარაუდოდ, უფრო დიდ დაპირისპირებას გამოიწვევდა საერთაშორისო საზოგადოებასთან. ირანს უკვე აქვს ჩვეულებრივი იარაღიდან ზემოქმედების შესაძლებლობა აშშ-სა და მოკავშირე ჯარებზე, რომლებიც განლაგებულია ახლო აღმოსავლეთში და ევროპის ნაწილებში. თუ თეირანს მიეცემოდა შესაძლებლობა შეექმნა ბირთვული იარაღი, მის მიერ წარმოქმნილი საფრთხე მკვეთრად გაიზრდებოდა. შეერთებულ შტატები და საერთაშორისო თანამეგობრობა

[11] არტი, რობერტ და რობერტ ჯერვისი. 2011. საერთაშორისო პოლიტიკა - მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა;

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ახლო აღმოსავლეთში სიმშვიდის შენარჩუნებისთვის, ყველანაირად ცდილობენ ირანის ბირთვული პროგრამიდან მომდინარე საფრთხეების განეიტრალებას.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ აშშ-ირანის ურთიერთობის ცვლილებას მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს და საკმაოდ კომპლექსურია. მათ შორისაა ირანის მიერ ბირთვული პროგრამის განვითარება; ბირთვული იარაღის შექმნით რეგიონში დომინანტი როლის მოპოვების და აშშ-ს გავლენის შეზღუდვის ამბიცია, რაც ეწინააღმდეგება ამერიკის გეოსტრატეგიულ ინტერესებს.

დასკვნის სახით, ირანის ბირთვული პროგრამა, რომელიც 1979 წლის ისლამურ რევოლუციამდე, აშშ-ს მიერ იყო მხარდაჭერილი, რევოლუციის შემდეგ გარდაიქმნა საფრთხედ ამერიკის პოლიტიკური ელიტების აღქმებში. კონსტუქტივიზმის ჭრილში, სწორედ ქვეყნებს შორის იდენტობის, აღქმების ცვლილებამ გამოიწვია მათ შორის დაპირისპირება და საგარეო პოლიტიკური კურსის ტრანსფორმაცია. შეიცვალა მატერიალური მოცემულობის (ბირთვული პროგრამა) სოციალური აღქმა და განაპირობა აშშ-ირანის მტრული ურთიერთობების ჩამოყალიბება. ხოლო, ნეოკლასიკური რეალიზმი ცდილობს ახსნას საერთაშორისო პოლიტიკა საერთაშორისო სისტემის ბუნებისა და ძალთა განაწილების საფუძველზე - აშშ ცდილობს გამოიყენოს თავისი ძალაუფლება საერთაშორისო სისტემაში და შეინარჩუნოს გავლენა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში.

ბიბლიოგრაფია

არტი, რობერტ და რობერტ ჯერვისი. 2011. საერთაშორისო პოლიტიკა - მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა;

კისინჯერი, ჰენრი. 2014. მსოფლიო წესრიგი. მთარგმნელი მაია ფანჯიკიძე. თბილისი: ინტელექტი;

უოლცი, ნ. კენეთ. 2015. „რატომ უნდა იქონიოს ირანმა ბომბი ბირთვული გაწონასწორება ნიშნავს სტაბილურობას". ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი N8: 53-59;

ხარჩილავა, ლილი. 2021. ამაერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთის რეგიონებში. სადოქტორო დისერტაცია. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. http://opac.gtu.ge/cgi-bin/koha/opac-detail.pl?biblionumber=55804&shelfbrowse_itemnumber=173824 (10.11.2024)

Adeleke Olumide Ogunnoiki and Ademola Adefisayo Adeyemi. 2021. UNITED STATES FOREIGN POLICY ON IRAN'S NUCLEAR PROGRAMME: FROM BUSH TO TRUMP ADMINISTRATION. African Journal of Social Sciences and Humanities Research, ISSN: 2689-5129 Volume 4, Issue 1,

2021 (pp. 103-121). file:///C:/Users/Admin/Downloads/AJSSHR_OW5JI3CN.pdf (15.11.24);

Anak Agung Banyu Perwita and Muhammad Ilham Razak. 2020. U.S. Foreign Policy Towards Iranian Nuclear Threat from Bill Clinton to Donald Trump Administration. Insignia Journal of International Relations Vol. 7, No.1, April 2020, 17-44.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

(PDF) U.S. Foreign Policy Towards Iranian Nuclear Threat from Bill Clinton to Donald Trump Administration (researchgate.net) (20.11.24);

Hasan, Moinul. 2019. Nuclear program of Iran and concerns of USA. Department of International Relations Jahangirnagar University;

Murray, Donette. 2010. US Foreign Policy and Iran: American-Iranian Relations since the Islamic Revolution. Abingdon: Routledge;

Rose, Gideon. 1998. Neoclassical Realism and Theories of Foreign Policy. Cambridge University Press. World Politics 51 (October 1998), 144-172;

the U. S. Department of State. U.S.-Iran Relations. Iran - United States Department of State (12.11.24);

Wendt, A. (1992). Anarchy Is What States Make of It: the Social Construction of Power Politics.International Organization, Vol. 46, No. 2 .

"შრომები"№ 2 (2024)
WWW.PAPERS.ETA.EDU.GE/INDEX.PHP/PAPERS

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

დეზინფორმაცია ციფრულ ეპოქაში: გამოწვევები, შედეგები და გადაწყვეტილებები

სოფია სივსივაძე[1]
DOI: https://doi.org/10.61446/pa.2.2024.8424

აბსტრაქტი

ციფრულ ეპოქაში დეზინფორმაციის გავრცელება მნიშვნელოვან გლობალურ პრობლემად იქცა. სოციალური მედიისა და ციფრული პლატფორმების სწრაფმა ზრდამ საშუალება მისცა ცრუ და შეცდომაში შემყვანმა ინფორმაციამ რამდენიმე წუთში მიაღწიოს ფართო აუდიტორიამდე. ცრუ ინფორმაციის გავცელება შეიძლება უნებლიედაც მოხდეს. თუმცა, დეზინფორმაცია წარმოადგენს განზრახ არასწორი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გავრცელებას საზოგადოებაში, ხშირად პოლიტიკური, სოციალური ან ფინანსური მიზნებისთვის. დეზინფორმაცია თანამედროვე სამყაროს ანგარიშგასაწევი გამოწვევაა, რომელიც ხელს უშლის დემოკრატიის განვითარებას და ჩამოყალიბებას ნებისმიერ სახელმწიფოში. ის შექმნილია საზოგადოების მოტყუების მანიპულირების და უთანხმოების დათესვის განზრახვით. მისი მთავარი მიზანია კონკრეტული მოგების მიღება ან ინფორმაციის გავრცელება, რომელიც საზოგადოების აზრის ჩამოყალიბებაზე მოახდენს გავლენას და შეცვლის ადამიანების ქმედებებს. პოლიტიკური სისტემების, მედიის და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების თვალსაზრისით, მათი მრავალფეროვნების მიუხედავად, მსოფლიოს ქვეყნები მრავალი გამოწვევის წინაშე დგებიან, როდესაც საქმე ეხება დეზინფორმაციას. წინამდებარე სტატიაში განხილულია ციფრულ ეპოქაში დეზინფორმაციის გამოწვევები, მისი ფართო შედეგები და შესაძლო გადაწყვეტილებები მისი მავნე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად.

საკვანძო სიტყვები: ციფრული ეპოქა, პოლიტიკა, ინფორმაცია, სამოქალაქო საზოგადოება

[1] სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს, ეროვნული თავდაცვის აკადემიის, მაგისტრატურის საგანმანათლებო პროგრამის სახელმწიფო რესურსების მართვის მსმენელი

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

Disinformation in the Digital Age: Challenges, Consequences, and Solutions

Sofia Sivsivadze[2]
DOI: https://doi.org/10.61446/pa.2.2024.8424

Abstract

In the digital age, the spread of misinformation has become an important global problem. The rapid growth of social media and digital platforms has allowed false and misleading information to reach a wide audience within minutes. Dissemination of false information can happen unintentionally. However, disinformation is the deliberate dissemination of incorrect or misleading information to the public, often for political, social or financial purposes. Misinformation is a significant challenge of the modern world, which prevents the development and establishment of democracy in any state. It is designed with the intention of manipulating the public to deceive and sow discord. Its main purpose is to make a specific profit or spread information that will influence the formation of public opinion and change people's actions. Despite their diversity in terms of political systems, media and civil society development, countries around the world face many challenges when it comes to disinformation. This article discusses the challenges of disinformation in the digital age, its broad implications and possible solutions to prevent its harmful effects.

Keywords: digital age, politics, information, civil society

[2]Student of Master's Program in State Recourse Management of, LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

შესავალი

ციფრულმა ეპოქამ მოახდინა რევოლუცია ინფორმაციის შექმნის, გაზიარებისა და მოხმარების გზაზე. მიუხედავად იმისა, რომ ამან უზრუნველყო ცოდნის უპრეცედენტო ხელმისაწვდომობა, მან ასევე ხელი შეუწყო დეზინფორმაციის გავრცელებას - მიზანმიმართული ყალბი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გავრცელებას, რომელიც შექმნილია საზოგადოებრივი აზრის მანიპულირებისთვის ან ქმედებების წაქეზებისთვის. სოციალური მედიისა და სხვა ციფრული პლატფორმების გამოჩენამ გააძლიერა ეს საკითხი, რაც საშუალებას აძლევს დეზინფორმაციას მიაღწიოს ფართო აუდიტორიას მცირე დროში. დეზინფორმაციის გამოწვევები მნიშვნელოვანია, რადგან ის საფრთხეს უქმნის საზოგადოების ნდობას, არღვევს დემოკრატიულ პროცესებს და საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ ჯანმრთელობას. ეს ნაშრომი იკვლევს დეზინფორმაციის ბუნებას ციფრულ ეპოქაში, იკვლევს მის შედეგებს და გვთავაზობს პოტენციურ გადაწყვეტილებებს საზოგადოებაზე მისი მავნე ზემოქმედების შესამცირებლად.

ძირითადი ნაწილი

დეზინფორმაცია მიზანმიმართულად არის შემუშავებული, რათა შეცდომაში შეიყვანოს ან მოატყუოს მისი სამიზნე აუდიტორია, ხშირად საზოგადოებრივი აზრის მანიპულირების, პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე ზემოქმედების ან სოციალური არეულობის გამოწვევის მიზნით. ის განსხვავდება ცრუ ინფორმაციისაგან, ცრუ ინფორმაცია შესაძლოა გავრცელდეს მავნე განზრახვის გარეშე. დეზინფორმაციულ კამპანიებს შეიძლება ჰქონდეს მრავალი სახე, როგორებიცაა ყალბი ახალი ამბები, დამუშავებული სურათები და შეცდომაში შემყვანი ვიდეოები. ბოლო წლების განმავლობაში, ფეიქების - რეალისტური, კომპიუტერის მიერ გენერირებული სურათების ან ვიდეოების გამოჩენამ, რომლებიც მანიპულირებენ რეალობას - კიდევ უფრო რთული გახადა ფაქტის გარჩევა მხატვრული ლიტერატურისგან.[3]

ციფრულმა ეპოქამ, განსაკუთრებით სოციალური მედიის პლატფორმების ფართო გამოყენებამ, როგორიცაა Facebook, Twitter და Instagram, მნიშვნელოვნად გააძლიერა დეზინფორმაციის წვდომა. ეს პლატფორმები შექმნილია იმისთვის, რომ პრიორიტეტული იყოს კონტენტი, რომელიც წარმოშობს ჩართულობას, ხშირად აძლიერებს სენსაციურ ან ემოციურად დატვირთულ ისტორიებს. ეს აადვილებს დეზინფორმაციის ვირუსულ გავრცელებას, რაც სწრაფად ვრცელდება ქსელებში სიზუსტის შემოწმების გარეშე. გარდა ამისა, ავტომატიზირებული სისტემები, როგორიცაა ბოტები, გამოიყენება ყალბი ნარატივების გასავრცელებლად და დეზინფორმაციის ხილვადობის ხელოვნურად გასადიდებლად. ციფრული კონტენტის ვირუსული ბუნება ნიშნავს, რომ

[3] დეტექტორი, მითების. 2023. mythdetector.com. 05 11. Accessed 05 11, 2023. https://mythdetector.com/ka/rogor-amovitsnoth-khelovnuri-inteleqtith-ai-generirebuli-photoebi/.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

როგორც კი დეზინფორმაცია ღიად გამოქვეყნდება, ძნელია მისი გაუქმება, მაშინაც კი, თუ ის მოგვიანებით წაშლილი.[4]

დეზინფორმაციასთან ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა მისი მასშტაბები და სიჩქარეა. ტრადიციული მედიისგან განსხვავებით, სადაც ინფორმაცია იფილტრებოდა სარედაქციო პროცესების მეშვეობით, ციფრული პლატფორმები საშუალებას აძლევს ნებისმიერს, ვისაც ინტერნეტთან კავშირი აქვს, შექმნას და გაავრცელოს ინფორმაცია. ეს ქმნის გარემოს, სადაც დეზინფორმაცია შეიძლება გავრცელდეს შეუმოწმებლად, ხშირად ეს იმაზე სწრაფად ხდება, ვიდრე მისი გამოსწორებაა შესაძლებელი.

კიდევ ერთი გამოწვევა არის ალგორითმების როლი შინაარსის განაწილებაში. სოციალური მედიის პლატფორმები იყენებს ალგორითმებს,რომლებიც პრიორიტეტს ანიჭებს სენსაციურ შინაარსს, აადვილებს ყალბი ინფორმაციის სწრაფად მიღწევას დიდ აუდიტორიაზე.

გარდა ამისა, დეზინფორმაციის აღმოჩენა და წინააღმდეგობის გაწევა რთულია. ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, ცრუ ინფორმაციის შესაქმნელად და გასავრცელებლად გამოყენებული ტაქტიკაც ვითარდება. Deepfakes და მანიპულირებული მედიის სხვა ფორმები სულ უფრო დახვეწილი გახდა, რამაც გაართულა ინდივიდების მიერ რეალური და ყალბი შინაარსის გარჩევა. ეს გამოწვევას უქმნის როგორც საზოგადოებას, ასევე ფაქტების შემმოწმებელ ორგანიზაციებს, წინ უსწრონ დეზინფორმაციულ კამპანიებს.

დეზინფორმაციის შედეგები შორსმიმავალია და გავლენას ახდენს საზოგადოების სხვადასხვა სექტორზე. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეფექტი არის ნდობის ეროზია ინსტიტუტების მიმართ, როგორიცაა მედია, მთავრობა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორგანიზაციები. როდესაც ინდივიდები ეუფლებიან ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაციას, განსაკუთრებით ისეთი წყაროებიდან, რომლებიც მათ მიაჩნიათ, რომ არის ავტორიტეტული, ისინი შეიძლება მოექცნენ დეზინფორმაციის გავლენის ქვეშ. ეს ნდობის ნაკლებობა ძირს უთხრის ლეგიტიმური წყაროების სანდოობას და შეიძლება მივიღოთ ისეთი საზოგადოება, სადაც ადამიანები უფრო მეტად დაუჯერებენ შეთქმულების თეორიების ან ექსტრემისტულ იდეოლოგიებს.

დეზინფორმაცია ასევე დიდ გავლენას ახდენს დემოკრატიულ პროცესებზე. არჩევნების დროს ყალბი ინფორმაცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამომრჩევლების გასაკონტროლებლად, კანდიდატების დისკრედიტაციისათვის ან პოლიტიკის დებატებზე გავლენის მოხდენისათვის. 2016 წლის აშშ საპრეზიდენტო არჩევნები აშკარა მაგალითია იმისა თუ როგორ გამოიყენებოდა დეზინფორმაცია, რომელსაც ხშირად უცხოელი აქტორები აძლიერებდნენ, ამომრჩეველთა ქცევა გავლენის მოხდენისა და განხეთქილების შესაქმნელად. ყალბი ან შეცდომაში შემყვანი ნარატივების გავრცელებამ

[4]mediatsigniereba.ge. 10 25. Accessed 10 25, 2021. https://mediatsigniereba.ge/teachers/dezinformac-1.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

შეიძლება გამოიწვიოს პოლარიზებული პოლიტიკური გარემო, რაც გაართულებს საზოგადოებების კონსტრუქციულ დისკურსში ჩართვას.[5]

გარდა ამისა, დეზინფორმაციას შეიძლება ჰქონდეს პირდაპირი გავლენა საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე. მაგალითად, COVID-19 პანდემიის დროს, ცრუ ინფორმაცია ვირუსის, მისი წარმოშობისა და ვაქცინების შესახებ სწრაფად ვრცელდებოდა ციფრულ პლატფორმებზე, რაც იწვევდა ფართო დაბნეულობას და ვაქცინაციაზე აზრის ჩამოუყალიბებლობას. ამან ხელი შეუშალა ვირუსის შეკავების მცდელობებს და გაახანგრძლივა გლობალური ვაქცინაციის კამპანია, რამაც გამოიწვია სიკვდილი და გახანგრძლივებული სოციალური და ეკონომიკური შეფერხებები. კლიმატის ცვლილებისა და სხვა გლობალური საკითხების შესახებ დეზინფორმაცია ასევე მნიშვნელოვან რისკებს უქმნის ძალისხმევას, რომელიც მიმართულია ამ კრიზისების მოგვარებაზე.[6]

დეზინფორმაციასთან ეფექტური საბრძოლველად საჭიროა მრავალმხრივი მიდგომა, რომელშიც ჩაერთვებიან ინდივიდები, მედია ორგანიზაციები, ტექნოლოგიური კომპანიები და მთავრობები. ერთ-ერთი ყველაზე კრიტიკული გამოსავალი მედიაწიგნიერების გაუმჯობესებაა. საზოგადოების განათლებას, თუ როგორ უნდა შეაფასოს ინფორმაცია კრიტიკულად, ამოიცნოს სიცრუე და გადაამოწმოს წყაროები, შეუძლიათ პირებს უფლება მისცეს მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები და შეამცირონ დეზინფორმაციის გავრცელება. მედიაწიგნიერება უნდა იყოს ჩართული საგანმანათლებლო სისტემებში ყველა დონეზე, რათა მომავალი თაობები აღჭურვილი იყოს ციფრული ინფორმაციის სირთულის ნავიგაციისთვის.

ფაქტების შემმოწმებელი ორგანიზაციები და დამოუკიდებელი ჟურნალისტები ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ დეზინფორმაციის გარკვევაში. ცრუ ნარატივების ზუსტი, დროული კორექტირებით, ისინი ხელს უშლიან შეცდომაში შემყვანი შინაარსის გავრცელებას. თუმცა, ამ ძალისხმევას მხარი უნდა დაუჭიროს ტექნიკურმა კომპანიებმა, რომლებმაც მეტი პასუხისმგებლობა უნდა აიღონ თავიანთ პლატფორმებზე არსებულ შინაარსზე. სოციალური მედიის გიგანტებმა უნდა გააძლიერონ თავიანთი ზომიერების პოლიტიკა, მონიშნონ შეცდომაში შემყვანი შინაარსი და უპირატესობა მიანიჭონ სიზუსტეს ვიდრე სენსაციალიზმს თავიანთ ალგორითმებში. გარდა ამისა, უფრო მეტი გამჭვირვალობა, თუ როგორ განსაზღვრავენ ალგორითმები კონტენტის ხილვადობას, საშუალებას მისცემს მომხმარებლებს უკეთ გაიგონ და კონტროლი გაუწიონ მათ ნაცნობ ინფორმაციას.

მთავრობებს ასევე დიდი როლი აკისრიათ დეზინფორმაციის რეგულირებაში. მიუხედავად იმისა, რომ გადამწყვეტია სიტყვის თავისუფლების დაცვა, ქვეყნებს შეუძლიათ შემოიღონ კანონები, რომლებიც პასუხისმგებლობას დააკისრებენ ინდივიდებს

[5] ეკა მაღალდაძე, amerikiskhma.com. 2020.11 13. Accessed 11 13, 2020. https://www.amerikiskhma.com/a/elections-disinformation-partnership/5659276.html.
[6] eeas.europa.eu. 04 13. Accessed 04 13, 2020. https://www.eeas.europa.eu/delegations/georgia

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ან ორგანიზაციებს მიზანმიმართული სიცრუის გავრცელებისთვის. ამ რეგულაციებმა უნდა დაამყაროს ბალანსი მავნე შინაარსისა და დემოკრატიული ღირებულებების დაცვას შორის. საერთაშორისო თანამშრომლობა აუცილებელია, რადგან დეზინფორმაცია ხშირად კვეთს საზღვრებს უნდა იყოს შემუსავებული გლობალური სტანდარტები, რომ უფრო ეფექტურად მოგვარდეს ეს საკითხი.

დასკვნა

ციფრულ ეპოქაში დეზინფორმაცია სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს საზოგადოებისთვის მთელს მსოფლიოში. მისი უნარი, სწრაფად და ფართოდ გავრცელდეს სოციალური მედიის პლატფორმებით, ძირს უთხრის ნდობას, ამახინჯებს საზოგადოებრივ აზრს და არღვევს დემოკრატიულ პროცესებს. დეზინფორმაციის შედეგები შორსმიმავალია, რაც გავლენას ახდენს ყველაფერზე, პოლიტიკური სტაბილურობიდან საზოგადოებრივ ჯანმრთელობამდე. თუმცა, მედია წიგნიერების გაძლიერებით, ფაქტების შემოწმების ძალისხმევის გაძლიერებით და ტექნიკური კომპანიებისა და მთავრობების პასუხისმგებლობის დაკისრებით, შესაძლებელია დეზინფორმაციის გავლენის შერბილება. სანამ ტექნოლოგია აგრძელებს განვითარებას, საზოგადოებამ უნდა მოირგოს თავისი სტრატეგიები ყალბი ინფორმაციის გავრცელების წინააღმდეგ საბრძოლველად და უზრუნველყოს საინფორმაციო ლანდშაფტის მთლიანობა. დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლა არა მხოლოდ აუცილებელია დემოკრატიის დასაცავად, არამედ სიმართლის დასაცავად.

ბიბლიოგრაფია

2021. *mediatsigniereba.ge.* 10 25. Accessed 10 25, 2021. https://mediatsigniereba.ge/teachers/dezinformac-1.

2020. *www.eeas.europa.eu.* 04 13. Accessed 04 13, 2020. https://www.eeas.europa.eu/delegations/georgia/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%98%E1%83%93-19-%E1%83%93%E1%83%94%E1 %83%96%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%95%E1%8.

დეტექტორი, მითების. 2023. *mythdetector.com.* 05 11. Accessed 05 11, 2023. https://mythdetector.com/ka/rogor-amovitsnoth-khelovnuri-inteleqtith-ai-generirebuli-photoebi/.

მაღალდაძე, ეკა. 2020. *amerikiskhma.com.* 11 13. Accessed 11 13, 2020. https://www.amerikiskhma.com/a/elections-disinformation-partnership/5659276.html.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

განახლებადი ენერგიის ფაქტორი ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში

ვიცე-პოლკოვნიკი დავით ტაბატაძე[1]
DOI: https://doi.org/10.61446/pa.2.2024.8425

აბსტრაქტი

განახლებადი ენერგიის წყაროები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნის ენერგეტიკული და პოლიტიკური უსაფრთხოების განმტკიცებაში. მათი გამოყენება ამცირებს იმპორტირებულ ენერგიაზე დამოკიდებულებას, უზრუნველყოფს ენერგიის მდგრად და სტაბილურ მომარაგებას, ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდასა და გარემოსდაცვითი სტანდარტების გაუმჯობესებას. საქართველოს, თავისი ჰიდროენერგიის, მზის, ქარის, ბიომასისა და გეოთერმული რესურსებით, აქვს პოტენციალი, რომ განავითაროს ენერგიის განახლებადი წყაროები და ხელი შეუწყოს ქვეყნის ენერგეტიკულ დამოუკიდებლობასა და საერთაშორისო პოზიციის გამყარებას. მიუხედავად არსებული ტექნოლოგიური და ფინანსური გამოწვევებისა, სწორი პოლიტიკის, საერთაშორისო მხარდაჭერისა და ინვესტიციების გზით შესაძლებელია, როგორც ენერგეტიკული, ისე პოლიტიკური უსაფრთხოების გაძლიერება. განახლებადი ენერგიის განვითარება ქმნის მნიშვნელოვან სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ სარგებელს, რაც აუცილებელია ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის.

„საქართველო ისწრაფვის გახდეს მოწინავე განვითარებული ქვეყანა, დასავლური დემოკრატიული სამყაროს ნაწილი, ევროკავშირის წევრი და ნატოს წევრი ქვეყნების თანასწორუფლებიანი პარტნიორი. ქვეყნის ენერგეტიკული პოლიტიკა უსაფრთხოების, დეკარბონიზაციის, ეკონომიკური თანამშრომლობის, სოციალური, კვლევითი თუ სხვა ასპექტებით, ამ მისწრაფებების უზრუნველყოფის საკვანძო მიმართულებაა."[2]

საკვანძო სიტყვები: განახლებადი ენერგია, უსაფრთხოება, მდგრადი განვითარება.

---

[1] ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობის შტაბის საჰაერო თავდაცვის სისტემების სამსახურის უფროსი ინჟინერი

[2] ლ. დავითაშვილი. "საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკა." საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, თბილისი 2023. უკანასკნელად გადამოწმდა 10.03.2024.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

Renewable Energy Factor in Ensuring the Country's Security

Lieutenant Colonel David Tabatadze[3]
DOI: https://doi.org/10.61446/pa.2.2024.8425

Abstract

Renewable energy sources play an important role in strengthening the country's energy and political security. Their use reduces dependence on imported energy, ensures a sustainable and stable energy supply, promotes economic growth and improves environmental standards. Georgia, with its hydropower, solar, wind, biomass and geothermal resources, has the potential to develop renewable energy sources and contribute to the country's energy independence and strengthening its international position. Despite the existing technological and financial challenges, both energy and political security can be strengthened through the right policies, international support and investments. The development of renewable energy creates significant social, economic and environmental benefits, which are essential for the country's sustainable development.

"Georgia aspires to become an advanced developed country, part of the Western democratic world, a member of the European Union and an equal partner of NATO member states. The country's energy policy, whether in terms of security, decarbonization, economic cooperation, social, research or other aspects, is a key direction for ensuring these aspirations."

Keywords: renewable energy, security, sustainable development.

[3] Senior Engineer of the Air Defense Systems of the Aviation and Air Defense Command Headquarters

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

შესავალი

განახლებადი ენერგია წარმოადგენს თანამედროვე სამყაროსთვის ერთ-ერთ მთავარ სტრატეგიულ რესურსს, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვნად გააძლიეროს ქვეყნის ენერგეტიკული, ეკოლოგიური და ეროვნული უსაფრთხოება. მსოფლიო ენერგეტიკულ ბაზრებზე მუდმივი არასტაბილურობა, კლიმატური ცვლილებები და გარემოსდაცვითი გამოწვევები, განაპირობებენ იმის საჭიროებას, რომ ქვეყნებმა მოძებნონ მდგრადი და სანდო ენერგეტიკული წყაროები. განახლებადი ენერგიის წყაროები, როგორიცაა ჰიდროენერგია, ქარის ენერგია, მზის ენერგია და გეოთერმული რესურსები, უზრუნველყოფენ ენერგიის წარმოების ეკოლოგიურად სუფთა და მდგრად პროცესს. ამავდროულად, ისინი ამცირებენ იმპორტირებულ ენერგიაზე დამოკიდებულებას, აძლიერებენ ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას და ქმნიან ახალ ეკონომიკურ შესაძლებლობებს. საქართველო, როგორც ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ქვეყანა, განახლებადი ენერგიის განვითარების დიდ პოტენციალს ფლობს. მისი გეოგრაფიული თავისებურებები და ბუნებრივი პირობები იძლევა საშუალებას, რომ განახლებადი ენერგიის წყაროები გარდაიქმნას ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად. განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენება ბოლო ათწლეულების განმავლობაში, მნიშვნელოვანი გლობალური დისკუსიის საგანია. ეს საკითხი არა მხოლოდ გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლის პერსპექტივითაა აქტუალური, არამედ პოლიტიკური და ეკონომიკური უსაფრთხოების თვალსაზრისითაც. თანამედროვე გეოპოლიტიკურ პირობებში, ენერგეტიკული დამოუკიდებლობა და განახლებადი ენერგიის წყაროებზე გადასვლა, განსაკუთრებულ როლს ასრულებს ქვეყნის სუვერენიტეტისა და სტაბილურობის უზრუნველყოფაში. ეს სტატია გადმოგვცემს, თუ როგორ მოქმედებს განახლებადი ენერგიის წყაროები ქვეყნის პოლიტიკური უსაფრთხოების კონტექსტში, რა გამოწვევებსა და შესაძლებლობებს ქმნის ისინი და როგორ შეიძლება მათი ინტეგრაცია ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიებში.

ძირითადი ნაწილი

განახლებადი ენერგიის წყაროები, როგორიცაა მზის, ქარის, ჰიდროენერგეტიკა და ბიომასა, ძალზედ მნიშვნელოვანი კომპონენტებია გლობალური ენერგეტიკული ტრანსფორმაციის პროცესში. ისინი პირდაპირ ზემოქმედებენ გეოპოლიტიკურ მდგომარეობაზე და ქმნიან ახალ შესაძლებლობებს ენერგეტიკული უსაფრთხოების გასაძლიერებლად. ტრადიციული ენერგიის წყაროები, მაგალითად, ნავთობი და ბუნებრივი აირი, გეოპოლიტიკური დაძაბულობის მთავარი წყაროა მრავალი ათწლეულის განმავლობაში. მათი კონცენტრირება, რამდენიმე ქვეყანაში მსოფლიო მასშტაბით, ენერგეტიკული დამოკიდებულების კრიტიკულ საკითხს ქმნის. ამის საპირისპიროდ, განახლებადი ენერგიის წყაროები, ლოკალური და დეცენტრალიზებული ხასიათისაა,

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

რაც ხელს უწყობს რეგიონული და ეროვნული ენერგეტიკული დამოუკიდებლობის განმტკიცებას.

განახლებადი ენერგიის წყაროებზე გადასვლა, შესაძლებელს ხდის, შემცირდეს დამოკიდებულება იმპორტირებულ ენერგეტიკულ რესურსებზე. საქართველოს, რომელსაც გააჩნია მნიშვნელოვანი ჰიდრორესურსები და მზის ენერგიის პოტენციალი, ხელსაყრელ პირობებში იმყოფება ეროვნული ენერგეტიკული სტრატეგიის გადასახედად. ამ გზით, ქვეყანა შეძლებს, დაიცვას საკუთარი სუვერენიტეტი და დაიმკვიდროს სტაბილური პოზიცია რეგიონალურ ენერგეტიკულ სისტემაში.

პოლიტიკური უსაფრთხოების განზომილება

ენერგეტიკული დამოუკიდებლობა, ქვეყნის პოლიტიკური უსაფრთხოების ერთ-ერთი ქვაკუთხედია. ქვეყნის ენერგეტიკული ინფრასტრუქტურა, რომელიც დაფუძნებულია განახლებად წყაროებზე, ამცირებს გარე ზეწოლის შესაძლებლობებს და ამავდროულად ზრდის შიდა სტაბილურობას. ენერგეტიკული რესურსების კონტროლი, ხშირად გეოპოლიტიკური ზეწოლის იარაღად გამოიყენება. მაგალითად, რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის დროს, ბუნებრივი აირის მიწოდების შეწყვეტამ ნათლად აჩვენა, რამდენად ძლიერი ბერკეტი შეიძლება იყოს ენერგია პოლიტიკური გავლენის შესანარჩუნებლად.

"რუსეთის შეჭრამ უკრაინაში, აიძულა ევროკავშირის წევრი ქვეყნები, განსაკუთრებით ის ქვეყნები, როგორიცაა გერმანია და იტალია, რომლებიც მნიშვნელოვნად ეყრდნობოდნენ რუსულ წიაღისეულ საწვავს, დაეჩქარებინათ განახლებადი ენერგიის განვითარება. ეს პრაქტიკაში გამოწვევად იქცა, თუმცა ორივე ქვეყანა ცდილობს აღმოფხვრას დაბრკოლებები განახლებადი ენერგიის გაფართოებისთვის. შესაბამისად, მათ მიიღეს ყველა აუცილებელი რეგულაციები, რომლებიც, მიზნად ისახავს ლიცენზირების პროცედურების ავტორიზაციის ხელშეწყობას, ქსელთან მიერთების შესაძლებლობის გამარტივებას."[4]

განახლებადი ენერგიის წყაროებზე დამოკიდებულება, ამგვარ რისკებს ამცირებს. ქვეყნები, რომლებიც იყენებენ საკუთარ ენერგეტიკულ რესურსებს, ნაკლებად არიან დამოკიდებულნი გარე ძალებზე და, შესაბამისად, უფრო თავისუფლად შეუძლიათ ეროვნული ინტერესების დაცვა საერთაშორისო ურთიერთობებში. ამასთან, განახლებადი ენერგიის წყაროების განვითარება, ხელს უწყობს შიდა პოლიტიკური სტაბილურობის განმტკიცებასაც, რადგან მათი გამოყენება მოსახლეობის ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლებას უწყობს ხელს, ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს და ამცირებს სოციალურ უთანასწორობას.

[4] https://doi.org/10.1016/j.jup.2024.101731 უკანასკნელად გადამოწმდა 17.06.2024.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის უსაფრთხოება

განახლებადი ენერგიის წყაროებზე გადასვლა, ასევე დაკავშირებულია ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის უსაფრთხოებასთან. ტრადიციული ენერგეტიკული ქსელები, რომლებიც დიდწილად ეყრდნობიან ცენტრალიზებულ ინფრასტრუქტურას, ხშირად განიცდიან სერიოზულ რისკებს, როგორიცაა საბოტაჟი, კიბერშეტევები ან ტექნიკური ავარიები. განახლებადი ენერგიის დეცენტრალიზებული სისტემა, ამ რისკებს მნიშვნელოვნად ამცირებს. მრავალფეროვანი და ლოკალური წარმოება, ქმნის მოქნილ სისტემას, რომელიც უფრო მდგრადია კრიზისების დროს.

ამასთან, ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია და განახლებადი წყაროების ინტეგრაცია, საჭიროებს შესაბამის ტექნოლოგიებსა და ინოვაციებს. ეს, თავის მხრივ მოითხოვს საერთაშორისო პარტნიორობას და ინვესტიციებს, რაც არა მხოლოდ ეკონომიკური სარგებლის მომტანია, არამედ ხელს უწყობს ქვეყნის პოზიციონირებას თანამედროვე ტექნოლოგიურ პროცესებში.

საქართველოს კონტექსტი და პერსპექტივები

საქართველო მდიდარია ჰიდროენერგიის რესურსებით, თუმცა, ქვეყნის ენერგეტიკული სტრატეგიის დივერსიფიკაცია საჭიროებს მზის, ქარის და სხვა ალტერნატიული წყაროების განვითარების ხელშეწყობას. ეს განსაკუთრებით აქტუალურია პოლიტიკური უსაფრთხოების კონტექსტში, რადგან საქართველოს სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობა, მას საერთაშორისო ენერგეტიკული დერეფნის ნაწილად აქცევს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს მთავრობა, აქტიურად არის ჩართული განახლებადი ენერგიის განვითარებაში საქართველოში და ამ მიმართულებით სახვადასხვა პროექტებს აწარმოებს. "საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააგენტოს „აწარმოე საქართველოში" „ბიზნეს უნივერსალის" კომპონენტს, კიდევ ერთი ეკონომიკური საქმიანობა - ელექტროენერგიის წარმოება დაემატა. აღნიშნული ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში, სესხით/ლიზინგით სარგებლობისათვის, სავალდებულოა სადგური აწარმოებდეს მზის, ქარის ან ჰიდროენერგიას და მათი დადგმული სიმძლავრე 0.5 მეგავატს არ უნდა აღემატებოდეს."[5]

განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენება, საქართველოს ენერგეტიკულ უსაფრთხოებას ზრდის, ამცირებს რეგიონალური კონფლიქტების გავლენას და ხელს უწყობს საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავებას პარტნიორ ქვეყნებთან. მაგალითად, ევროკავშირთან თანამშრომლობა განახლებადი ენერგიის განვითარების მიმართულებით, არა მხოლოდ ენერგეტიკულ უსაფრთხოებას აუმჯობესებს, არამედ ქვეყნის პოლიტიკურ ინტეგრაციასაც ხელს უწყობს დასავლურ სტრუქტურებში.

[5] https://www.gse.com.ge/comunikatsia/akhali-ambebi/2023/ganaxlebadi-energiis-xelSewyobis-axali-iniciativa
უკანასკნელად გადამოწმდა 5.08.2024.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

გამოწვევები და რისკები

მიუხედავად უპირატესობებისა, განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენება, უკავშირდება გარკვეულ გამოწვევებს. ტექნოლოგიური ცოდნისა და ფინანსური რესურსების ნაკლებობა, ხშირად აფერხებს პროექტების განხორციელებას. გარდა ამისა, კლიმატური და გეოგრაფიული პირობები, ზოგჯერ ზღუდავს განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენების შესაძლებლობებს. მაგალითად, მცირე ზომის ქვეყნები, როგორიცაა საქართველო, შეზღუდული სივრცის გამო, შესაძლოა ვერ განახორციელონ დიდი მასშტაბის პროექტები, რაც საჭიროებს ალტერნატიულ მიდგომებსა და ტექნოლოგიურ ინოვაციებს.

ამასთან, პოლიტიკურ დონეზე საჭიროა სტაბილური საკანონმდებლო ჩარჩოს ჩამოყალიბება, რომელიც ხელს შეუწყობს განახლებადი ენერგიის წყაროებზე დაფუძნებული ინფრასტრუქტურის განვითარებას და ინვესტორების მოზიდვას.

დასკვნა

განახლებადი ენერგიის წყაროები, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნის პოლიტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. მათი გამოყენება არა მხოლოდ ამცირებს ენერგეტიკულ დამოკიდებულებას გარე წყაროებზე, არამედ ზრდის შიდა სტაბილურობას და ხელს უწყობს გრძელვადიან ეკონომიკურ განვითარებას. საქართველოსთვის, განახლებადი ენერგიის წყაროებზე გადასვლა სტრატეგიული პრიორიტეტია, რომელიც შესაძლოა გახდეს ქვეყნის ენერგეტიკული და პოლიტიკური დამოუკიდებლობის მთავარი საფუძველი. ამისათვის საჭიროა ყოვლისმომცველი პოლიტიკის განხორციელება, რომელიც მოიცავს ტექნოლოგიურ განვითარებას, საერთაშორისო პარტნიორობასა და საზოგადოების განათლებას განახლებადი ენერგიის მნიშვნელობაზე.

ბიბლიოგრაფია

დავითაშვილი. ლ. "საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკა." საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, თბილისი (ბ.ნ: 10.03.2024.) 2023.

Maliszewska-Nienartowicz J. "Impact of Russia's invasion of Ukraine on renewable energy development in Germany and Italy." Nicolaus Copernicus University. Poland. https://doi.org/10.1016/j.jup.2024.101731 (ბ.ნ: 17.06.2024.) 2024.

"განახლებადი ენერგიის ხელშეწყობის ახალი ინიციატივა". ბიზნეს უნივერსალის" პროგრამის განახლებადი ენერგიის ხელშემწყობი კომპონენტის გაცნობით შეხვედრა. თბილისი. https://www.gse.com.ge/comunikatsia/akhali-ambebi/2023/ganaxlebadi-energiis-xelSewyobis-axali-iniciativa (ბ.ნ: 5.08.2024.) 2023.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ძალოვანი უწყებების პერსპექტივიდან დანახული, დაგეგმის, პროგრამირებისა და ბიუჯეტირების გამოწვევები კრიზისული სიტუაციების დროს

ნუგზარ ქვარიანი[1]
DOI: https://doi.org/10.61446/pa.2.2024.8426

აბსტრაქტი

დაგეგმვა, პროგრამირება და ბიუჯეტირება ნებისმიერ ორგანიზაციაში საყურადღებო და მნიშვნელოვანი პროცესია, ასევე, საყურადღებოა გარემო, რომლის დროსაც ორგანიზაციის მენეჯმენტსა და პასუხისმგებელ პირებს უწევთ მსგავსი პროცესის განხორციელება, ისეთი ორგანიზაციებისათვის, როგორიცაა თავდაცვის სამინისტრო ან სხვა ძალოვანი უწყებები, ხშირ შემთხვევაში, PPBS-ის პროცესის დროს აწყდებიან გამოწვევებს, რომლებსაც ამძიმებს ოპერირების გარემო. კრიზისის დროს, როგორიცაა: ბუნებრივი კატასტროფები, პანდემიები ან შეიარაღებული კონფლიქტები, ეფექტური დაგეგმვა, პროგრამირება და ბიუჯეტირება (PPB) გადამწყვეტია სამხედრო ორგანიზაციებისთვის სწრაფი და ეფექტური რეაგირებისთვის. თუმცა, კრიზისული სიტუაციები წარმოადგენს უნიკალურ გამოწვევებს, რომლებიც ართულებს PPB პროცესს. მოცემულ ნაშრომში განხილულია მთავარი გამოწვევები, რომლებსაც აწყდებიან ძალოვანი უწყებები PPB-ში კრიზისული სიტუაციების დროს. მაგალითების განხილვის საფუძველზე წარმოჩენილია გამოწვევები და მათი დადგენისა თუ გადალახვის სტრატეგიები. ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს ძალოვანი უწყებებისათვის დაგეგმვის, პროგრამირებისა და ბიუჯეტირების როლი კრიზისული სიტუაციების მართვასა და მათ ეფექტურ მოგვარებაში.

საკვანძო სიტყვები: კრიზისი, პანდემია, მართვა, PPBS, უსაფრთხოება

[1] სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს, ეროვნული თავდაცვის აკადემიის, მაგისტრატურის საგანმანათლებო პროგრამის სახელმწიფო რესურსების მართვის მსმენელი

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

Challenges of planning, programming, and budgeting in crisis situations from the perspective of law enforcement agencies

Nugzari Kvariani[2]
DOI: https://doi.org/10.61446/pa.2.2024.8426

Abstract

Planning, programming, and budgeting are essential and significant processes in any organization. Equally important is the environment in which the management and responsible individuals of an organization operate. This is particularly relevant for institutions such as the Ministry of Defense or other security agencies. Often, during the Planning, Programming, and Budgeting System (PPBS) process, challenges arise that are made more difficult by the operational context. In times of crisis—such as natural disasters, pandemics, or armed conflicts—effective planning, programming, and budgeting (PPB) are vital for military organizations to respond swiftly and efficiently. However, crisis situations present unique challenges that complicate the PPB process. This paper examines the main challenges faced by security agencies during the PPB process in crisis situations. Through the analysis of examples, the challenges are identified, and strategies for addressing and overcoming them are proposed. The paper aims to demonstrate the critical role of planning, programming, and budgeting in managing and effectively resolving crisis situations for security agencies.

Keywords: crisis, pandemic, management, PPBS, security

[2] Student of Master's Program in State Recourse Management of, LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

შესავალი

კრიზისული სიტუაციების მოგვარება და გადაჭრა ყველა სახელმწიფოს პრიორიტეტს წარმოადგენს. პრობლემების მოსაგვარებლად დგინდება გეგმები, წესდება პროცედურები, იქმნება მარაგები, რაც თავისთავად მოითხოვს დაგეგმვას პროგრამირებასა და ბიუჯეტირებას, რათა მოხდეს სწორი აღსრულება. ამასთანავე, PPBS-ს განსაკუთრებული პრიორიტეტი ენიჭება უშუალოდ კრიზისული მდგომარეობის დროს. არსებობს მრავალი მაგალითი თუ როგორ გამოუყენებია უსაფრთხოებისა და შეიარაღებულ ძალებს დაგეგმვა პროგრამირება და ბიუჯეტირება სიტუაციების მართვისათვის. კრიზისული ვითარების სწრაფი მოგვარება სახელმწიფოებისთვის პრიორიტეტულია, სწორედ ამიტომ იყენებენ ძალოვანი უწყებები PPBS-ს მიდგომას. იგი მოითხოვს რუტინულ სწავლებებს, დაგეგმვის სხვადასხვა მეთოდების გადასინჯვას და პროგრამების სწორ გაწერას, რათა საჭიროების შემთხვევაში პასუხისმგებელი ძალოვანი უწყები იყვნენ მზად პრობლემის ეფექტურად და სწრაფად მოსაგვარებლად. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმ გამოწვევებს რომელებიც წინასწარ გაანალიზებული უნდა იყოს მშვიდობიანობის დროს, რათა სამუშაო პროცესისას კრიზისის აღმოფხვრისათვის განკუთვნილ ქვედანაყოფებს მიეცეს საშულება სრული პოტენციალის გამოყენების, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს სიტუაციის მართვას, მოსახლეობისა და კრიტიკული ინფრასტრუქტურის უსაფრთხოებას.

ძირითადი ნაწილი

პირველ რიგში, კრიზისულ სიტუაციებში PPB-ის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა არის სწრაფად ცვალებადი საოპერაციო გარემო. კრიზისის სცენარები ხშირად არაპროგნოზირებად ვითარდება, რაც ძალოვან უწყებებს ავალდებულებს ოპერატიული გეგმებისა და რესურსების განაწილების მოკლე დროში ადაპტირებას. აღნიშნული სიტუაციის თვალსაჩინო მაგალითია აშშ-ში 2005 წელს ქარიშხალ „კატრინას" წინააღმდეგ ბრძოლა. სანაპიროს რეგიონში, ქარიშხლის შედეგების პრევენციისა და ლიკვიდაციისათვის საჭირო გახდა მასიური სამხედრო რეაგირება, მათ შორის სამძებრო-სამაშველო ოპერაციები, სამედიცინო დახმარება და ჰუმანიტარული ტვირთის მობილიზებაში, ტრანსპორტირებასა და განაწილებაში ძალოვანი უწყებების ჩართვა. თუმცა, კრიზისის დინამიურმა ბუნებამ, მათ შორის ამინდის პირობების ცვლილებამ და ჰუმანიტარული საჭიროებების გაზრდილმა მოთხოვნამ, დაგეგმარებაში ჩართულ პირებს დიდი თავსატეხი გაუჩინა და აიძულა, წინასწარ განსაზღვრული და განაწილებული რესურსები თავიდან გადაესინჯათ.[3]

ქარიშხალ კატრინას შემდეგ ძალოვანმა უწყებებმა გააანალიზეს მოქნილობისა და სისწრაფის მნიშვნელობა PPB-ს პროცესში, კრიზისულ სიტუაციებში. გადაწყვეტილე-

[3] Omran, Sila Selehi. *The Plans*. November 18, 2006.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ბის მიღების სწრაფი პროცესები და ინფორმაციის რეალურ დროში გაზიარება აუცილებელი იყო სამხედრო რეაგირების კოორდინაციისა და რესურსების განაწილების ოპტიმიზაციისთვის. გარდა ამისა, სამოქალაქო უწყებებთან და ადგილობრივ ხელისუფლებასთან მჭიდრო თანამშრომლობამ ხელი შეუწყო კრიზისისას საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას და კოორდინირებული და ეფექტური რეაგირების უზრუნველყოფას.

მსგავსი ანალიზისას, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მოცემულობა, რომ კრიზისულ სიტუაციებს ხშირად ახასიათებს გაურკვევლობა და ინფორმაციის ხარვეზები, რაც მნიშვნელოვან გამოწვევებს უქმნის PPB-ს. კრიზისის მოცულობისა და მასშტაბის შეზღუდულმა ხილვადობამ შეიძლება შეაფერხოს გასამხედროებული ორგანიზაციების შესაძლებლობა შეაფასონ ოპერატიული მოთხოვნები და გაანაწილონ რესურსები ეფექტურად. მაგალითად, COVID-19 პანდემიის ადრეულ ეტაპებზე ძალოვანი უწყებები ვერ იღებდნენ ჯეროვან ინფორმაციას, რის შედეგადაც, ისინი გაურკვევლობის წინაშე დადგნენ ვირუსის გადაცემის დინამიკასთან, ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის შესაძლებლობებთან და ძალების გადანაწილებასთან დაკავშირებით. ამ გაურკვევლობამ გაართულა მომავალი საჭიროებებისა და განსახორციელებელი ქმედებების წინასწარ განსაზღვრა.

კრიზისულ სიტუაციებში PPB-ში გაურკვევლობისა და ინფორმაციის ხარვეზების აღმოსაფხვრელად, ძალოვანმა უწყებებმა პრიორიტეტი უნდა მიანიჭონ ინფორმაციის შეგროვებას და ანალიზს. სხვადასხვა წყაროების, მათ შორის სოციალური მედიის მონიტორინგისა და გამოიყენონ ადგილზე შეფასებების მეთოდები. გარდა ამისა, სცენარზე დაფუძნებული დაგეგმვის წვრთნები და სამაგიდო სიმულაციები (საშტაბო სწავლებები) დაეხმარება სამხედრო ორგანიზაციებს მოემზადონ კრიზისული სცენარებისთვის და გამოავლინონ პოტენციური ხარვეზები PPB პროცესებში.

კრიზისული სიტუაციები ხშირად მოიცავს პრიორიტეტების განსაზღვრის პრობლემას და რესურსების შეზღუდვას, რაც გამოწვევას უქმნის ორგანიზაციებს რესურსების ეფექტურად განაწილების მიმართულებით. მაგალითად, სტიქიური უბედურების დროს, ძალოვან უწყებებს შეიძლება ერთდროულად მოუწიოთ ჰუმანიტარული დახმარების გაწევა, უსაფრთხოების გარემოს შექმნა(კრიმინალთან ბრძოლა) და ეროვნული უსაფრთხოების დაცვა. ამ კონკურენტული პრიორიტეტების დაბალანსება მოითხოვს ფრთხილად დაგეგმვასა და კოორდინაციას, რათა უზრუნველყოფილი იყოს რესურსების გონივრულად და სტრატეგიული მიზნების შესაბამისად განაწილება.

2010 წლის ჰაიტის მიწისძვრის შემდეგ, ძალოვან უწყებებს კრიზისის აღმოფხვრის პერიოდში გაუჩნდათ პრიორიტეტების განსაზღვრისა და შეზღუდული რესურსების პრობლემა. მიწისძვრამ გაანადგურა მრავალი შენობა, რის შედეგადაც კრიზისის აღმოფხვრაში ჩართულ ძალებს მოუწიათ სამძებრო-სამაშველო ოპერაციების, სამედი-

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ცინო დახმარებისა და ჰუმანიტარული დახმარების გაწევა. თუმცა, შეზღუდული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, კომუნიკაციების მოშლა და უსაფრთხოების საკითხები აფერხებდა ძალოვანი უწყებების დახმარების ეფექტურად მიწოდების შესაძლებლობას.[4]

კრიზისულ სიტუაციებში PPB-ში კონკურენტული პრიორიტეტებისა და რესურსების შეზღუდვის გადასაჭრელად ძალოვანმა უწყებებმა რესურსების განაწილებასთან დაკავშირებით უნდა მიიღონ რთული და რაციონალური გადაწყვეტილებები. რაშიც იგულისხმება პრიორიტეტულობის კრიტერიუმების განსაზღვრასა, რომელთა მიხედვითაც შეირჩევა და გამოიყოფა ძალები და საშუალებები, როგორიცაა კატასტროფებზე რეაგირების ჯგუფები, სამედიცინო ევაკუაციის საშუალებები და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა. გარდა ამისა, აუცილებელია პარტნიორობა სამოქალაქო სააგენტოებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და საერთაშორისო პარტნიორებთან, რათა მოხდეს როგორც მატერიალური მზაობის ამაღლება და შენარჩუნება, ასევე პროგრამების სწორი განსაზღვრა, პრიორეტიტების მინიჭება და საჭირო ჯგუფებზე დავალებების გაცემა. პრიორიტეტიზაციისათვის ყველა სახელმწიფოს განსხვავებული ინდიკატორები გააჩნია. ისინი ქვეყნის ტერიტორიისა და სხვა მოთხოვნების საფუძველზე ინდივიდუალურად ირჩევა და ერგება კრიზისულ სიტუაციას(განისაზღვრება მშვიდობიანობის პროცესში და დგინდება შესაბამისი სამსახურების მიერ).

კრიზისული სიტუაციები ხშირად მოიცავს რთულ პოლიტიკურ და სამართლებრივ მოსაზრებებს, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს PPB-ის გადაწყვეტილებებზე. მაგალითად, ძალოვნები შეიძლება აღმოჩნდნენ იურიდიული შეზღუდვები ქვეშ ძალის გამოყენებაზე, სამოქალაქო სამართალდამცავ ორგანოებსა და საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალზე კრიზისზე რეაგირების ოპერაციების დროს. გარდა ამისა, პოლიტიკურმა მოსაზრებებმა, როგორიცაა დიპლომატიური ურთიერთობა დაზარალებულ ქვეყნებთან და საზოგადოების აღქმა, შეიძლება გავლენა მოახდინოს რესურსების მობილიზებაზე და გადაწყვეტილების მიღების პროცესებზე.

2014 წელს დასავლეთ აფრიკაში ებოლას გავრცელების საპასუხოდ, სამხედრო ორგანიზაციები PPB-ის პროცესში პოლიტიკური და სამართლებრივი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ. ებოლას სამკურნალო ცენტრების მხარდასაჭერად სამხედრო პერსონალის განთავსებამ გამოიწვია შეშფოთება ძალის სათანადო გამოყენების შესახებ. გარდა ამისა, სამოქალაქო დაწესებულებებში სამხედრო აქტივების განლაგების სამართლებრივი შეზღუდვები მოითხოვდა ფრთხილ კოორდინაციას სამოქალაქო საზოგადოებასთან და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების დაცვას.[5]

[4] Reid, ketrin. 2023. "Haiti earthquake: Facts, FAQs, and how to help." *world vision.*

[5] Benton, Adia. 2017. *Whose Security? Militarization and Securitization During West Africa's Ebola Outbreak.* oxford, feb .

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

კრიზისულ სიტუაციებში PPB-ში პოლიტიკური და სამართლებრივი მოსაზრებების გადასახედად, ძალოვანი უწყებები უნდა ჩართონ შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან ერთად და დაიცვან დადგენილი სამართლებრივი ჩარჩო. ეს მოიცავს იურიდიულ მრჩეველებთან კონსულტაციას, სამოქალაქო ხელისუფლებასთან კოორდინაციას და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობას, რათა უზრუნველყოს სამართლებრივი ვალდებულებების შესრულება და ჰუმანიტარული პრინციპების დაცვა. გარდა ამისა, კომუნიკაცია საზოგადოებასთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეიძლება დაეხმაროს ნდობის ჩამოყალიბებას და მხარდაჭერას PPB-ის გადაწყვეტილებების მიმართ კრიზისზე რეაგირების ოპერაციების დროს.

დასკვნა

ეფექტური დაგეგმვა, პროგრამირება და ბიუჯეტირება აუცილებელია სამხედრო ორგანიზაციებისთვის, რათა ეფექტურად უპასუხონ კრიზისულ სიტუაციებს. თუმცა, კრიზისული სცენარები წარმოადგენენ უნიკალურ გამოწვევებს, რომლებიც ართულებს PPB პროცესს, მათ შორის: სწრაფად ცვალებადი საოპერაციო გარემო, გაურკვევლობა და ინფორმაციის ხარვეზები, რესურსების შეზღუდვა და პოლიტიკური და სამართლებრივი მოსაზრებების შეუთავსებლობა გეგმასთან. ამ გამოწვევების გადაჭრით გადაწყვეტილების მიღების მოქნილი პროცესებით, მოპოვებული ინფორმაციის ანალიზზე ორიენტირებული დაგეგმვა, რესურსების ოპტიმალური განაწილება და გამჭვირვალე კომუნიკაცია, ძალოვან უწყებებს საშუალებას აძლევს გააძლიერონ თავიანთი შესაძლებლობები კრიზისულ სიტუაციებში, მისიის წარმატების მისაღწევად. რეალური მაგალითები ასახავს ადაპტაციური მიდგომების და თანამშრომლობის მნიშვნელობას სამოქალაქო ხელისუფლებასთან და საერთაშორისო პარტნიორებთან PPB-ში კრიზისზე რეაგირების პროცესში, ძალოვანი უწყებების მიერ გამოწვევების ეფექტურად გადასაჭრელად.

ბიბლიოგრაფია

Benton, Adia. *Whose Security? Militarization and Securitization During West Africa's Ebola Outbreak*. Oxford, February 2017. Accessed June 10, 2024. https://academic.oup.com/book/6483/chapter-abstract/150356092?redirectedFrom=fulltext.

Omran, Sila Selehi. *The Plans*. November 18, 2006. Accessed January 10, 2024. https://web.mit.edu/12.000/www/m2010/teams/neworleans6/solutions.html.

Reid, Ketrin. "Haiti Earthquake: Facts, FAQs, and How to Help." *World Vision*, 2023. Accessed December 8, 2024. https://www.worldvision.org/haiti-earthquake-facts.

"შრომები"№ 2 (2024)
WWW.PAPERS.ETA.EDU.GE/INDEX.PHP/PAPERS

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

აშშ - ჩინეთის კონკურენცია და საერთაშორისო წესრიგი

შოთა ოთხოზორია[1]
DOI: https://doi.org/10.61446/pa.2.2024.8427

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია თანამედროვე საერთაშორისო სისტემის ძირითადი აქტორების, -შეერთებული შტატების და ჩინეთის კონკურენცია და მათი გავლენა გლობალურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ წესრიგზე. მიუხედავად არსებული გამოწვევებისა შეერთებული შტატები ჯერ კიდევ მსოფლიოს ყველაზე ძლიერ გლობალურ ძალად რჩება, რომელსაც ჩინეთის დინამიური აღმავალი ძალა უპირისპირდება, რომელიც ეკონომიკური ზრდის სწრაფ ტემპში და გლობალური გავლენის გაფართოებაში გამოიხატება.

სტატიაში ასევე ასახულია BRICS-ი (ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი, სამხრეთ აფრიკა, ირანი, ეგვიპტე, ეთიოპია და არაბთა გაერთიანებული საამიროები.), როგორც კოლექტიური დასავლეთის ალტერნატიული ეკონომიკური და პოლიტიკური ძალა.

ნაშრომში, შეერთებული შტატებისა და ჩინეთის კონკურენციის კონტექსტში, ასევე განხილულია „ხისტი" და „რბილი" ძალების გავლენა საერთაშორისო წესრიგზე.

საერთაშორისო სისტემის ძირითადი გამოწვევა დიდ ძალებს შორის არსებული დაძაბულობის მართვაა ისე, რომ კონკურენცია ღია კონფლიქტში არ გადაიზარდოს.

საერთაშორისო სისტემის სტაბილურობა დიდწილად დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად შეძლებენ გლობალური ძალები თანამშრომლობის ჩამოყალიბებას. მსოფლიოს მომავალი დამოკიდებული იქნება დიდ ძალებს შორის კონკურენციასა და თანამშრომლობის ბალანსზე, რაც საერთაშორისო სისტემის სტაბილურობისა და განვითარების ვექტორებს განსაზღვრავს.

საკვანძო სიტყვები: გლობალური, საერთაშორისო, სისტემა, კონკურენცია, ეკონომიკური, სამხედრო, ძალა.

[1] სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს, ეროვნული თავდაცვის აკადემიის, ბაკალავრიატის თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების ასისტენტ პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

US-China competition and international order

Shota Otkhozoria[2]
DOI: https://doi.org/10.61446/pa.2.2024.8427

Abstract

The article discusses the competition of the main actors of the modern international system, the United States and China, and their influence on the global political and economic order. Despite the current challenges, the United States still remains the world's most powerful global power, which is being challenged by the dynamic rise of China, which is reflected in its rapid economic growth and expanding global influence.

The article also outlines the importance of the BRICS (Brazil, Russia, India, China, South Africa, Iran, Egypt, Ethiopia and the United Arab Emirates.) as a collective alternative economic and political power to the West.

In the context of the competition between the United States and China, the paper also discusses the influence of "hard" and "soft" forces on the international order.

The main challenge of the international system is to manage the tensions between the great powers so that the competition does not turn into an open conflict.

The stability of the international system will largely depend on the extent to which global powers can establish cooperation. The future of the world will depend on the balance of competition and cooperation between the great powers, which will determine the stability and development vectors of the international system.

Keywords: global, international, system, competition, economic, military, power.

[2] Assistant Professor of Bachelor's Program in Defense and Security of, LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia, Doctor of International Relations

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

შესავალი

თანამედროვე საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა საკმაოდ კომპლექსური და მრავალმხრივია, რომლის ძირითადი მოთამაშეები მოიცავს: აშშ-ს, ჩინეთს, რუსეთს, ევროკავშირს და სხვა რეგიონულ ძალებს, რომლებიც გავლენას ახდენენ გლობალურ პოლიტიკაზე.

შეერთებული შტატები, მიუხედავად გამოწვევებისა ინარჩუნებს სამხედრო, ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ და კულტურულ დომინირებას. მას აქვს მსოფლიოში უდიდესი ეკონომიკა, ყველაზე ძლიერი სამხედრო-პოლიტიკური და ძლიერი გლობალური ინსტიტუციური გავლენა. მიჩნეულია, რომ აშშ-ს ჰეგემონიის უპირველესი მეტოქე, არის ჩინეთი, რომელიც გამოირჩევა სწრაფი ეკონომიკური ზრდით, სამხედრო შესაძლებლობების გაფართოებით და გლობალური ეკონომიკური და დიპლომატიური გავლენებით.

გლობალური ბირთვული შესაძლებლობებით და სტრატეგიული გავლენით ასევე მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენს რუსეთი, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში. მიუხედავად იმისა, რომ 2022 წელს უკრაინაში ფართომასშტაბიანი შეჭრის გამო სანქცირებულია, სამხედრო ძალას და დიპლომატიურ ბერკეტებს მაინც ინარჩუნებს. რაც შეეხება ევროკავშირს იგი წარმოადგენს კოლექტიურ ეკონომიკურ და დიპლომატიურ ძალას, მნიშვნელოვანი ეკონომიკური გავლენით, ტექნოლოგიური ინოვაციებითა და რბილი ძალის შესაძლებლობებით.

თანამედროვე საერთაშორისო წესრიგი განსხვავდება ბიპოლარული ცივი ომის ეპოქისგან და კომუნისტური რეჟიმების დაშლის შემდეგ აშშ-ს ხანმოკლე უნიპოლარული მომენტისგან, რაც გლობალური ძალაუფლების უფრო დახვეწილ და მოქნილ განაწილებაზე მიუთითებს. სისტემა გამოირჩევა კონკურენციით, თანამშრომლობითა და ძირითად აქტორებს შორის კომპლექსური ურთიერთ დამოკიდებულებით.

ნაშრომში წარმოდგენილია თანამედროვე საერთაშორისო სისტემის ანალიზი, რომელიც აშშ-სა და ჩინეთს შორის სტრატეგიული კონკურენციით და რთული მრავალპოლარული დინამიკით ხასიათდება. გეოპოლიტიკურ დაძაბულობასთან ერთად, მას თან ახლავს ალიანსების ურთიერთქმედება და ეკონომიკური ურთიერთ დამოკიდებულება.

კვლევის მნიშვნელობას განსაზღვრავს დიდი ძალების ურთიერთობის გავლენა საერთაშორისო სისტემის სტაბილურობაზე, რომელთა სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური შესაძლებლობები მნიშვნელოვნად აღემატება სისტემის დანარჩენი ელემენტების საერთო სიძლიერეს.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ძირითადი ნაწილი

ძალაუფლების ცენტრი აღმოსავლეთისკენ გადადის?

საერთაშორისო სისტემის მომავალი სტრუქტურის შესახებ დისკურსში ბოლო ხანებში აქტიურად რამდენიმე მოსაზრება განიხილება: პირველი ეხება რწმენას, რომ ჩინეთი გადააჭარბებს აშშ-ს და მომდევნო ათწლეულების განმავლობაში მსოფლიოს ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნების სიის სათავეში მოექცევა. მეორე მოსაზრების მიხედვით, შეერთებული შტატები, როგორც 90-იანი წლების უნიპოლარული მომენტის ჰეგემონი ზესახელმწიფო, დაცემის გზაზეა და იგი ამ მდგომარეობას თავს ვერ დააღწევს. მესამე მოსაზრებით კი, გლობალური პოლიტიკური ცენტრი ატლანტიკიდან წყნარი ოკეანისკენ გადადის.[3]

აშკარაა, რომ აზიის ზოგიერთი ქვეყანა ეკონომიკურად სწრაფად ვითარდება, განსაკუთრებით ჩინეთი. თუმცა, დასავლეთის ჩამოწერა რბილად რომ ითქვას, ნაადრევია. ვინაიდან მას აქვს რამდენიმე აქტივი, რაც საერთაშორისო სისტემაში მის პოზიციას ამტკიცებს. ერთის მხრივ, აშშ-ს თავისი ადამიანური კაპიტალისა და ბუნებრივი რესურსების თვალსაზრისით ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი აქტივები გააჩნია. ასევე, იგი დაკავშირებულია ძლიერ ტრანსატლანტიკურ ორგანიზაციებთან, როგორიცა ნატო და დიდი შვიდიანი (G7). უსაფრთხოებისა და ეკონომიკური თანამეგობრობის წევრობა აშშ-სა და ევროპას საშუალებას აძლევს, ტრადიციული სახელმწიფოთაშორისი კონკურენციისგან მიღებული სარგებელი საერთაშორისო სისტემის დასავლურ ბირთვში გადაამისამართონ. გარდა ამისა, მიუხედავად აღმავლობისა ნაკლებად სავარაუდოა, რომ ჩინეთი ახალი, „ერთიანი აღმოსავლეთის" ცენტრი გახდება.

აზიური რეგიონალიზმი ნაკლებად არის მიდრეკილი ინტეგრაციისკენ, ვიდრე ევროპული. მრავალი თვალსაზრისით, აზიაში საერთაშორისო ურთიერთობები უფრო რეალისტურია, ვიდრე ევროპაში ან ჩრდილოეთ ამერიკაში. შედეგად, როდესაც ჩინეთი საკუთარი პოზიციების გაძლიერებას იწყებს, მისი მეზობლები მხარდაჭერისთვის გარე აქტორებს მიმართავენ, განსაკუთრებით აშშ-ს. სწორედ ამან უბიძგა აშშ-ს უფრო მეტად ჩაერთოს აღმოსავლეთ აზიის რეგიონალურ უსაფრთხოებაში, ვიდრე ეს რამდენიმე ათეული წლის წინ იყო. ასე რომ, ჩინეთის გაძლიერებასთან ერთად, აღმოსავლეთის ბევრმა სახელმწიფომ შესაძლოა აღმოაჩინოს, რომ დასავლეთთან მჭიდრო ურთიერთობები მათ სახელმწიფო ინტერესებში იქნება.

არადასავლური ძალების აღმავლობა

მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტები გარკვეული დროის განმავლობაში აზიის სახელმწიფოების გარდაუვალ აღზევებაზე ამახვილებდნენ ყურადღებას, ამ საკითხის არსებითი განხილვა 2004 წელს, ჯეიმს ჰოგის მიერ „Foreign Affairs"-ში სტატიის გამო-

[3] Ferguson, N. 'The decade the world tilted East', Financial Times, 28 December 2012. https://shorturl.at/wm1nV (16.12.2024).

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ქვეყნების შემდეგ გადავიდა, სადაც იგი წერდა, რომ „მიმდინარეობს გლობალური ძალის ცვლილება, რომელსაც თუ სათანადო ყურადღება არ დაეთმობა, შეიძლება გამოიწვიოს დიდი კონფლიქტი".[4]

2008 წლის ფინანსური კრიზისის შემდეგ, ჩინეთის მკვლევარმა მარტინ ჟაკმა იგივე აზრი დააფიქსირა, ჟაკი ამტკიცებს, რომ 2008 წლის ფინანსური კრიზისის გამო, „ლიბერალური ეკონომიკური გემი სწრაფად იძირება", რასაც საერთაშორისო საზოგადოება უდიდესი გეოპოლიტიკური ცვლილებისკენ მიჰყავს.

ჟაკის აზრით, ეს ცვლილება არ მოიცავს მხოლოდ ძალაუფლების ცვლას. ვინაიდან, მისი მტკიცებით, ჩინეთი არ არის უბრალოდ სახელმწიფო, არამედ ცივილიზაციაა, საკუთარი მისიით. აქედან გამომდინარე, როდესაც იგი აღზევდება, მისი იდეები სამყაროს შესახებ და არა მხოლოდ მისი საქონლისა და ფულის შესახებ, დაიწყებს მიზიდულობის ზრდას და დასავლეთის იდეებს საბოლოოდ ჩაანაცვლებს.[5]

ამით დასავლეთის რთული მომავლის პროგნოზები არ მთავრდება. ფინანსურმა გიგანტმა გოლდმან საქსმა (Goldman Sachs) ბოლო რამდენიმე წლის ერთ-ერთი ყველაზე ციტირებული სტატისტიკური ცხრილის შედგენით „ძალათა ეკონომიკური ბალანსის პროგნოზირებული ცვლილება" აჩვენა, რომ აშშ-ს ეკონომიკა ჩინეთის ეკონომიკას ჯერ კვლავ მნიშვნელოვნად აღემატება. თუმცა, 2050 წლისთვის იგი მინიმუმ 10 პროცენტით ნაკლები იქნება. რეგიონულ დონეზე, დასავლეთი გლობალურ ეკონომიკაში წამყვან პოზიციას დაკარგავს, რადგან ჩინეთი, ინდოეთი, ბრაზილია, იაპონია და რუსეთი, წარმოებითა და მოხმარებით მას გადააჭარბებენ.[6]

ამ ფონზე ასევე მნიშვნელოვანია სამთავრობათშორისი ორგანიზაცია „ბრიკს"-ის ქვეყნები (ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი, სამხრეთ აფრიკა, ირანი, ეგვიპტე, ეთიოპია და არაბთა გაერთიანებული საამიროები. -BRICS), რომელებიც წინსვლას განაგრძობენ და მათი ეკონომიკა ცვლის რა მსოფლიო ეკონომიკური ძალების ბალანსს, გაცილებით სწრაფად ვითარდება ვიდრე დიდი შვიდიანის (საფრანგეთი, გერმანია, იტალია, იაპონია, გაერთიანებული სამეფო, შეერთებული შტატები და კანადა. -G7) ქვეყნებისა (BRICS მშპ=$61.37 ტრილიონი; G7 მშპ=$52.82 ტრილიიონი).[7] მათ შორის ერთ-ერთი აგრესიული და საკმაოდ მდგრადი ეკონომიკის სახელმწიფო საერთაშორისო ეკონომიკურ წესრიგზე უზარმაზარ გავლენას ახდენს.

---

[4] Hoge, J.F. 'A Global Power Shift in the Making: Is the United States Ready, Foreign Affairs 83(4) 2004. https://shorturl.at/JSrzu (16.12.2024)

[5] *Martin Jacques - When China Rules the World: The End of the Western World and the Birth of a New Global OrderNew York, The Penguin Press (2009). 8-16..*

[6] Jim O'Neill and Anna Stupnytska, Global Economic Paper *192, 'The long term outlook for the BRICS and N-11 Post-Crisis', December 4. 2009. 3-27. https://shorturl.at/A2Pgv (15.12.2024).*

[7] Statista, Combined gross domestic product (GDP) in purchasing power parity (PPP) of the BRICS and G7 countries from 2000 to 2024. https://shorturl.at/CXUlQ (15.12.2024).

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

რუსეთი, მიუხედავად დასავლეთის სანქციებისა და უკრაინაში შეჭრით გამოწვეული იზოლაციისა, გლობალური აქტორის პოზიციებს არ თმობს. მისი ბირთვული პოტენციალი, ენერგომატარებელი რესურსები და რეგიონული გავლენა აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში საკვანძო როლს თამაშობს, როგორც რეგიონულური უსაფრთხოების არქიტექტურაზე, ისე გლობალურ დონეზე. თუმცა, ეკონომიკური შეზღუდვები და ტექნოლოგიური რესურსების ლიმიტირებულობა რუსეთის გლობალური ამბიციების რეალიზაციას აფერხებს, რაც ახლო აღმოსავლეთში ბოლო დროს განვითარებული მოვლენებით კიდევ ერთხელ დადასტურდა.[8]

დასავლური ძალების დაღმავლობა

XXI საუკუნე დასავლეთისა და აშშ-სთვის მძიმედ დაიწყო, რაც რამდენიმე საკვანძო მოვლენამ განაპირობა: 9/11 - ის ტერაქტი და მისი შემდგომი შედეგები; აშშ-ის ძვირადღირებული სამხედრო ოპერაცია ერაყში; 2008 წლის დიდი ეკონომიკური კრიზისი; ნატო-ს წარუმატებელი ოპერაცია ავღანეთში; ჩინეთის ეკონომიკური ზრდის უჩვეულოდ მაღალი ტემპი, რაც აშკარა ნიშნებია იმისა, რომ დასავლური ძალების საუკეთესო დღეები უკან დარჩა.

„მარტივად რომ ვთქვათ, სამყარო შეიცვალა და თუ ჩვენ მასთან ერთად არ შევიცვლებით, ბრიტანეთის როლი შემცირდება [...], თუ ჩვენ მზად არ ვიქნებით სხვაგვარი მოქმედებისათვის," განაცხადა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, - უილიამ ჰეიგმა 2010 წლის 1 ივლისის მოხსენებაში.[9] თუმცა, ფაქტია, რომ დასავლური ძალები პოტენციურ აზიელ კონკურენტებთან შედარებით გარკვეულ სტრუქტურულ უპირატესობას მაინც ინარჩუნებენ, რაც დასავლეთის ლიდერის, ამერიკის შეერთებული შტატების ძალისხმევის უდაო დამსახურებაა. ეკონომიკური ძალები, როგორიცაა BRICS-ი მას კვალდაკვალ მისდევენ. თუმცა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით ისინი აშშ-ს ბევრად ჩამორჩებიან, რომლის მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) დანარჩენებს ჯერ კიდევ სინათლის წლით უსწრებს (აშშ-ს მშპ=$29.17 ტრილიონი აშშ დოლარი, ჩინეთის მშპ=$18.27 ტრილიონთან შედარებით).[10]

მიმდინარე კონკურენციის პირობებში ასევე მნიშვნელოვანია ევროკავშირის როლი. როგორც ერთიანი ეკონომიკური და პოლიტიკური ძალა იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისო სისტემის სტრუქტურის მდგრადობაში. თუმცა, შიდა პოლიტიკური და ეკონომიკური განსხვავებები მისი გავლენის სრულად რეალიზებას ხშირად აფერხებს. მაგალითად, 20023 წლის 15 სექტემბერს, უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ორბანმა ევროკავშირის მიერ უკრაინისათვის ფინანსური დახმარების

[8] Steve Rosenberg: Fall of Assad is a blow to Russia's prestige. BBC, 0812.2024. https://shorturl.at/daaVD (16.12.2024)
[9] Britain's Foreign Policy in a Networked World, The Foreign Secretary, William Hague, gave the following speech outlining the Government's vision for UK foreign policy on 1 July 2010. https://shorturl.at/dfdau (15.12.2024).
[10] International Monetary Fund, GDP, current prices: 2024. https://shorturl.at/a09RC (15.12.2024).

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

პაკეტის დამტკიცებას მხარი არ დაუჭირა. ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როდესაც მან ევროკავშირის ლიდერების გადაწყვეტილების მიღების პროცესი შეაფერხა.[11] მიუხედავად ამისა, ევროკავშირს გააჩნია ძლიერი მხარეები, როგორებიცაა ტექნოლოგიები, გლობალური დიპლომატიური ქსელები და „რბილი ძალის ინსტრუმენტები," რომლებიც ხელს უწყობს დასავლური ღირებულებების გავრცელებას და სტაბილური საერთაშორისო წესრიგის შენარჩუნებას.

ევროკავშირისა და აშშ-ს თანამშრომლობა აყალიბებს ერთიან ბირთვს და აძლიერებს გლობალური დასავლეთის მდგრადობას. რამეთუ, მათი ერთობლივი მშპ ნებისმიერ ოპონენტს გაუწევს კონკურენციას, რომელითა ჯამი წელიწადში დაახლოებით $48.57 ტრილიონია (მათ შორის ევროკავშირის მშპ=$19,40 ტრილიონი).[12] მათი გაერთიანებული მშპ გლობალური ეკონომიკის თითქმის მესამედზე ბევრად მეტს შეადგენს, რაც 2008 წლის ეკონომიკური კრიზისის შოკური მდგომარეობის შემდეგ იმედის მომცემი მაჩვენებელია.[13] ამას ისიც ემატება, რომ 2010 წლიდან აშშ გაცილებით მეტ ინვესტიციას დებს ევროპაში, ვიდრე აზიაში ან ჩინეთში.[14]

ფაქტია, რომ რაოდენობრივად და ხარისხობრივად შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის ურთიერთობა თანამედროვე საერთაშორისო სისტემის ცენტრალურ მახასიათებელად რჩება.

ჩინეთი მოქმედებაში

XXI საუკუნის დასაწყისიდან ჩინეთი აღმოსავლეთ აზიის ერთ-ერთ ეკონომიკურ ფლაგმანად ჩამოყალიბდა. მრავალი მკვლევარი ახლა ჩინეთს და არა იაპონიას ან აშშ-ს მიიჩნევს აზიისთვის, როგორც „შეუცვლელი ეკონომიკა". ეკონომიკურ ზრდასთან ერთად იგი ბუნებრივი რესურსების უდიდესი მომხმარებლიცაა. მაგალითად, 2023 წელს ჩინეთმა სამჯერ მეტი ფოლადი გამოიყენა, ვიდრე აშშ-მა, ინდოეთმა და რუსეთმა ერთად.[15] ამასთან იგი მრავალი მნიშვნელოვანი ქვეყნისთვის, როგორებიცაა: აშშ, გერმანია, ბრაზილია, კანადა, საფრანგეთი და სხვები, უდიდესი სავაჭრო და ეკონომიკური პარტნიორია.[16]

ჩინეთის მზარდი ძალის მნიშვნელოვანი გამოხატულება არის ერთ-ერთი ყველაზე ამბიციური ინფრასტრუქტურული პროექტი, რაც კი ოდესმე ყოფილა ჩაფიქრებული -„სარტყელი და გზის ინიციატივა (BRI)", რომელსაც ზოგჯერ ახალ აბრეშუ-

[11] Nick Thorpe, What has Hungary's Orban got against Ukraine? BBC News, Hungary (15 December 2023). https://shorturl.at/Rr6p0 (15.12.2024).
[12] International Monetary Fund, World Economic Outlook database: October 2024 https://shorturl.at/ETRUB (15.12.2024).
[13] იქვე.
[14] Bureau of Economic Analysis US Department of Commerce, Direct Investment by Country and Industry, 2023. https://shorturl.at/AINEs (15.12.2024).
[15] WorldSteel association, World Steel in Figures 2024. https://shorturl.at/ZGstG (15.12.2024).
[16] General Administration of Customs, peoples republic of China, China's Total Export & Import Values by Country/Region, September 2024. https://shorturl.at/gEJvS (15.12.2024).

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

მის გზასაც უწოდებენ. პროექტი 2013 წელს პრეზიდენტ სი ძინპინის ინიციატივით, აღმოსავლეთ აზიისა და ევროპის დასაკავშირებლად შეიქმნა ფიზიკური ინფრასტრუქტურის გამოყენებით. შემდეგ პროექტი გაფართოვდა და დღეს მოიცავს: აბრეშუმის გზის ეკონომიკურ სარტყელს -ტრანსკონტინენტალურ დერეფანს, რომელიც ჩინეთს სახმელეთო გზით აკავშირებს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასთან, სამხრეთ აზიასთან, ცენტრალურ აზიასთან, რუსეთთან და ევროპასთან; და 21-ე საუკუნის საზღვაო აბრეშუმის გზას, საზღვაო მარშრუტს, რომელიც ჩინეთის სანაპირო რეგიონებს აკავშირებს სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ აზიასთან, სამხრეთ წყნარ ოკეანესთან, ახლო აღმოსავლეთთან, აღმოსავლეთ აფრიკასთან და ევროპასთან.

2020 წლის მარტის მდგომარეობით, ქვეყნების რიცხვმა, რომლებიც „სარტყელი და გზის ინიციატივას" შეუერთდნენ 138-ს მიაღწია.[17] ამასთან, ჩინეთის ეკონომიკური როლი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა აღმოსავლეთ აზიის რეგიონში, სადაც მან აშშ ჩაანაცვლა და იაპონიასა და ტაივანს ეკონომიკურ პარტნიორად მოევლინა.

დღეს ჩინეთს ნამდვილად შეუძლია იამაყოს მზარდი საშუალო ფენით, რამდენიმე ათასი მილიონერით და რამდენიმე მილიარდერით. თუმცა, 2020 წლის მონაცემებით ჩინეთის საშუალო შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე თვეში 1000 იუანი, ანუ $140 აშშ დოლარია და სულ მცირე, მისი 600 მილიონი მოქალაქე დღეში 5 დოლარზე ნაკლებით ცხოვრობს.[18] ასევე, ქვეყანაში კეთილდღეობის დაბალი მომსახურეობა და სავალალო ეკოლოგიური მდგომარეობაა, რომლის გამოსწორებას ათობით წელი და სავარაუდოდ მილიარდობით იუანი დასჭირდება. ამასთან, იაფ მუშა ხელზე და ექსპორტზე ორიენტირებულ ეკონომიკურ მოდელს, რომელმაც ბოლო ათწლეულების განმავლობაში ჩინეთის ეკონომიკური ზრდა განაპირობა, სავარაუდოდ გრძელვადიან პერსპექტივაში ვერ დაეყრდნობა.

შეიძლება ითქვას, რომ ჩინეთი მასიურ და წარმატებულ ეკონომიკურ ექსპერიმენტს წარმოადგენს, თუმცა ეს ჯერ კიდევ მიმდინარეობს. უფრო მეტიც, აშშ რთულ ეკონომიკურ პრობლემებშიც, რომ აღმოჩნდეს, უახლოეს მომავალში ჩინეთი ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების ოდენობით მაღალი ალბათობით, მას ვერ დაეწევა (აშშ= $86600; ჩინეთი=$12970).[19]

ხისტი და რბილი ძალა

საერთაშორისო სისტემაში დომინირებისათვის ძირითად როლს ძალის პროექციის შესაძლებლობება ასრულებს, რაც არა მხოლოდ ხისტი ძალის განლაგებას, არამედ რბილი ძალის გამოყენებასაც გულისხმობს.

[17] European Bank, for reconstruction and development, Belt and Road Initiative (BRI) https://shorturl.at/wEhGq (16.12.2024).
[18] The Economist, China's poverty line is not as stingy as commentators think, Finance & economics June 20th 2020. https://shorturl.at/WGVWV (15.12.2024).
[19] International Monetary Fund, GDP per capita, current prices, List (2024). https://shorturl.at/nCvv4 (15.12.2024)

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

2024 წლის მონაცემებით შეერთებული შტატების სამხედრო ბიუჯეტი $831.781 მილიარდ დოლარს შეადგენს, რაც ჩინეთის სამხედრო ბიუჯეტს 3.6-ჯერ (227 მილიარდი) აღემატება. უფრო მეტიც, აშშ-ს სამხედრო ხარჯები, 2024 წლის მონაცემებით BRICS-ის სახელმწიფოების (ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი, სამხრეთ აფრიკა, ირანი, ეგვიპტე, ეთიოპია და არაბთა გაერთიანებული საამიროები) სამხედრო ხარჯების ჯამს (473189896600) 1.8-ჯერ აღემატება.[20] მაღალი ალბათობიით ეს უპირატესობა უახლოეს მომავალში არ შეიცვლება, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მსოფლიოში ერთადერთი მთავარი აქტორი აშშ იქნება, რომელსაც მომდევნო რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში გლობალურ დონეზე სამხედრო ძალის პროეცირება შეეძლება.

მიჩნეულია, რომ შეერთებულ შტატებს ერაყის კამპანია ძვირად დაუჯდა, მაგრამ ამას მისთვის ავღანეთში ომის წარმოებასა და თითქმის მთლიანად საკუთარ ოპერაციად გადაქცევაში ხელი არ შეუშლია, სადაც მისიაში ჩართული ნატო-სა და პარტნიორი ქვეყნების კოალიციური ძალების 132203 სამხედრო მოსამსახურიდან 90000 აშშ-ს შეიარაღებული ძალების წარმომადგენელი იყო.[21]

რაც შეეხება რბილ ძალას, მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთი ეკონომიკურ ზრდას განაგრძობს, მისი პარტნიორების მცირე ნაწილი თუ ავლენს სურვილს, რომ თავისი ინტერესები მუდმივად აღმოსავლეთისაკენ გადაიტანოს. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთს პროგრესირებადი წარმოება და დახმარების შესაძლებლობები გააჩნია, სასოწარკვეთილი, გაჭირვებული და ნიჭიერი ხალხის ემიგრაციისთვის მსოფლიოში მხოლოდ ორი მიმზიდველი ადგილი არსებობს, ეს არის-აშშ და ევროპა.

თავშესაფრის მაძიებელთა მუდმივი მიმართვები იმაზე მიუთითებს, რომ დასავლეთის რბილი ძალა არ არის შემცირებული. ამასთან, სახელმწიფოს, რომელსაც უდიდესი კომუნისტური პარტია მართავს, ალბათობა იმისა, რომ მის რბილ ძალას გრძელვადიანი საერთაშორისო მომავალი ექნება, საკმაოდ დაბალია. ჩინეთი შეიძლება მოკლევადიან პერსპექტივაში ეკონომიკურად დინამიური იყოს, თუმცა მას საერთაშორისო მიზიდულობა ნაკლებად გააჩნია. ასევე არ არსებობს გარანტია იმისა, რომ ჩინეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სტაბილური დარჩება.

ნებისმიერი ნაბიჯი აშშ-ს ძალის შესარყევად ან მსოფლიო ეკონომკური სისტემის გამოწვევის მიზნით, რომელმაც 40 წლიანი ეკონომიკური ზრდა განაპირობა, კატასტროფული იქნება, განსაკუთრებით ჩინეთისთვის. ეს არა მხოლოდ ზიანს მიაყენებს მის პერსპექტივებს ქვეყნის შიგნით და მის ექსპორტზე ორიენტირებულ ეკონომიკას, არამედ ჯერ კიდევ ძლიერი დასავლეთი შეიძლება მის წინააღმდეგ გააერთიანოს.

[20] Global Firepower -Defense Budget by Country (2024). https://shorturl.at/WuRbP (15.12.2024).
[21] NATO. International Security Assistance Force (ISAF): Key Facts and Figures, (4 March 2011). https://shorturl.at/EHhGS (15.12.2024).

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

აშშ-სგან განსხვავებით, რომელიც გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით უსაფრთხოების მხრივ კარგ პოზიციაშია, ჩინეთი პოტენციური კონკურენტებითაა გარშემორტყმული. მას სახმელეთო საზღვრები გააჩნია: რუსეთთან, მონღოლეთთან, ყაზახეთთან, ყირგიზეთთან, ტაჯიკეთთან, ავღანეთთან, პაკისტანთან, ინდოეთთან, ნეპალთან, ბუტანთან, მიანმართან, ლაოსთან, ვიეტნამსა და ჩრდილოეთ კორეასთან. ხოლო, ზღვაზე დავა აქვს ვიეტნამთან, მალაიზიასთან, ბრუნეისთან, ფილიპინებთან, ინდონეზიასა და იაპონიასთან. ამასთან, ტაივანის დამოუკიდებლობის საკითხი დღემდე რეგიონული და გლობალური ურთიერთობის დესტაბილიზაციას იწვევს.[22]

ინდოეთს, იაპონიას, სამხრეთ კორეას და ტაივანს აშშ-დან ათასობით მილი აშორებთ, მაგრამ, როგორც მოქმედი ელექტორალური დემოკრატიები მათი უსაფრთხოების მოთხოვნები მჭიდროდ არის გადაჯაჭვული. თუ პეკინი სტატუს კვოს სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის ისინი მაღალი ალბათობით, დაცვის ძიებას ვაშინგტონში შეეცდებიან. ხოლო, თუ ჩინეთი შეერთებული შტატების ძალის საპირისპიროდ მშვიდობიან საგარეო პოლიტიკას შეცვლის, მაღალი ალბათობით, შეერთებული შტატები პასუხს არ დააყოვნებს.

დასკვნა

თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში გლობალური ძალების კონკურენცია განსაზღვრავს არა მხოლოდ მსოფლიოს პოლიტიკური, ეკონომიკური და უსაფრთხოების დღის წესრიგს, არამედ მისი სტაბილურობის პერსპექტივებს. ნაშრომის ანალიზიდან ცხადია, რომ ძალთა გადანაწილება ბევრად უფრო კომპლექსური და მრავალშრიანია, ვიდრე ეს ბიპოლარული ცივი ომის პერიოდში ან აშშ-ის უნიპოლარული ჰეგემონიის ხანაში იყო.

ამერიკის შეერთებული შტატები, მიუხედავად არსებული გამოწვევებისა აგრძელებს საერთაშორისო სისტემაზე დომინირებას. მისი სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური რესურსები, აგრეთვე ტრანსატლანტიკური ალიანსები (ნატო და G7), მას კვლავ ძლიერი პოზიციის შენარჩუნების შესაძლებლობას აძლევს. თუმცა, ჩინეთის ეკონომიკური და პოლიტიკური გაძლიერება წარმოქმნის გამოწვევებს, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საერთაშორისო სისტემის არსებულ სტრუქტურაზე.

ჩინეთის მზარდი ეკონომიკური კავშირები აღმოსავლეთ აზიაში და „სარტყელი და გზის ინიციატივა" იმის გამოხატულებაა, რომ პეკინი აქტიურად ცდილობს რეგიონალური და გლობალური ლიდერობის დამკვიდრებას. მიუხედავად ამისა, ჩინეთი კვლავ შეზღუდულია გეოპოლიტიკური გამოწვევებით, რომლებიც მისი მეზობელი ქვეყნების სტრატეგიულ არჩევანს ხშირად დასავლეთისკენ მიმართავს.

[22] David Brunnstrom and Trevor Hunnicutt, Biden says U.S. forces would defend Taiwan in the event of a Chinese invasion, Reuters (September 19, 2022). https://shorturl.at/6hLPt (15.12.2024).

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

რუსეთი, მიუხედავად ეკონომიკური სირთულეებისა და საერთაშორისო სანქციებისა, ინარჩუნებს გლობალურ სისტემაში სტრატეგიული აქტორის პოზიციებს. მისი ბირთვული პოტენციალი და რეგიონალური გავლენები მას მნიშვნელოვან აქტორად აქცევს. თუმცა უკრაინაში ომმა და დასავლეთის რეაქციამ მისი პოზიციები მნიშვნელოვნად შეასუსტა.

ევროკავშირი, როგორც ეკონომიკური და დიპლომატიური ძალა, აქტიურად ცდილობს თავისი გავლენის გაფართოებას და გლობალური დასვლური მიზნების მისაღწევად შეერთებულ შტატებთან ტანდემში მოქმედებას. თუმცა მის ერთიანობას ხშირად ხელს უშლის წევრი სახელმწიფოების განსხვავებული და პოლიტიკური ხედვები.

აღსანიშნავია არადასავლური ძალების, განსაკუთრებით BRICS-ის, მზარდი როლი. თუმცა, მიუხედავად მისი ეკონომიკური ზრდისა, გლობალური ლიდერობისთვის იგი ჯერ კიდევ ჩამორჩება დასავლეთის სტრუქტურულ უპირატესობებს, მათ შორის ხისტი და რბილი ძალის ინსტრუმენტებს.

გლობალური სისტემის შემდგომი განვითარება დამოკიდებული იქნება დიდ ძალებს შორის თანამშრომლობისა და კონკურენციის ბალანსზე. აშშ-ისა და ჩინეთის ურთიერთობა, როგორც სტრატეგიული კონკურენციის მთავარი ვექტორი, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იქნება ამ პროცესში. მიუხედავად ჩინეთის ეკონომიკური პროგრესისა, აშშ მრავალმხრივ უპირატესობას ინარჩუნებს, რაც განაპირობებს იმას, რომ საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა ჯერ კიდევ დასავლურ საფუძვლებზე დგას.

რომ შევაჯამოთ, გლობალური სტაბილურობისთვის გადამწყვეტი იქნება, რომ კონკურენცია დიდ ძალებს შორის ღია კონფლიქტში არ გადაიზარდოს. ვინაიდან, XXI საუკუნის გლობალური წესრიგი კომპლექსური დინამიკის გავლენით ფორმირდება, იგი მოითხოვს როგორც მძლავრი სტრატეგიული მიდგომების შემუშავებას, ისე დიპლომატიური მოქნილობის შენარჩუნებას. რამეთუ, მსოფლიოს მომავალი დამოკიდებული იქნება იმაზე, შეძლებენ თუ არა გლობალური ძალები საკუთარი ინტერესების გატარებას საერთაშორისო სტაბილურობის შენარჩუნებასთან ერთად.

ბიბლიოგრაფია

Bureau of Economic Analysis US Department of Commerce, Direct Investment by Country and Industry, 2023. https://shorturl.at/AINEs (15.12.2024).

Britain's Foreign Policy in a Networked World, The Foreign Secretary, William Hague, gave the following speech outlining the Government's vision for UK foreign policy on 1 July 2010. https://shorturl.at/dfdau (15.12.2024).

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

David Brunnstrom and Trevor Hunnicutt, Biden says U.S. forces would defend Taiwan in the event of a Chinese invasion, Reuters (September 19, 2022). https://shorturl.at/6hLPt (15.12.2024).

European Bank, for reconstruction and development, Belt and Road Initiative (BRI) https://shorturl.at/wEhGq (16.12.2024).

Ferguson, N. 'The decade the world tilted East', Financial Times, 28 December 2012. https://shorturl.at/wm1nV (16.12.2024).

General Administration of Customs, peoples republic of China, China's Total Export & Import Values by Country/Region, September 2024. https://shorturl.at/gEJvS (15.12.2024).

Global Firepower -Defense Budget by Country (2024). https://shorturl.at/WuRbP (15.12.2024).

Hoge, J.F. A Global Power Shift in the Making: Is the United States Ready, Foreign Affairs 83(4) 2004. https://shorturl.at/JSrzu (16.12.2024)

International Monetary Fund, GDP, current prices: 2024. https://shorturl.at/a09RC (15.12.2024).

International Monetary Fund, World Economic Outlook database: October 2024 https://shorturl.at/ETRUB (15.12.2024).

International Monetary Fund, GDP per capita, List (2024). https://shorturl.at/nCvv4 (15.12.2024)

Jim O'Neill and Anna Stupnytska, Global Economic Paper *192, 'The long term outlook for the BRICS and N-11 Post- Crisis', December 4. 2009. 3-27. https://shorturl.at/A2Pgv (15.12.2024).*

Martin Jacques - When China Rules the World: The End of the Western World and the Birth of a New Global Order New York, The Penguin Press (2009). 543

NATO. International Security Assistance Force (ISAF): Key Facts and Figures, (4 March 2011). https://shorturl.at/EHhGS (15.12.2024).

Nick Thorpe, What has Hungary's Orban got against Ukraine? BBC News, Hungary (15 December 2023). https://shorturl.at/Rr6p0 (15.12.2024).

Statista, Combined gross domestic product (GDP) in purchasing power parity (PPP) of the BRICS and G7 countries from 2000 to 2024. https://shorturl.at/CXUlQ (15.12.2024).

Steve Rosenberg: Fall of Assad is a blow to Russia's prestige. BBC, 0812.2024. https://shorturl.at/daaVD (16.12.2024).

The Economist, China's poverty line is not as stingy as commentators think, Finance & economics June 20th 2020. https://shorturl.at/WGVWV (15.12.2024).

WorldSteel association, World Steel in Figures 2024. https://shorturl.at/ZGstG (15.12.2024).

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

კოოპერატიული განვითარება საქართველოში, შესაძლებლობები და გამოწვევები

მერაბ ხიმშიაშვილი[1]
DOI: https://doi.org/10.61446/pa.2.2024.8428

აბსტრაქტი

საქართველოში კოოპერატივული განვითარება წარმოადგენს მნიშვნელოვან საკვანძო პროცეს, რომელიც ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკის სტაბილურობას და სოფლის მეურნეების განვითარებას.კოოპერატივები, როგორც თანამშრომლობის საფუძველზე შექმნილი ორგანიზაციები, ქმნიან შესაძლებლობების მრავალფეროვნებას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერისთვის. კოოპერატივები, როგორც კოლექტიური მეწარმეობრივი მოდელი, უზრუნველყოფენ პროდუქციის წარმოების და გაყიდვის უფრო ეფექტურ მექანიზმებს, რაც ხელს უწყობს ადგილობრივი რესურსების ეფექტურ გამოყენებას და მოსახლეობის ეკონომიკურ განვითარებას. სტატიის მიზანია გაუზიაროს მკითხველს კოოპერატივების მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცეში, მათ შორის სოფლის მეურნეობისა და ადგილობრივი ბიზნესების სფეროში, აგრეთვე გაანალიზოს კოოპერატივების როლი, არსებული შესაძლებლობები და გამოწვევები, რომელთა წინაშეც დგას ეს მოდელი საქართველოში, მათი გავლენა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურ განვითარებაზე, ასევე სახელმწიფო მხარდაჭერის პოლიტიკის არსებითი მნიშვნელობა. საქართველოს აგრარული სექტორი, ტრანსფორმაციის პროცესში, სავსეა გამოწვევებით, თუმცა კოოპერატივები სოფლის მოსახლეობას აძლევს საშუალებას არა მარტო საკუთარი პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესოს, არამედ საერთო ინტერესების და საჭიროებების საფუძველზე ითანამშრომლონ და განავიტარონ კონრეტული სექტორები. კოოპერატივების მეშვეობით, მეწარმეები და ფერმერები ერთიანდებიან ცალკეული პროდუციის ქვეშ, რაც საშუალებას აძლევს მათ აწარმოოინ უფრო კონკურენტუნარიანი პროდუქტი ბაზარზე, რომელიც ფასებშიც აისახება რათქმაუნდა. სტატიაში განხილული იქნება აგრეთვე საერთაშორისო გამოცდილება კოოპერატივების განვითარების თვალსაზრისით, ასევე სხვადასხვა ქვეყნების წარმატებულ მოდელები, რომელთა გამოყენება შეიძლება საქართველოსათვის. მაგალითად, ევროპის ქვეყნებში კოოპერატივები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სოფლის განვითარების პროცესში.

საკვანძო სიტყვები: კოოპერატივები, საქართველოს სოფლის მეურნეობა, კოლექტიური თანამშრომლობა, მიკრო და მცირე ბიზნესი, საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

[1] სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს, ეროვნული თავდაცვის აკადემიის, მაგისტრატურის საგანმანათლებო პროგრამის სახელმწიფო რესურსების მართვის მსმენელი

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

Cooperative development in Georgia, opportunities and challenges

Merab Khimshiashvili[2]
DOI: https://doi.org/10.61446/pa.2.2024.8428

Abstract

Cooperative development in Georgia is an important key process that contributes to the stability of the country's economy and the development of farmers. Cooperatives, as organizations established based on cooperation, create a variety of opportunities, which is especially important for supporting small and medium-sized enterprises. Cooperatives, as a collective entrepreneurial model, provide more efficient mechanisms for the production and sale of products, which contributes to the effective use of local resources and the economic development of the population. The aim of the article is to share with the reader the importance of cooperatives in the process of economic development of the country, including in the field of agriculture and local businesses, as well as to analyze the role of cooperatives, the existing opportunities and challenges faced by this model in Georgia, their impact on the socio-economic development of the country, as well as the essential importance of state support policy. The Georgian agricultural sector, in the process of transformation, is full of challenges, however, cooperatives allow the rural population not only to improve the quality of their own products, but also, to cooperate and develop specific sectors based on common interests and needs. Through cooperatives, entrepreneurs and farmers unite under a single product, which allows them to produce a more competitive product in the market, which is of course also reflected in prices. The article will also discuss international experience in terms of the development of cooperatives, as well as successful models of various countries that can be used for Georgia. For example, in European countries, cooperatives play an important role in the process of rural development.

Keywords: cooperatives, Georgian agriculture, collective cooperation, micro and small business, public organizations.

[2] Student of Master's Program in State Recourse Management of, LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში კოოპერატიული გაერთიანება იმაზე უფრო მეტად მოთხოვნადია ვიდრე ეს იყო მისი განვითარების სხვადსხვა ეტაპზე. თავისი განვითარების მანძილზე კოოპერატივმა გრძელი გზა განვლო. XIX საუკუნის დასაწყისში ინგლისში, რობერტ ოუენი, ინდუსტრიული ლიდერი, რომელიც აკვირდებოდა მშრომელთა ცხოვრებას, დარწმუნებული იყო, რომ ხალხი ერთმანეთს უნდა დაეხმაროს მეგობრული, საერთო ძალისხმევით და სპეციალური საზოგადოებების დაარსებით, რითაც ერთობლივად უნდა მოაწყონ საკუთარი ეკონომიკური ცხოვრება. იმ დროისთვის ეს მოწინავე იდეა იყო და ინგლისში მან ფართო გავრცელება ჰპოვა. ,,გაეროს განმარტებით, კოოპერატივი წარმოადგენს იმ ადამიანების ჯგუფის „ავტონომიურ ასოციაციას", რომლებიც ნებაყოფლობით გაერთიანდნენ მათი საერთო ეკონომიკური, სოციალური და კულტურული საჭიროებებისათვის, რაც მიიღწევა ერთობლივ მფლობელობაში არსებული და დემოკრატიულად კონტროლირებადი საწარმოს საშულებით"[3]. საქართველოში კოოპერატიური განვითარება ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი ყურადღების ცენტრში მოექცა, რაც დაკავშირებულია ქვეყნის ეკონომიკური სტაგნაციის და სოფლის მეურნეობის განვითარების საჭიროებებთან. კოოპერატიული მოდელები, რომლებიც ეფუძნება თანამშრომლობას, სულ უფრო ხშირად მიიჩნევა ეკონომიკური რეგენერაციის ეფექტური საშუალებად. მიუხედავად იმისა, რომ კოოპერატივები მუშაობენ სხვადასხვა სექტორებში, სოფლის მეურნეობა მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობას ატარებს. საქართველოს გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა, არის სოფლის მეურნეობის სისტემების და წარმოების მექანიზმების ოპტიმიზაცია. კოოპერატივები ასახავენ შესაძლებლობას, რომ ყავს ადგილობრივი მეწარმეები და ფერმერები, რომლებიც როცესების განახლების გზით, წარმატებით შეიძლება ადაპტირდნენ ბაზრის მოთხოვნებთან.თუმცა, მიუხედავად პოტენციალისა, კოოპერატივების განვითარებას წინ უდგას მნიშნელოვანი გამოწვევები. ფინანსური რესურსების შეზღუდვა, სამართლებრივი და რეგულარული ჩარჩოების არაეფექტური მუშაობა, ასევე საზოგადოების ცნობიერების ნაკლებობა, ეს არის ძირითადი დაბრკოლებები, რომელთა უშუალო გავლენა გვაქვს კოოპერატივების წარმატებულ ფუნქციონირებაზე.

ძირითადი ნაწილი

კოოპერატივი, მოქალაქეთა ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომლის წევრებიც ერთობლივად ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას წესდებისა და კანონმდებლობის შესა-

[3] თამარ კობერიძე (2019 16-20) ,,საზოგადოებრივი ორგანიზაციების არასახელმწიფო დაფინანსების მექანიზმებისა და მათი გამოყენების პრაქტიკის საერთაშორისო გამოცდილება" , საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი 2019

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ბამისად. მისი მიზანია საკუთარი წევრების სხვადასხვა სახის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. კოოპერატივი თავის საქმიანობას ახორციელებს დამოუკიდებლად და მართავს მას დემოკრატიულ პრინციპებზე დაყრდნობით. მისი წევრები თანაბრად ინაწილებენ სამეწარმეო საქმიანობის შედეგებს – მოგებასა და ზარალს – მათი კუთვნილი საპაიო შენატანების შესაბამისად. იგი არ არის უმთავრესად მოგების მიღებაზე ორიენტირებული გაერთიანება. კოოპერატივი არის ორგანიზაციული ფორმა, სადაც ჯგუფი ადამიანების ინტერესები, საჭიროებები და მიზნები ერთიანდება, რათა მათ თავიანთი სასარგებლო საჭიროებების დაკმაყოფილება შეძლონ. ეს ორგანიზაციები ძირითადად ფუნქციონირებენ ერთიანობის, თანაგრძნობისა და თანამეგობრობის პრინციპებზე, რაც მათ ინტერესებს და მიზნებს იცავს. კოოპერატიული მშენებლობა შესაძლოა მოიცავდეს სხვადასხვა სფეროებს, მათ შორის მეურნეობას, ვაჭრობის, მომსახურების, საბანკო საქმიანობას და მრავალი სხვა. კოოპერატივში თითოეული წევრი იხდის მინიმალურ შენატანს თანხის სახით, რომელსაც პაი[4] ეწოდება. ერთი წევრი შეიძლება იყოს რამდენიმე პაის მფლობელი. კოოპერატივი მუშაობს საერთო კრების პრინციპით, უზენაესი ორგანოს სახით, სადაც გადაწყვეტილებები მარტივი უმრავლესობით მიიღება. კოოპერატივის მიერ მიღებული მოგება პროპორციალურად ნაწილდება წევრების შორის, დამოკიდებულია მათი საპარტნიორო გადასახადების მიხედვით. კოოპერატივის უპირატესობა მოტივირებულია მცირე მეწარმეობითი რესურსების მარტივი ფორმით, რაც ხელს უწყობს თანამშრომლობას და საზოგადოების განვითარებას. სამომხმარებლო კოოპერატივების საწარმოო მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ მოსახლეობისათვის დიდი დანაზოგის დაშვების საშუალებით, კოოპერატივის მუშებს შეუძლიათ ამ დანაზოგების გადაქცევა სასოფლო-სამეურნეო მანქანებად, პირუტყვად, თესლად და ა.შ. მომხმარებელთა თანამშრომლობის მთავარი მიზანი არის მომხმარებელსა და მწარმოებელს შორის შუამავლების ლიკვიდაცია... ამიტომ, ბრუნვის გაზრდის მიზნით, მცირე სამომხმარებლო კოოპერატივები ერთიანდებიან ალიანსებში. საქართველოში კოოპერატიული იდეა წარმოიშვა ქართული სოციალური აზროვნების ტრადიციებზე დაყრდნობით. მისი მიზნი იყო მაღალი საზოგადოებრივი მნიშვნელობის მატება და ეკონომიკის სოციალური ასპექტების განვითარება. ქართული კოოპერატივის ხედვა მნიშვნელოვნად განსხვავდება დასავლეთის ქვეყნებში არსებულ წმინდა კომერციულ კოოპერატივებზე. კოოპერატიული მოძრაობის დამფუძნებლად მიიჩნევა ილია ჭავჭავაძე, რომელიც ამტკიცებდა, რომ წარმოების პარტნიორობა უნდა ეფუძნებოდეს საზოგადოების ინტერესებს. საქართველოში თანამედროვე კოოპერატივები შეიქმნა კანონების: „მეწარმეთა შესახებ" (1994),[5] „სამომხმარებლო კოოპე-

[4] პაი- რაიმე საერთო საქმეში (მაგ. კომერციულ ორგანიზაციაში) თითოეული წევრის მიერ შეტანილი წილი
[5] საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ" https://matsne.gov.ge/ka/document/view/5230186?publication=6 პარლამენტის მაცნე, ხელმისაწვდომია: (გადამოწმებულია 2024 წლის 10 დეკემბერს);

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

რაციის შესახებ“ (1997) [6] და „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ (2013) საფუძველზე.[7] 2022 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა საქართველოს 2021 წლის 2 აგვისტოს ახალი კანონი „მეწარმეთა შესახებ“, რომლის მიხედვითაც, კოოპერატივის დაფუძნება შეუძლია არანაკლებ ხუთ (როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ) პირს.

კოოპერატივი ახორციელებს საქმიანობას გარკვეული ფირმის სახელით, რომელიც აუცილებლად უნდა შეიცავდეს სამართლებრივი ფორმის აღმნიშვნელ დამატებას „კოოპერატივი“. მისი წევრები ათანხმებენ წესდებას, რომელიც უმნიშვნელოვანესია კოოპერატივის ფუნქციონირებისთვის. კოოპერატივების საქმიანობა რეგულირდება როგორც წესდებით, ისე შესაბამისი კანონმდებლობით. კოოპერატივი ვალდებულებების გამო პასუხისმგებელია მხოლოდ თავისი ქონების ფარგლებში და კრედიტორების წინაშე პასუხს მხოლოდ თავისი აქტივებით აგებს. მისი საქმიანობა ემყარება თვითდაფინანსების, თვითმმართველობისა და საკუთარი პასუხისმგებლობის პრინციპებს, გამოკვეთილად ახასიათებს ამხანაგობის ტიპის ნიშნებიც. სამომხმარებლო კოოპერატივის მართვის უმაღლესი ორგანოა მეპაიეთა საერთო კრება, რომელიც იმართება იმ შემთხვევაში, თუ წევრების რაოდენობა 200-ზე ნაკლებია. როცა წევრები 200-ზე მეტია, მოქმედებს წარმომადგენელთა კრება. ეს კრება ადგენს კოოპერატივის წესდებას, ერთიანი საპაიო შესატანის ოდენობას, ირჩევს აღმასრულებელ და კონტროლირებად ორგანოებს, მათ შორის გამგეობას და სარევიზიო კომისიას. გამგეობის წევრი არ შეიძლება იყოს სარევიზიო კომისიის წევრი. გამგეობა პასუხისმგებელია კოოპერატივის სამეურნეო და სხვა საქმიანობაზე, ხოლო სარევიზიო კომისია აკონტროლებს წესდების დაცვას და კოოპერატივის ფინანსურ საქმიანობას. ისინი ანგარიშვალდებულები არიან წევრთა საერთო (წარმომადგენელთა) კრების წინაშე და მართვის უმაღლესი ორგანო გადაწყვეტს კოოპერატივის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. წევართა საერთო კრება განსაზღვრავს წარმომადგენელთა რაოდენობას, ხოლო კოოპერატივის თითოეული წევრი, მიუხედავად იმ თანხის რაოდენობისა, რაც იგი შეიტანა, საკუთარი ხმის უფლებით ერთ-ერთი წარმომადგენელი იქნება. კოოპერატივის მართვის და კონტროლის ორგანოები 5 წლის ვადით იმყოფებიან თანამდებობაზე. კოოპერატივის წევრი შესაძლოა იყოს ინვესტორი, რომლის ხმის ნაწილი 25%-ზე მეტი არ უნდა იყოს. კოოპერატივებს კანონით უზრუნველყოფილი აქვთ ნებაყოფილი გაწევრიანება, რაც გულისხმობს დარგობრივი, ტერიტორიული, პროფესიული და სხვა ნიშნების მიხედვით კავშირების შექმნას. „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შე-

[6]საქართველოს კანონი „სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ“,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/29902?publication=1#!,პარლამენტის მაცნე, ხელმისაწვდომია: (გადამოწმებულია 2024 წლის 10 დეკემბერს);

[7]საქართველოს კანონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/32998?publication=18 პარლამენტის მაცნე,
ხელმისაწვდომია, (გადამოწმებულია 2024 წლის 10 დეკემბერს);

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

სახებ"[8] კანონის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო თანამშრომლობა არის სხვადასხვა სასოფლო- სამეურნეო კოოპერატივებისა და მათი გაერთიანებების სისტემა, რომელიც შეიქმნა სოფლის მეურნეობის მწარმოებლების მიერ მათი ეკონომიკური და სხვა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად . კოოპერატიული თანამშრომლობა მოიცავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ერთობლიობას, რომლებიც ნებაყოფლობით აერთიანებენ რესურსებს საკუთარი ეკონომიკური ინტერესების განსახორციელებლად და ამავე დროს საერთო მიზნების მისაღწევად. ამრიგად, ფიზიკურ პირთა კოოპერატივები, როგორც წესი, არის ინდივიდუალური მეპატრონეების ორგანიზაციულად გაფორმებული ასოციაციები, რომლებიც დროებით ან მუდმივ საფუძველზე, ერთობლივად იყენებენ წარმოებისა და შრომის საშუალებებს თავიანთი პირადი ინტერესებიდან გამომდინარე და საერთო მიზნების მისაღწევად. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი უნდა იყოს განუყოფელი ფონდების სავალდებულო შექმნის პრინციპი. მიუხედავად იმისა, რომ „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ." კანონის 34-ე მუხლის მე-5 პუნქტში წერია: „კოოპერატივის წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ კოოპერატივის საკუთრებაში არსებული ქონების გარკვეული ნაწილი განუყოფელი სახსრებისგან შედგება", საქართველოში ორგანიზებულ კოოპერატივთა უმეტესობამ ისინი არ შექმნა. საქართვე.ოში ,,სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი."[9] ნორმალური ფუნქციონირებისათვის კოოპერატივმა უნდა აითვისოს თანამედროვე სამეცნიერო და ტექნოლოგიური მიღწევები, ასწავლოს საკუთარ წევრებს მათი გამოყენება, ანუ საჭიროა პროაქტიული ინოვაციის პრინციპით ხელმძღვანელობა: ახალი ინვესტიციების მოძიება და მოზიდვა, წარმოების რესტრუქტურიზაცია, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, პირუტყვის ახალი გაუმჯობესებული ჯიშების გამოყენება და სოფლის მეურნეობის ელიტური თესლის გამოყენება და ა.შ. ,,კოოპერატივი არის წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული ან წევრთა მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლის გადიდების მიზნით შექმნილი საზოგადოება, რომლის ამოცანაა წევრთა ინტერესების დაკმაყოფილება და იგი მიმართული არ არის უპირატესად მოგების მიღება".[10] დღესიათვის კოპერატიული საქმიანობა ყველაზე გავრცელე-

[8] კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ". პარლამენტის მაცნე, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/32998?publication=18 (გადამოწმებულია 2024 წლის 11 დეკემბერს).

[9] საქართველოს კანონი, სასოფლო სამეურნეო კოოპერატივის შესახებ;

[10] გიორგი ხუბუა, კარლ-პეტერ ზომერმანი ,, საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები" მინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტი 2016.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ბულია სკანდინავიაში კერძოდ შვედეთის რესპუბლიკაში, [11]სადაც მოსახლეობის 70 – 80 % პროცენტია გაწევრიანებულია სხვადსხვა ტიპის კოპერატივში.

მაგალითად მოლოდინების მიხედვით, ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული კომპანიაა „Oriflame“, რომელიც წარმოდგენილია 60 ქვეყანაში. ამ ქვეყნების უმრავლესობაში კომპანია კოსმეტიკური ბაზრის ლიდერია. მისი პროდუქციის გაყიდვას ახდენს 2,5 მილიონი დამოუკიდებელი გაყიდვის კონსულტანტი. „Oriflame“-ის ასორტიმენტი 900 სხვადასხვა სახეობას მოიცავს, ხოლო ყოველ თვეში 100 მილიონამდე კატალოგი გამოიცემა 35 სხვადასხვა ენაზე. არანაკლებ განვითარებულია სოფლის მეურნეების კუთხით კოოპერატივები. შვედეთის სამეფოში არანაკლებ არის განვითარებული სოფლის მეურნეობის კუთხით კოოპერატიული საქმიანობა. არსებობს ესეთი კუნძული ,,Gotland,“ რეომელიც ეკუთვნის შვედეთის სამეფოს, აღნიშნულ კუნძულზე ცხოვრობს 56 000 ადამიანი და მათი უმრავლესობა 99 % სწორედ კოპერატიულ გაერთიანების მეშვეობით ფლობენ სხვადსხვა ტიპის ფერმერულ მეორნეობას, მათ გაჩნიათ საკუთარი წაროების სამარკო ნიშანი და ასევე ისინი ბაზარზე წარნოდგენილინი არიან თავიანთი საფირმო ნიშნის ქვეშ წარმოებული პროდუქციით, ეს გახლავთ ხორც პროდუქტების წარმოება, რძის ნაწარმი, სხვადასხვა ზომის ცხენ საშენები, ბეწვეულის წარმოება და უამრავი სხვა მიმართულება. მნიშვნელოვანია ითქვას რომ მათ დაარსეს სკანდინავიაში ყველაზე დიდი კოოპერატიული სასწავლებელი რომელიც ფუნქციონირებს როგორც კოლეჯის სახით ,,Gotland University College,“ ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახით ,,Uppsala University“ სადაც მომავალი თაობა ახალგაზრდები სწავლობენ სხვადსხვა სპეციალობებს, ეს ის თაობაა რომელიც შემდგომში გააგრძელებს მცირე ზომის ფირმების მართვას და გარდაქმნას დიდ კომპანიებად.

დასკვნა

მაშასადემე „კოოპერატიული საწარმო“ წარმოადგენს ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიქმნება ადამიანების ეკონომიკურ საქმიანობაში. ეს არის წარმოების ორგანიზაციის ან ეკონომიკური სუბიექტის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, რაც ასევე მოიცავს თანამშრომლობის პროცესს. საქართველოში კოოპერატიული განვითარება მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ქვეყნის ეკონომიკასა და სოციალურ განვითარებაში. თუმცა, როგორც შესაძლებლობების, ისე გამოწვევების სწორად მართვა და შეფასება კრიტიკულად მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ კოოპერატივებმა წარმატებით მოახდინონ შედეგების ზრდა საზოგადოებაში. საჭიროა სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვა. საქართველოში სოფლის მეურნების განვითარებას კოოპერატიული გაერთიანების გარეშე ალტერნატივა არ აქვს, რადგან ინდივიდიალურ დონეზე დამწყები ფერმერები ვერ აღწევენ წარმატებას, ხშირ შემთხვევაში

[11] შვედეთის სამეფო.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

მეურნეების გასანვითარებლად მიმართავენ ბანკებს, სადაც იღებენ სხვადსხვა ტიპის სესხებს რაც გარკვეულ წილად წნეხის ქვეშ ამყოფებს დამწყებს ფერმერს და დასაწყიში აღშობს მისი განვითარების პერსპექტივას. ტექნოლოგიები რომელიც აუცილებელი და საჭიროა კონკრეტული ბიზნენის განვითარებისთვის არის საკმაოდ ძვირი რისი შეძენაც დამწყებ ფერმერებს არ შეუძლიათ,რომლის საჭიროებაც აუცილებელია. სწორედ ამიტომ კოოპერატიული გაერთიანება ხელს უწყობს სასოფლო სამეურნეო ბიზნენის განვითარებას, რომელიც გულისხმობს ერთობლივი ძალებით კონკრეტული პასუხიმგებლობის გადანაწილებით ფერმერული მეურნეების წარმატებულ განვითარებას.

ბიბლიოგრაფია

თუმანიშვილი გ. (2012, 79-87) ,,შესავალი საქართველოს კერძო სამართალში" თბილისი , ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;

კობერიძე თ. (2019 16-20) ,,საზოგადოებრივი ორგანიზაციების არასახელმწიფო დაფინანსების მექანიზმებისა და მათი გამოყენების პრაქტიკის საერთაშორისო გამოცდილება" , თბილისი, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი;

ხუბუა გ. , კ.ზომერმანი (2016, 72-82), ,, საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები" თბილისი, ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტი;

საქართველოს კანონი ,,მეწარმეთა შესახებ" https://matsne.gov.ge/ka/document/view/5230186?publication=6 პარლამენტის მაცნე, ხელმისაწვდომია: (გადამოწმებულია 2024 წლის 10 დეკემბერს);

საქართველოს კანონი ,,სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ", https://matsne.gov.ge/ka/document/view/29902?publication=1#!, პარლამენტის მაცნე, ხელმისაწვდომია: (გადამოწმებულია 2024 წლის 11 დეკემბერს);

საქართველოს კანონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ, https://matsne.gov.ge/ka/document/view/32998?publication=18 პარლამენტის მაცნე, ხელმისაწვდომია, (გადამოწმებულია 2024 წლის 11 დეკემბერს).

"შრომები"№ 2 (2024)
WWW.PAPERS.ETA.EDU.GE/INDEX.PHP/PAPERS

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

საზოგადოებრივი სერვისების ციფრულიზაცია

ალუდა სილაგაძე[1]
DOI: https://doi.org/10.61446/pa.2.2024.8429

აბსტრაქტი

ციფრული სერვისების განვითარება თანამედროვე სახელმწიფო მმართველობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა, რომელიც მიზნად ისახავს მოქალაქეებისთვის უფრო სწრაფი, გამჭვირვალე და ეფექტიანი მომსახურების გაწევას. აღნიშნული კვლევის მიზანია ციფრული სერვისების დანერგვის მნიშვნელობის, არსებული გამოწვევებისა და მათი გადაჭრის გზების შეფასება, ასევე წარმატებული ქვეყნების გამოცდილების მიმოხილვა. კვლევა აერთიანებს თეორიულ ანალიზსა და პრაქტიკულ მაგალითებს, რაც ციფრული ტრანსფორმაციის პოტენციალის სრულ სურათს გვაჩვენებს.

ციფრული სერვისების წარმატებულად დანერგვა დამოკიდებულია რამდენიმე კრიტიკულ ფაქტორზე, რომელთა შორისაა ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის განვითარება, კიბერუსაფრთხოების მექანიზმების გაძლიერება, ციფრული განათლების ხელშეწყობა და მოქალაქეებზე ორიენტირებული სერვისების დიზაინი. კვლევაში განხილულია ესტონეთის, სინგაპურისა და სკანდინავიური ქვეყნების წარმატებული მაგალითები, რომლებიც ციფრული მმართველობის გლობალურ ლიდერებად ითვლებიან. ამ ქვეყნების გამოცდილება აჩვენებს, რომ ციფრული სერვისების ინტეგრირება არა მხოლოდ ამარტივებს ადმინისტრაციულ პროცესებს, არამედ ზრდის მოქალაქეთა ჩართულობას და ნდობას სახელმწიფოს მიმართ.

მიუხედავად ამ წარმატებებისა, ციფრული სერვისების დანერგვას თან ახლავს მნიშვნელოვანი გამოწვევები. ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ნაკლებობა, რაც განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა რეგიონებში. გარდა ამისა, ციფრული უნარ-ჩვევების დეფიციტი ართულებს მოქალაქეებისა და საჯარო სექტორის თანამშრომლების მიერ ციფრული სერვისების გამოყენებას. ასევე კრიტიკული მნიშვნელობის გამოწვევაა კიბერუსაფრთხოება, ვინაიდან პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხი ციფრული ტრანსფორმაციის ერთ-ერთ მთავარ სუსტ წერტილად რჩება.

პრობლემების დასაძლევად საჭიროა ინფრასტრუქტურული ინვესტიციების გაზრდა, ინტერნეტიზაციის პროცესის დაჩქარება და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა. ციფრული განათლების პროგრამები უნდა განხორციელდეს ყველა დონეზე სკოლებიდან დაწყებული დასრულებული საჯარო მოხელეების ტრენინგებამდე, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის ციფრული უნარების გაუმჯობესებას. ასევე მნიშვნელოვანია კიბერუსაფრთხოების მექანიზმების გაძლიერება და მონაცემთა დაცვის თანამედროვე სტანდარტების დანერგვა.

რეკომენდაციები მოიცავს:

ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის გაძლიერებას – მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის უზრუნველყოფა ყველა რეგიონში.

ციფრული ლიტერატურის ამაღლებას – საგანმანათლებლო კამპანიებისა და ტრენინგების საშუალებით.

საჯარო-კერძო პარტნიორობის ხელშეწყობას – ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარების დაჩქარებისთვის.

მოქალაქეებზე ორიენტირებული სერვისების შექმნას – მარტივი და ინტუიციური პლატფორმების საშუალებით.

[1]სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს, ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის საგანმანათლებო პროგრამის, სახელმწიფო რესურსების მართვის მსმენელი

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

კიბერუსაფრთხოების სტანდარტების გაძლიერებას – ინფორმაციული უსაფრთხოების მაღალი დონის უზრუნველსაყოფად.

ციფრული სერვისების განვითარება არამხოლოდ ტექნოლოგიური ინოვაციაა, არამედ მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რომელიც აძლიერებს სახელმწიფოსა და საზოგადოების ურთიერთობას. მის წარმატებას განსაზღვრავს ინკლუზიური მიდგომა, სისტემური ინვესტიციები და მოქალაქეების საჭიროებებზე ორიენტირებული სერვისების განვითარება. კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ციფრული ტრანსფორმაცია მნიშვნელოვან როლს შეასრულებს მმართველობის ეფექტიანობის, გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა ჩართულობის გაძლიერებაში.

საკვანძო სიტყვები - ციფრულიზაცია, ელექტრონული მმართველობა, კიბერუსაფრთხოება, ციფრული ტრანსფორმაცია.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

Digitalization of public services

Aluda Silagadze[2]
DOI: https://doi.org/10.61446/pa.2.2024.8429

.

Abstract

The development of digital services is one of the most critical aspects of modern public administration, aiming to provide citizens with faster, more transparent, and efficient services. This study evaluates the importance of implementing digital services, identifies existing challenges, and proposes effective solutions, while also analyzing successful international case studies. By combining theoretical analysis and practical examples, the research offers a comprehensive perspective on the potential of digital transformation.

The successful implementation of digital services depends on several critical factors, including developing technological infrastructure, enhancing cybersecurity mechanisms, promoting digital literacy, and designing citizen-centric services. The study examines successful cases from Estonia, Singapore, and Scandinavian countries, which are widely recognized as global leaders in digital governance. These countries demonstrate that the integration of digital services not only simplifies administrative processes but also increases citizen engagement and trust in government institutions.

However, significant challenges accompany the implementation of digital services. A primary issue is the lack of technological infrastructure, particularly in rural areas, where internet access remains limited. Additionally, insufficient digital skills hinder citizens and public sector employees from effectively utilizing digital platforms. Cybersecurity also remains a critical challenge, as the protection of personal data continues to be one of the major vulnerabilities of digital transformation.

To overcome these challenges, increased investment in infrastructure is necessary, including the acceleration of nationwide internet coverage and the integration of innovative technologies. Furthermore, digital literacy programs should be introduced at all levels, from schools to public sector training, ensuring improved digital skills among the population. Strengthening cybersecurity mechanisms and adopting modern data protection standards are equally vital for the successful implementation of digital services.

The recommendations proposed in this research include:

Enhancing technological infrastructure – ensuring high-speed internet access in all regions.

Promoting digital literacy – through educational campaigns and training programs.

Encouraging public-private partnerships – to accelerate technological innovation.

Developing citizen-centric services – by creating simple, user-friendly platforms.

Strengthen cybersecurity standards to ensure high levels of information security.

The development of digital services is not merely a technological innovation but a critical tool for strengthening the relationship between the state and society. Its success relies on inclusive approaches, systematic investments, and the creation of services tailored to citizens' needs. This study's findings highlight that digital transformation will play a pivotal role in improving governance efficiency, transparency, and citizen engagement in the modern era.

Keywords – Digitization, E-Government, Cybersecurity, Digital Transformation.

[2] Student of Master's Program in State Recourse Management of, LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

შესავალი

21-ე საუკუნეში ციფრული ტექნოლოგიები სახელმწიფოს მართვისა და მოქალაქეთა ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ტექნოლოგიური პროგრესი და ინტერნეტის ფართოდ გავრცელება საშუალებას იძლევა, სახელმწიფო სერვისები გაცილებით ეფექტიანად და მოქნილად ვისარგებლოთ. ციფრული სერვისების დანერგვა არა მხოლოდ ამარტივებს მოქალაქეთა და ბიზნესის ურთიერთობას სახელმწიფოსთან, არამედ ხელს უწყობს ადმინისტრაციული პროცესების გამჭვირვალობას, ბიუროკრატიის შემცირებას და სახელმწიფო რესურსების ოპტიმიზაციას.

ციფრულიზაციის პროცესმა განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა კოვიდ -19 ის პანდემიის ფონზე, როდესაც ფიზიკური შეზღუდვების გამო, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ელექტრონული სერვისები გახდა ერთ-ერთი მთავარი გამოსავალი სახელმწიფო სერვისების მიწოდებისთვის. ამ ფონზე, ისეთმა ქვეყნებმა, როგორიცაა ესტონეთი, სინგაპური და სამხრეთ კორეა, შეძლეს ციფრული მმართველობის მოდელების წარმატებით დანერგვა და საერთაშორისო დონეზე „e-Governance"-ის ლიდერებად ჩამოყალიბება.[3] მათი გამოცდილება აჩვენებს, რომ ციფრული სერვისები არა მხოლოდ გაამარტივებს პროცესებს, არამედ უზრუნველყოფს მოქალაქეთა ჩართულობას გადაწყვეტილებების მიღებაში და ქმნის უფრო პასუხისმგებლიან და სამართლიან სახელმწიფოს.

კვლევის მიზანი და მნიშვნელობა - ციფრული სერვისების დანერგვა უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია სახელმწიფოს ეფექტიანობის, მოქნილობისა და მოქალაქეებზე ორიენტირებულობისკენ. ამ კვლევის მთავარი მიზანია გაანალიზოს საზოგადოებრივი სერვისების ციფრულიზაციის მნიშვნელობა, მისი სარგებელი და ის ძირითადი გამოწვევები, რომლებიც სახელმწიფოებს ამ პროცესში ხვდებათ. გარდა ამისა, სტატია ყურადღებას გაამახვილებს სხვადასხვა ქვეყნის წარმატებულ გამოცდილებებზე და მათი მაგალითების გამოყენების შესაძლებლობებზე საქართველოს კონტექსტში.

ძირითადი ნაწილი

1. თეორიული ჩარჩო და ციფრულიზაციის მნიშვნელობა

1.1 ციფრულიზაციის კონცეფცია და მისი არსი

ციფრულიზაცია არის პროცესების, სერვისებისა და მონაცემების ელექტრონულ სივრცეში გადატანა და მათი ტექნოლოგიური გადაწყვეტილებებით ოპტიმიზაცია. საზოგადოებრივი სერვისების ციფრულიზაციის კონტექსტში ეს გულისხმობს სახელმწიფო სერვისების მიწოდების ტრანსფორმაციას, სადაც ტრადიციული, ქაღალდზე დაფუძნებული პროცედურები იცვლება თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო

[3] OECD. Digital Government Index 2020: Measuring Governments' Digital Transformation. Paris: OECD Publishing, 2021.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ტექნოლოგიებით (ICT).[4] ციფრულიზაციის მიზანია სახელმწიფო მმართველობის გამარტივება, მოქნილობა და გამჭვირვალობა, რაც ხელს უწყობს ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებას და მოქალაქეებზე ორიენტირებული სერვისების განვითარებას. ევროპული კავშირის ციფრული პოლიტიკის მაგალითზე, ციფრული მმართველობა მოიცავს შემდეგ პრინციპებს:

სერვისებზე მარტივი წვდომა – მოქალაქეებს შეუძლიათ სერვისების მიღება დისტანციურად.
ღია მონაცემები და გამჭვირვალობა – სახელმწიფო ინფორმაციის საჯაროდ ხელმისაწვდომობა.
სერვისების ინტეგრაცია – სხვადასხვა უწყებების ერთიანი პლატფორმების შექმნა.

1.2 საზოგადოებრივი სერვისების ციფრულიზაციის სარგებელი

ციფრული სერვისები თანამედროვე სახელმწიფოების განვითარების ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია. მათი დანერგვა იძლევა მრავალმხრივ სარგებელს:

ადმინისტრაციული პროცესების ეფექტიანობა - ციფრულიზაცია ამცირებს ბიუროკრატიულ პროცედურებს და აჩქარებს გადაწყვეტილებების მიღების პროცესს. მაგალითად, მოქალაქეს აღარ სჭირდება ფიზიკურად გამოცხადება სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში, რადგან ელექტრონული პლატფორმების მეშვეობით სერვისებზე წვდომა შესაძლებელი ხდება ონლაინ რეჟიმში.

გამჭვირვალობა და ანტიკორუფციული მექანიზმები - ელექტრონული სერვისები ამცირებს ადამიანის ჩარევას გადაწყვეტილების მიღებაში, რაც ხელს უწყობს კორუფციის რისკების შემცირებას. მაგალითად, ესტონეთის e-Government მოდელი უზრუნველყოფს ყველა ტრანზაქციის და პროცესის მონიტორინგს.

დროისა და რესურსების დაზოგვა - ციფრული სერვისები მოქალაქეებსა და ბიზნესს საშუალებას აძლევს, საჭირო დოკუმენტაცია და მომსახურება სწრაფად და ეფექტურად მიიღონ სახლიდან გაუსვლელად. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ბიზნესისთვის, რომელსაც სჭირდება დროული და მოქნილი სერვისები. მოქალაქეთა ჩართულობის ზრდა - ციფრული ტექნოლოგიები, მაგალითად, e-Participation[5] და e-Voting,[6] ზრდის მოქალაქეთა ჩართულობას მმართველობის პროცესში და ქმნის უფრო ინკლუზიურ საზოგადოებას.

1.3 საერთაშორისო გამოცდილება და ტენდენციები

საზოგადოებრივი სერვისების ციფრულიზაცია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში განსხვავებული სისწრაფით და მასშტაბით მიმდინარეობს. არსებობს რამდენიმე ქვეყანა,

[4] Information and Communication Technology
[5] ელექტრონული მონაწილეობა
[6] ელექტრონული ხმის მიცემა

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

რომლებიც ამ მიმართულებით ლიდერობენ და მათი გამოცდილება საყურადღებოა: ესტონეთი: ციფრული მმართველობის პიონერი, რომელმაც პირველმა დანერგა e-Governance სისტემები.[7] მისი ელექტრონული ID-ბარათები, e-Residency[8] პროგრამა და ონლაინ სერვისები მსოფლიოსთვის ინოვაციური მაგალითია. მოქალაქეები 99%-ით იღებენ სერვისებს ონლაინ, რაც მინიმუმამდე ამცირებს ბიუროკრატიულ პროცედურებს. სინგაპური: ქვეყნის მთავრობის მიერ განხორციელებული Smart Nation[9] ინიციატივა ქმნის მაღალტექნოლოგიურ საზოგადოებას, სადაც ყველა სახელმწიფო სერვისი ინტეგრირებულია ერთიან ციფრულ სივრცეში. დანია და შვედეთი: სკანდინავიური ქვეყნები გამოირჩევიან ინკლუზიური ციფრული სერვისებით და დიდი ყურადღება ექცევა მონაცემთა დაცვისა და მოქალაქეთა პირადი ინფორმაციის უსაფრთხოებას.

1.4 ციფრულიზაცია და მდგრადი განვითარება

საზოგადოებრივი სერვისების ციფრულიზაცია პირდაპირ კავშირშია მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG) მაგალითად:[10]

SDG 9 – ინოვაცია და ინფრასტრუქტურის განვითარება, სადაც ციფრული სერვისები ქმნის თანამედროვე სახელმწიფო ინფრასტრუქტურას.

SDG 16 – მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები, რომელთა გამჭვირვალობა და ეფექტიანობა იზრდება ციფრული ტექნოლოგიების დახმარებით.[11]

2. ციფრულიზაციის მნიშვნელობა საქართველოს კონტექსტში

საქართველოში ციფრული სერვისების დანერგვა ბოლო წლებში აქტიურად მიმდინარეობს. „My.gov.ge" და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს პლატფორმები მოქალაქეებს სთავაზობენ მრავალფეროვან სერვისებს ონლაინ რეჟიმში. თუმცა, გამოწვევები, როგორიცაა ინფრასტრუქტურის ნაკლებობა, რეგიონებში ინტერნეტიზაციის დაბალი დონე და ციფრული უნარების დეფიციტი, კვლავ აქტუალურია.

ციფრული სერვისების სრულყოფილი განვითარება საქართველოში ხელს შეუწყობს: სახელმწიფო სერვისების უფრო ხელმისაწვდომ და მოქნილ მიწოდებას. ადმინისტრაციული პროცესების გამარტივებას, მოქალაქეთა ნდობისა და ჩართულობის ზრდას.

[7] ელექტრონული მთავრობა
[8] ელექტრონული რეზიდენტობა
[9] ჭკვიანი ერი
[10] Sustainable Development Goals
[11] United Nations. E-Government Survey 2022: The Future of Digital Government. New York: United Nations, 2022.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

3. ციფრული სერვისების წარმატებული მაგალითები

ციფრული სერვისების განვითარება თანამედროვე სახელმწიფოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. სხვადასხვა ქვეყნების წარმატებული მაგალითები გვიჩვენებს, რომ ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირება სახელმწიფო მმართველობასა და საზოგადოებრივ სერვისებში მნიშვნელოვნად აუმჯობესებს პროცესების ეფექტიანობას, გამჭვირვალობას და მოქნილობას. ამ ნაწილში განვიხილავთ რამდენიმე ქვეყნის გამოცდილებას, რომლებიც ციფრული მმართველობის ლიდერებად ითვლებიან.

3.1 ელექტრონული მმართველობა და ციფრული სერვისები – ესტონეთი

ესტონეთი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მაგალითია ციფრული მმართველობის მიმართულებით. მცირე ზომის ქვეყანა, რომლის მოსახლეობაც დაახლოებით 1.3 მილიონს შეადგენს, e-Governance-ის მოდელის პიონერია.

e-ID და e-Residency: 2002 წელს დანერგილი ელექტრონული პირადობის მოწმობა (e-ID) ესტონეთის მოქალაქეებს აძლევს შესაძლებლობას, მიიღონ თითქმის ყველა სახელმწიფო სერვისი ონლაინ რეჟიმში. e-ID-ის მეშვეობით მოქალაქეებს შეუძლიათ გადასახადების დეკლარირება, დოკუმენტების ელექტრონული ხელმოწერა, ჯანდაცვის სერვისებზე წვდომა და სხვა მრავალი სერვისის გამოყენება.

e-Residency პროგრამა: ესტონეთმა უცხოელებისთვის შექმნა ინოვაციური პროგრამა, რომელიც მათ საშუალებას აძლევს გახსნან ბიზნესი და ისარგებლონ ციფრული სერვისებით ესტონეთის იურისდიქციაში, მიუხედავად იმისა, ცხოვრობენ თუ არა ქვეყანაში.

სამართლებრივი და გამჭვირვალე სერვისები: ესტონეთში ხმის მიცემაც კი შესაძლებელია ონლაინ რეჟიმში (e-Voting). გარდა ამისა, მოქალაქეებს შეუძლიათ აკონტროლონ, ვინ და როდის ნახა მათი პერსონალური მონაცემები, რაც ზრდის ნდობას სისტემის მიმართ. ესტონეთის ციფრული სერვისები ამცირებს ბიუროკრატიულ პროცესებსა და ხარჯებს. მაგალითად, 99%-ზე მეტი სერვისი ქვეყანაში ხელმისაწვდომია ონლაინ, რაც მოქალაქეებს დროს და რესურსებს უზოგავს.[12]

3.2 სინგაპური – Smart Nation ინიციატივა

სინგაპური მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანაა ციფრული ტრანსფორმაციის კუთხით. ქვეყნის მთავრობა „Smart Nation" ინიციატივის ფარგლებში მიზნად ისახავს ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის გაძლიერებას და ციფრული სერვისების სრულყოფას.

[12] E-Estonia. "E-Estonia: The Digital Society." Accessed June 2024. https://e-estonia.com/

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ინტეგრირებული პლატფორმები: სინგაპურში ყველა სახელმწიფო სერვისი ხელმისაწვდომია ერთიან პლატფორმაზე, რაც მოქალაქეებს საშუალებას აძლევს საჭირო დოკუმენტები და სერვისები მიიღონ მარტივად და სწრაფად.

Smart Health და Smart Transport: ჯანდაცვის სერვისების ციფრულიზაცია უზრუნველყოფს ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერების მართვასა და ტესტირების სწრაფ პროცესს. ტრანსპორტის მართვის სმარტ სისტემები კი ამცირებს საცობებსა და უზრუნველყოფს ეფექტიან ტრანსპორტირების მოდელს.

AI[13] და მონაცემთა ანალიზი: სინგაპური აქტიურად იყენებს ხელოვნურ ინტელექტსა და დიდი მონაცემების ანალიზს გადაწყვეტილებების მისაღებად, რაც ხელს უწყობს მმართველობის უფრო ეფექტიანობას. სინგაპურმა შეძლო მოქნილი და ინკლუზიური ციფრული ეკოსისტემის შექმნა, სადაც სახელმწიფო და მოქალაქეები ერთიან ციფრულ სივრცეში ფუნქციონირებენ.

3.3 საქართველო – ციფრული სერვისების განვითარება

საქართველო ბოლო ათწლეულში მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ციფრული სერვისების განვითარების მიმართულებით.

My.gov.ge: საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილი „My.gov.ge" ერთიანი პორტალი მოქალაქეებს საშუალებას აძლევს ონლაინ მიიღონ სხვადასხვა სახელმწიფო სერვისი – მათ შორის საბუთების გაცემა, საჯარო რეესტრის მონაცემებზე წვდომა, ჯანდაცვის სერვისები და სხვა.

მოქალაქეებზე ორიენტირებული მომსახურება: იუსტიციის სახლები და საზოგადოებრივი ცენტრები აერთიანებს სერვისების მიწოდებას ერთ სივრცეში, რაც მოქალაქეებს უმამარტივებს პროცედურებს. ამ სერვისების ნაწილი ციფრულადაც ხელმისაწვდომია.[14]

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო: სააგენტო აქტიურად მუშაობს სერვისების დიგიტალიზაციაზე და მოქალაქეებისთვის მათი ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაზე. საქართველოს ციფრული სერვისების განვითარება ზრდის სერვისებზე წვდომას და ამცირებს ბიუროკრატიულ ბარიერებს. თუმცა, მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურის გაძლიერება და რეგიონებში ინტერნეტიზაციის პრობლემების გადაჭრა.[15]

3.4 სკანდინავიური ქვეყნები – დანია და შვედეთი

სკანდინავიის ქვეყნებში ციფრული სერვისები ეფუძნება სამ მთავარ პრინციპს: ინკლუზიურობა, უსაფრთხოება და მოქნილობა.

---

[13] ხელოვნური ინტელექტი

[14] საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. ელექტრონული მმართველობის სტრატეგია 2020-2025. თბილისი: იუსტიციის სამინისტრო, 2020

[15] საჯარო სერვისების განვითარების სააგენტო. ციფრული სერვისების განვითარების ანგარიში. თბილისი: PSDA, 2021.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

საჯარო სერვისების ინტეგრაცია: დანიასა და შვედეთში ყველა სახელმწიფო სერვისი ხელმისაწვდომია ერთიანი ელექტრონული პლატფორმებით.

კიბერუსაფრთხოება და მონაცემთა დაცვა: განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოქალაქეთა პერსონალური მონაცემების დაცვასა და უსაფრთხო სერვისების მიწოდებას.[16]

4. ციფრული სერვისების დანერგვის გამოწვევები

ციფრული სერვისების დანერგვა სახელმწიფო მმართველობაში მნიშვნელოვან შესაძლებლობებს ქმნის, თუმცა ამ პროცესს თან ახლავს არაერთი გამოწვევა. გამოწვევები შეიძლება დაკავშირებული იყოს როგორც ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურასთან, ისე ადამიანურ რესურსებსა და კულტურულ ფაქტორებთან.

4.1 ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ნაკლებობა

ციფრული სერვისების ეფექტიანი მუშაობისთვის აუცილებელია მყარი ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა. ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით განვითარებად ეკონომიკებში, არსებობს პრობლემები, როგორიცაა:

ინტერნეტიზაციის დაბალი დონე რეგიონებში;

ინფორმაციული ტექნოლოგიების არათანაბარი ხელმისაწვდომობა;

მოძველებული და არასაკმარისი სერვერული და ქსელური ინფრასტრუქტურა.

საქართველოში, მიუხედავად პროგრესისა, რეგიონებში ინტერნეტიზაციის საკითხი კვლავ გამოწვევად რჩება, რაც ხელს უშლის სერვისებზე თანაბარ წვდომას.

4.2 ციფრული უნარ-ჩვევების დეფიციტი

ციფრული სერვისების სრულყოფილად გამოყენებისთვის საჭიროა მოქალაქეებისა და საჯარო სექტორის თანამშრომლების შესაბამისი ციფრული უნარ-ჩვევები. ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია ხანდაზმულ მოსახლეობასა და სოფლის რეგიონებში მცხოვრებ ადამიანებში. ციფრული განათლების ნაკლებობა ართულებს სერვისების ხელმისაწვდომობას და ქმნის ციფრულ უთანასწორობას.[17]

4.3 კიბერუსაფრთხოება და მონაცემთა დაცვა

ციფრული სერვისების განვითარებასთან ერთად იზრდება კიბერუსაფრთხოების და მონაცემთა დაცვის რისკები. ეს მოიცავს:

კიბერ შეტევების რისკებს, რომლებიც მიზნად ისახავს სისტემების პარალიზებას ან პირადი მონაცემების მოპარვას;

[16] Danish Agency for Digitisation. Denmark's Digital Strategy 2022-2025: A Digitised Public Sector. Copenhagen: Danish Agency for Digitisation, 2022. https://en.digst.dk

[17] Mergel, Ines, Noella Edelmann, and Nathalie Haug. "Defining Digital Transformation: Results from Expert Interviews." Government Information Quarterly 36, no. 4 (2019): 123-130. https://shorturl.at/BxOen

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

მონაცემთა არასათანადო დაცვას, რაც ხელს უწყობს პერსონალური ინფორმაციის გაჟონვის საფრთხეს.

უსაფრთხოების სისტემების გაძლიერება აუცილებელია, რათა მოქალაქეებს ჰქონდეთ ნდობა ციფრული სერვისების მიმართ.[18]

4.4 ბიუროკრატიული და სამართლებრივი ბარიერები

ზოგიერთ ქვეყანაში სახელმწიფო აპარატში კვლავ არსებობს ბიუროკრატიული წინააღმდეგობა ცვლილებების მიმართ. ასევე, სამართლებრივი ჩარჩოს არარსებობა ან არასრულყოფილება ხელს უშლის ციფრული ინიციატივების ეფექტიან დანერგვას.

4.5 ფინანსური და რესურსების შეზღუდვა

ციფრული სერვისების შექმნა და შენარჩუნება საჭიროებს მნიშვნელოვან ფინანსურ და ადამიანურ რესურსებს. განვითარებად ქვეყნებში ეს ხშირად ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლებაა. ინვესტიციები ტექნოლოგიებში, კადრების გადამზადებასა და სისტემების უსაფრთხოებაში სერიოზულ ფინანსურ ხარჯებთან არის დაკავშირებული.

5. ციფრული სერვისების გაუმჯობესების რეკომენდაციები

ციფრული სერვისების განვითარება თანამედროვე სახელმწიფოს მმართველობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, რომელიც ეფექტიანობას, გამჭვირვალობასა და მოქნილობას ემსახურება. თუმცა, არსებული გამოწვევების დასაძლევად აუცილებელია კონკრეტული რეკომენდაციების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს ციფრული სერვისების უფრო ეფექტურ და ინკლუზიურ ფუნქციონირებას.

5.1. ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის გაძლიერება

ინტერნეტიზაციის ხელშეწყობა: განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონებისა და სოფლის ტერიტორიების სრულად ინტერნეტიზაცია, რათა მოსახლეობას თანაბარი წვდომა ჰქონდეს ციფრულ სერვისებზე.

ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა: აუცილებელია სერვერებისა და ქსელური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რაც უზრუნველყოფს სერვისების სტაბილურობასა და სწრაფ მუშაობას.

მობილური სერვისების განვითარება: მობილური აპლიკაციები გაადვილებს სერვისებზე წვდომას იმ მოქალაქეებისთვის, ვისაც კომპიუტერზე წვდომა შეზღუდული აქვს.

[18] World Bank. Digital Government: Foundations, Policies, and Strategies. Washington, D.C.: World Bank Group, 2020.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

5.2. ციფრული განათლების და უნარების განვითარება

ციფრული განათლების პროგრამები: მნიშვნელოვანია ციფრული უნარ-ჩვევების ამაღლებისთვის საგანმანათლებლო და ტრენინგ პროგრამების დანერგვა, რომლებიც მოიცავს როგორც საჯარო მოხელეებს, ისე მოსახლეობის მოწყვლად ჯგუფებს.[19]

ციფრული ლიტერატურის კამპანიები: საზოგადოების ინფორმირება ციფრული სერვისების გამოყენების სარგებელსა და მეთოდებზე ხელს შეუწყობს ამ სერვისების პოპულარიზაციას.

5.3. კიბერუსაფრთხოების გაძლიერება

უსაფრთხოების სტანდარტების გაუმჯობესება: აუცილებელია ციფრული სერვისების დაცულობის მუდმივი მონიტორინგი და კიბერუსაფრთხოების სისტემების გაძლიერება.

პერსონალური მონაცემების დაცვა: უნდა შემუშავდეს მკაფიო რეგულაციები და პროტოკოლები, რომლებიც უზრუნველყოფს მოქალაქეთა პერსონალური მონაცემების საიმედო დაცვას.[20]

5.4. მომხმარებელზე ორიენტირებული მიდგომა

ციფრული სერვისების დახვეწა: სერვისების დიზაინი უნდა იყოს მარტივი, ინტუიციური და ხელმისაწვდომი ყველა ასაკისა და ჯგუფის მოქალაქისთვის.
უკუკავშირის მექანიზმები: მნიშვნელოვანია მოქალაქეებისგან უკუკავშირის მიღება, რათა სერვისები მუდმივად დაიხვეწოს მათი საჭიროებების მიხედვით.

5.5. სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოს გაუმჯობესება

ციფრული მმართველობის პოლიტიკა: საჭიროა სამართლებრივი ჩარჩოს ჩამოყალიბება, რომელიც მხარს დაუჭერს ციფრული სერვისების განვითარებას.

საჯარო-კერძო პარტნიორობა: ტექნოლოგიური სექტორისა და კერძო კომპანიებთან თანამშრომლობა ხელს შეუწყობს ინოვაციების უფრო სწრაფად დანერგვას.

დასკვნა

ციფრული სერვისების განვითარება წარმოადგენს თანამედროვე სახელმწიფო მმართველობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას, რომელიც უზრუნველყოფს გამჭვირვალე, ეფექტურ და მოქნილ მომსახურებას. მიუხედავად მიღწეული პროგრესისა, არსებობს რიგი გამოწვევები, როგორიცაა ინფრასტრუქტურის სუსტი განვითარება, ციფრული უნარების დეფიციტი და კიბერუსაფრთხოების საკითხები. ამ პრობლემების დასაძლევად აუცილებელია ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის გაძლიერება, ციფრული განათლების ხელშეწყობა და უსაფრთხოების მექანიზმების გაუმ-

[19] Misuraca, Gianluca, and Gianluigi Viscusi. "Digital Public Services: Key Challenges and Trends in EU Countries." Government Information Quarterly 37, no. 4 (2020): 101-108. https://shorturl.at/IRhW2
[20] World Bank. Digital Government: Foundations, Policies, and Strategies. Washington, D.C.: World Bank Group, 2020.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ჯობესება. აღნიშნული ნაბიჯების განხორციელება მნიშვნელოვნად გაზრდის სერვისებზე ხელმისაწვდომობას, ხელს შეუწყობს მოქალაქეთა ჩართულობას და გააუმჯობესებს სახელმწიფო მმართველობის ხარისხს ციფრული ეპოქის პირობებში.

ბიბლიოგრაფია

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. ელექტრონული მმართველობის სტრატეგია 2020-2025. თბილისი: იუსტიციის სამინისტრო, 2020

საჯარო სერვისების განვითარების სააგენტო. ციფრული სერვისების განვითარების ანგარიში. თბილისი: PSDA, 2021.

Danish Agency for Digitisation. Denmark's Digital Strategy 2022-2025: A Digitised Public Sector. Copenhagen: Danish Agency for Digitisation, 2022. https://en.digst.dk

E-Estonia. "E-Estonia: The Digital Society." Accessed June 2024. https://e-estonia.com/

Mergel, Ines, Noella Edelmann, and Nathalie Haug. "Defining Digital Transformation: Results from Expert Interviews." Government Information Quarterly 36, no. 4 (2019): 123-130. https://shorturl.at/BxOen

Misuraca, Gianluca, and Gianluigi Viscusi. "Digital Public Services: Key Challenges and Trends in EU Countries." Government Information Quarterly 37, no. 4 (2020): 101-108. https://shorturl.at/IRhW2

OECD. Digital Government Index 2020: Measuring Governments' Digital Transformation. Paris: OECD Publishing, 2021.

United Nations. E-Government Survey 2022: The Future of Digital Government. New York: United Nations, 2022.

World Bank. Digital Government: Foundations, Policies, and Strategies. Washington, D.C.: World Bank Group, 2020.

"შრომები"№ 2 (2024)
WWW.PAPERS.ETA.EDU.GE/INDEX.PHP/PAPERS

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

არშემდგარი სახელმწიფოები

დავით ფარცვანია[1]
DOI: https://doi.org/10.61446/pa.2.2024.8458

აბსტრაქტი

სახელმწიფოს მთავარი ფუნქციას წარმოადგენს მოქალაქეების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნება. ამ კონცეფციის საპირისპიროდ, "არშემდგარი სახელმწიფოები" (Failed States) არის ქვეყნები, რომლებიც ვერ ახერხებენ თავიანთი ძირითადი ფუნქციების შესრულებას, რაც ხშირად იწვევს სოციალური და ეკონომიკური დესტაბილიზაციას. ეს ტერმინი მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან დამკვიდრდა და აღნიშნავს სახელმწიფოებს, სადაც მმართველობის სისტემები, საჯარო სერვისები და უსაფრთხოების მექანიზმები ვეღარ ფუნქციონირებს. მოცემულ სტატიაში განიხილება "არშემდგარი სახელმწიფოების" ძირითადი მახასიათებლები და გამომწვევი მიზეზები. საქართველოს მაგალითზე, ნაჩვენებია, როგორ იქცა ქვეყანა პოსტსაბჭოთა პერიოდში "არშემდგარ სახელმწიფოდ" შიდა პოლიტიკური კრიზისების, ეკონომიკური არასტაბილურობის და რეგიონული კონფლიქტების ფონზე. 1990-იანი წლების დასაწყისში სამხედრო გადატრიალებამ და ეთნიკურმა კონფლიქტებმა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, ქვეყანას მძიმე ჰუმანიტარული კრიზისი მოუტანა. ამას თან ახლდა ყოვლისმომცველი კორუფცია, ეკონომიკის კოლაფსი და მოსახლეობის მიერ სახელმწიფოს მიმართ ნდობის დაკარგვა. სტატიაში განიხილება ძირითადი ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობს სახელმწიფოს მარცხს: კანონის უზენაესობის არარსებობა, კორუფცია, ეკონომიკური პრობლემები, შიდა კონფლიქტები, გარემოს და გეოპოლიტიკური ფაქტორები. საქართველოსთვის, პოსტსაბჭოთა გარდამავალ პერიოდში, ეს ფაქტორები განსაკუთრებულად მტკივნეულად გამოვლინდა. "არშემდგარი სახელმწიფოების" გადარჩენისა და სტაბილურობის მიღწევის გზად განიხილება კანონის უზენაესობის გაძლიერება, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, ეკონომიკური რეფორმები და სოციალური ერთიანობის ხელშეწყობა. საქართველოს გამოცდილება ცხადყოფს, რომ სახელმწიფოს წარმატება დამოკიდებულია მმართველი ინსტიტუტების ფუნქციონალობასა და საზოგადოების ჩართულობაზე.

საკვანძო სიტყვები: კანონის უზენაესობა, კორუფცია, შიდა კონფლიქტი, არშემდგარი სახელმწიფო.

[1] სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს, ეროვნული თავდაცვის აკადემიის, მაგისტრატურის საგანმანათლებო პროგრამის სახელმწიფო რესურსების მართვის მსმენელი

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

Failed States

David Partsvania[2]
DOI: https://doi.org/10.61446/pa.2.2024.8458

Abstract

The primary function of a state is to ensure the security of its citizens and maintain public order. In contrast to this concept, "Failed States" are countries unable to fulfil their core functions, often leading to social and economic destabilization. This term, established in the second half of the 20th century, refers to states where governance systems, public services, and security mechanisms cease functioning effectively. This article examines the key characteristics and root causes of "Failed States." Using Georgia as a case study, it illustrates how the country became a failed state in the post-Soviet period against internal political crises, economic instability, and regional conflicts. In the early 1990s, a military coup and ethnic conflicts in Abkhazia and South Ossetia led to a severe humanitarian crisis. This was accompanied by pervasive corruption, economic collapse, and a loss of public trust in state institutions. The article explores the main factors contributing to state failure: the absence of the rule of law, corruption, economic challenges, internal conflicts, and environmental and geopolitical factors. For Georgia, these issues were particularly acute during its post-Soviet transition. The path to recovery and stability for "Failed States" involves strengthening the rule of law, combating corruption, implementing economic reforms, and fostering social cohesion. Georgia's experience underscores that the success of a state depends on the functionality of its governing institutions and the engagement of its society.

Keywords: Rule of law, corruption, internal conflict, failed state.

[2] Student of Master's Program in State Recourse Management of LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

შესავალი

მე-17 საუკუნის ინგლისელი ფილოსოფოსი თომას ჰობსი თვლიდა, რომ ქვეყნის სწორად განვითარებისთვის აუცილებელია ძლიერი სახელმწიფო ძალაუფლება, რომელიც გამორიცხავს სამოქალაქო დაპირისპირებას და აქედან გამომდინარე, ქვეყნის გაპარტახებას, სადაც ძალაუფლების ამოსავალი პრინციპი უნდა იყოს ადამიანის ბუნება, ანუ ადამიანის თანშობილი თვისებები და საჭიროებები. იგი ამბობს, რომ ადამიანები ქმნიან სუვერენულ სახელმწიფოებს არა გონიერებაზე, არამედ ინსტინქტზე დაყრდნობით. ისინი ნებით დებენ სოციალურ კონტრაქტს ერთმანეთთან და ქმნიან სუვერენულ მთავრობას რომელსაც გააჩნია საჭირო ძლიერება, რათა დაიცვას ისინი საგარეო თუ საშინაო მტრებისა და ხელისშემშლელი ფაქტორებისგან.[3]

„არშემდგარი სახელმწიფოები" („Failed States") წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ თემას თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების და პოლიტიკის ანალიზის პროცესში. აღნიშნული ტერმინი გამოიყენება ისეთი სახელმწიფოების აღსაწერად, რომლებიც ვერ ახერხებენ საკუთარი ძირითადი ფუნქციების შესრულებას, როგორებიცაა მმართველობა, შიდა უსაფრთხოების უზრუნველყოფა, საჯარო სერვისების მიწოდება და ტერიტორიის კონტროლი. „არშემდგარი სახელმწიფო" არა მხოლოდ შიდა პრობლემების მქონე ქვეყანა, არამედ საერთაშორისო კონტექსტში საფრთხის შემცველი აქტორია, ვინაიდან ასეთი ქვეყნები ხშირად მოწყვლადი არიან ტერორიზმის, ორგანიზებული დანაშაულისა და ჰუმანიტარული კრიზისების მიმართ.

თეორიულად, სახელმწიფოს იდეალური მოდელი გულისხმობს ძლიერ ინსტიტუტებს, კანონის უზენაესობას და პოლიტიკურ სტაბილურობას. ტერმინი „Failed States" ფართოდ დამკვიდრდა საერთაშორისო პრაქტიკაში XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც გლობალური პოლიტიკის დღის წესრიგში გაჩნდა მრავალი კონფლიქტური ზონა და ჩამოუყალიბებელი სახელმწიფოები. რობერტ როტბერგის მიხედვით,[4] რომელიც აღნიშნული კონცეფციის ერთ-ერთი წამყვანი მკვლევარია, „არშემდგარი სახელმწიფოები" ხასიათდებიან მმართველობისა და ინსტიტუციური სისუსტით, რაც არღვევს სახელმწიფოს ფუნქციონირების ბალანსს. ასეთ ქვეყნებში ვერ ხერხდება მოსახლეობის ძირითად საჭიროებებზე რეაგირება, რაც იწვევს სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ კოლაფსს.

„არშემდგარი სახელმწიფოების" პრობლემატიკა მოიცავს როგორც შიდა, ისე გარე ფაქტორებს. შიდა ფაქტორებიდან გამოირჩევა კორუფცია, სუსტი ინსტიტუტები, ეკონომიკური მენეჯმენტის პრობლემები და ეთნიკური თუ რელიგიური დაპირისპირებები. გარე ფაქტორებში კი შედის გლობალური გეოპოლიტიკური გამოწვევები, მე-

[3] თომას ჰობსი, *ლევიათანი.* 1651, chrome-extension: // https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/hobsi.pdf
[4] ROBERT I. ROTBERG, *The Failure and Collapse of Nation-States BREAKDOWN,PREVENTION, AND REPAIR.* 2004.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ზობელი ქვეყნების ჩარევა და საერთაშორისო ტერორისტული ქსელების გავლენა. ასეთმა გამოწვევებმა შეიძლება ქვეყანა დააყენოს ქაოსის მდგომარეობაში, სადაც მმართველობა პრაქტიკულად შეუძლებელია.

მოცემულ ნაშრომში განიხილება „არშემდგარი სახელმწიფოების" ძირითადი მახასიათებლები, გამომწვევი მიზეზები და შედეგები, ასევე საქართველოს კონკრეტული მაგალითი, რომელიც პოსტსაბჭოთა პერიოდში ამ ფენომენის ერთ-ერთ კლასიკურ შემთხვევას წარმოადგენს. საქართველო, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, აღმოჩნდა მძიმე პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური გამოწვევების წინაშე, რამაც განაპირობა მისი დროებითი კლასიფიცირება „არშემდგარ" ქვეყნად. 1990-იანი წლების საქართველო ხასიათდებოდა სამოქალაქო ომებით, რეგიონული კონფლიქტებით, ეკონომიკური კოლაფსით და ინსტიტუციური სისუსტით. ამ ყველაფერმა შექმნა ჰუმანიტარული კრიზისი და შეამცირა სახელმწიფოს უნარი, ემართა საკუთარი ტერიტორია.

ძირითადი ნაწილი

თომას ჰობსის ფილოსოფიური ხედვის მიხედვით, ძლიერი და სუვერენული სახელმწიფო არის ის მექანიზმი, რომელიც მოქალაქეებს იცავს ბუნებრივი ქაოსისგან, სადაც ძალაუფლებისთვის მუდმივი ბრძოლა სუფევს. ჰობსის „ლევიათანის"[5] კონცეფცია გვიჩვენებს, რომ ადამიანთა მიერ შექმნილი სოციალური კონტრაქტი სახელმწიფო მმართველობის საფუძველია, რომელიც უზრუნველყოფს მშვიდობას და სტაბილურობას. მიუხედავად ამისა, არსებობს სახელმწიფოები, რომლებიც ამ იდეალურ მოდელს ვერ შეესაბამებიან და რეალურად გადაიქცევიან „არშემდგარ" ქვეყნებად. მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრდა ახალი პოლიტიკური ტერმინი „Failed States" – "ქმედუუნარო, არშემდგარი, ვერშექმნილი სახელმწიფოები".[6] როდესაც სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს მისი ძირითადი ფუნქციების ეფექტურად შესრულებას, ირღვევა ქვეყნის მმართველობის და უსაფრთხოების სისტემა, არ ფუნქციონირებს სახელმწიფო სერვისები, ეს ყველაფერი არშემდაგარი ქვეყნების დამახასიათებელი თვისებაა. სახელმწიფოს ასეთი მდგომარეობის მაგალითებად ასახელებენ სომალის, ჰაიტის, ზიმბაბვეს, სუდანს, ავღანეთს. ესენი ღარიბი, ან ღატაკი ქვეყნებია, რომლებიც ნადგურდებიან და ვერ ვითარდებიან პოლიტიკური ელიტის სიხარბის, კორუფციის, ომის და სხვა მიზეზების გამო. ხელისუფლებაში მოდიან ძალით, ან იმიტაციური არჩევნებით. ასეთ ქვეყნებს ძირითადად მართავენ ექსცენტრიული ლი-

[5] იქვე. ჰობსი, თომას. 1651 .

[6] ნუკრი მიხანაშვილი, "სოციალური კაპიტალი და "არშემდგარი სახელმწიფოები," 2014, "*ბიზნესი და კანონმდებლობა* 52. Accessed 2024.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

დერები. კორუფციის აღქმის ინდექსით ისინი რეიტინგის ბოლო ადგილებს ინაწილებენ.[7] ქვეყნის ასეთ სახელმწიფოდ გადაქცევას სხვადასხვა ფაქტორი უწყობს ხელს.

კანონის უზენაესობა, დაუშვებელია ვინმე იდგეს კანონზე მაღლა, ყველა ადამიანი კანონის სუბიექტია, მათ შორის კანონმდებლები სამართალდამცავები და მოსამართლეები. იგი უპირისპირდება ტირანიას ან ოლიგარქიას, სადაც მმართველები დგანან კანონზე მაღლა. კანონის უზენაესობა საფრთხის ქვეშაა იქ, სადაც ხელისუფლებას არ გააჩნია შესაბამისი მაკორექტირებელი მექანიზმი მის აღსადგენად.

კორუფციას უჭირავს გადამწყვეტი როლი, იგი ანგრევს სახელმწიფო ინსტიტუციებს. როდესაც ლიდერები პირად ანგარებას აყენებენ საზოგადოების ინტერესებზე მაღლა, ქვეყნის რესურსები აღარ გამოიყენება მოსახლეობის საკეთილდღეოდ, ამ დროს მთავრობისადმი ნდობა იკარგება, რაც ქვეყანაში იწვევს დესტაბილიზაციას.

კიდევ ერთი ფაქტორია **ეკონომიკის არასწორი მართვა**. არშემდგარი სახელმწიფოებში აღინიშნება ინფლაციის მაღალი დონე, ქვეყნები ეფლობიან საგარეო და საშინაო ვალებში, ხდება ქვეყნის რესურსების არათანაბარი გადანაწილება, სახელმწიფო ზღუდავს ინვესტირებას ისეთი სფეროების განვითარებისათვის, როგორიცაა ჯანდაცვა და განათლება. ყველაფერ ამას მძიმე ეკონომიკური შედეგები მოსდევს, როგორიცაა სიღარიბე და შიმშილი. ნათელი მაგალითია 1959-1961 წლების მასობრივი შიმშილი ჩინეთში, როდესაც მთავრობის არასწორ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას მოჰყვა ეროვნული უბედურება, რამაც შედეგად 20 მილიონზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

ქვეყნის შიგნით ეთნიკურ ან რელიგიურ ნიადაგზე აღმოცენებული დაპირისპირებები კიდევ უფრო აძლიერებს დესტაბილიზაციას, სუსტად განვითარებულ ინსტიტუციებს უჭირთ შიდა კონფლიქტების მოგვარება, შედეგად სახეზეა მოსახლეობაში ძალადობისა და იძულებით გადაადგილების ფაქტები.

გარემოს ფაქტორებმა, როგორიცაა კლიმატური ცვლილებები და ბუნებრივი კატასტროფები, შესაძლებელია გაამწვავოს სიტუაცია. მათ მიმართ მზადყოფნისა და რეაგირების მექანიზმების არაადეკვატურობა ქვეყანას დაუცველს ტოვებს მათი დამანგრეველი ზემოქმედების წინაშე.

გარე ფაქტორები, როგორიცაა გლობალური გეოპოლიტიკური მდგომარეობა, ურთიერთსაწინააღმდეგო საერთაშორისო ინტერესებმა შესაძლოა გააძლიეროს შიდა კონფლიქტები, მათ შორის მეზობელი ქვეყნების ჩარევა ხელს უწყობს ქვეყნის წარუმატებლობას.

საბჭოთა კავშირის დაშლა გარდამტეხი მომენტი იყო ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისთვის, მათ შორის საქართველოსთვისაც. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველო ისეთი მწვავე გამოწვევების და პრობლემების წინაშე აღმოჩნდა, რამაც განაპირობა პოსტსაბჭოთა პერიოდში მისი სტატუსის კლასიფიცირება როგორც

[7] იქვე. ნუკრი მიხანაშვილი, 2024.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

„არშემდგარი ქვეყანა." ამ სტატუსის შეძენის ერთერთი მთავარი ფაქტორი ქვეყნის შიგნით არსებული კომფლიქტები იყო.

1990-იანი წლების დასაწყისში დედაქალაქში განხორციელდა მთავრობის სამხედრო გადატრიალება, რეგიონებში, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ეთნიკური ნიადაგზე წარმოქმნილი დაძაბულობა გადაიზარდა მწვავე შეიარღებულ დაპირისპირებაში. ომმა უამრავ ადამიანს მოუსპო სიცოცხლე და ასობით ათასი პირის იძულებით გადაადგილება გამოიწვია. ქვეყანაში შეიქმნა ჰუმანიტარული კრიზისი. მთავრობას არ გააჩნდა უნარი ეფექტურად ემართა და მოეგვარებინა კომფლიქტები, რაც მის სუსტ ავტორიტეტზე მეტყველებს.[8]

პოლიტიკური არასტაბილურობა თან ახლდა საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გარდაქმნის პროცესში, ქვეყანამ ვერ ჩამოაყალიბა ეფექტური მმართველობითი სტრუქტურა, ყოვლისმომცველი კორუფცია ქვეყნის ეკონომიკას არ აძლევდა განვითარების საშუალებას, რაც მოსახლეობაში სახელმწიფო ინტიტუციების მიმართ უნდობლობას იწვევდა. მთავრობა ვერ უმკლავდება ამ დროს არსებულ ეკონომიკურ გამოწვევევებს, რაც აძლიერებს ნარატივს, რომ საქართველო არშემდგარი ქვეყანაა.

სსრკ-ს დაშლის შემდეგ გეგმიური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა საქართველოსთვის რთული აღმოჩნდა, ინფრასტრუქტურის შეუსაბამობამ, არასწორმა მენეჯმენტმა, ამასთან ერთად კორუფციის მაღალმა დონემ ხელი შეუშალა ქვეყანას მოეზიდა ინვესტიციები ინდუსტრიების გასავითარებლად. 1990 წლიდან 1995 წლამდე საქართველოს ეკონომიკა ჯამურად 68 პროცენტით შემცირდა.[9] ქვეყანა მოიცვა მასობრივმა უმუშევრობამ და სიღარიბემ, რაც კიდევ უფრო აღვივებდა არეულობას და დესტაბილიზაციას.

ქვეყნის წარუმატებლობა გამოისახა აგრეთვე საზოგადოების დაქსასულობაში. საბჭოთა კავშირის დროინდელმა სოციალურმა სტრუქტურებმა ახალ რეალობაში ტრანსფორმაცია განიცადა. სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო ხალხში დაემკვიდრებინა ეროვნული იდენტობისა და ერთიანობის განცდა. შეიქმნა გარემო, სადაც ეთნიკური და კულტურული განსხვავებები დაძაბულობის წყაროდ იქცა. სოციალური ერთიანობის დაშლამ ქვეყანაში გამოიწვია დანაშაულის, მათ შორის ორგანიზებული დანაშაულის მკვეთრად მატება. კანონის უზენაესობა აღარ მოქმედებდა, ქვეყანაში გამეფდა კრიმინალი.

გარდა ქვეყნის შიგნით არსებული პრობლემებისა საქართველოს უწევდა ასევე გარე ზეწოლებთან გამკლავება. გეოგრაფიული მდებარეობა ქვეყანას მისი მეზობელი სახელმწიფოების, განსაკუთრებით რუსეთის, გეოპოლიტიკური ამბიციების სფეროში

[8] აკა ზარქუა, *რა ხდებოდა 90-იანი წლების საქართველოში — ისტორია რიცხვებში.* თბილისი, მაისი 22. 2019. https://go.on.ge/13r4.

[9] რეალპოლიტიკა. 2021. *დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკური ისტორია.* სექტემბერი 13. https://realpolitika.ge/ge/longread/damoukidebeli-saqartvelos-ekonomikuri-istoria.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

აქცევდა. რუსეთის მიერ საქართველოს სეპარატისტული რეგიონების მხარდაჭერიდან გამომდინარე ქვეყანა ვერ ახერხებადა საკუთარის სუვერენიტეტის დაცვას, რაც უფრო აძლიერებს არშემდგარის ქვეყნის სატატუსს.

პოსტსაბჭოთა პერიოდი საქართველოსთვის ძალზე რთული აღმოჩნდა. ეს პერიოდი ხასიათდება შიდა არეულობებით, რეგიონული კონფლიქტებით, პოლიტიკური არასტაბილურობით, ეკონომიკის არასწორი მართვით, საზოგადოება დაქსაქსულია და დაპირისპირებულია ერთმანეთთან. საშინაო და საგარეო გამოწვევებზე არასათანადო რეაგირებიდან გამომდინარე, 1990-ანი წლების საქართველო მივიდა იმ მდგომარეობამდე, რაც ტიპიურ არშემდგარ, მსხვრევად სახელმწიფოებს ახასიათებს. 21-ე საუკუნის დასაწყისიში გატარებული რეფორმების შედეგად ქვეყანა აღარ მოიაზრება ასეთი ქვეყნების რიგებში, თუმცა მიუხედავად გატარებული რეფორმებისა, იგი კვლავ განიცდის იმ ნეგატიური შედეგების ზემოქმედებას, რაც ქვეყანამ აღნიშნულ პერიოდში გადაიტანა.

სახელმწიფოს მარცხი არ არის შემთხვევითი მოვლენა, იგი ძირითადად ადამიანების მიერ არის გამოწვეული. ინსტიტუციების სისუსტე და სტრუქტურული ხარვეზები ხელს უწყობს წარუმატებლობას, თუმცა ეს ხარვეზები, ჩვეულებრივ კონკრეტული პიროვნებების გადაწყვეტილებებსა და ქმედებებს უკავშირდება.[10]

დასკვნა

„არშემდგარი სახელმწიფოების" (Failed States) ფენომენი წარმოადგენს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების და პოლიტიკის ერთ-ერთ ყველაზე რთულ და მრავალფუნქციურ პრობლემას. აღნიშნული საკითხი პირდაპირ უკავშირდება სახელმწიფო ინსტიტუტების სისუსტეს, კანონის უზენაესობის უქონლობას და სოციალურ თუ ეკონომიკურ დესტაბილიზაციას, რაც ხშირად იწვევს კონფლიქტებს, ჰუმანიტარულ კრიზისებს და საერთაშორისო უსაფრთხოების მოშლას. ასეთი სახელმწიფოების წარმოშობა ხშირად გამოწვეულია შიდა და გარე ფაქტორებიდან გამომდინარე. შიდა მიზეზებში შედის ინსტიტუციური სისუსტე, კორუფცია, ეკონომიკური მართვის არაეფექტურობა და ეთნიკური თუ რელიგიური დაპირისპირებები. გარე ფაქტორებიდან მნიშვნელოვანია გეოპოლიტიკური ზეწოლა, მეზობელი ქვეყნების ჩარევა და გლობალური ეკონომიკური და კლიმატური გამოწვევები. საქართველოს პოსტსაბჭოთა გამოცდილება ცხადყოფს, რომ შიდა კონფლიქტები და ინსტიტუციური ქაოსი სახელმწიფოს მარცხის მთავარი კატალიზატორებია.

დასასრულს, წარუმატებელი სახელმწიფოების სტაბილურ, ფუნქციის მქონე ქვეყნებად ტრანსფორმაცია მოითხოვს ისეთი ფუნდამენტური საკითხების მოგვარებას, როგორიცაა კანონის უზენაესობა, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, ეკონომიკური რე-

[10] Ibid. ROBERT I. ROTBERG, 2003.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ფორმების განხორციელება, სოციალური ერთობის ხელშეწყობა და სახელმწიფო ინსტიტუციების აღდგენა. საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან მხარდაჭერა, მათ შორის ფინანსური დახმარების, ტექნიკური ექსპერტის და დიპლომატიური თანამშრომლობის გზით, მნიშვნელოვანი ფაქტორია ამ პროცესში. საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორებიცაა გაერო, ევროკავშირი და ნატო, ცდილობენ შეიმუშავონ მექანიზმები ასეთი სახელმწიფოების დასახმარებლად და მათი სტაბილურობის გასაძლიერებლად. ეკონომიკური დახმარება, პოლიტიკურ რეფორმებზე მუშაობა და კონფლიქტების მედიაცია არის ძირითადი ინსტრუმენტები, რომლებიც გამოიყენება ამ პროცესში. თუმცა, ასეთ ქვეყნებში სტაბილურობის დამყარება ხშირად დიდხანს გრძელდება და მოითხოვს კომპლექსურ მიდგომებს.

გზა, რომელიც ყველა ქვეყანაში მოწესრიგებული სახელმწიფოს მშენებლობამდე მიდის, გადის ისეთ არამატერიალურ ღირებულებებზე, როგორიცაა კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებები და ფუნდამენტური თავისუფლება. მსოფლიო ცივილიზაციის ისტორია გვიჩვენებს, რომ საზოგადოების გამაერთიანებელი და მომწესრიგებელი საწყისი ლიბერალური დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობაში და აუცილებელი „ცოდნის" დაგროვებაშია.[11] სახელმწიფომ, როგორც ინსტიტუტმა უნდა უზრუნველყოს მოქალაქეთა საზოგადოებრივი ინტერესების რეალიზება. ეს არის წარმატებული სახელმწიფოს არსი, ფუნქცია. ამის ნათელი მაგალითებია ევროპის უძველესი ქრისტიანული სახელმწიფოები და ეთნიკურად ყველაზე მრავალფეროვანი და მულტიკულტურული ქვეყანა - ამერიკის შეერთებული შტატები. ამ ქვეყნებში ქრისტიანული ლიბერალური კულტურა დემოკრატიის უძველეს ბერძნულ პრინციპებს შეერწყა და ეს ნაერთი სოციალური კაპიტალის შექმნა-დაგროვებით, უძლიერეს სახელმწიფოებრიობაში ტრანსფორმირდა. დღევანდელ მსოფლიოში სწორედ ამ სახელმწიფოებს უწევთ ავტორიტარულ რეჟიმებთან დაპირისპირება და იქ დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნით, „ახალი მსოფლიო წესრიგის" დამყარება.[12] გზა სტაბილური და ფუნქციური სახელმწიფოსკენ რთული და ხანგრძლივია, მაგრამ მისი გავლა აუცილებელია არა მხოლოდ კონკრეტული ქვეყნისთვის, არამედ გლობალური უსაფრთხოების და კეთილდღეობისათვის. ამის მისაღწევად, აუცილებელია მტკიცე ერთობა როგორც შიდა, ისე საერთაშორისო დონეზე, რაც საშუალებას მისცემს „არშემდგარი" სახელმწიფოებს გაძლიერდნენ და გახდნენ სუვერენული და სტაბილური პარტნიორები საერთაშორისო საზოგადოებაში.

[11] იქვე. ნუკრი მიხანაშვილი, 2014..
[12] იქვე.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ბიბლიოგრაფია

ROTBERG, ROBERT I. 2003. *Failed States, Collapsed States, Weak States: Causes and Indicators.* Washington. chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://www.brookings.edu/asset/wp-content/uploads/2016/07/statefailureandstateweaknessinatimeofterror_chapter.pdf.

ROTBERG, ROBERT I. 2004. *The Failure and Collapse of Nation-States BREAKDOWN,PREVENTION, AND REPAIR.* Washington. http://assets.press.princeton.edu/chapters/s7666.pdf.

ზარქუა, აკა. 2019. *რა ხდებოდა 90-იანი წლების საქართველოში — ისტორია რიცხვებში.* თბილისი, მაისი 22. https://go.on.ge/13r4.

კინწურაშვილი, ანი. 2023. "საქართველოს გასასვლელი აბრეშუმის გზაზე." *სამოქალაქო იდეა.* Accessed აგვისტო 24, 2024. chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://civicidea.ge/wp-content/uploads/2024/01/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%95%.

მიხანაშვილი, ნუკრი. 2014. "სოციალური კაპიტალი და "არშემდგარი სახელმწიფოები"." *ბიზნესი და კანონმდებლობა* 52. Accessed 2024. https://ojs.b-k.ge/index.php/bk/article/download/226/207.

რეალპოლიტიკა. 2021. *დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკური ისტორია.* სექტემბერი 13. Accessed 2024. https://realpolitika.ge/ge/longread/damoukidebeli-saqartvelos-ekonomikuri-istoria.

ჰობსი, თომას. 1651 . *ლევიათანი.* chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/hobsi.pdf.

"შრომები"№ 2 (2024)
WWW.PAPERS.ETA.EDU.GE/INDEX.PHP/PAPERS

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ჩინეთის გავლენა მსოფლიო გეოპოლიტიკაში

კობა კობალაძე[1]
DOI: https://doi.org/10.61446/pa.2.2024.8459

აბსტარაქტი

ნაშრომში აღწერილაია, რომ საერთაშორისო სისტემა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა, თითქმის, მთლიანად შეიცვალა, რაც გამოწვეულია ახალი, დიდი სახელმწიფოების წარმოქმნით, ეკონომიკის გლობალიზაციით, შედარებითი სიმდიდრისა და ეკონომიკური ძალის დასავლეთიდან აღმოსავლეთით ისტორიული გადანაცვლებითა და არასახელმწიფო აქტორების მზარდი გავლენით. თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკაში გლობალური, მრავალპოლუსიანი სისტემა არსებობს, რომელიც პერმანენტულად განიცდის ცვლილებებს.

ავტორი აღნიშნავს, რომ პოსტ-ბიპოლარულ ეპოქაში, გლობალური წესრიგის ტრანსფორმაცია, უკვე, ლოგიკურ შედეგს მიუახლოვდა; დასრულდა გეოპოლიტიკური ტრანზიცია და უნიპოლარული სისტემა. სწორედ ამ ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების ფონზე, ძირითად საკითხს წარმოადგენს ის, თუ რომელი ქვეყნები შემოვიდნენ, როგორც ახალი აქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ ამ პოლარობის რაობას. ამ პროცესში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მნიშვნელობა, უკვე, შემდგარი ფაქტია და ამიტომაც, თანამედროვე პერიოდის საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ერთ-ერთი საკვანძო პრობლემა გახდა. თუ როგორ შესძლო ჩინეთმა, გლობალური გავლენის ძალის სტატუსის მოპოვება, რა როლი შეიტანა, ამ მხრივ, მისმა სამხედრო პოტენციალის გაძლიერებამ და რატომ ასრულებს დღეს, ჩინეთი, მნიშვნელოვან როლს მსოფლიოში უსაფრთხოებისა და მშვიდობის შენარჩუნების **საქმეში- სწორედ ესაა ის მნიშვნელოვანი საკითხები, რაც, ვფიქრობთ, სიღრმისეულ ანალიზს მოითხოვს.**

საკვანძო სიტყვები: ჩინეთი.გეოპოლიტიკა, მსოპლიო წესრიგი, უსაფრთხოება

[1] სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს, ეროვნული თავდაცვის აკადემიის, მოწვეული სპეციალისტი, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორი;

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

China's influence in world geopolitics

Koba Kobaladze[2]
DOI: https://doi.org/10.61446/pa.2.2024.8459

Abstract

The paper describes the international system that was created after the Second World War and has almost completely changed, which is caused by the emergence of new, large states, the globalization of the economy, the historical shift of relative wealth and economic power from the West to the East, and the growing influence of non-state actors. In modern international politics, there is a global, multipolar system that is permanently undergoing changes. The author notes that in the post-bipolar era, the transformation of the global order has already approached its logical conclusion; The geopolitical transition and the unipolar system are over. It is in the background of the formation of this new world order that the main question is which countries have entered as new actors that determine the nature of this polarity. In this process, the importance of the People's Republic of China is already an established fact, and that is why it has become one of the key problems for ensuring international security in the modern era. How China was able to gain the status of a power of global influence, what role did the strengthening of its military potential play in this regard, and why today China plays an important role in maintaining security and peace in the world - we think, these are the important issues that require in-depth analysis.

Keywords: China, geopolitics, world order, security

[2] Invited specialist of LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia, Director of the State Department of Veterans Affairs;

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

შესავალი

ჩინეთის სამხედრო დოქტრინისა და სამხედრო-პოლიტიკური მისწრაფებების ფუნდამენტური ანალიზის საფუძველზე, უნდა განვიხილოთ კონკრეტული სახის სამხედრო და შეიარაღებული კონფლიქტები, სადაც ჩინეთმა გამოიყენა და იყენებს საკუთარ სამხედრო პოტენციალს. აღნიშნული ანალიზი, ნამდვილად გამოადგება საქართველოს თავდაცვით ძალებს საკუთარი სტრატეგიულ- დოქტრინული დოკუმენტების დასახვეწად და საბრძოლო მომზადების გასაუმჯობესებლად; განხორციელდა საინტერესო კორელაცია თეორიულ ნარატივსა და რეალურ პოლიტიკურ მოვლენებს შორის, რაც გამოიხატა იმ ფაქტორით, რომ გამოიკვეთა „შეირაღებული ძალების ოთხი ამოცანის" თეორიასა და ჩინეთის სამხედრო რეფორმებს შორის ურთიერთკავშირი და წარმოჩნდა მათ შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირები;

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, საკუთარ თავს, მიიჩნევს მესამე სამყაროს წარმომადგენლად, რომელსაც გააჩნია დამოუკიდებელი საგარეო/საერთაშორისო სამშვიდობო პოლიტიკა. ''მესამე სამყარო'' - ამ ტერმინის უკან, ჩინეთის სწავლულები გულისხმობენ იმ ფაქტს, რომ ქვეყანა არის ღარიბი და განვითარებადი, ასევე, ის არ წარმოადგენს არცერთი „სუპერ ძალის" ბლოკს, როგორიც იქმნება, ხოლმე, ამერიკის შეერთებული შტატების ირგვლივ, ან როგორიც იყო სოციალისტური ბანაკი საბჭოთა კავშირის მსგავსად. „დამოუკიდებლობა" ნიშნავს იმას, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა არ აყენებს თავს რომელიმე დიდი ძალის გვერდით, იგი ცდილობს, დამოუკიდებლად განვითარდეს და აშენოს მშვიდობა.

ძირითადი ნაწილი

ჩინეთის საგარეო პოლიტიკურ საკითხებზე გადაწყვეტილებები მიიღება ხუთ ძირითად პრინციპზე დაყრდნობით:

- სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა;
- ორმხრივი თავდაუსხმელობის პატივისცემა;
- ერთმანეთის შიდა საქმეებში ჩაურევლობა;
- თანასწორობა და ორმხრივი სარგებელი;
- მშვიდობიანი თანაცხოვრება.

ჩინეთის საგარეო პოლიტიკის ზემოაღნიშნული ხუთი, ძირითადი პრინციპი, რითაც დღეს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა წარმართავს საკუთარ საგარეო ურთიერთობებს, მიღებულ იქნა, ჯერ კიდევ, 1954 წელს, როდესაც ჩინეთი, კომუნისტური მთავრობით სათავეში, ცდილობდა, აზიის არაკომუნისტურ ქვეყნებთან ურთიერთობის დალაგებას.[3]

[3] ეპიფანე (ედიშერ) გვენეტაძე „საერთაშორისო უშიშროების ასპექტები" გამომცემლობა, ,,იურისტების სამყარო'', თბილისი, 2017 წ

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

დღეს, ეს ხუთი პრინციპი, კვლავ ემსახურება სასარგებლო მიზანს, რითაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ამერიკული კონცეფციის ალტერნატივას_ ახალი ტიპის მსოფლიო წესრიგს სთავაზობს მსოფლიოს. ამერიკული სტანდარტი, სადაც საერთაშორისო წყობა და რეჟიმები ხშირად ასახავს ამერიკის შეერთებული შტატების ღირებულებებსა და ინტერესებს, ზღუდავს სუვერენული სახელმწიფოს უფლებებს, შექმნან, განავითარონ, ან გაყიდონ მასობრივი განადგურების იარაღი, დაიცვან ადამიანის უფლებები, განახორციელონ მერკანტილისტური და მარეგულირებელი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ხელს უშლის თავისუფალ ვაჭრობას და ზიანს აყენებს გარემოს. ჩინეთის მიერ შემოთავაზებული ალტერნატიული ხედვა, ხაზს უსვამს ყველა სახელმწიფოს უფლებას, შეინარჩუნოს თანაბარი, უპრეცედენტო სუვერენიტეტი, იმის მიუხედავად, იქნება ის დიდი თუ პატარა, დასავლური თუ აღმოსავლური, მდიდარი თუ ღარიბი, დემოკრატიული თუ ავტორიტარული; ყველას უნდა ჰქონდეს უფლება, დანერგოს საკუთარი მართვის სისტემა, მიუხედავად იმისა, შეესაბამება, თუ არა ის დასავლურ სტანდარტებს. ასეთი სისტემისთვის კიდევ ერთი შეთავაზება არის „მრავალფეროვნება“, რომელიც პასუხობს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მმართველობის ხუთ, ძირითად პრინციპს და რომლითაც აიხსნება ის, თუ რატომ არ უნდა შეეძლოს ამერიკის შეერთებულ შტატებს სუსტ ქვეყნებში თავისი ღირებულებების გავრცელება. ამდენად, ძირითადი პრინციპი, რომლითაც ჩინეთი გამოდის საერთაშორისო ასპარეზზე და აწარმოებს საერთაშორისო ურთიერთობებს ქვეყნებთან, არის სუვერენიტეტი_ რომ არც ერთ სახელმწიფოს არ აქვს უფლება, ჩაერიოს სხვა სახელმწიფოს შიდა საქმეებში.

მისი პოზიციიდან გამომდინარე, ჩინეთი არ ცდილობს ჰეგემონიის ხელში ჩაგდებას; ჰეგემონია 1960-იანებში, საბჭოთა კავშირისა და მისი ექსპანსიონიზმის მთავარი კოდი იყო. დღეს, ჩინეთი, იგივე ტერმინს იყენებს იმის აღსაწერად, რასაც ამერიკის შეერთებული შტატები ამერიკული ნების აღსრულების სახით ახორციელებს სხვა ქვეყნებზე, იქნება ეს ვაჭრობის პრაქტიკა, იარაღის გავრცელება, თუ ადამიანის უფლებები. ჩინეთი ამშვიდებს მასზე შედარებით პატარა მეზობელ ქვეყნებს, რომ მისი მზარდი ეკონომიკა და სამხედრო პოტენციალი, არასდროს იქცევა მის ხელში რეგიონული დაშინების იარაღად, თუმცა, ჩინეთის სამეზობლო კონფლიქტები, სხვა რამეზე მეტყველებს.[4]

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ყოველ კონფლიქტში გამოდიოდა ერთი წინადადებით, რომ დავა უნდა მოგვარდეს მოლაპარაკებით. ეს იყო ჩინელების პოზიცია ერაყისა და ირანის ომის დროს, იგივე პოზიცია გააჩნდათ ისრაელისა და არაბული სამყაროს დაპირისპირებისას, ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეისა და ყოფილი იუგოსლავიის

[4] გუგული მაღრაძე, ვახტანგ მაისაია ,,21– საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და ,,თანამშრომლობითი უსაფრთხოების'' თეორია: მითი და რეალობა – რეგიონული და გლობალური ასპექტები“, გამომცემლობა, „უნივერსალი“, თბილისი, 2017 წ.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

კონფლიქტის პერიოდშიც. U.N.-ის (გაერო) სხდომებზე, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ხშირად თავს იკავებს, ან საერთოდ არ აძლევს ხმას ინტერვენციებს და მსგავსი, უხეში გზების გამოყენებას, იქნება, ეს, სამოქალაქო ომის დასრულება, ტერორიზმის შეჩერება, თუ რაიმე სხვა, მსგავსი დონის საკითხი. ჩინეთის, როგორც გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრის უარყოფითი ხმა, წარმოადგენს ვეტოს, რითაც იგი, ხშირად გაანაწყენებს რეზოლუციის მომხრე ქვეყნებს.

ყველა ზემოთ მოყვანილი ფაქტორი, ხაზს უსვამს აზიისა და აღნიშნული რეგიონის მზარდ სამხედრო მნიშვნელობას. აზიელები, ახლა, უფრო მეტს ხარჯავენ თავდაცვაზე, ვიდრე ევროპელები, ხოლო აზიის თავდაცვის ხარჯები იზრდება იმ დროს, როცა გლობალური სამხედრო ხარჯები მცირდება. The Stockholm International Peace Research Institute-ის მონაცემებით, ზოგადად, გლობალური სამხედრო დანახარჯები, ერთი წლის განმავლობაში, ოდნავ შემცირდა, აზია-წყნარი ოკეანის თავდაცვის ხარჯები კი, 2014 წელს, 5%-ით გაიზარდა. რეგიონულმა სამხედრო ხარჯებმა, მთლიანობაში, მიაღწია 439 მილიარდ დოლარს, ეს კი დამოკიდებულია იმ ფაქტზე, რომ ჩინეთი ინარჩუნებს 9,7%-იან ზრდის ტემპს. ეს დისბალანსი აწუხებს სამხრეთ ჩინეთის ზღვის რეგიონის ქვეყნებს; მაგალითად, 2005 წლიდან, ვიეტნამის თავდაცვის ხარჯები 128%-ით გაიზარდა. ეს ტენდეცია, სავარაუდოდ, გაგრძელდება ინდოეთთანაც, რომელმაც განაცხადა, რომ წლევანდელი წლისთვის, თავდაცვის ხარჯების 11%-იანი ზრდა დაფიქსირდა; იგივე კურსს ატარებს ინდონეზიაც.

ცხადია, ამ გამალებულ სამხედრო რბოლაში, მთავარი არბიტრი ჩინეთია. სწორედ ამიტომ, 2009 წელს, დაიწყო მუშაობა ამერიკულმა უსაფრთხოების ცენტრმა The Center for a New American Security (CNAS). თუ რას ნიშნავს მსოფლიოსთვის ჩინეთის მსგავსი მილიტარიზაცია, ამას ხსნის Peter Navarro, აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტი, სხვადასხვა ნაშრომები და ანგარიშები.

სახალხო განმათავისუფლებელი არმიის (PLA) რეალური ბიუჯეტი, დღეს, არის 200 მილიარდი დოლარი, რასაც ემატება თავდაცვით ხარჯებზე ჩინეთის წლიური ზრდის 2%. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის თავდაცვის ხარჯები, ბიუჯეტის 4%-ს შეადგენს, ის, შეიძლება, ჩინეთმა, რამდენიმე წელიწადში, უკან ჩამოიტოვოს. ჩინეთს აქვს სტრატეგიული სიღრმე და ბაზები, საიდანაც მომდინარეობს მისი სწრაფვა, გახდეს მოწინავე საზღვაო ძალაც.

ჩინეთი აშენებს ბევრად უფრო ეფექტურ შესაძლებლობებს, რათა საბოლოოდ გააკონტროლოს საზღვაო და საჰაერო, ასევე, კიბერ და გარე სივრცეები და არეალი სამხრეთით და მის გარშემო. ninedash line-ის გასწვრივ, ხელოვნური კუნძულების მშენებლობა, მხოლოდ ამ ხაზის შემოფარგვლა კი არ არის, არამედ ის ემსახურება მეზობლების წინააღმდეგ ბერკეტების მოპოვებას და საერთაშორისო სამართალწარმოების

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

დარღვევას. ჩინეთის ქმედებები მოიცავს სამ - ინფორმაციულ, იურიდიულ და ფსიქოლოგიურ მხარეებს. ეს გახლავთ ის ფაქტები, რასაც ხედავს გარე სამყარო.

სახელმწიფოს მხრიდან წარმატებული სამხედრო რეფორმების განხორციელება და ეფექტური თავდაცვისუნარიანობის პირობების შექმნა, ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცების მთავარი გარანტიაა. ამიტომაც, ამ მხრივ, ჩინური „სასწაულის" განხილვა და შესწავლა, ანუ, რეგიონული დონის სამხედრო ძლიერების ქვეყნიდან გლობალური დონის გავლენის ცენტრად გადაქცევა და სამხედრო საფრთხეების წარმატებით გამკლავება, იქნება კარგი მაგალითი ქართული რეალობის პირობებში. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების გარემოს გაძლიერების პროცესში, მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს მხრიდან ურთიერთობის ფორმებისა და მეთოდების სწორად განსაზღვრის მეთოდოლოგიის კვლევა ისეთ სტრატეგიულ პარტნიორთან, როგორიცაა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა.

ჩინეთთან ურთიერთობის დროს, გასათვალისწინებელია „ძალთა ბალანსის" თეორია, რომელიც გახლავთ ერთ-ერთი, უძველესი და უმთავრესი კონცეფცია საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში. იგი რეალიზმის სკოლის შემადგენელი ნაწილია და გამომდინარეობს საერთაშორისო ურთიერთობების ანარქიული სტრუქტურიდან. აღნიშნული თეორიის მიხედვით, რეალისტები, საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის სხვადასხვა ეტაპების თავისებურებებს განმარტავენ. „ძალთა ბალანსის" თეორიის მიხედვით, იმის გამო, რომ საერთაშორისო სისტემის ბუნება ანარქიულია, ყოველი სახელმწიფო თვითგადარჩენისთვისა და თვითდამკვიდრებისთვის იბრძვის.

„გეოსტრატეგიული ბალანსის" თეორია - გეოსტრატეგიული ბალანსის თეორია დაკავშირებულია გეოპოლიტიკის მეცნიერებასთან, რომელიც, თავის მხრივ, ასოცირებულია ძალთა ბალანსის თეორიულ ასპექტებთან. გეოსტრატეგიული ბალანსის თეორია - ეს არის ცნება, სადაც ორი სამეცნიერო მიმართულება ისახება; პირველი_ ეს არის საერთაშორისო ურთიერთობების რეალიზმის სკოლა და მეორე, გეოპოლიტიკური აზროვნების მნიშვნელოვანი მხარეები. გარდა ამისა, გეოსტრატეგიულ ბალანსს, გააჩნია რამდენიმე დეფინიცია, რომელიც უკავშირდება მსოფლიო პროცესების უსაფრთხოების გაგებას .

,,თანამშრომლობითი უსაფრთხოების" თეორია - რომელიც უკავშირდება საერთაშორისო უსაფრთხოების ცნობილი ამერიკელი მკვლევრის, რიჩარდ კოენის სახელს და რომელიც გვთავაზობს უსაფრთხოების ისეთ მოდელს, რაც, პრაქტიკულად, აღსრულებადი ხდება იდეალიზირებული ქვაკუთხედიდან.

„რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსის" თეორია - რომლის ავტორების აზრით, რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსები ექსკლუზიურია და როდესაც გლობალური ძალები „ფარავენ" შიდა რეგიონულ დინამიკას, არ ვლინდება რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსი. აღნიშნული თეორია მიესადაგა კვლევის შინაარსს და გა-

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ნიხილა რეგიონული უსაფრთხოების სპეციფიკური მომენტები სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რეგიონებში;

„უსაფრთხოების დილემა“ - ეს არის ვითარება, როდესაც სახელმწიფოს მიერ საკუთარი უსაფრთხოების გაზრდის მიზნით განხორციელებული ქმედებები, იწვევს სხვა სახელმწიფოთა რეაქციას, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს ამ სახელმწიფოს თავდაპირველი უსაფრთხოების შემცირებას და არა ზრდას.[5]

ურთიერთდამოკიდებულება, ყველაზე მეტად, გავლენას ახდენს უსაფრთხოებაზე, კერძოდ - სახელმწიფოების მიერ, თავიანთი ტერიტორიების დასაცავად მიღებულ ზომებზე. სხვა საგარეო პოლიტიკური მიზნების მსგავსად, ერთი სახელმწიფოს უსაფრთხოება, სხვა სახელმწიფოების ქცევაზეა დამოკიდებული. სწორედ ეს წარმოშობს უსაფრთხოების დილემას, რომლის წინაშეც, თითოეული სახელმწიფო დგას; საკუთარი უსაფრთხოების დაცვის, ან განმტკიცების მიზნით, ერთმა სახელმწიფომ შეიძლება, მიიღოს იმგვარი ზომები, რომლებიც სხვა სახელმწიფოთა უსაფრთხოებას შეამცირებს. შედეგად, ამ სახელმწიფოებმა, შეიძლება, მიმართონ საპასუხო ღონისძიებებს, რომლებიც იმ ერთი სახელმწიფოს ქმედებების გაუვნებელყოფას ემსახურება და, შესაძლოა, მას საფრთხეც შეუქმნას .

„შეიარაღებული ძალების ოთხი ამოცანის“ თეორია - აღნიშნული თეორია, კარგად ხსნის ნებისმიერი ქვეყნის შეიარაღებული ძალების პოტენციალის გამოყენების პერსპექტივებს. ამავე დროს, თეორია განმარტავს, თუ როგორ შეიძლება, გამოიყენოს ქვეყანამ სამხედრო პოტენციალის ოთხი კომპონენტი და ამოცანა: თავდაცვა, შეკავება, იძულება და ტრაბახი. ქვეყნების უმრავლესობა, საკუთარი, ეროვნული ინტერესების მაქსიმალურად გასატარებლად, მიიჩნევს, უფრო მეტად დაეყრდნოს სამხედრო ხელისუფლებას და პოტენციალს . აღნიშნული ფენომენი, ზუსტად ახასიათებს თანამედროვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნულ ინტერესებს, რომელთა იმპლემენტაციის პროცესი მიმდინარეობს ყველანაირი საშუალებებით.

„ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია“ - უკავშირდება სახელმწიფოების მიერ სუვერენიტეტის შენარჩუნების და განმტკიცების ღონისძიებათა გაძლიერებას. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, წარმოადგენს ქვეყანაში პოლიტიკური მართვის ისეთ მდგომარეობას, რომლის შედეგადაც, ის მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილება, რასაც ესა თუ ის სახელმწიფო იღებს, უფრო მეტად ზრდის საფრთხეებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ .

ჩინეთის, როგორც სახელმწიფოს შესწავლისას, მნიშვნელოვანია, განისაზღვროს ქვეყნის გეოპოლიტიკური კოდი (რომელიც, ჩემს მიერ შემუშავებული ტერმინია თემის ირგვლივ მუშაობის დროს),და გულისხმობს, ქვეყნის საზღვრებს გარეთ არსებულ,

[5] იგორ კვესელავა ,,მსოფლიოს ახალი წესრიგი და კავკასია'' , საგამომცემლო სახლი ,,ტექნიკური უნივესიტეტი'', 2009 წ.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ტერიტორიათა შეფასებას სტრატეგიული მნიშვნელობის, ან პოტენციურ საშიშროებათა თვალსაზრისით; გეოპოლიტიკური კოდი - ოპერატიული კონცეფტუალური დოკუმენტების (ან კანონების) ერთობლიობაა, რომლებიც შედგება პოლიტიკურ-გეოგრაფიულ წინადადებების პაკეტისაგან და რომლის მეშვეობითაც განისაზღვრება ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსი;

გეოპოლიტიკური კოდი, თავის მხრივ, მოიცავს შემდეგი სახის კომპონენტებს:1) ქვეყნის ეროვნული ინტერესების განსაზღვრას; 2) საგარეო საფრთხის დადგენა-გაცნობიერებას, რომელიც აღნიშნულ ეროვნულ ინტერესებს ემუქრება; 3) ადეკვატური, საპასუხო ქმედების დაგეგმვას; 4) აღნიშნული ქმედების დასაბუთებას (იგულისხმება, ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გეოპოლიტიკური კოდი, რომლის სამივე დონე განისაზღვრება შემდეგნაირად:

გლობალური კოდი: „მშვიდობიანი თანასწორობის ხუთი პრინციპის" გეოპოლიტიკური და „თანამშრომლობითი უსაფრთხოების" სტრატეგიები. გლობალური გავლენის ცენტრის სტატუსის შენარჩუნება;გეოსტრატეგიული კოდი - ეს არის ის, თუ როგორ აღიქვამს ერი თავის ჩართულობას გლობალურ უსაფრთხოებაში, მისი სტრატეგიული შეიარაღების შესაძლებლობებისა და სამხედრო სტრატეგიული კულტურის საფუძველზე, ეროვნული უსაფრთხოების გარემოს აღქმის მეშვეობით.
რეგიონული კოდი: გეოეკონომიკური პროექტების ინიცირება („ერთი სარტყელი, ერთი გზის" კონცეფციის მსგავსად) - მაგალითად, „ევრაზიული სატრანსპორტო გაერთიანების" კონცეფცია, რომელიც უნდა განხორციელდეს, ძირითადად, სამხრეთ ევრაზიის სივრცეში - სამხრეთ კავკასია, ცენტრალური აზია და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია. ამის ერთგვარ პასაჟად გადაიქცა „შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია";
ლოკალური კოდი: ჩინეთის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და შენარჩუნება, პრინციპით: „ერთი ქვეყანა, ორი სისტემა", რომელიც ეხება, ტაივანის პრობლემის მოგვარებას და გადაწყვეტას, ხოლო, მეორეს მხრივ, ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება მოიცავს „ტიბეტისა" და „სინძიანის" პრობლემების დაძლევას.

მსოფლიო პოლიტიკურ სისტემაში, მშვიდობისა და სტაბილურობის მიღწევის მიზნით, რომელშიც აქტიურ როლს თამაშოს საქართველო, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთო გეოპოლიტიკურ და გეოსტრატეგიულ (გეოპოლიტიკური პროცესების შეფასება სამხედრო-პოლიტიკური ანალიზის კონტექსტში) პროცესების წარმართვის ტენდეციებს. ამ პროცესებში, ღირსეული ადგილის დასამკვიდრებლად, საჭიროა, შესაბამისი სტრატეგიული მიდგომების შემუშავება და მოვლენათა განვითარების განჭვრეტა საქართველოს ეროვნული ინტერესებიდან (სასიცოცხლო, მნიშვნელოვანი, მთავარი და პერიფერიული) გამომდინარე, მით უფრო, დაძაბული რეგიონული სამ-

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ხედრო-პოლიტიკური ფონის გათვალისწინებით (რეგიონში ფიქსირდება 40-მდე სამხედრო ტიპის ლატენტური და „ღია" კონფლიქტის არსებობის ფაქტი). ამის პარალელურად, უნდა დაიწყოს არსებული საკითხების მოგვარება, რომელთა გადაწყვეტაც, დღესვეა შესაძლებელი. აღნიშნული კუთხით, უპრიანია, განხილულ იქნეს პრობლემები, რომელთა გადაჭრაც, უახლოესი მომავლის ამოცანას წარმოადგენს; გამოიკვეთოს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და გეოპოლიტიკური განვითარების სტრატეგიული მიმართულებები, მათ შორის, სამხედრო-სტრატეგიული კუთხით. ამის შესაბამისად, შემუშავდეს პრობლემათა მოგვარების ეტაპობრივი გეგმა, დაიწყოს ქმედებები მისი პრაქტიკული განხორციელებისთვის, რისთვისაც უნდა ამოქმედდეს სახელმწიფოსა და საზოგადოების განკარგულებაში არსებული ყველა მექანიზმი, მათ შორის, სამეცნიერო-აკადემიური პოტენციალი. ამისთვის კი, აუცილებელია, დაფუძნდეს ისეთი სახის სტრატეგიული მიმართულების ინსტიტუტი ან სამეცნიერო დისციპლინა, რომელიც იზრუნებს ზემოხსენებული საკითხების შესწავლასა და ანალიზზე.[6]

გეოპოლიტიკური გავლენის ცენტრის ძალთა გადანაწილება, საერთაშორისო ურთიერთობების პროცესებისთვის, მუდამ აქტუალური თემა იყო. ყველასთვის ცნობილია, რომ 1945 წლამდე, მსოფლიო პოლიტიკა მრავალპოლუსიანი გახლდათ, მაგრამ, ამ პერიოდიდან, მსოფლიოში, ბიპოლარული სისტემა წამოიქმნა, აშშ-ს და საბჭოთა კავშირის სახით. თუმცა, 1989-1992 წლებში, სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა და ახალი წესრიგის ერა დადგა, როდესაც ერთპოლუსიან სამყაროში, აშშ უეჭველ დომინანტად იქცა. იმ დროს, ვერავინ იფიქრებდა, რომ რომელიმე სახელმწიფო, რაიმე გზით, შეძლებდა, აშშ-ს ლიდერობაში შესცილებოდა, მაგრამ გარკვეულმა ფაქტორებმა (ომმა ერაყში, ეკონომიკურმა კრიზისებმა, ტერორიზმმა, კრიმინალმა) ცოტათი შეარყია ლიდერის ავტორიტეტი. ამ დროს, მსოფლიო ახალი წესრიგის, შეიძლება ითქვას, სამპოლუსიანი წესრიგის წარმოქმნის მომსწრე გახდა. მეორე და ერთ-ერთ მთავარ მოთამაშედ, მსოფლიოში, იქცა ჩინეთი, თავისი ბირთვულ-სტრატეგიული იარაღითა და სოციალურ-გეოპოლიტიკური კონცეფციით, რუსეთმა კი, ამ სამეულში, სამხედრო პოტენციალითა და გეოპოლიტიკური ამბიციებით დაიმკვიდრა ადგილი.

დღევანდელი ჩინეთის შეიარაღება, ბევრ მნიშვნელოვან კითხვას სცემს პასუხს და მისი ბურთვული სტრატეგიული მისწრაფებები, ყველას განგაშის სიგნალს უნთებს. ჩინეთი ხომ ბალისტიკური რაკეტა DF-17 ის მფლობელია, რომელსაც 15 ათას კილომეტრ სივრცეზე შეუძლია, ბირთვული ქობინების გადატანა. მას, ასევე, 1000- ზე მეტი ბირთვული ქობინი (მაგ: YJ-8X) აქვს და, ამავდროულად, გადავიდა მეოთხე ტიპის

[6] თენგიზ ფხალაძე, თორნიკე შარაშენიძე, გიორგი ვოლსკი, თეიმურაზ ქარუხნიშვილი, მარიამ ცაცანაშვილი, გიორგი გვიმრაძე, ნატო ბაჩიაშვილი, ნანა დევდარიანი ,,Soft Power რუსეთის საგარეო პოლიტიკის ახალი კონცეფცია საქართველოსთან მიმართებაში '', გამომცემლობა ,,მთაწმინდელი'', 2010 წ.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

სამხედრო ტექნოლოგიებზე, რაც გულისხმობს: დამრტყმელ შეიარაღებას და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემებს. საყურადღებოა,ასევე, ის ფაქტი, რომ ჩინეთი, ეკონომიკით, მეორე სახელმწიფოა მსოფლიოში. ჩინეთი, თავისი პროექტებით, შეიარაღებით, მოსახლეობის რაოდენობით, ეკონომიკით, ტექნოლოგიებითა და ა. შ. არის სახელმწიფო, რომელსაც მსოფლიო პოლიტიკურ დღის წესრიგში სიტყვა ეთქმის, ან, ყოველ შემთხვევაში, მის გარეშე, გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია.

ვინაიდან ჩინეთის კეთილდღეობა და უსაფრთხოება დიდწილად დამოკიდებულია საზღვო ვაჭრობზე, ანუ საზღვაო გზებით თავისუფლად სარგებლობაზე, ამ საზღვაო უსაფრთხოებას კი ამერიკული საზღვაო ძალა იცავდა და იცავს, ჩინეთმა, ბოლო წლებში, დაიწო სამხედრო ძალის განვითარება, რაც შედგება ორი ელემენტისგან: სამხედრო ხომალდები და, ამ ხომალდების მხარდასაჭერად, აუცილებელი ბაზები, რომლებიც მათი მოქმედების არეალში უნდა მდებარეობდეს. ჩინეთმა საგრძნობლად გააძლიერა სამხედრო ფლოტი და ინდოეთის ოკეანეში რამდენიმე სახელმწიფოს სანაპიროზე დაიწყო პორტების განვითარება. ამჟამად, ეს პროცესი, კომერციულ მიზნებს ატარებს, მაგრამ ყველასთვის ნათელია, რომ მომავალში, შესაძლოა, პორტებმა სამხედრო ფუნქციაც შეასრულონ. შესაბამისად, ჩინეთი ცდილობს, განავითაროს სამხედრო ფლოტი და მოიპოვოს კონტროლი მისთვის საკვანძო, სტრატეგიული მნიშვნელობის საზღვაო გზებზე, რაც ამერიკის გავლენის ფაქტორს, საგრძნობლად შეუმსუბუქებს და თვითონ შეძლებს, თავისივე სავაჭრო გზების გაკონტროლებას. აშშ განაგრძობს სამხრეთ ჩინეთის ზღვაზე პატრულირებას, რათა ჩინეთმა, იქ, საკუთარი პრეტენზიების იურიდიულად დამკვიდრება ვერ შეძლოს და აქტიურად განაგრძობს ჩინეთის ადგილობრივი ოპონენტი სახელმწიფოების მატერიალურ მხარდაჭერას; გარდა ამისა, აშშ არ არის ერთადერთი დიდი სახელმწფიო, რომელიც ჩინეთის მსგავსი განვითარების წინააღმდეგია; ვგულისხმობ იაპონიას, რომელსაც, ასევე, აქვს საზღვაო ინტერესები და არა მარტო, მაგრამ, დღევანდელ დღეს, რთული იქნება ისეთი ჩინეთის წინააღმდეგ უკიდურესი ზომების გატარება, როგორი მოცემულობითაც ის, ჩვენ, დღეს გვაქვს.[7]

ჩინეთის მთავარი მიმართულებებია: ეროვნული სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური სტაბილურობის დაცვა, ლოკალური ომებისათვის მზადება მაღალი საინფორმაციო საბრძოლო ტექნოლოგიების გათვალისწინებით. სრულყოფილი სამხედრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა_ ეს ნიშნავს არმიის ადაპტირებას ახალ საფრთხეებთან და მათ ჩართულობს შიდა უსაფრთხოებისა და სოციალური სტაბილურობის მისაღწევად. საერთაშორისო უსაფრთხოების სამშვიდობო მისიებში მონაწილეობა_ (ჩინეთი, როგორც გაეროს მუდმივი წევრი, სამშვიდობო მისიებში, 6.8 მილიარდ აშშ დოლარს ხარჯავს). აქტიურ თავდაცვაზე აკეთებს აქცენტს

[7] ჯემალ გახოკიძე ,,ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი პრობლემები‘‘, გამომცემლობა, ,,ტექნიკური უნივესიტეტი‘‘ , თბილის, 2007 წელი.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

და ფლობს ბირთვული იაღარის გამოყენების გეგმას შურისძიების პრინციპის საფუძველზე; ამასთანავე, ამ ყველაფერთან ერთად, ცდილობს, რბილი ძალის კონცეფციის გამოყენებას, ანუ კიბერ უსაფრთხოების უზრუნველყოფას და საზღვარგარეთული სამხედრო მისიების ჩატარებისას, ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფას, სახმელეთო ჯარების კონტრ-ტერორისტულ ოპერაციებში მონაწილეობას.

საბოლოოდ კი ჩინეთზე, როგორც მსოფლიოს მეორე სუპერ სახელმწიფოზე, შეიძლება, ითქვას, რომ სამხედრო მოდერნიზაციამ და ეკონომიკის განვითარებამ, მოსახლეობისა და მუშა ხელის გამოყენებამ, ქვეყანაში არსებულმა წესრიგმა, ტექნოლოგიურმა პროგრესმა და კიბერუსაფრთხოებამ, ისევე, როგორც საზღვაო სამხედრო და საჰაერო ძალების სწორმა და სტატეგიულად მნიშვნელოვან ტერიტორიებში განლაგება/გადანაწილებამ, ჩინეთი გახადა ყველაზე საშიში და პატივსაცემი ძალა, რომელსაც თვით აშშ-ც კი შორიდან და „მოწიწებით''ესაუბრება.

თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებში, ერთ-ერთ მთავარ მოვლენას წარმოადგენს გლობალური უსაფრთხოების სამხედრო განზომილება. ნებისმიერ სახელმწიფოს, თავისი მოქალაქეების მიმართ, აქვს, სულ ცოტა, ორი ვალდებულება: უზრუნველყოს მისი უსაფრთხოება და შექმნას იმის პირობები, რომ ნებისმიერმა მოქალაქემ აიმაღლოს თავისი კეთილდღეობა (როგორც მატერიალური, ისე სულიერი). უსაფრთხოება საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ ასპექტს მოიცავს და გულისხმობს, სრულიად სხვადასხვა სახის საშიშროებათა ნეიტრალიზებას. აღნიშნული, შეიძლება, მოიცავდეს, მოქალაქის ფიზიკურ გადარჩენას და მისი სიცოცხლის დაცვას ბანდიტური თავდასხმისაგან, ანდა, ვთქვათ, მის დაცვას სხვა ქვეყნის სამხედრო ძალის მიერ მისი სიცოცხლის ხელყოფისაგან. ამავე დროს, სახელმწიფოს უნდა შეეძლოს, დაიცვას საკუთარი ინსტიტუტები და ქვეყნის საზღვრების ხელშეუხებლობა, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ხორციელდება ქვეყნის სამხედრო ძალებისა და შესაძლებლობების გამოყენებით. ამ კუთხით, ამ კონტექსტში, მნიშვნელოვანია, ისეთი ფენომენის განხილვა, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის უსაფრთხოების აუცილებელ მდგენელს, როგორიცაა სამხედრო უსაფრთხოება. თვით ტერმინი ''სამხედრო უსაფრთხოება'' ნიშნავს, სახელმწიფოს უნარს, დაიცვას ან აღკვეთოს სხვა ქვეყნიდან (ან ქვეყნებიდან) განხორციელებული სამხედრო აგრესია.[8]

სწორედ სამხედრო უსაფრთხოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან, ახალ განზომილებას, რომელიც სამხედრო-პოლიტიკურ კონტექსტში უზრუნველყოფს გლობალური და რეგიონული უსაფრთხოების პირობებს, შეადგენს ტერმინი: „გეოსტრატეგიული გარემო". აღნიშნული ტერმინის ეგიდით იგულისხმება - პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალურ-ტექნოლოგიური და სამხედრო ხასიათის ფაქტორთა ერთობლიობა, რომე-

[8] მაისაია, ვ. „შავი ზღვის აუზის გეოსტრატეგიული ბალანსის პოლიტიკური ასპექტები". ქართულევროპული ინსტიტუტი (პარიზი) კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი (თბილისი) - პარიზი 2003 წ.

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ლიც ნეგატიურ გავლენას ახდენს ქვეყნის სამხედრო უსაფრთხოებაზე. გეოსტრატეგიული გარემოს შემადგენელ კომპონენტებს კი წარმოადგენს სამი მნიშვნელოვანი რამ:
1) გეოპოლიტიკური ტრანსფორმაცია - აშშ-ს ჰეგემონობის დასრულება, მულტიპოლარული მსოფლიო წესრიგის განვითარება და მასში არასახელმწიფოებრივი აქტორების, ანუ, გავლენის ახალი ცენტრების გაჩენა;
2) სამხედრო-ტექნიკური დაპირისპირება - საქართველოს თავდაცვითი ძალების სამხედრო პოტენციალის საგრძნობი ჩამორჩენა შემტევი შეიარაღებისა და ჩვეულებრივი შეიარაღების სფეროში მეზობელი ქვეყნების მიმართ;
3) სახელმწიფოთა სამხედრო დაპირისპირების ახალი ტალღა „შეიარაღების რბოლა" - ახალი „ცივი ომის" განვითარება და მისი ეპიცენტრი შავი ზღვის აკვატორიაში.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ თანამედროვე გეოსტრატეგიული გარემო, გლობალურ დონეზე, რომელიც აშკარად განიცდის მაღალ ტურბულენტობას, ჩამოყალიბდა გარკვეული ევოლუციური ფაზების გავლის შემდეგ, რომლის ფარგლებში, წარმოიქმნა და განვითარდა თანამედროვე სამხედრო სტრატეგიული კულტურა და ხელოვნება. სწორედ ამ ხელოვნების ფარგლებში მიმდინარეობს აქტორებს შორის თანამედროვე საბრძოლო მოქმედებები, სადაც უფრო მეტ ადგილს იკავებენ არა-სახელმწიფოებრივი აქტორები. ამიტომაც შეიძლება, განვიხილოთ, თუ როგორ, რომელი ფაზების შედეგად ყალიბდებოდა თანამედროვე სამხედრო-სტრატეგიული და სამხედრო-ტექნიკური პირობები:

- მე-18 საუკუნეში მომხდარი პირველი სამრეწველო რევოლუცია - ამ დროს განვითარდა სახმელეთო კომუნიკაცია - რკინიგზა და საავტომობილო საკომუნიკაციო სისტემები და გაუქმდა საზღვაო სიძლიერის ფაქტორი. ამან ხელი შეუწყო ისეთი იმპერიების გეოპოლიტიკურ ზრდას, როგორებიცაა რუსეთი, გერმანია, აშშ;
- მე-19 საუკუნის აღმოჩენები - გაჩნდა ტელეფონი, ელექტრული ტელეგრაფი, რადიოკავშირი, რამაც გამოიწვია გეოსივრცის „შეკუმშვა";
- მე-20 საუკუნის პირველი ნახევარი: ავიაციის განვითარება - ფუნდამენტალურად შეცვალა ორპოლუსიანი გეოპოლიტიკური მოდული (ხმელეთი-ზღვა) გადააქცია სამპოლუსიან მოდულად (ხმელეთი-ზღვა-ჰაერი);
- მე-20 საუკუნის მეორე ნახევარი: ბირთვული ტრიადისა და სარაკეტო ტექნოლოგიების გამოჩენა; კოსმოსური სივრცის ათვისებამ, მთლიანად შეცვალა გეოსტრატეგიულ ძალთა ბალანსი პლანეტარულ სივრცეში და შეიტანა ახალი მეგააზროვნება საერთაშორისო საზოგადოებაში.

აქვე, უნდა განისაზღვროს ის გარემოებაც, რომ დღევანდელი საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის პირობებში, როდესაც კვლავ შემოვიდა ძალთა ბალანსის თეორიის თანახმად შექმნილი საერთაშორისო წესრიგის ფორმატი, ახალი განზომი-

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ლება მიიღო სამხედრო კონფლიქტის არსმაც. გარკვეული მოსაზრებით, ასეთი გეოსტ-რატეგიული გარემოს პირობებში, თუნდაც, რეგიონულ დონეზე, შეიძლება, განისაზ-ღვროს სამხედრო კონფლიქტი, როგორც აქტორებს შორის დაწყებული და განვითარე-ბული დაპირისპირება, რომელიც გამოირჩევა სამხედრო პოტენციალის სრულად გა-მოყენებით და სადაც მიმდინარეობს ქმედება გარკვეული შეზღუდული სახის გეოსტ-რატეგიული და გეოპოლიტიკური მიზნების მისაღწევად, თუმცა, მას, შეიძლება, არ ჰქონდეს სრულმასშტაბიანი ომის სახე. ზოგადი მიდგომებიდან გამომდინარე, ასეთი სახის ფენომენს წარმოადგენს რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს სამხედრო დაპირისპირება. თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების დინამიკიდან გამომ-დინარე, სამხედრო კონფლიქტების მიმდინარეობა და განვითარება ეფუძნება შემდეგი სახის ფაქტორებს:

- გეოგრაფიული ფაქტორები განსაზღვრავენ ნებისმიერი აქტორის შეიარაღებული ძალების ტაქტიკურ პოზიციას;
- სამხედრო კონფლიქტების მიმდინარეობისას, წარმოებს ბრძოლების და საომარი მოქმედებების მაღალი ტემპებით განვითარება;
- ყველა საომარ მოქმედებათა სახეობების ურთიერთბმულობა;
- სამხედრო კონფლიქტები მიმდინარეობს სხვადასხვა ფიზიკური გარემოს პირობებ-ში.

უსაფრთხოება, რომელიც დაფუძნებულია თანამშრომლობაზე, თავის თავში მო-იაზრებს ისეთ სისტემას, სადაც ცალკეული სახელმწიფოების ეროვნული ინტერესების განხორციელება, დამოკიდებულია უსაფრთხოების ოთხ რგოლზე, რომელთა თავსება-დობაც მთლიანობაში აძლიერებს სისტემას:

რგოლი 1: ადამიანის უფლებების დაცვა საკუთარ ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ (ინდივიდუალური უსაფრთხოება);

რგოლი 2: მშვიდობისა და სტაბილურობის მხარდაჭერა საერთო სივრცეში (კო-ლექტიური უსაფრთხოება);

რგოლი 3: საერთო თავდაცვა გარე აგრესორისგან (კოლექტიური თავდაცვა);

რგოლი 4: აქტიური სტაბილურობის უზრუნველყოფა სხვა რეგიონებში, სადაც არსებული პრობლემები შეიძლება, საფრთხეს უქმნიდეს საერთო უსაფრთხოებას .

საერთო ჯამში, ურთიერთდახმარება მოკავშირეებს შორის - პოლიტიკური, ინ-ფორმაციული, ეკონომიკური და აუცილებელ შემთხვევაში - სამხედრო რესურსების გამოყენებით (სტაბილურობის შენარჩუნება). სწორედ ასეთ მოდელს ითვალისწინებს რიჩარდ კოენის „თანამშრომლობითი უსაფრთხოების" თეორია . ამ თეორიაზე დაფუძ-

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

ნებული სტრატეგიული სტაბილურობის მოდელს მთლიანად მხარს უჭერს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა.

ევრაზიის გეოპოლიტიკური სივრცის იდენტიფიცირება გამოიყურება იმგვარად, რომ ის მოიცავს უდიდეს ტერიტორიას, რომელიც მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით. აღნიშნული გარემოება კი, განსაზღვრავს მის ეკონომიკურ თვითკმარობასა და მის ავტონომიურ ხასიათს, განსაკუთრებით, გეოპოლიტიკური მოდულირების ფორმატში - „კონტინენტი-ოკეანე". ევრაზია, თავისი ძველი იდენტიფიცირების ფარგლებში, განისაზღვრება, უკვე, არა ევროპული და აზიური სივრცეების ერთიანობით, არამედ შემდეგნაირად:

- საშუალო კონტინენტი ან უშუალოდ ევრაზია;
- ორი პერიფერიული სამყარო;
- აზიური (ჩინეთი, ინდოეთი, ირანი);
- ევროპული,რომელიც ესაზღვრება ევრაზიას, დაახლოებით, შემდეგი გეოგრაფიული ხაზით: ნემანის მდინარე-დასავლეთ ბუგი-სანი-დუნაის შესართავი.

ევრაზიის გეოპოლიტიკურ სივრცეს, გააჩნია მრავალმხრივი ლანდშტაფი, რომელიც გავლენას ახდენს იქ მცხოვრები ხალხების ეთნოგენეზზე. სივრცის გეოგრაფიული პირობების მრავალფეროვნების გავლენით, იქ მცხოვრები ხალხები, უფრო მეტად ირჩევდნენ ცხოვრების დეზინტეგრაციულ წესს, ვიდრე საერთო ინტეგრაციას. აქედან გამომდინარე, ევრაზიაში მცხოვრებ ხალხებსა და ეთნიკურ ჯგუფებში, ჩამოყალიბდა განსაკუთრებული სახის პოლიტიკური კულტურა, ორიგინალური განვითარების გზების ძიებისკენ მიდრეკილება და განვითარების მიზნები.

აქვე, საინტერესოა, განისაზღვროს, რა გამოწვევების წინაშე იდგნენ და ამჟამადაც იმყოფებიან ევრაზიის სივრცეში მყოფი აქტორები და მთლიანად როგორია, უშუალოდ, ევრაზიის გეოსტრატეგიული გარემო. მთავარი პრობლემა, რომელიც ამ რეგიონის სახელმწიფოთა საშინაო უსაფრთხოებას უქმნის საშიშროებას, არის რეფორმაციისა და სეპარატიზმისკენ სწრაფვა, რაც, საბოლოოდ, გავლენას მოახდენს ცენტრალური აზიის სახელმწიფოების არსებობაზე. გამომდინარე იქიდან, რომ ცენტრალური აზიის ტერიტორიაზე მდებარე ქვეყნებში არსებული სამთავრობო სისტემები, ისევ და ისევ, ტოტალიტარულია, სახელმწიფო ხელისუფლების მიმართ საფრთხე განიხილება მთავარ საფრთხედ თავად სახელმწიფოებისთვის. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ცენტრალურ აზიაში, სახელმწიფოებს შორის საფრთხეების მსგავსებამ, მიიღო მასშტაბური ხასიათი და ცენტრალური აზიისთვის, რეგიონულ საფრთხეებად იქცა.

რაც შეეხება შუა აზიის სახელმწიფოებს შორის მტრობის მოდელს _ კონფლიქტების ისტორიას არ მოჰყოლია ომი, ან რაიმე ღია კონფლიქტი, ან შეზღუდვა შუა აზიაში მდებარე სახელმწიფოებს შორის „ცივი ომის" შემდგომ ეპოქაში. მიუხედავად

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

იმისა, რომ არსებობდა წყლის რესურსებთან და სახელმწიფო საზღვრებთან დაკავშირებული კონფლიქტების ისტორია ისეთ ქვეყნებს შორის, როგორებიცაა ყირგიზეთი, ტაჯიკეთი და უზბეკეთი, ამ პრობლემებმა და დაძაბულობამ არ გამოიწვია ფართო მასშტაბიანი ომი სახელმწიფოებს შორის.[9]

საინტერესოა, გამოვლინდეს, ევრაზიის სივრცეში განვითარებული ინსტიტუციონალური განვითარების ფორმები და მექანიზმები. ევრაზიის გეოპოლიტიკურ სივრცეში, რეგიონული თანამშრომლობის უსაფრთხოების მექანიზმი, განუყოფლად არის დაკავშირებული მრავალმხრივ ინსტიტუტებთან, როგორებიცაა ASEAN-ის რეგიონული ფორუმი (ARF) და აღმოსავლეთ აზიის სამიტი (EAS). სინამდვილეში, ამ ორმა ინსტიტუტმა, რომლებშიც სამივე მთავარი ძალა, კერძოდ ინდოეთი, ჩინეთი და იაპონია ოფიციალური წევრები არიან, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარებაში. თუმცა, ამგვარმა მექანიზმებმა, ადეკვატურად ვერ გადაჭრა ბევრი რეგიონული საკითხი და ვერ შექმნა ძლიერი ინსტიტუციური სტრუქტურა აზიაში უსაფრთხოებისთვის. შედეგად, აზიის მთავარი სახელმწიფოებისთვის, აუცილებელია ისეთი გარემოს შექმნა, რომელშიც, შესაძლო სამხედრო კონფლიქტის შეკავება მოხდება. ამ მიზნით, მათ უნდა შეიმუშაონ უფრო კონსტრუქციული ჩართულობის როგორც ორმხრივი, ასევე, მრავალმხრივი პლატფორმები და შაბლონები, რამაც, შეიძლება, თავიდან აგვარიდოს შეიარაღებული კონფლიქტი და უნდობლობა აზიაში. ევრაზიაში კონსტრუქციული უსაფრთხოების მექანიზმის შექმნის მთავარი პრობლემა არის ის, რომ ძირითადი ქვეყნები აგრძელებენ ერთმანეთის ღრმა უნდობლობას, მაგალითად, ჩინეთის გადაუჭრელი დავები იაპონიასთან და ინდოეთთან.

დასკვნა

დღესდღეობით, აზიის უსაფრთხოების სტრუქტურის მნიშვნელოვანი კომპონენტია სახელმწიფოებს შორის დიდი ომის თავიდან აცილება. ეს ლოგიკა აშკარაა შეერთებული შტატების თავდაცვის დეპარტამენტის 1998 წლის აღმოსავლეთ აზიის სტრატეგიის ანგარიშში, სადაც ნათქვამია, რომ "არასტაბილურობა და გაურკვევლობა, სავარაუდოდ, შენარჩუნდება აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში, სამხედრო ძალის დიდი კონცენტრაციით, მათ შორის, ბირთვული არსენალებით, გადაუჭრელი ტერიტორიული დავებითა და ისტორიული დაძაბულობით, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებით და მათი მიწოდების საშუალებების არასტაბილურობის წყაროდ ". არსებობს ომის, ან დაბალი ინტენსივობის სამხედრო კონფლიქტის შესაძლებლობა ჩინეთსა და იმ ქვეყნებს შორის, რომლებთანაც მას დავები აქვს; მით უმეტეს, რომ ჩინეთმა

[9] Colin S. Gray, War, Peace and International Relations: An Introduction to Strategic History (London and New York: Routledge, 2013).

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

მიმართა სამხედრო დაპირისპირების გზას სადავო ტერიტორიის ანექსირებისთვის ვიეტნამის წინააღმდეგ 1979 და 1988 წლებში და ფილიპინების წინააღმდეგ_ 1995 წელს, სამხრეთ ჩინეთის ზღვაში Mischief Reef. ჩინეთის "კონფლიქტების მოგვარების მშვიდობიანი მიდგომის“ პოზიციის მიუხედავად, არ არის გარკვეული, როგორი იქნება მისი პოლიტიკა ტაივანთან და მის სხვადასხვა სასაზღვრო დავებთან დაკავშირებით

იმ დროისთვის, როდესაც ჩინეთის არმიის სამხედრო მოდერნიზაცია დასრულდება, შესაძლოა, 2025 წლისთვის. ამერიკის შეერთებული შტატების როლი, შეიძლება, შემცირდეს აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში, ტერორიზმის წინააღმდეგ ომის მნიშვნელობის გათვალისწინებით, რომელსაც შეერთებული შტატები ხელმძღვანელობს და ახლო აღმოსავლეთში გაბატონებული "რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსის" გამო, რომელთანაც შეერთებული შტატები განუყოფლად არის დაკავშირებული. ამიტომ ცდილობს აშშ, თავიდან აიცილოს "მშვიდობიანი" ჩინეთის გარდაქმნა რევიზიონისტულ სახელმწიფოდ. ჰეგემონის პასუხისმგებლობაა არა მარტო შეერთებული შტატები, არამედ რეგიონალური ქვეყნები, მათ შორის, ინდოეთი, იაპონია და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაციის (ASEAN) წევრები. თანამშრომლობის გზა, აზიაში, მნიშვნელოვანია გრძელვადიანი მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.

ბიბლიოგრაფია

ეპიფანე (ედიშერ) გვენეტაძე „საერთაშორისო უშიშროების ასპექტები“ გამომცემლობა, ,,იურისტების სამყარო‘‘, თბილისი, 2017 წ

გუგული მაღრაძე, ვახტანგ მაისაია ,,21– საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და ,,თანამშრომლობითი უსაფრთხოების‘‘ თეორია: მითი და რეალობა – რეგიონული და გლობალური ასპექტები“, გამომცემლობა, „უნივერსალი“, თბილისი, 2017 წ.

იგორ კვესელავა ,,მსოფლიოს ახალი წესრიგი და კავკასია,‘‘ საგამომცემლო სახლი ,,ტექნიკური უნივესიტეტი‘‘, 2009 წ.

თენგიზ ფხალაძე, თორნიკე შარაშენიზე, გიორგი ვოლსკი, თეიმურაზ ქარუხნიშვილი, მარიამ ცაცანაშვილი, გიორგი გვიმრაძე, ნატო ბაჩიაშვილი, ნანა დევდარიანი ,,Soft Power რუსეთის საგარეო პოლიტიკის ახალი კონცეფცია საქართველოსთან მიმართებაში,‘‘ გამომცმლობა ,,მთაწმინდელი,‘‘ 2010 წ.

ჯემალ გახოკიძე ,,ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი პრობლემები‘‘, გამომცემლობა, ,,ტექნიკური უნივესიტეტი‘‘ , თბილის, 2007 წელი.

მაისაია, ვ. „შავი ზღვის აუზის გეოსტრატეგიული ბალანსის პოლიტიკური ასპექტები“. ქართულევროპული ინსტიტუტი (პარიზი) კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი (თბილისი) - პარიზი 2003 წ.

Colin S. Gray, War, Peace and International Relations: An Introduction to Strategic History (London and New York: Routledge, 2013).

ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0

“The Diversified Employment of China’s Armed Forces” (Information Office of the State Council- the People’s Republic of China. April 2013, Beijing, Windows on Chinese Armed. Forces//URL:http://English.pladialy.com cn/).

В.Н. Конышев, А.А. «Современная военная стратегия» (Аспект Пресс, Москва. 2014).

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

ვებ-გვერდი: www.eta.edu.ge
WWW.PAPERS.ETA.EDU.GE
ტელეფონი: +995 5 77 19 92 05
ელ. ფოსტა: nda@mod.gov.ge
ელ. ფოსტა: statia@eta.edu.ge
ტირაჟი: 40
ISSN 1512-0708 (PRINT)
ISSN 2587-4837 (ONLINE)
CC BY 2.0